FS 4434

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4434

ბ. 32° 78

ეროვნული
ბიბლიოთეკა

13-9

# წინამძღვარი ზეცისა

## გინა

## ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი.



კოსტანდინეპოლს.

ანთუან გვიზალიანის სტამბაში.

1876.

## უწყება მთარგმნელისა.

ამ წიგნის ავქსონი თავადის შვილი ალექსანდრე მღვდელი ჭოენლოე სახსოვარი ჩვენი საუკუნოებისა, მეტად განთქმულია სიწმიდის ნიშნებითა, ეგრედ, რომ ვინც მიჭმართეს მის ლოცვა კურთხევასა, მრავალთა მრავალი სასწაული ნახეს: გარნა თვითან ყოველი სიმდაბლითა მოხდენილს სასწაულებს თავისგან არა სთვლიდა; არამედ სხვათა ცხოველი სარწმუნოებისაგან, და ასრე რიერთიც შეეძლო, პატივს თავს არიდებდა. მისი სიწმიდე ნათლად სჩანს ამ მცირე წიგნისაგან. ძლიერ მშვენიერი სჯქსით შეუდგენია, რომ ყოველ კაცს ადვილად გზას უხსნის წმიდა ცხოვრებისას, როგორც თვითან ვრცლად ლაპარაკობს თავის წინასიტყვაში. ეცადონ ვისაც კარგი სწავლა გაუგონია ქადაგებაში და გული აღძვრია, იმრიგ მხურვალედ შეინახონ თავიანთი გული და საქმით აღასრულონ რაც კეთილად ცნობილაო. ამის გამო თვი-

თანაც რაც უქადაგია, ან სწავლა მიუცია საზოგადოდ; ის საგნები შემოუკრებია მოკლედ ამ წიგნში. თომა კემპელის შემდეგ ახლა ეს წიგნია მიღებული. რომ კიდეც კუათრუბანს ამსგავსებენ, შეთხიზულია ნემეცურად და გადმოცემულია მთელ ევროპიულს ენებზედ და დაბეჭდილია დღემდის ურიცხვი. მხოლოდ რამდენიმე ათის წლის წინად პირველში 35,000; დაბეჭდილა საფრანგეთში და მაშინვე მთელი დაფორიაქებულა, ჩვენც მათი მიხედვით შრომას არ დავრიდეთ თავი, რათა ჩვენმა ლატაკმა საზოგადოებამაც ისარგებლოს. კარგად დააკვირდი პატივცემულო წამკითხველო! სრულ პირველად, მიზეზებსა, რომ გონებაში გიხატვენ ყოველ სახმარ საგნებსა: შემდგომ საქმესა, რომ ადვილად გაცნობებს შენს ვალსა, ნეტარი შენ თუ გულს მოდგინედ ყურადღებას მიაქცევ და აღასრულებ საქმითა! ამით იქმნები ნამდვილი ქრისტიანე და ღირსი ზეცას სასუფეველისა ღვთისა.




ძლიერებითა უფალო პატიოსნისა ჯვარისა
შენისათა გვაცხოვნენ ჩვენ.

განზრახვა ჲ სწავლა

საჭირო

მორწმუნე ქრისტიანეთათვის.

## თავი . ა .

### ჩვეულებრივს ჩვენის თანამდებობის აღსრულებისათვის.

წმიდად ცხოვრება რიგის გარედ ყოფა ქცევა არარის; არამედ საყოველდღეო ჩვენი თანამდებობის რიგიან აღსრულება ჩვენს ყოველს სიცოცხლეში: ეგრედ, რომ რაც შეიძლება ვასრულებდეთ ჩვენს ვალსა, ჩვენის მდგომარეობის დაგვარ. რით შეიძლება ესე მეტყვი? უწყვეტლად ღვთის მადლში ყოფნის

გარდა; საჭიროებს სამს რაჲმესა: ა. ჩვენი საქმნელი და არა საქმნელი ღვთის ნებისა და სჯულის წინააღმდეგი არ უნდა იყოს. ბ. ზესთაბუნებრივი მიზეზისათვის უნდა იყოს ქმნილი. ე.ი. პატივს ცემისა, სათნოყოფისა და მორჩილობისათჳს ღუთისა. და გ. საქმის დროს უნდა შევხედოთ, რიგი, კანონი დავიცვათ, წმიდა გულითა და ერთგულობით აღვასრულოთ.

## სწავლა პირველი

## ძილითგან გამოღჳძებისა.

შენი დღე თუ საქმე იწყევ ღვთითა.

### მიზეზი.

ა. თავს თავად სიმართლე მოითხოვს, რომ ჩვენი დღე ღვთით დაიწყობოდეს. იცი რამდენი კაცნი ამას ღამ დასნეულდნენ! მწოლიერე

დაშთნენ! რამდენნიც მოკვდნენ! უმფრო სამ-წუხაროის არის, რომთუ იგინი მომაკვდინე-ბელს ცოდვაში იყვნენ და ჯოჯოხეთში წავიდ-ნენ! მაშ შენ ვინ შეგინახა? ვინ გამოგიხსნა მგრეთის განსაცდელისაგან? ღვთის უსაზო-მო მოწყალებამ განა? ახლა მითხარ შენ მე, როგორ შეგიძლია დღევანდელი დღის დაწყო-ბა, ვიდრე ყველასგან უწინ არ მოიგონებ შენ მფარველს და შენს მაცხოვარსა?

ბ. შესაფერიც ეგ არის. გათენდება თუ არა მსახური თავს ბატონის სამსახურში უნდა იპოებოდეს. მუშაც მაშინ თავს სამუშაოში წავა. ახლაც რაღა სიტყვა გაქვს? მაშ შენც გმართებს დილა ადრიან უნდა ემსახურო ღმერთსა? შესწირო შენი ლოცვა და შენი გონება შენს უფალსა და შენს დამბადებელ-სა! რიგი არ არის, რომ ოც და ოთხს საათ დღეს, რომელიც შენთჳს მოუცია შენის საქ-მისთჳს, შენს სასარგებლოდ და მოსასვენრად, მაინც ერთი მეოთხედი (რუბი), ანუ რამდენიმე წვრილი, ღმერთს შესწირო და თაყვანსცე მას?

ვ. სასარგებლო-ც ეგ არის. შენი ბედნიერე-ბა ღვთის კურთხევაზედ დამოკიდებულია; უიმისოდ, შენი ცდა უქმად ჩაივლის. აწ რო-გორ შეგიძლია ღვთისაგან კურთხევის მო-ლოდინება შენ დღეს, თუ რომ გულიანი მხურ-ვალე ლოცვით არა სთხოვ მას? მართალია, ღმერთი თავის უზომო კაცთ-მოყვარებითა მიუშვებს ავ კაცთაცა თავანთ საქმეყოთვა მო-ეწყოსთ მაგრამ ესეც უიჭველია, რომ მხო-ლოდ; მტკიცედ მსასოებელნი ჵ მხურვალედ მვედრებელნი მიიღებენ ღვთისაგან საკუთარს კურთხევასა.

## საქმე.

ა. დრო დაინიშნე ფილოთეან გამოღვიძე-ბისა ხოლმე. როდისაც დანიშნული დრო მო-ვა, გაიღვიძე ადრე, ფიქრი გონება ღმერთთან აღიმაღლე, პირჯვარი დაიწერე, ჵ სთქვ: სა-ხელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმი-დისათა. ამინ. უფალო ღმერთო ჩემო! მზად

ვარ შენის მადლითა: და გპირდები, რათა ყო-ვლითა გულითა ჩემითა გმსახურო შენ დღეს; ამისთვის სიკვდილი უფრო მნებავს, ვირემცდა შენი შეცოდება.

ბ. სწრაფად წამოიჭერ ადდეგ ქვეშსაგე-ბითგან. ეს მცირე მოძრაობა იქმნება შენი პირველი მსხვერპლი ღვთის წინაშე: ძლიერ საჭირო არის ესე შენთჳს; თუ არა და დიდი განსაცდელი მოელოდება იმას, ვინც გამო-ღჳძების შერმედ ქვეშ-საგებში ბუტუსაობს, საგრძნობელი და გონება უბრალო რამეზედ დაეფანტება და მალე ცოდვაში შთავარდება, თუ რომ ფხიზლად არ დაუხვდა.

გ. საბბაციურად ჩაიცჳ, დაიხურე შენს ოთა-ხში. ტან ჩაუცმელად, თავ დაუბარცხნავად გამოფარღალალებული ნურავის ეჩვენები. საბატიურად იყავ შენს ძმეებთან, შენს დეებთან სახლეულთან და ყოველს კაცთანა. უკეთუ დი-ლითვე რომელთამე მნახველთა უსაბატიურე-ბით დააზრკოლებ შერმე რაღა სიკეთეს უნდა მოელოდნენ მრთელს დღეს შენგან?

დ. ტან ჩაცმისა უნდა ლოცულობდე, ანუ რაიმე კეთილ საქმეს უნდა ფიქრობდე. მაგალითად, წმიდა პავლეს სიტყვა მოიგონე, რომ ქრისტე უნდა ჩაიცვა. ე. ი. ყოველი ჩემი ჭკუა, ცნობა ქრისტე უნდა იყოს, რომ მას შევსწირო ეს დღე; ანუ ეს სიტყვები სთქვ; შემმოსე მე, უფალო, სამოსი სიმართლისა: შემარცხუი თირკმელთა ჩემთა წმიდა სარტყელი მორცხვობისა.

ე. ბოლოს დილაზედ სმა ჭამა ნუ გინდა. ეგე პირუტყვების საქმე არს, რომ გაეღვიძებათ თუ არა ჭამას დაიწყობენ. შენ სიტყვიერი კაცი ხარ და ქრისტიანი, ამის გამო პირველი ცდა უნდა გქონდეს შენს უპატიოსნეს ნაწილს სულსა ზედა; ყველა საქმისაგან უმალ მისი საქმე უნდა იფიქრო.

ვ. მხურვალედ სთქვ, ანუ წაიკითხე დილის ლოცვა. ეცადე, რომ გაიზეპირო ის ლოცვა, რომ სადაც იყო შეგეძლოს თქმა. გონება მიაყოლე სიტყვებსა ერთად. სრულ ნუ აცდილამ იმ ლოცვას, ნურც ერთ დღეს, რა მი-

ზეზიც უნდა გქონდეს და ამ თანამდებობას მქვევრდომე შენ და შენი ქვევრდომნიცა. ნაკურთხი წყალი აიღე, პირსჯვარი დაიწერე და ეგრედ წადი შენს საქმეზედა.

სწავლა მეორე.

საქმე ყოფისათვის

გაისარჯე ღვთის სიყვარულისათჳს.

მიზეზი.

ა. ეგ არის ნამდჳლად საჭირო საქმე; ღვთის მსახურებისათჳს არა ხარ გაჩენილი? მაშ როგორ შეიძლება მსახურება, თუ რომ გარჯჳსა და შრომის დროს ზოგჯერ გონებას მისგან არ აღიმაღლებ? შენ გეუბნები! თუ რომ აზრი შენის შრომისა მარტო საზრდოს საშოვნელად იქმნება, რით უნდა გაირჩე პირუტყვებისაგან, რომ საკვებისათჳს შრომ

დღეს ტჳრთი ჰკიდიან ანუ ურემს ატარებენ?

ბ. სასარგებლო საქმეჲ არის; რადგან შრომა შეგიმსუბუქდება; ღმერთი გაკურხებს; ცოდვები მოგეტევება: კეთილ საქმეში გაიწაფები. აქ განგიმრავლდება კეთილი მიდრეკილება. სიკვდილის ჟამს გენუგეშება და ზეცად სასყიდელი გექმნება. ეს ერთი კელოსნება მალე განგამდიდრებს და ყოველს შენს მონაგებს ოქროდ აქცევს.

გ. ძლიერ ადვილი საქმეჲ არის; ოღომც ღთის მადლში იყო. მაშინ შენი ჩვეულებრივი საქმისაგანი სრულ მცირედიც, შეიძლება მიართვა სათნო შესაწირავად ღმერთსა. ახლა ამ საქმეში რა სიძნელე არის? განა, რომ დიდ შეწუხებასა სწევ ქვეყნიური შენი დღიური შესაძინისათვის და ზოგჯერაც გიფუჭდება შრომა?

## საქმე.

ა. ექადე სანამ საქმე დაგიწყვია, გონებაში

კეთილი აზრები გქონდეს; ესე არის სული და სიცხოველე ყოველა საქმე ყოფისა. მაგალითად ფიქრში გამოისახე ანუ პირად სთქჳ: რომ მე ამ საქმეს ვარიგებ სახელითა მამისათა. და ძისათა, და სულისა წმიდისათა, ამინ. გინა უფალო ღმერთო ეს ჩემი შრომა შენ სადიდებლად იყოს. ანუ: იესო მაცხოვარო ჩემო! ამ ჩემის საქმე-ყოფის დროს, მომეც მე ის აზრი და გული, როგორც შენ გქონდა ამ ქვეყანა-ზედ ყოველს შენს საქმესა შინა.

ბ. შრომის დროსაც მალ-მალ გონება ღმერთთან აღიმაღლე. ამ საგნისა-თჳს გაიზეპირე მოკლე-მოკლე გულის აღმძვრელი სიტყუები; რომელნიც აღგინთებენ კეთილს შურსა ღვთის მსახურებისას, ღვთის სიყვარულზედ განგამტკიცებენ და ღმერთთან დაგაკავშირებენ იმავე შრომასა შინაცა. დიდად გასარგებლებს შენ საქმის გარიგების დროს გონებაში იმეორო ხშირად ის კეთილი საგნები რომელნიც გაგიგონია ან სულიერ წიგნებში წაგიკითხავს.

ბ. ძნელ ჯაფიან საქმეში ეცადე საკუთრად

მოთმინება იქონიო. მოუფრთხილდი არ იქმნას სულმოკლებით საქმე შეურაცხჴყო ანუ დასწყევლო. რადგან წინა მდებარე საქმე უთუოდ უნდა გაარიგო შეძლების დაგვარ რიგიან, რას შინა გამოგადგება სულმოკლეობა და მრისხანება? უმფრო გულს გაგიწვრილებენ და მოგიცუდებენ. არ გინდა რომ, რომელიმე წუთი შრომითა ზეცას სასუფეველი დაიმკჳდრო? ჯოჯოხეთისგან განთაჳსუფლდე, კავლილი ცოდვები შეინდო და არა თუ ცოდვები უფრო გაიმრავლო.

დ. თუ რომ შეგიმძლია მოსვენების დროს გძლობა რაიმე სთქვა, ან რაიმე წაიკითხე ან სასარგებლო იღვაწარავე. მრავალჯერ მოხდენილა, რომ ავ კაცთაც გული აღძრვიათ და სინანულზედ მოსრულან; რომელიც მათთჳს საძულველი საქმე არის. ვსთქვათ, რომ შენ ამ გვარი კეთილის საქმისათჳს ვისმეს სძულები ხარ: ეგრეთი სიმძულვარე შენთჳს პატიჳსცემა არს, ანუ თუ გეცინიან შენ სულიერს კალობასა და საუბარზედ: შენც მოახსენე.

4434

ბევრს იტირებთქო მსგ გვარ შენს სიბრძნეს ზედაესეც შეიძლება შენმან სიჩუმემ და სისაბატიურემ, რომელიმე სახით განასრულოს და შეარცხვინოს შენი გამკიცხველნი.

ე. შენზედ მონდობილ საქმეს ყოველს კერძოდ დაუკვირდი სჯინდისიანად. რადგან მას შრომისა თუ საქმისათჳს თჳსს იღებ ანუ სარგებლობ ქალაქისაგან, კელმწიფისაგან თუ ბატონისაგან. უნაღვლელობით შენს თანამდებობას თუ გამოაკლდები, არც სხვათა, არც შენის სჯინდისისა და არცარა ღთისა ვალდებულობას აღასრულებ. ეს შენი სიზარმაცე და უგუნურობა, მერმე კი მალე თუ გჳან ძალიან მძჳრად დაგიჯდება.

ვ. საქმის გარიგების შემდგომ ისევე ღვთისავენ მიიქეც გონებითა: თჳთ ღმერთი არს დასაწყისი და ბოლო ყოველთა საგნისა: ვინაცა ამის მეტი მართალი რამე არ შეიძლება იქმნეს; როგორც მისით ვიწყებთ, მისითვე სისრულეში უნდა მოვიყვანოთ ჩვენი ყოველი საქმე. ამისთჳს საქმეს განათავებ თუ არა

წინამძღვარი.

სთქჳ: დიდება მამასა, და ძესა, და სულსა წმიდასა: აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ. ამით თან ღმერთს მადლობას შესწირავ, რომ მისი შეწევნით საქმე გაარიგე და თანვე შენდობას მოითხოვ მისგან, უკეთუ რაიმე ნაკლებულობა მოუვიდა შენის მხრითა.

## სწავლა მესამე.

## წმიდა წირვისათჳს.

### სრულის მხურვალებით წირვა მოისმინე.

### მიზეზი.

ა. რადგან წირვა ყოველს მსხვერპლზედ უმფრო-მაღლა დგას. უფალი ჩვენი იესო ქრისტე მაცხოვარი ჩვენი ამ წმიდა წირჳთა გიმეორებს შენ ჴელახლავ სისხლის დაუნთხევლად იმ თაჳს დიდს მსხვერპლსა, რომელიც

შეიწირა ჯვარს ზედა: მოწილადეს გვყოფს ჩვენ თაჳს ვნებათა უკიდურესის ნაყოფებისა. ახლა რიგი არ არის, რომ ყოველი გულითა შენითა და ღრმა მოკრძალებითა დაესწრო ამ საუკუნო საკჳრველებასა ზედა, რომელსაც ღმერთი მოქმედობს სიყვარულისათჳს კაც-თა? ვინც წმიდა წირვაზედ უზრუნველად იქ-მნება, ფიქრ დაფანტჳთ და მოუკრძალავად, ის ქრისტეს ვნებას გაუახლებს, რაჲცა ივნო გო-ლგოთის მთაზედა და განჰკიცხავს ამ წმიდა საიდუმლოს სარწმუნოებასა.

ბ. წმიდა წირვის მოსმენა მეტად დიდი შე-საწყნარისი საქმეა ღთის წინაშე. ამით დიდს ჰპატივსცემთ ღთის უდიდებულესობასა: დი-დს გარდასახადს გარდაუხდით ღთის სიმარ-თლესა: დიდ მადლობას მოვახსენამთ მის სა-ხიერებასა. ერთის სიტყჳთ, მხოლოდ ერთი წირვა უმფრო სათნო არის ღთისა, ვირემც ყოველი თაყვანის ცემა ღვთისა ყოველთა წმი-დათა მისთა. ნეტარი შენ! რამდენსაც წირ-ვას მოისმენ!

გ. მეტად დიდი სარგებლობაჲ აქვს კაცსა. ღმერთს არ შეეძლო ამდენი მოთმინება ესოდენ ცოდვათა კაცთა, თუ რომ დაუფასებელს სისხლსა კრავისა ღვთისა შეწირულს ყოველ დღივ ურიცხვთ საკურთხეველთა ზედა არ აღეძრა მოწყალებასა ზედა ღმერთი. არ მოგანიჭებდა ღმერთი თუ შენ დ҃ თუ სხვათა ესოდენ მრავალს სიკეთესა, უკეთუ იესოს სისხლს არ აღეძრა გული მამა ზეციერისა სახიერებაზედა. მაშასადამე დარწმუნდი, რომ ერთი წირვის მოსმენა მხურვალის გულითა, როგორც მოითხოვს უმფრო გასარგებლებს, ვირემდე სხვა ყოველნი კეთილ მოქმედებანი. რაც უნდა იყოს, სრულიად უარს ვერ ეტყჳს მამა ზეციერი თაჳს მხოლოდ შობილსა ძესა, რომელიც წმიდა ტრაპეზზედ ჩვენს მაშვალად დგას თაჳს მამასთანა.

.საქმე

ა. ეცადე რიერთიც შეგიძლიან, ყოველ დღივ

წირვა მოისმინო. სხვა სად შეგიძლია ეგ-რედ მზად და სიადჳლით იშოვნო ყოველნა-ირი კურთხევა გამოსადეგი შენთჳს და შენის საჭიროებისა, როგორც წმიდა ტრაპეზსა ზედა; სადაც ჩამობრძანდება ხოლმე მაცხო-ვარი შენი ზეციდგან შენს გასამდიდრებლად თავს მადლების ნიჭებითა? მაშ მთელ ერთს შაბათს კჳრამდინ ანუ დიდ დღესასწაულამდინ უკეთუ უნაღვლელად იყო ამაზედ, ძლიერ მუხ-თალი იქმნები, სარწმუნოებაში მცირე და გუ-ლითაც განშორებული ღვთისაგან.

ბ. თუ შემთხვევით არ მოგემარჯვება ერთი კჳრის განმავალობაში წირვის ნახვა, მარჯვე დღეს მაინც მხურვალედ მოისმინე, რომ გავ-ლილი ნაკლებულობა შეავსო. დილას ადრიან ეგრედ მოაწყე შენი საქმეყოფა, რომ დრო მოგეცეს წმიდა წირჳს მოსმენისა, უკეთუ წინ და წინ ვერ მოისმენ, ესრეთი კეთილ მიდრეკი-ლება რომ გექმნება, ღმერთი მოგაგებს სას-ყიდელსა მეტის მეტს.

გ. უფრთხილდი უბრალო მიზეზის გამო-

დრო არ დაჰკარგო წირვის მოსმენისა. როგორ არ შეგიძლია შენ საქმეყოფის დაწყობის წინ ვერ მოიგვარო ნახევარ საათი დროს ხელში ჩაგდება? ცოტა ადრე აიწიე ადგე ძილითგან, უბრალო განზრახვა შორ დასტოვე, შენი თავის მოსვენებითგან რამდენიმე წვლილი მოაკელ, ნუ გეზარება სახლითგან გამოსვლა, გარედ გამოხვალ გზაში დროს ნუ დაჰკარგავ: მაშინ ნახამ, რომ წირჳს მოსმენა სრულ ადვილად შეგეძლება. ქალაქში თუ სცხოვრობ, შენი სახლეული და მსახურნი გაადვიძე, კეთილი მაგალითით მიიზიდე: სოფელში უმღვდელო ადგილს თუ ხარ, ახლო ადგილს სადაც წირვა იქმნება იქ გააგზავნე. ეს ღვაწლი იქმნება შენთჳს თუ მათთჳს საკჳრველ წყაროდ ყოველ ნაირი სიკეთისა და ნუგეშის ცემისა. ვისაც გული და ნება აქვს, დრო არ დააკლდება თავის სურვილის ასასრულებლად.

დ. როდესაც სხვებრ არ შეგიძლია წირჳს მოსმენა. ხატვრით და კეთილის აზრით სურჳლი მოიყვანე. რა ძილითგან ადგები, ან ზარის

ჴმას გაიგონამ, სადაც ხარ; კი წირვა უნდა დადგეს, მაგრამ არ შეგიძლია წასვლა, მაშინ სთქჳ მხურვალე გულით: უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო! დიდად მსურს წირჳს მოსმენა, მაგრამ რადგან ჩემს ჴელში არ არის ჩემი წასვლა, მაშინც გონებით აწმყო ვიქმნები მუნ, და შემოგწირავ შენ იმ წირვასა და ყოველ წირვათა იმ აზრითა, რომლითაც შემოგეწირა ჯვარსა ზედა მხოლოდ შობილი ძე შენი. ამ სახით მონაწილე გახდები დიდ დიდი მადლებისა.

ე. თუ წირჳს მოსმენა გინდა, ეცადე ადრე წახჳდე, რომ მიუსწრო. დიდი ურიგობა არის მღვდლის დაცდევინება: როგორც მრავალჯერ მოხდება ხოლმე სოფლებში, მღვდელს წირვა დაუწყვია, ჰხედავს რომ თითოთითოდ შემოდის ერი ნწკვრივ უკან. რა ეკკლესიაში შესვალ გონებაში გამოისახე, რომ გოლგოთის მთაზედ ასულ ხარ; რათა დაესწრა იქ ქრისტეს საშინელი მსხვერპლის განმეორებასა. ეკკლესიას მისვლისა კართან ნუ

აიყუდები, ამა იმას საუბარს დამშჳდობებას ნუ დაუწყობ გულცივი კაცებისავით: არამედ შედი შესაფერ ადგილს მუხლი მოიყარე და იწყე ლოცვა.

3. მთელს წირვაზედ ჩუმად კრძალჳთ და მოკრებით იყავი ნუც ვისმეს დაელაპარაკები და ნუცა ვის ლაპარაკს ყურს უგდებ. მუხლ მოყრილი ჴელი ჴელს მიკრული თვალებ დამდაბლებული შენი ცხონებისათჳს ინაღვლე, რომ გულფიცხ კაცთაც გული აღძრასთ, მორბილდნენ და კეთილი მაგალითი მიიღონ შენგან კეთილ მსახურებისა. წირჳს მოსმენის დროს ყველასაგან უკეთესია ქრისტეს სატანჯვლების განზრახვა: ეს თუ არ შეგიძლია, მამაო ჩვენო, გიხაროდენი სთქჳ, ან სხვა და სხვა საგანზედ განწყობილი ლოცვები, სავარდე ანუ ოცდა ცამეტიანი. სთხოვე ერთობ იესოს, სარწმუნოება განგიცხოველოს, იმედი (სასოება) განგიმტკიცოს და ღთის სიყვარულითა აღგატყინოს. შენს ცოდვებზედ იგლოვე, მადლი სთხოვე, რომ ღმერთს ერთგულად ჰმსა-

ხურო. ქრისტეს განკაცებისა და ვნებათა ღირსეულობა იცოდე. ემადლე ღმერთსა ყოველი სიკეთისათჳს და შეჰპირდი რომ მისი სიყვარულისათჳს ყოველი შეწუხება სიყვარულით გასწიო, ამ გვარი მხურვალობაებითა წირჳს მოსმენის გემოს აიღებ და ნაყოფს ნახამ.

## სწავლა მეოთხე.

### სმა ჭამისათვის.

ზომიერი იყავ საჭმლის ჭამა ზედა.

ა. მომეტებული სმა ჭამა სიცოცხლისათჳსაც მავნებელია. უზომიერობით სტომაქი წახდება, სისხლი გასქელდება გამდუღრდება მთელ სახსრებს ასტკივებს, ნაწლევი მოუსვენრობისაგან დასუსტდება, და უდრო უდროდ სიკვდილი თავს წარმოადგება. ასრე მოწმობენ მკურნალნი, გამოცდილება გვაჩვენებს და საღმრთო წერილიც ცხადად გვეუბ-

ნება ისო ზირაქში: ნამეტური საჭმელი სის-ნეულეს ამიზეზებს და მრავალნი წახდნენ უზო-მო სმისაგან. მაშ შენ რომ ტანის სიმრთელე და ვრცელი სიცოცხლე გინდა, ეცადე რომ საჭმელი მიიღო ხოლმე მის დროს ზომიერად ამით უმფრო სიმრთელით იცოცხლებ, ჳდრე ქვეყნის წამლებითა.

ბ. შენს პატიო-სნებას და კარგ სახელსაც წაგიხდენს ნაყრო-ვანება. რაოდნად შეურაც-ხყოფა არის შენთვის, რომ სთქვან: ეს კაცი ავმუცელი და მსმელი ლოთიაო! მართლიად მისთანა კაცი ყმაწვილთ სასაცილოა, სამო-ქალაქო ამხანაგობაში საძულველი, ურწმუ-ნოების წინაც შეურაცხი. საკვირველი არ არის, რადგან მისთანა კაცისაგან ბრძნული და გო-ნივრული საქმე სრულ არ მოილოდინება, ჭკუა ცნობა ან ჯამაზედ ექმნება და ან სმა-ზედა მუდამ.

გ. უმფრო სულს ავნებს. ავმუცლობა ჩა-უფუჭამს კაცს უმანკობასა, სიკეთესა, მად-ლსა და სასყიდელსაცა. რა კაციც თავის მუ-

ცელს ჰმსახურობს ღმერთად, იმისთანას სჯულის შენახვისა არა ენაღვლებათ რა და არც არაფრისა ეშინიან, ყველა სიბოროტეს აასრულებს. უზომიერობა და ავმუცლობა დაჰბადვენ მრისხანებასა და გულისთქმასა, როგორც ზეთი ცეცხლსა და სანათურსა.

## საქმე.

ა. საჭმელზედ კელის დაყოფამდინ, პირსჯვარი დაიწერე და სთხოვე ღმერთსა კურთხევა. არ იქმნას იმ ქრისტიანთ მიებაძო, რომელნიც საჭმლის მიღების უწინ და შემდგომ სირცხვილად სთვლიან ლოცვის თქმასა. მამა ჩვენი ზეციერი ყოველ დღივ პურს გვაძლევს თავის შვილებსა, გარნა ჰნებავს რათა მადლობა მოვახსენოთ ხოლმე. ამ ვალზედ უყურადღებოდ თუ იქმნები, ნუღარ გაგიკვირდება, როდისაც პური შემოგაკლდეს შენ და შენს სახლეულთაცა.

ბ. შენს წინ მოსული საჭმელი ზომიერად

და საზომიერად მიიღე. ჭამა სმამან კაცის სხეულს ღონე უნდა მისცეს და არა თუ უნდა შეასუსტოს ისა. ეცადე, რომ ტაბლაზედ ხარბად სლაპა სლუპით არა სჭამო, თვარემ გაასაზვრინებ სხვათა როგორც თუ სული მუცელში გედგას და სრულიად მიგეცეს მგრძნობელობა ჭამაზედ პირუტყვიჳთა.

გ. უფრო ეცადე, რომ ზოგჯერ სრულ მცირედი მიიღო. მცირე საქმე სჩანს ერთი ფერი საჭმლის მოკლება ანუ კარგი ლუკმის დატოება, დათმობით ღვთის პატიჳსა და შენის მაცხოვრის სიყვარულისათჳს, შენს მოსაკვდინებლად და შენის ნების გასატეხლად. გარნა დიდ არს მისი მადლების ნაყოფი, რომელსაც სამაგიეროდ მიიღებ.

დ. ნებას ნუ მისცემ, რომ სუფრაზედ ზნეობისა ან ბუნებრივი სიყვარულის წინააღმდეგი ითქვას რამე. მეტად დიდი მუხთალი იქმნები ღმერთთან იმ მისი მოწყალების მიღების დროს, უკეთუ ღთის წინააღმდეგი რამე ჰქმნა. ამის წინააღმდეგ დიდი მადლი და კეთილ

სამაგალითო იქმნება, სუფრაზედ საუბრის გაშლა საჭირო და სასარგებლო საგანსა ზედა რაც გაგონილა ქადაგებაში ან სულიერი წიგნებისაგან ქრისტიანეთ სასწავლებლად.

ე. ტაბლითგან მონარჩენი საჭმელი ერთს გლახაკს ან დანაფრულებულს სნეულს გაუგზავნე. ღმერთი უმფრო მრავალს მოგცემს შენ მის მაგიერს. მაგრამ ეს იცოდე როდესაც შენ სახლის უფალი არა ხარ, არა გაქს ნება, რომ ვისმეს გარედ რამე მისცე. თუ არა და უმფროსის უნებურად გაცემული, ქურდობისაგან ბევრს არა ფერად გაირჩევა.

ვ. საჭმელის მიღების შემდგომ მადლობა მოახსენე ღმერთსა. ასრე უნდა მოიქცე, თუმც შენი ნათქვამი საჭმელი არ იყოს ან რიგზედ გამაძღარი არ იყო. ვერ ჰხედავ რომ კარგი დაზდილი ყმაწვილები საჭმლის მიღების შემდგომ თავიანთ მშობლებს ჴელთ ემთხვევჲან? საბრალო გლახაკი გმადლობს მცირედს ფაშარი პურის ნატეხ ზედა; შენ კი გერცხვინება მადლობის თქმა ღმერთ ზედა, რომელიც შენ

ამდენი ხანია ღმობიერი მოწყალე მამასაჲთ გიფარავს დ̃ გზრდის ყოველს კერძოდ. ეს სწავლა უნდა გამოიყენო მუდამ დღე საჭმელ სასმლის მიღების დროს, მეტადრე ყმაწჳლების საუზმის ან ზარმელის მირთმეჳს დროს, რომელნიც თაჳანთ ნებაზედ, რომ დავაყენოთ, ბევრს რიგ გარედ საქმებს ჩაიდენენ სახადილოდ.

სწავლა მეხუთე.

ღამე დაწოლისათჳს.

შენი დღე ღვთით დააღამე;

მიზეზი.

ა. რადგან მით უმფრო მოსვენებით დაიძინამ; რბილი ბუმბულ ბალიში თბილი ნაალ საბანი ტკბილ ძილს არ მოჰგვრიან კაცსა. მრავალ ჯერ მოხდება ხოლმე, კმელ დე-

დამიწაზედ უმფრო კარგად დაეძინება ადამიანს, ვირემც თუ კარგს რბილს ლოგინში. ის კაცი მხოლოდ ტკბილად დაიძინებს, ვინც თაჳს დღეს ღვთით დაალამებს. ქ. ი. ვინც დაწოლის უწინ ღმერთს შეურიგდება და თაჳს სულის გზას გაიკეთებს.

ბ. უნაღვლელად დასაწოლად ნუ მოემზადები. ღამის ნაწილი დღის ნაწილებისაგან უმფრო საცთუროვანია, როგორც ჴორცისათჳს ისე სულისათჳს. რამდენი კაცნი ყოფილან, რომ იმ დროს შეჰყრიან დროებითს და საუკუნო სიკვდილსა? გარნა შენ საიმისო საფიქრებელი არა გაქვს რა, როდისაც შენს დღეს ღვთით დაალამებ; რადგანაც მაშინ შენ ღთის ჴელში მიძინებულივით ხარ. ის თჳთან ინაღვლის შენთჳს, თითვან ის დაგიფარებს შენ: ასრე რომ ვინ იცის თუ შემთხვეჳთ ანაზდად დაგემართოს. რამე, შენი სული მის ჴელში იქმნება.

გ. მეტად ბედნიერად და დღეგრძელობის იმედით ნუ დაიძინამ. იტყვის: ძილი სიკვდილის

მობმეათ. დრო ჟამი დანიშნული გაქვს სიკვდილისა და მარჯვე დრო ჟამი არ იცი თუ რომელია. მაშ რა უნდა ჰქმნა? უეჭველად ეს, რომ ღთით უნდა დაასრულო შენი დღე, ასრე თუ მოიქცევ, ძილის დროსაც მოგებაში იქმნები ე. ი. მომეტებულს მადლს მიიღებ და ზეცას აჴსვალ დიდის დავლა დიდებითა.

## საქმე.

ა. დღიური საქმეობის შემდგომ, არ იქმნას რომ შენი მოსვენება მისცე სიმთვრალესა, თამაშსა და ლხინს. ეგ იქმნება ქრისტიანების ცხოვრების სრულ პირველი კანონის წინააღმდეგი საქმე, მაგით გახდები მიზეზი შენის სახლის უწესოებისა, დიდ შეწუხებას მისცემ შენს მშობლებს, და უმცროსთა, და ყველა სიბოროტის გზას გაუხსნი შენს თავს. რომელ ადგილსაც ღამე სიარული დაშლილი არ არის, იქ კარგი ზრდა არ იქმნება, არც ბედნიერება და არცა ბევრი კურთხე-

ვა იმ თემში ან იმ ნაირ სახლობაში.

ბ. მამინვე დასაწოლად ნუ აჩქარდები. მოსვენების შემდეგ გონება პირველად ღმერთთან მიაქციე, წინამდებარე დღე, რომ ცუდ უბრალოდ თუ ბოროტად დააღამო, განა რომ ცუდი დასაწყისი იქმნება მომავალი დღისა? მაშ თუ აგრეა საღამოზედ ილოცე და დამზადდი ძილისათვის როგორც სასიკვდილოდ; ჰქმენ საქმე სარწმუნოებისა, სასოებისა და სიყვარულისა, მეტადრე სინანული.

გ. ლოცვის შემდგომ ერთი სახლს თვალი გარდაავლე უშიშროებისათვის. დააკვირდი რომ არა თუ მარტო ცეცხლისა და ქურდის განსაცდელი არ იყოს, არამედ უფრო ნამეტნავად ცოდვა არ მოხდეს, თუ რომ შენ სახლეულთა მამა ხარ ანუ დედა ანუ თუ უმფროსი, კარგად დააკვირდი, რომ ყველანი თაჯანთ ადგილს მიწოლილნი იყვნენ ცალკ ცალკე ყმაწვილები, თუ ქალის-შვილები, კარებიც სარკმლებიცა (ფანჯრები) მიხურვილნი იყვნენ, კარი შენ უნდა დაუყარო დაჰხშო, რომ შე-

ნს შეუტყობელად არა ვინ გავიდეს გარედ. ზოგჯერ ღამეც ოთახიდამ კარზედ გადი ხოლმე ოთხკუთხივ მიდამოს თვალი მოავლე ნახე ყველა რამე თავის ადგილს არის გაწყობილი რიგიან, რომ შენს სახლობაზედ არა ვითარს ურიგობას ადგილი არა ჰქონდეს?

დ. საბატიურად ტანთ გაიხადე, როგორც ჩაცმაზედა ვსთქვით. ლოცვა და კეთილი განზრახვა სახეში გქონდეს ტანისამოსის გახდის დროს. მაგალითად, სიკვდილი თვალწინ გამოისახე, რომ როიცა არის ყველა უნდა დასტოვო·

ე. ლოგინში დაწოლა სიკვდილის საფლავად მიიღე. ნაკურთხის წყალი აიღე, პირს ჯვარი დაიწერე, გულს ხელი დაიკრიბე და კეთილ განზრახვას ყურად ღება მიაქციე, რადგანც დილის განზრახვანი საზოგადოდ მსგავს იქმნებიან ღამის ბოლო განზრახჳსა. წისქჳლს, რასაც დაჰყრი იმას ჩამოჰქნავს.

ვ. მალე ძილი თუ არ მოგივა ან თუ მეჩმე გამოგეღვიძება ლოცვა ან ფიქრის ლო-

ვა დაიწყე. ლოცვა იყოს შენთჳს, ცოდვილთ მოქცევისათვის, სულამომავალთა და მიცვალებულთათვის, ფიქრის ლოცვაშიცა უნდა განიზრახო ქრისტეს სატანჯველები, თუ შეგიძლია ოთხი საბოლოვო საფიქრებელნიც თვალ წინ წარმოიდგინე; თუ რომ ამ წამს მომკვდარ ვიყავ, ნეტა როგორ იქმნებოდა ჩემი საქმე? ამას ღამ ღვთის სამართალში რომ წამდგარ ვიყავ, ნეტაი რა იმედი უნდა მქონოდა? მე ამ გაღჳებულს რბილს ლოგინში ძილი რომ არ მომდის, რა მეშველებოდა თუ რომ ჯოჯოხეთის ცეცხლში შთავღუპილვიყავ? ჰი რა კარგი და მშვენიერია სასუფეველი ცათა, მაგრამ ნეტა მითხრათ შემიძლია იმედი მქონდეს წასვლისა ამ გვარი ჩემის ცხოვრებითა? ამნაირი საგნების განზრახვაში ნელ ნელა ძილი მოგეკიდება და ტკბილად დაიძინამ.

## აღსარებისათვის.

### მალ მალ სჳნიდისი განიწმიდე აღსარებითა.

### მიზეზი.

ა. შეუგჳანებლად მიახლოვებით აღსარებისა, მრავალ ცოდვებს და ცუდს ხასიათებს მოიშორებ. მარტივი გულით ხშირად აღსარების თქმა ყველა რამისაგან უმთვრო საუკეთესო წამალია ცოდვილი კაცის ცხოვრების გასასწორებლად. იმით ძველი წყლულები მალე გამრთელდება, ახალ წყლულთ ადგილი აღარ მიეცემა: კაცის გონება სულიერს ცხოვრებას ზედ განცხოველდება და ასრე სული დაიფარება საუკუნო სიკვდილისაგან. ესენი არიან ღვაწლნი ქრისტეს ნაყოფითა, რომ აღსარებით მიენიჭება საზოგადოდ მონანულ ცოდვილსა.

ბ. აღსარება მოაშორებინებს ხელ ხელა შეუნდობელ ცოდვებსაცა. რამთონჯერაც ერთ

ადგილს ხშირად დაჰგვი, ტილოს მალ მალ გარეცხავ, ოქროს ჭურჭელს გასწმენდ, იმ-თონად სუფთა იქმნება და ბრიალს დაიწყებს. ამ სახითვე განწმდება შენი სული ცხოველ მყოფელის წყლითა წმიდა ემბაზისა, რომ-ლიც შეუმზადებია შენთვის მაცხოვარსა შენსა აღსარების საიდუმლოთა. ეჭჳ არ არის, იმდენად იშჳათად შთავარდები ცოდ-ვაში, რამდენათაც ხშირად მალ მალ მიახ-ლოვდები აღსარებასა ნამდჳლის გულით მონანული.

გ. აღსარება განაძლიერებს კაცს სიკეთე-ზედა. ძლიერ შესცდები თუ სთქვა: აღსარება მხოლოდ დიდ ცოდჳლებს ასარგებლებსო. უმფრო კეთილ მსახურნი პირნი უნდა მი-ივლტოდნენ აღსარებისადმი, რომ დამტკიც-დნენ ღთის მსახურებაში. გამოცდილებით იციან იმგვართა, რომ აღსარება განამტკი-ცებს მათ ღვთის სათნო გზა-კვალს ზედა და ახალ ახალ მადლებს მისცემს: სცადე შე-ნცა ნახამ რომ ეს ასრე არის.

## საქმე.

ა. მაინც თთვეში ერთხელ აღსარებასა სთქჳ. შენ რომ სუფთა სახლს ეძებ, ტანისამოსს გამოკვართულს და მშვენიერს, მაშ რისათჳს სჳნიდისისაც განწმედილს არ ინახამ? რიერთსაც დააგჳანებ აღსარებას, იმდენი უფრო გაგიძნელდება. მაშინ განსაცდელნი ზედა და ზედ მოვლენ, კეთილი სწავლა თვალში არღარ მოგივა, დღიდგან დღეზედ გაფართოვდები ცოდჳს ქმნაზედა, ცოდჳს ქმნა ჩვეულებად გაგიხდება, და შენც რიერთიც წინ წახვალ გაავკაცდები. ამის გამო მალ-მალ აღსარება სთქჳ, რომ ღთისაგან მომეტებული შემწეობა და მადლი მიიღო.

ბ. იმისთანა მოძღვარს მიჰმართე, რომ შეეძლოს სარგებლობის მოცემა. ძნელია მისთანა ცოდჳლის მოქცევა, რომელიც მალ-მალ მოძღვარს იცვლის. ძლიერი საშვალი ცოდვილის მართლად მოქცევისა არს, გა-

მოირჩიოს მის თანა მოძღვარი რომელსაც ჴელითგან გამოუვიდოდეს დ~ უნდოდეს მისი შეწევნა, იმას გაუტყდი, გაუღე შენი გული სრულის სიმდაბლით დ~ მორჩილებით ყურად ღება მიაქციე მის სწავლა დარიგებასა. ყვე-ლასაგან უმეტეს მომეტებულად ძეებრივი უპირადესი იმედი იქონიე იმაზედა, რომე-ლიც სიკვდილის დროს გვერდითგან არ მო-გცილდება. რა დიდი უბედურობაა იმ ნაირ გაჭირვების დღესა არავინ გყავდეს ერთი იმ რიგი, რომ შეგეძლოს შენი საშიშრო გუ-ლის ტანჯვის განწმედა!

გ. შენს სჳნიდისს სანამ არ გამოსჩხრევ კარგათ ფრთხილი გამოძიებით, ავადმყოფებს ნუ მიეახლები. მისათჳს პირველად ნათელი ითხოვე ღვთისაგან სინანულითურთ დ~ ძა-ლი გულისა, რათა აღიარო ყოველი შეცო-დებანი შენნი, რაც მოიგონე; გარნა უფრთ-ხილდი ცოდვების გამოძიების დროს არ იყო უბრალო რამებზედ გაჭირბოროტე-ბული. ღვთის დ~ ეკლესიის ბრძანებათ თვალი

გარდაავლე, მასთან შენს მდგომარეობას, და შენი სამსახურის მოვალეობათა, შემდ მომაკვდინებელ ცოდვათა, შესანდობელ ცოდვებსა და სხვათ. საზოგადოდ გამოიძიე რამდენჯერ და რა ცოდვები მოგიხდა ზრახვთა, სიტყვითა, საქმითა და გარდამავლობითა? ესეც მოიგონე, რომ, რა და როგორი აღსარება სთქვი გავლილად ბოლოჯერზედ; მაშ თუ გახსოვს რამე, ნებით, დატოებული მძიმე ცოდვა, ანუ ნამდვილი სიძულილი და სინანული არ გქონია, და მტკიცე პირობა ცოდჳს უქმნელობისა, გმართებს რომ ხელ ახლავ გამოიძიო ისინი. კარგათ იცოდე, რომ საჭირო არს ყოველი სახითა რომ აღიარო აღსარებაში, არა თუ მარტო ის ნებით დატოვებული ცოდვები; არამედ თუ მოძღვარი გამოგიცვლია, გმართებს კელახლავ უნდა სთქვა იმ დატოებულთ გარდა მეორე ცოდვებიც ერთიან, რამდენი აღსარებაც სთქჳ წმიდა წაპილწვის ცოდჳთა, იმ ნაირი ცოდვების დატოებითა, აგ-

რეთვე რამდენჯერაც ეზიარე იმ გვარი უღ-ირსოებითა.

დ. ეცადე რომ იქონიო უორგულო სინანული და მტკიცე პირობა მისცე. ესენი უნდა ჰქმნა კარგი ფრთხილი გამოძიების შემდგომ, უკეთუ ეს თუოებაები დააკლო, შენი აღსარება აღსარება არ იქმნება; არამედ წმიდა წაპილწვა, გინა თუ უქმად ჩაგივლის აღსარება და შენც ღვთის ქურდი დაითვლები (ტყუილი ახსნის მიღებითა). ესეც უნდა იცოდე, რომ ეს უორგულო სინანული, ეს მტკიცე პირობა, უნდა იყვნენ ზესთა ბუნებრივი მიზეზთაგან წარმოებულნი. იქმნება, მკითხო, ეგ როგორ იქმნებაო? ყური მიგდე, აჲ, როგორ. შენ შენს თავს დაეკითხე კარგის გულხმიერებითა.

1. «მე ვის ვაწყენინე ცოდვებითა?» ჩემს ღმერთსა, ჩემს უფალსა. ჩემს დამბადებელსა, ჩემს მაცხოვარსა, ჩემს ეგრედ მამასა, რომლის მსგავსი არ შეიძლება რომლის ხიკეთე განუზომელია: სიწრფელე და სიმარ-

თლე ხომ ჭკუა მიუწდომელი.

2. «სად?» იმის თვალ წინ, მის სამსახუ-რში, მის სახლში.

3. «რო-გორ?» ნებიერად, მეცნიერებითა. როდისაც ჭკუა თავში მქონდა, ისიც მრა-ვალ გზის მომაკვდინებლად, და რამდენ ჯერ ჩემი ცხოვრების გასწორების პირობის მი-ცემის შემდგომ.

4. «რისათვის?» წარმავალი ჩემის წუთი სიამოვნებისათვის, უბრალო რამისათვის.

5. «რო-დის?» როდისაც მე მას ვუყვა-რდი, მიფარემდა, მიცევდა ურიცხჳ ბორო-ტებისა და ზიანისაგან.

6. «რითა?» თავს მოცემული ნიჭებითა, მისი სიკეთებითა. ამაებითა გული გაიცხარე ნამდვილს სინანულზედა და სთქჳ გულიანად. ამას იქით სიკვდილი უფრო მნებავს ვირე-მც ერთი მცირედი ცოდჳს ქმნა.

ე. აღსარება სთქვი ყოველ ნაირი სისრუ-ლითა. თუ რომ სხვანი მისულან, შენ მოი-ცადე წყნარად, რომ არ გააშფოთო, მერმე

მიდი მუხლი მოიყარე სიმდაბლითა როგორც ბრალიერი მივა მსაჯულის წინ, მოწაფე მოძღვრის წინ. როდისაც მოგიბრუნდება მოძღვარი, პირჯვარი დაიწერე დ̃ სთქვი: ვაღიარებ წინაშე ღვთისა... მერმე დაიწყე და აღვიარე ბოლონდელი აღსარების შემდგომ მოხდენილი ყოველი შეცოდებანი შენნი. ნუ რა ფერს დაუფარამ ღვთის მომაგიერეს თუ ნაცვალსა, რომ შენ უნდა გისამართლოს ყოველს კერძოდ. ყოველი შენი გულის ვითარება გაუტყდი, დაგეკითხოს რამე? სწორედ პასუხი მიეცი, როგორც თუ ღმერთს ელაპარაკებოდე. უბრალიეროდ ნუ გამოიყვან შენს თავსა, არ ვიცობით; როდისაც შენი სვინიდისი გემოწმება, ანუ ეჭვნეულობ, რაც იცი სიმართლით აღიარე! რიგიან მოუყევ შენი ცოდვები, რომ არ შეკრთე; რაც შეიძლება რიცხვით რამდენჯერაც მოგხდენია ის ცოდვები მისი მძიმე გარემოებაებითა ჩამოუთვალე. უფრთხილდი სახელდობრ არა

ვისი სახელი არ წაგცდეს, თუ საჭიროებამ მოითხოვოს უსახელოდ უნდა აღიარო: ამა და ამ წოდების კაცთან. სრულ პირველად მძიმე ცოდვები აღიარე, რომლებზედაც სვინიდისი და გული ძლიერ გამხილებენ ამისგან უნჲვრო ის, თუ გავლილ აღსარებაში ნებიერად დაგიტოებია რამე ცოდვა, თვარემ აღსარება უქმად ჩაგივლის, ჯოჯოხეთი გაგელება შენს წინ: წმიდა წაპილწვის და წყევლის ქვეშ დაშთები. სვინიდისის ანგარიშს, რომ მისცემ სინანული და პირობა გაიახლე და მზად აჩვენე შენი თავი ყოველ ნაირ საკანუნოზედა.

ვ. ამ გვარი აღსარების შემდგომ, დავარდი მადლობად მოახსენე ღმერთსა და მოცემული საკანონი აღასრულე. განიხარე რომ ცოდვებისაგან განთავისუფლდი, ღმერთს შეურიგდი და ღირს იქმენ მისი მადლებისა: ლოცვაში აქე და ადიდე ღმერთი მხიარულის გულით. მხურვალედ შეასრულე საკანუნო; რათა აღმოაჩინო, რომ მართლად მოქცეულ

ჯვარ: იმ დღითგანვე დაიწყე მიცემული შენი პირობაების აღსრულება. სანამ რკინა ცხელი გაჭრტიალებულია, მაშინ უნდა დაზილო-ე. ი. თუ რომ არ დაეშურები საქმით აღასრულო, რაჲც ღმერთსა დ მოძღვარს შეჰპირდი, ათას ჯერაც რომ აღსარება სთქვა შენი ცუდი ყოფა ქცევის გასასწორებლად, მაინც დღითგან დღეზედ უბოროტესი გახდები დ ვერას იქმოებ.

## სწავლა მეშვიდე.

## წმიდა ზიარებასაზედა.

რაჲ შეგიძლია მალ მალ განაძლიერო ხოლმე სული შენი ზიარებითა.

### მიზეზი.

ა მაცხოვარისა შენისა სურვილმან ფრიად რომ ბრძანებს შენ ზიარებასა ზედა, იესო შენ

გიწვევს, პატივს გცემს, გიცდის, რომ მიიღო იგი, გპირდება შენ გამოუთქმელ სიკეთესა და მასთან გექადება საუკუნო რისხვასა, უკეთუ უღირსად მიეახლო წმიდა ტრაპეზსა. რა სახით შეეძლო უმთვრო ეჩვენებინა შენთვის აღნთებული ცეცხლი თავის გულისა, რომ შეერთებულ-იყო შენთან და დაემკჳდრებინა შენს გულში? რა ეჭჳ გექმნება შენ იმ კაცზედ, რომ შენ იწვევდე სადილად და ის უარს გეუბნებოდეს თჳნიერ მართებული მიზეზისა? მაშ შენთჳს იესო რაღას იტყჳს? რომლისაც ცივად ჰპასუხს აძლევ მის მხურვალე სიყვარულსა?

ბ. უმეტესად უნდა აღგზნას შენ მისმა კეთილ-მოწყალობის უდიდებულესობამან. უჩვეულად დიდ-რათმე დასთვლიდი. რომ იესო მაცხოვარი გამოცხადებიყო შენ ერთი ტკბილი მცირე ყმაწჳლის სახითა და დაენებებინა თავჳ, რათა მამა იოსებიჳთ აღეყვანა ხელში, მოხვეოდი, მოსურვილებოდი და თაყვანი გეცა მისთვის. ეს საკჳრველ მოქმედება

რა იქმნება მაგ მადლებთან, რომელიც გენი-
ჭება ხოლმე შენ წმიდა ზიარებითა, რომ შთა-
მოდის ნამდჳლად შენს გულში შენი დამბა-
დებელი ჲ შენი მაცხოვარი, შეეძლო თავს თა-
ჳსგან უდიდესი რაიმის მოცემა შენთჳს? შე-
ეძლო ამისგან მომეტებული პატიჳსცემა შენ-
თჳს? ჳდრე გზრდის შენ თავს კორცითა ჲ
სისხლითა ჲ უქმნიხარ შენ ცხოველ სადგურად
თავს ღვთაებისას! აწ რისგან არის, რომ შენ არა
გსურს პური ესე ანგელოზთა?

გ. ფუნდა, რომ აღგძრას შენ მრავალ გვარმან
საჭიროებამან შენმან. რა ეჭჳ ზედ-მიწევნით
სცნობ, რომ მეტის მეტად უძლურია დონე
შენი დასაცველად შენს გარემო მყოფ გან-
საცდელთაგან, მტკიცედ დასადგომლად ღვ-
თის სათნო გზაზედა ჲ წმიდა ცხოვრების
მოსაცემად. მაშ სად უნდა ჰპოვო შენი საჭი-
რო შემწეობა? თუ გინდა ახლავე წადი ჲ
მიჰმართე საიდუმლოსა წმიდა ზიარებისასა:
ის დაშრეტს შენს ცუდ მიდრეკილებათა, გან-
საცდელთა ძალას მოსტეხს, სარწმუნოებას

აღგიმატებს, სასოებას განგიძლიერებს და სიყვარულს აღგინთებს: ეს სამნი ღვაწლნი, წმიდად გამოგიყვანებენ შენ ანუ იქ წაგიძღვებიან წაგიყვანებენ შენ, სნეულნი იესოს სამოსის კალთა ზედ შეხებითაც განიკურნებოდნენ ხოლმე. მაშ რასა არა იქმს ცხოველს მყოფელი საღმთო კორცი მისი?

## საქმე.

ა. პირველი ღამითგანვე დამზადდი დიდისათჳს წმიდა ზიარების მისაღებლად. ამისთჳს უფრთხილდი სრულ მცირედს ცოდვასაცა, მეტადრე სისაზტიურის წინააღმდეგსა. რამდენიმე კეთილ-მსახურებითი საქმენი ჰქმენ, სულიერი საგნები წაიკითხე, შენად წვრიმალი საკანუნოები გაიკვეთე. საკუთრად იმ ღამეს მხურვალე გულით ილოცე: წადი დაწექ იესოს მიღების სურვილითა; რაც შეიძლება ნატრობდე ყოველ ნაირი მხურვალობით, რომ ღმერთი უნდა მოჯდეს შენს გულსა და

სულსა შინა წმიდა ზიარებითა.

ბ. მხურვალე სახით გარითერე დიდა შენი წმიდა ზიარების მიღებისათჳს. ადრე ადგეგ ამ განზრახჳთ და დიდის ნუგეშითა სთქჳ; დღეს ჩემი უფალი და ჩემი დამბადებელი ჩემს გულში უნდა მოჴდეს! შემდგომ დილის ლოცვა სთქჳ: დროზედ გარიგე სასახლო საქმები, რიგიან ჩაიცჳ დაიხურე იესოს პატიჳსათჳს და კეთილის აზრებით ადგეგ წადი ეკკლესიად. იქ ზიარების უწინარეს ჯერ აღსარება სთქჳ კარგის დამზადებითა მარტიჳს გულითა და სინანულითა. ვაჲ მოგივა თუ რომ აჩხრეკილის სჳნდისითა იესო მიიღო: იუდის მსგავსი იქმნება შენი ზიარება, სიკვდილს, დასჯას და საუკუნო რისხვას მიიღებ!

გ. აღსარების შემდგომ ფიქრში და გულში გამოიანხე ის ღვაწლნი; რაც საჭირო არს წმიდა ზიარებისათჳს. იმ დამზადებაზედ დამოკიდებულია შენი ყოველი ნაყოფის გამოღება, წყაროდგან იმდენს წყალს წარიღებ, რიერთიც შენს ჭურჭელში მთავა: ამ ღვაწ-

წირამბლვარი. 1

ლით მოშოვნისათჳს გარგებენ შენ ეს რამდე-ნიმე განზრახვანი.

1. «ვინ არს შენთან მომსვლელი წმიდა ზი-არებაში?» ყოვლის მპყრობელი ღმერთი, შე-ნი დამბადებელი, მაცხოვარი, მამა, მკურნა-ლი და მოძღვარი შენი.

2. «ვისთან ჰნდა მოვიდეს?» შენთან! რომელიც ხარ ერთი საწყალობელი ცოდვი-ლი, ურწმუნო მსახური, ურჩი შვილი, მუ-ხთალი დნბაჯებული, მიწის მატლი და თაჳს თჳსით არარაჲ!

3. «რად ჰნდა მოვიდეს?» შენს განსაკუ-რნებლად, განსანათლებლად, განსაძლიერებ-ლად, განსამდიდრებლად, განსამხიარულებ-ლად და სრულიად თავისთან შესაერთებლად.

4. «რა სახით ჰნდა მოვიდეს?» პურის სა-ხის ქვეშ დაფარული, ყოვლადვე მადლი და სიყვარული.

5. «როდის მოვა?» როდესაც შენ გნე-ბავს, თითქმის ყოველ დღივაც, უკეთუ შენი მოძღვარი ნებას დაგრთავს.

ნ. «რა სახით მოდის?» თჳსს ჴორცითა, სისხლითა, სულითა, კაცებითა და ღთაებითა, მისი ყოველი სისრულებითურთ, მოაქვს შენთჳს ნაყოფნი, ნიჭნი და ძალნი. როდისაც ესრეთი კეთილ განზრახვანი გულს აღგიძრვენ, მას მერმედ სხვა და სხვა კეთილ მსახურებრივ ღვაწლნი აღასრულე.

დ. ზიარების დროს შეიკრიბე ყოველი ძალი შენი, რომ კარგის მხურვალებით დაუხვდე. მღვდელი რა მობრუნდება შენს-კენ სიწმიდე ჴელში, სთქვი გულითა: უფალო არავარ ღირსი, რომ ჩემს გულსა მოხვიდე; მხოლოდ ინებე და განიკურნოს სული ჩემი. გარნა რა გნებავს ჩემის სულის სავანესა მოსვლა, მეტად დიდი წყალობა არს. შემდგომ მიეახლე სიწმიდესა ყოველნაირის მოკრძალებითა: შეევედრე ანგელოზთაცა, რომ გიამხანაგონ და სთქვი გულითა: მოვედ მოვედ ჩემთანა საყვარელო უფალო ჩემო და დამბადებელო! მრწამხარ შენ უფალო, გესავ და მოგნდობილ ვარ შენ, მიყვარ-ხარ შენ ყოვლითა გულითა

ჩემითა! გევედრები მოვედ ჩემო უკიდურე-სო კეთილო, ჩემო ცხოვრებავ და ჩემო ყოვე-ლო სიკეთევ! რომლისაც მღვდელი წმიდა ნა-წილს მოგაწოდებს, პირი საპატიურად გა-ხსენ, ენა ზავების ახლოს დაიჭირე და მი-იღებ თუ არა სიწმიდეს, წყნარად შეიღე, თა-ყვანი ეც, ადგე და მიდი შემდგომ შენ ად-გილს რიგიანის მოკრებითა.

ე. სიწმიდის მიღების შემდგომ ეცადე, რომ მიღებული მადლებისა ნაყოფი დაიმშვენო. შე-ნს ადგილს მისვლისავე გაოცებით ჰრქვი შე-ნს თავსა სარწმუნოებითა, ვინ არს ესე მოსუ-ლი შენს გულში და რისათვის ინება დამკვიდრე-ბა სახლსა სულისა შენისასა? მერმე მიექეც ში-ნაურულად და ევედრე იესოსა, როგორც ქვე-ვრდომი შეევედრება თაჳს კელმწიფესა, მოწა-ფე თაჳსს მოძღვარსა, მთხოველი (გლახა) თაჳს მოკეთესა, შვილი მამასა და სნეული მკურნა-ლსა. გაუღე შენი გული მას, აღიარე ყოვე-ლი შენი უძლურებანი მასთან: მიანდე ყოვე-ლი საჭიროებანი შენნი მას, სთხოვე შენდო-

ბა ყოველი შენი ცოდვებისა, შემწეობა ყოველს შეწუხებასა შინა შენსა. შეევედრე რომ დღითგან დღეზედ ღვაწლებსა შინა განგაძლიეროს, თავს ვნებისა და სიკვდილის ჟამისათვს, თავს გამოუთქმელი მადლებითა და თავის დაუსრულებელი სახიერებითა, სხვაცა ამ რიგი ლოცვების ზეპირად ანუ წიგნზედ წაკითხვის შემდგომ, ნუგამტცემული ღვთისაგან წარვედ შენს სახლში.

ვ. სიწმიდის მიღების დღესა ეცადე, რომ მოვრებით შეინახო შენი თავი. ის დღე შერაცხე შენს ერთად ერთ დიდებად, ერთად ერთ დღესასწაულად სიხარულისა: ეცადე, რომ მცირე უსიამოვნებითაც არა აწყენინო რა ღმერთსა, საშინელი მუხთლობა არ არის, რომ დილით ღვთისადმი სადგურის მიცემის შემდგომ საღამოზედ ღმერთი განსდევნო შენგან? შეინანე თუ რომ ურიგო სიტყვა რამ ამოგივიდეს პირითგან! მოიხსენე რომ ენა განგიწმდა იესოს წმიდა კორცითა, ეკრძალე ყოველ ნაირს საცთუროვანს საუბარსა,

მეგობრებასა, თამაშობასა, სიცილსა, ფერხულსა, თუ ტანციობასა, რომ არ დაჰკარგო ერთს წამში წმიდა ზიარების ყოველი ნაყოფი. ამის გამო ეცადე წმიდად შეინახო ის დღე დღე სასწაულივით, ლოცვითა, წიგნის კითხჳთა ეკკლესიებზედ წასვლითა და სხვა კეთილმსახური საქმებითა.

## სწავლა მეერვე.

### კვირისა და უქმე დღეებისათვის.

საკუთრად სიფრთხილე. იქონიე ესრეთი დღეები წმიდად შეინახო.

### მიზეზი.

ა. თანამდებ ხარ ღვთის ბრძანებითა; მთელი ერთი მზგეფსი. (კვირა) მოუცია შენთვის ღმერთსა, რომ შენს საქმე ყოფაზედ გართო; ერთი კვირა დღე თუ უქმე დაუტო-

ბის თავის პატრივისათვის. ახლა ამ რიგი წმი-
და დღის ღვთისაგან მოპარვა არ იქმნება;
რომ საწუთო საქმეში გართო შენი თავი, ანუ
თამაშობაში გაატარო ან ურიგო ცოდვიან
საქმეში მოჰკლამო?

ბ. ეკკლესიის ბრძანებითაცა თანამდებხარ.
ეკკლესიის შვილი ხარ, უნდა რომ მას დაემორ-
ჩილო! უარს ნუ ეტყვი შენს თავსა, შაბათის მა-
გიერ კვირა უნდა შეინახო: უქმე დღეებიც მი-
სგან განწესებული არ არის? ნახე ურიები
როგორ ინახვენ თავიანთ შაბათსა და სხვა
დღესასწაულებსა? მაშ რას იტყვიან იგინი?
რას იტყვიან ურწმუნონი და მწვალებელნი?
როდისაც განხვენ, რომ კვირას და უქმე დღე-
ებს ფეხ ქვეშ ჰქელამ? გლახ! ნუ აწყენ შენს
დედას წმიდა კათოლიკე ეკკლესიას, მიზე-
ზის მიცემითა მის მტერთა; რომ შენის ცუ-
დის მაგალითით განცინიან წმიდა დღესა-
სწაულთა

გ. შენის სულის გულისთვისაცა თანამდებ
ხარ. რაოდენს ნაღვლობ? რაოდენს ირჯები

შენის კორცის გულისთვის? რომ ფუტკრო მიწა არის: გალაღიან დღეს, კვირის-კვირობით, თთვებით, წელიწადებით, მრთელს შენს სიცოცხლესაც იმაზედ სწირავ მისი საჭიროებისათვის და მის საამოვნოდ! მაგრამ სულისთვის? რომელიც უკვდავია, ღვთის სახე არს და კიდევაც უნდა ღმერთთან მივიდეს, მის დასამშვენებლად! რამდენიმე დღეს არ უთმობ, რომ წმიდად შეინახო სარწმუნოების კანონითა? ბრალი იმდენს შენს ოფლს, რომ კორცისთვის იწურავ, რომ დღეს თუ ხვალ მიწად უნდა იქცეს! თუ რომ შენი სული დაჰკარგო, ყოველ რამეს დაჰკარგავ, მაშინ ვაჲ ვაჲზედ მოგივა.

საქმე.

ა. ფრთხილ იყავი, რომ არც შენ და არც შენ ქელქვეითთ უმფროს უმცროსთა კვირა დღეობით დიმძიმე საქმე არა ჰქმნათ რა, თუ არ მხოლოდ იმ დროს, როდესაც დიდი გაჭირვე-

ბა დაგვადგება .ვაჲ იმ მონაგებსა, რომელიც სულის ზარალით მოიგება: ის რა მოგება არის? ღვთის კურთხევა არის იმ რამეზედა, რომელიც ცოდვით შეიძინება? იცოდე ძალიან კარგად კელი ეწყობათ იმათ, ვინც უქმე კვირას წმიდად ინახვენ, არაფერს მუშაობენ! ვინც თავის ვალს ღმერთსგარდუხდის; ღმერთი არ მისცემს იმას რაც რომ ეჭირება?

ბ. დილითგანვე წმიდად შეინახე დღე იგი. მოიგონე, რაც წმიდა ზიარებასა ზედ ვსთვით. ეკკლესიებში წირვები დაიწყობება თუ არა დროს ნუ გაატარებ სახლში ჭ გზებზედ. მაგონდენი ნაღველი გაქვს კაცთ გულის მოსაგებად: მაშაბა პირველი ნაღველი ღვთის პატიჳს ცემაზედ არ უნდა გქონდეს? მაშ სადამე დამშურე, ეკკლესიაზედ წადი, მარტო ხარ, გეთილი ფიქრებითა? სხვებთან ხარ, სასარგებლო საუბარითა, წირვის მოსმენის დროს ფრთხილად საბასტიურად იყავი. დიდი დღესასწაული მოვა თუ არა, გული სულიერ მხურვალებაზედ გაიცხარე, სვინიდისი გაიწმიდე,

აღსარება სთქვი და ეზიარე.

გ. ეკკლესიაში წურთნასა და ქადაგებასა ყურადღება მიაქციე. ამით შენი სული უვნებელი დაშთება ყოველი განსაცდელისაგან, ყოველ განსაცდელთა დაუდგები და მონასმენი ჭეშმარიტებანიცა ფარად გექმნება შენ ბოროტი ეშმაკის წინააღმდეგ. ცოდვილიც, რომ იყო, ცოდვაში არ დაშთები; ის ჭეშმარიტებანი მოგკიდვენ კელს გარედ გამოგიყვანებენ შენ, თუ რომ ღვთის სიტყვას წინ აღუდგები, ანუ უბრალო მიზეზებით უკან დადგები მისგან, ვჲა მოუვა შენისთანა ქრისტიანსა, სარწმუნოება მოგიუძლურდება და ნელ ნელა გაგიქრება წავა: სვინიდისი დაგეხურება. შენს გულს სხვა არაარა ესიამოვნება, ქვეყნიერი და კორციელი ამაოების მეტი: ღვთის ნათელი დასცხრება გულს აღარ გაგინათლებს: შენი სული გამოაკლდება ზეციერს ნუგეშსა: ავი ზნე, ცოდვები მოგესევიან: შემდგომ გული გაგიქვავდება და დაშთები ასრე საბოროტეში! სხვა ცხადი ნიშანი დასჯისა

არა არის რა; როგორც ღვთის სიტყვის შეურაცხყოფვა! მაშა სადამე ეცადე, რომ სრულიად არ მოსცდე ქადაგებასა; არამედ მუდამ გულისყური მიუპყარ მას ღვთის მსახურებრივი სურვილითა, რათა იქითგან მუდამ კეთილი ნაყოფი გამოიღო ჵ წაიღო შენთან. აგრეთვე საქრისტიანო მოძღვრებასაც დაუსწარ რას შინაცა თუ სარწმუნოებისა ჵ თუ კეთილი ცხოვრების ყოველ საგნებს ცხადად მოისმენ ეგრედ რომ თითქმის დიდ ნაწილად ქადაგებისაგან უმთვრო სასარგებლო არის, იგი ყოველა ქრისტიანისათვის.

დ. საღამოს თუ მწუხრის ლოცვასაც ნუ მოსცდები. ყმაწვილები თუ მიდიან, სირცხვილი არ არის, რომ შენ არ წახვიდე? ვინ გითხრა შენ, რომ ეკკლესიაში წასვლა ყმაწვილებისა ჵ მოხუცებულებისთვის არისო? მაშ თუ ძმობაშიც დაწერილი ხარ, საქმით აჩვენე შენი ღირსეული ძმობა შენის მოვალეობისაგან გამოუკლებლობითა. სხვა რიგი საზოგადო ლოცვაც, რომ იყოს ეკკლესიაში;

ეცადე, რომ მუდამ დაესწრა. შეერთებული საზოგადო ლოცვა ერისა, მეტად სათნო არს ღვთისა.

ე. ეკკლესიაში წასვლის დროს სასახლო საქმე თუ გაგიჩნდეს, ეცადე, რომ სახლშივე რაც შეიძლებოდეს გული ღმერთთან გქონდეს. უქმე კჳრა დღეობით ცუდაობის გამო ბევრს ნუ დაჯდები ფანჯრის წინ: საქმეს ჴელს ნუ მოჰკიდამ: საეჭვო პირს სახლში ნუ მიიღებ. რაოდენი დიდი ურიგობა არის სხვეები ეკკლესიაში ღმერთთან იყვნენ და შენ სახლში ღვთის წინააღმდეგად იქცეოდე? შენი სადგომი ეკკლესიად აქციე და შენი ლოცვა ეკკლესიაში მყოფ მლოცველებთან შეაერთე: ღმერთიც სიყვარულით მიიღებს, როდისაც წმიდა მდაბალი და მხურვალე გულითგან გამოითქმება ლოცვა.

ვ. დღის დანაშთ დროებსაც უბრალო რამებზედ ნუ გაატარებ. დაე ურწმუნოებმან თავანთ დღეობანი ურიგო ყოფა ქცევით აღასრულონ; ქრისტიანს შეშვენის, რომ წმიდა ჰყოს

თავს უქმე დღესასწაული, დაჯედ სულიერი რამე იკითხე, იესოს ცხოვრება სახარებისაგან, წმიდანების ცხოვრება, მამათ ცხოვრება, მისახედავად (ჳზიტებზედ) წადი ეკლესიებზედ წმიდა ზიარებისა: სნეულების ნანახვად, რათა ანუგეშო: ვისმე გაჭირვებულს შეეწიე, უგუნურს კაცსა რამე ასწავლე. ცოტაც წადი ხეივანში, მწვანილ მინდორში, ოღომც რომ შეუფერებელი ამხანაგი არ გყავდეს: ურიგო ყოფა ქცევას ნუ მიჰყვები, სიყვარულის წინააღმდეგი არა ჰქმნა რა. წმიდა დღესასწაულები, რომ ასრე რიგზედ გაატარო, ბევრს რამეს შეიძენ.

## სწავლა მეცხრე.

### გასეირნებასა ზედა.

თვალი კარგად დაიჭირე შენზედ დროს გატარებისა თუ გასეირნების დროს.

ა. გასეირნება ბევრჯერ კაცს ცოდჳს მიზეზად გაუხდება. აჰ! ჩვენ დროს სრულ მცირედნი პირნი არიან, რომ შეუცოდებლად შეეძლოსთ გასეირნება. მრავალნი არიან, რომ სრულ არ ესიამოვნებათ, თუ ურიგო გიჟური ჲ სასაცილო რამე არ ნახეს სასეირნო ადგილსა! ბრალი ათასჯერ ბრალი! რომ ქვეყნის დროების გატარება, სიამოვნება; საზოგადოდ ცოდჳთ იწყობიან ცოდჳთვე თავდებიან: სიხარულის სახელობითა რამდენნი ღვთის წინააღმდეგნი საქმენი სრულდებიან, რამდენი დაბრკოლებანი ჲ რამდენი სულის წარწყმედანი?!

ბ. დიდი ნაწილი სეირნობისა საცთუროვანია. დროისა, ადგილისა ჲ პირთა შეუფერებლობა, სადაც ბუნების განხრწნილებასა სხვა ჲ სხვა ვნება მოაქვსთ! ეშმაკის საფრხე მრავალი, განსაცდელი მოუკლებელი, ბოროტი მაგალითი ძლიერი! ვის შეუძლია თჳნიერ ღვთის სასწაულისა თაჳ დაიფაროს ამდენი განსაცდელებისაგან? მე მგონია უებარი წამალია,

განშორება სეირნობებისაგან.

გ. საზოგადოდ გასეირნებაში ზომა არ დაიცვება. მართლად დროების გატარება და სიამოვნება არის უცოდველიცა, უვნო: გარნა დიდი სიძნელე კი აქვს რიგიანად კანონიერად მოქცევასა, რამდენი სიფრთხილე ესაჭიროება ოთხ კუთხივ მოუწყო ზღუდე სისაბატიურესა და მოშიშარობასა, საჭირო საგნებზედ ყურად ღების მისაქცევლად? ამათ თუ კარგად არ დააკვირდა კაცი, მალე გულს გარდუქცევენ და სიბოროტეზედ მიუდრეკენ.

საქმე.

ა. ეცადე, რომ მოიბმულო მოიბაგრო სასიამოვნო რამენი, რაც ფრიადა იყოს, როდის უცოდველად არა იქმნება რა. როგორ უნდა მხიარული იყოს ის ჯნმა, რომ ღვთისა და თავის სჳნდისის წინააღმდეგად იქცეოდეს? კარგა გაზრდილი შვილი მოინდომებს იმ სეირსა, რომელიც მამა მისის ნების წინააღმდეგი

იყოს? ანუ ერთს კარგს მისანდო ერთგულს კაცს, ენდომება ჴელმწიფის წინაღმდეგად მოქცევა? ერთს ნამდვილს ქრისტიანს შეშვენის ეგრეთი სიხარულის შედგომა. რომელიცა ღვთის საწინააღმდეგო იყოს? კარგად დაჭკჳრდი, რომ თამაშში საწამლავი არ გაერიოს.

ბ. უფრთხილდი ფულით თამაშობასა, ქარტი იყოს თუ ნარდი. რამდენ კაცსა მოსთხრია ოჯახი ფულით თამაშობაში გართულობით დიდ ხანს? იმ რიგი კაცი თაჳს საქმე ყოფაზედ ზარმაცი იქმნება, თაჳს ვალს არ აასრულებს, ფულს გააფუჭებს, ტყუილს ილაპარაკებს, ცრუდ იფიცებს, ჰკითხავთანაც წავა ბედ იღბლის საშოვნელად, ყოველი სიბოროტის სიღრმეში შთავარდება, სულსა დ ცხონებასაცა გაჰყიდის! მოღალჳს შემდგომ მოსვენებისა არა უშავს რა, რომ მსუბუქად თამაშობასა შეექცე; გარნა იმ ნაირ პირებთან, რომ პატიჳ არ აღგეხადოს! შენ თამაშობას კეთილი აღსასრული უნდა ჰქონდეს, მაგალი-

ოად: ურიგო ლაპარაკების გაწყვეტინება, ან ერთი რამ ბოროტობის დაცხრომება, მტერების შერიგება, ანუ სანუგეშო რამე და ცოტა ხანში დასაბოლოვებელი! თამაშობა არ გაგიხდეს მიზეზი ეკკლესიითგან მოცდენისა, შენის თანამდებობაების გადავიწყებისა, შენის სახლისადმი ვნების მოცემისა და მრავალი ფულის წაგებისა. ბედში ფული თუ მოგდის, უფრო უკეთესი ადგილები არა გაქვს თუ მისცემ გლახაკებსა და საწყალებსა? ბარბაროსი იქმნები სწორედ თუ ამათ კერძი არ დაუდვა იმ ფულებითგან, რომელსაცა თამაშობაში აგებ!

გ. ავ მუცელი ნაყრო-ვანი ნუ იქმნები, სიმთვრალისაგან შენი თავი შეინახე. ესენი იმ რიგი რაჲმენი არიან, რომ გულის ყურს დაუყოფენ, სიცოცხლეს მოაკლებენ, სახლის მშვიდობას განაქარვებენ და ყოველ გვარ ბოროტობის კარს განაღებენ. იცი თუ რამდენსა და რამდენს წვეულობაში უზომო სმა ჭამით გამძღარი სუფრასზედა

მჯდართ სულნი ამოხდენიათ და ჯოჯოხეთში წასულან? მაშ შენ რომ არ გინდა ამათ რიცხვში შესვლა, შენი ნადიმი წვეულობა გაიზომიერე შეძლების დაგვარ, ღვთის ნებას შეუდეგ და ნამეტურ ხარჯწასაგებს მოერიდე, ნახე თუ რამდენი ღატაკ გლახაკი შიმშილისაგან მიხრწნილი გამოჯდოდა შენი ერთის წვეულობის სასმელ საჭმლისაგან და მეტადრე ერთი ფერიც ეყოფოდათ?

დ. ფერხულს თუ ცანცაობას თავ დაანებე. ცეკვა ტანცაობა ჩვენ დროს გამხდარა სავაგლახო მიზეზი ცოდვებში შთავარდნისა: ერთს კრებულობაში, სადაც უცოდველობა დიდს საცდურში შევა და მალე დაეცემა, როგორ დაშთება იქ უმანკოდ შენი უძლური სათნოება? ნახე როგორ უბიწოდ წახვედი და როგორ ბიწიანი ბრუნდები სახლში? ბრალი! რამდენთ იმ ადგილს გაამანკიერეს თავანთი გულის ტანჯვა. ამის გამო განშორდი,

განშორდი გეუბნები ტანცაობისაგან! ვიდ-რემდინ შენ ეგე გეხალისება გესიამოვნე-ბა, მე არ დავჯერებ, რომ შენ მოგემზ-ნოს იგი და მოქცეულ იყო!

ე. ფარრულს ვრებასავით ერთ ადგილს თავმოყრილთაც განშორდი, და საზოგა-დოდ საეჭვო და საცთურო-ვანის ნაირს ამ-ხანაგობასა. მე არ გეუბნევი ქვეყნითგან გარედ გასვლასა, არამედ შენი ნუგეში და შექცევა იყოს საბატიურს მეზობლე-ბთან, ნაცნობებთან და ღვთის მოშიშ კაცებთან კეთილის აზრითა, და იგიც რი-ერთიც შეიძლება დღისით. სახლს დიდ ხანს ნუ მოშორდები და სადაც იყო ნამდვ-ილის ქრისტიანისავით იცოცხლე. მოერი-დე იმ სახლსა, რომლის სახლის უფალი არა ფერზედ ყურადღებას აძლევდეს, რა კაციც უნდა იყოს, ყველას სახლში უშვამს, უმაწვილები მეტის მეტად კადნიერნი ჰყავს, გოგოებსა, მსახურებსა და მოახლე-ბს ქვეყნიური სიტყვა და პასუხი მზადგამო-

კრული აქვსთ ამა იმას გადაჭკვრ გადმოჭ-
კვრენ, იმასაც უპატიური კენწლაობითა,
უკადრისი სააშიყო ლექსებითა და სხვაც
მისთანა, ურიგო მიხვრა მოხვრითა და გაწ-
ყობილობითა; ეგრედ რომ მადლი არღარ
დაშთება იმნაირს სახლებში! ვაჲ იმას ვნც
მოთაობს ამ ნაირს გარყვნილ ალაგებს,
უმჯობეს იყო მისთვის ყმის სენიან ად-
გილს ყოფნა.

ვ. მხოლოდ უცოდველი სიხარული გე-
სიამოვნებოდეს შენ. ესე გულს გაგიმ-
ლის, ძალს განგიახლებს, სხვათ კეთილ
მაგალითად შეექმნება და სათნოებათა წარ-
მატებს; ოღონდ რომ იცოდე რიგის და
კანონის შენახვა სიხარულს შინა. შესა-
ნიშნავს სეირებს შინა მეტის მეტობაცა
კარგს ქრისტიან კაცს არ შეჰფერის;
ქვეყნის მოყვარული კაცის და კორცის
მსახურის საქმე არს. სასუფეველის გზა
ორი არ იქმნება, ერთი არს: გზაზედ
ხვიწი ეკალნარი მრავალია, ვარდი სრულ

არ არის!

## სწავლა მეათე.

### დიდებასა და დღეობასებსა თუ წმიდა ადგილების მიმოლოცვასა ზედა.

კეთილ სამარგალითო იყავ ამ საგნებასა შინა.

### მიზეზი.

ა. დიდებანცა და დღეობანცა ღვთის სადიდებლად და წმიდანების პატივსაცემად განწესებულია. ამ ნაირს სათემო კეთილ მსახურებითს საქმეში უნდა, რომ ყველასაცა მხურვალება ჰქონდეს, რიგი და კანონი დაიცვას. თვარემ ღმერთსა და წმიდანებსა დიდება და პატივ არ მიერთმევა, არამედ კიცხვად გარდაიქცევა; მნახველთაც დააბრკოლებს, ურწმუნოთ და წარ-

მართთაც სიცილზედ და ჯოჯოხეთიურს სიხარულზედ ასტეხს!

ბ. ესრეთი მხურვალობანი მისთჳს სრულდებიან, რომელ ღმერთმან დაგჳფარნა სხვა და სხვა განსაცდელთაგან, და ქვეყანა შეიბრალოს. კათოლიკე ეკკლესიას ძველთაგანვე ჩვეულობად აქვს საზოგადო ლოცვა; რათა აწმყო ბოროტებანი ახვნას ანუ სხვა ახალი რისხვა არღარ მოხვდეს. ერის ერთ ადგილას დიდებით ლოცვა, ღმერთს შურის ძიების მახვილს შორს დაადებინებს: გარნა როგორც საჭიროა ისრე უნდა იყოს: მდაბალი, მხურვალე, მონანული და მარტიჳს გულით. თვარემ ღმერთი კვლავ განრისხდება: მაშინ რა საკჳრველი, რომ რისხვა გაზჳადდება ანუ განთვიცხდება კიდევცა.

გ. იმისთჳს სრულდებიან ეს მხურვალებანი, რომ ღმერთმან სხვა და სხვა სიკეთე მოსცეს ქვეყანასა. ღმერთს ყოველგან მართლმადიდებლობაში აღმოუჩენია რამ-

დენიმე ადგილნი, საკუთრად თაჳს სიკე-
თების გამოსაცხადებლად; მხოლოდ იმ
ნაირ ადგილებში უნდა წაჳდნენ წამსვლე-
ლები კარგის გულითა, რომ ღირს ჰყოს
იგინი თაჳს სიკეთების მონაწილეობისა:
იცოდე რომ ჴელცარიელი უკან დაბრუნ-
დები და უარესად გაფუჭდები; როდისაც
მხოლოდ მეტიჩარობისათჳს წახვალ და
უბრალოდ აქეთ იქით ეხეტები.

## საქმე.

ა. ეცადე რომ აღისწრაფო და წახვი-
დე ხოლმე იმ დიდებაებსა და დღეობებ-
ზედ, რომელიც შენს სამშობლო ადგილს
ადგომს ეკკლესიებზედ იქმნებიან. იმ სა-
ზოგადოების მწევრი ხარ შენ; როგორც
ცოდვაში მოწილადე ხარ მათ თან, აგრე-
თვე თანამონაწილე იქმენ მათი ღვთის
მსახურებასა შინაცა, რომ ღმერთი დაგი-
მშვიდდესთ; საპატიურად და რიგიან ტან

ჩაცმული წადი, ჭკუვა თავში მოიკრიბე განწესებული დარიგების დაცვისათვის, ეგრედ რომ ჰატივისცე შენს სარწმუნოებას და არა თუ უმეცრო განარისხო ღმერთი და გულცივობა შთაუნერგო უმისოდაც გულცივთ და უსანდომო კაცთა. კმა მიეც საზოგადოდ ერის ლოცვასა და გალობასა; მოიხსენიე რომ დიდებაზედ მისრულხარ და არა სეირზედ.

ბ. ეკკლესიაში, რომ შეხვალ დიდებითა; ეცადე რომ ნამდვილი მნიშვნელობა მისი აღასრულო. შიგნი შიგან შეველ, ჟამკანონს და ქადაგებას გულის ყური ადევნე; სთხოვე ღმერთსა, რომ მოგანიჭოს ის მადლები, რისათჳსაც მოსულ ხარ სალოცავად. რა მადლს უნდა მოელოდეს ის, ვინც ლოცჳს დროს ეკკლესიის კარზედ დაეტარება, ლაზღარობაში და სეირნობაში ერთობა ან ყავებში და მელჳნეთ ქულბაქებში დროს ატარებს.

გ. დიდებაზედ და დღეობაზედ წამსვ-

დღეებს ნუ მოშორდები უკან დაბრუნე-
ბის დროსაცა. რა დასაბრკოლებელი და
შესარცხვენი საქმე არს ზოგი ერთი ყმა-
წვილ კაცების ყოფა, რომ დიდების დროს
ეკკლესიაზედ არ მივლენ, უკან მოსწყ-
დებიან, ყველა საქმეს დასტოვებენ და თა-
ჯანთ ტოლ ამხანაგთ მოსძებნიან და შე-
უფერებელ ადგილებში შევლენ და გავ-
ლენ: იმ რიგთ უმფრო უჯობდა თაჯანთ
სახლებშივე წასულ იყვნენ. ამ რიგთ ჰი-
რთა უწესოება უმფრო მომეტებულ ვნე-
ბას მისცემს ქვეყანასა, ჯრემც თუ მლოც-
ველთა ლოცვა ვერა დროს მოუტანს მაგ-
დენს სარგებლობასა.

დ. ნახე თუ მღვდელი არ იყოს, დაბალ
ხალხს ნუ წაჰყვები დიდებაზედ და დღე-
ობაზედ. თვარემ შენი წასვლა ღვთის მსა-
ხურებისათჳს არ იქმნება, არამედ დრო-
ების გატარებისა და სიამოვნებისათვის;
იმ რიგი უწესო ყოფა ქცევით არც ერთის
სულს სარგებელი არ მიეცემა, გნება კი

მრავალი.

ა. ფიქრში გამოისახე, რომ ყველა დი-დება და დღეობა უნდა გახდეს კაცს მიზეზი წმიდა ცხოვრებისა. როგორ იქნებაო თუ მეტყჳ? უადვილესი გზა ეს არის. 1), შენს მოძღვარს შეეკითხე; შენის მშობლებისა, ბატონებისა და უმთავროსის ნებით უნდა იყოს. 2), უნდა აღსარება სთქვა და ეზიარო, რომ მომეტებული სასყიდელი მიიღო, ამ კეთილ მსახურებითა. 3), შენის სჯითა კარგის რჩევთა, ამხანაგი იშოვნე, რომ ცოდვისაგანაც მოშორდე და სათნოების სურვილიც გქონდეს. 4), ღვთის სახელზედ გზას დაადგე, შენი სახლი სამყოფი, საქმე და ყოფვა სარწმუნო კაცს მიანდე. 5), მაშინვე ღმერთს შესწირე შენი მგზავრობა და ფიქრში გამოისახე, რომ იესოს შესდგომიხარ და მისდევ იმ გზებზედ, სადაც თვითონ ვლო ჩვენთჳს: შემწედ იხმე ხოლმე ხშირად ღვთის მშობელი მარიამი, შენი

მოკარველი ანგელოზი და შენი სეხნა (სახელ მდგომი) წმიდა. 6), გზაზედ ლოცვას და კეთილ განზრახვას დაუხშირე, სხვებთანაც სულიერი საუბარი გქონდეს. 7), გზის ყოველი შეწუხება და სიძნელე ღმერთს მიათვალე. 8), ყოველს ადგილს და ყოველს სოფელ დაბებში ნუ მოაღამებ. 9), შესვენების დროს ფრთხილად და საბატიურად იყავ დღისით და ღამითაცა. 10), რა გზას გაანახევრებ განიახლე აზრი და მხურვალება ღმერთთან და ითხოვე მისგან შეწევნა, მეტადრე მტკიცე მადლი ღვთის მსახურებისა. 11), მოსვლაც რიგიანი იყოს შენი, როგორც წასვლა. 12), სახლში, რომ მოხვალ კეთილი მაგალითი მიეც ყველასა, კეთილმსახურებისაგან ნაყოფის გამოღებითა.

ვ. როდისაც სიწმიდე გამოსვენდეს შენს ეკკლესიაში, ნუ დაიზარებ წასვლას თაყვანის ცემას. ყოველ დღივაც მიდი სიწმიდის წმიდა ზიარების ვიზიტის საქმნე-

ლად სანახავად. რა ვუთხრათ იმ მხურვალედ მოჩვენებულ პირთა, რომ მიდიან მოილოცვენ ყოველ საჯვრე სამარტჳლებს და ხატებსა? გარნა ერთი კჳრაც ისე გადის და თვეცა, რომ იესოს სანახავად არ წავა? ის კი არა, რომ იესო არს უმფრო დაუფასებელი საუნჯე და სიწმიდე წმიდათა! მისგან მიიღებ ყველა მზა შეწევნასა, ყოვლად ტკბილს ნუგეშსა და ყოველ ნაირ მადლსა! რადგან იგივე არს გამოუთქმელი სახიერება და ძალი.

თავი. ზ.

## ყველა კაცის თანამდებობა თავის მდგომარეობის დაგვარ.

მწვე გავრცელდებოდა, თუ რომ ყვე-ლა წოდებისა და აღსავლისა მქონე კაცი-სათჳს თჳთო თჳთო სწავლა აღგვეწერა: ამისათვის ვარჩიე საზოგადოდ საუბარი, რომ ყველა კაცს სწავლად მიერგოს: ყველამ თაჳსი ვალი აღასრულოს და ცხონ-დნენ: დიდი, მცირე, ბატონი, მსახური, ჴელოსანი, მუშა და სხ. რომლითაც შეს-დგება კაცობრიობა.

## სწავლა პირველი

მოთავე ანუ უმფროსი კაცისათვის.

შენი ქვევრდომნი სიკეთეზედ შეაგულიანე, სიავეზედ გააფრთხილე.

### მიზეზი.

ა. ამ ნაირი თანამდებობა მოჰნდვია შენთჳს ღმერთსა, შენს უფალსა. შენს ჴელით მივლობელობა მოუცია ღმერთსა, არა თუ მისთჳს რათა შენი თავს მოსვენება ექმნო, შენი გამდიდრება, შენი სიამოვნება; ანუ უნაღვლელად მართევდე შენს ქვევრდომთა დ დაგეტოვებინოს იგინი უპატრონოდ დ მათ ევნოსთ რამე კორციელად ანუ სულიერად! არა არა: არამედ ღმერთს შენთჳს, რაც ღირსება მოუცია;

მისთჳს მოუცია რომ ქვეყანაზედ როგორმე სახით ღვთის მაგიერობა ჰქმნა, შენი ნიჭიერება მოიხმარო და ნამდჳლის ნეტარებასა ღირსი ჰყო იესოს სისხლით ნაყიდნი ქვეწრდომნი თუ კელქვეითნი შენნი, რომელიც იქმნება ცათი ბოროტისაგან განშორებითა და კეთილ მოქმედებითა. ვაჲ მოგივა, უკეთუ ამ ნაირ საჭირო საგნებს ყურად ღებას არ მიაქციო. მეტად სასტიკად დაგსჯის შენ ღმერთი, ურწმუნო მნესაჳთ (მოხელე თუ თავმდგომსავით).

ბ. იმავე თანამდებობას მოითხოვენ შენგან შენი ქვევრდომნი. შენ იმათ ერთგულობას სთხოვ და მორჩილებას, აგრეთვე მძიმე სამსახურთაცა! ამ ნაირ ტჳრთებს ქვეშ რომ გყავს, რიგი არ არის რომ შენც იგინი ცოდვებისაგან დაიცვა? როგორ უშვებ, რომ შენის უნაღვლელობით ისინი ჯოჯოხეთის გზას ადგიან და სულს იწყმედენ ანუ თუ რა პირით გინდა,

რომ ისინი შენი ერთგულნი იყვნენ, რომლისაც საშვალს არ აძლევ, რომ პირველად ღვთის ერთგული სარწმუნო იყვნენ იგინი?!

გ. შენი სულის ცხონებაც შენგან ამ საქმეს მოითხოვს. ერთს თავჳსუფალს მარტოკა კაცს ეყოფა მხოლოდ ღვთის მსახურება და ღვთის შიში სასუფეველს შესასვლელად სხჳს ყოფა ცხოვრების ყურად ღების მიუქცევლად: მაგრამ ასრე არ არის იმ კაცის საქმე, ჳნც სხვებზედ ზედამხედველობს: მისი ვალია ბეჯითად ყურადღება უნდა ჰქონდეს მათ ზედა. შენ რომ ერთი კრავ დაგეკარგოს სამწყსოთგან, ანუ თუ ერთი მეძებარი ძაღლი მოგიკლან; მაშინვე მოჰკითხამ გაცხარებით მეცხვარესა და მონადირესა, ამისაგან უმფრო უარესად არ მოგკითხამს შენ ღმერთი, რომ ერთი ვინმე შენი ქვევრდომთაგანი დაისაჯოს საუკუნოდ? რადგან სასუფეველისათჳს დაბადებულ არიან და

იესოს სისხლით ნასყიდნი, იმათი სულთა რომ წაწყმდეს, შენი სულიც იმათთან წაწყმდება.

## საქმე.

ა. ეცადე რომ ვარგად ჭმართო იგინი, მეტადრე ეცადე რომ ღვთის მსახურნი იყვნენ. საქმითაც კეთილი მაგალითი მიეც, საქმით დაუმტკიცე იმათ რომ შენ ეძებ მუდამ სიმართლესა, რომ შენ გძულს უსამართლოება, შენ გეშინის მხოლოდ ღვთისაგან, გიყვარს შენ სათნოება ღვაწლი და გძულს ცოდვა და შეცდომილება, მიგაჩნია კეთილი ზნეობის მართალი კაცი და სხ. უკეთუ შენ სიმართლის მოდევარი იქმნები და ღვთისაგან შეიშინებ და სიმართლით იცხოვრებ, იცოდე რომ შენიანნიც შენ ეგრედ მოგეპყრობიან.

ბ. ყველას შრომისა და კეთილ მოქმედებისათჳს გული მოუგე. იცი რა დროს

წაქეზდებიან შენი ქვევრდომნი სიკეთეზედ? როდისაც ნახვენ რომ მათი უმფროსი იმათ სამსახურს აფასებს, მათი ერთგულობის ღირსებასა სცნობს და მათ შრომას კარგად აჯილდოებს. იგინი უფრო შეიყვარე, რომელნიც ღვთის მსახურნი არიან, იმათ მიანდე შენი სახლი და ყოველი რამე: მხოლოდ იგინი გასარგებლებენ შენ.

გ. ბრძლიერთ და ფრიგოთ დაუსჯელად ნუ დასტოვებ. ცოდვილს რომ პატიჟი არ მიეცეს, უმფრო დათამამდება ბოროტმოქმედებაზედა. ეგრეთვე სახლის უფალი, რომ რბილი იქმნება ანუ უნაღვლელი და არც ერთს საქმეს დახედავს, ამით მიზეზს აძლევს კეთილთაცა, რომ ბოროტი ისწავლონ. გინდა რომ საყვედური დრტჳნვა არ იყოს შენს სახლში? ყოველ გვარი უწესობა დასაჯე სიმართლითა პირ დაუფერებლად. ერთს საზღაური აზღვევინე, მეორეს ნება გაუტეხე ან საკანონო მიეცი, ესრეთი მოქცევა

ზოგისათჳს ისეთი სწავლა იქმნების და ასა-
რგებლოის, რომ სამართალისა და ჯოჯო-
ხეთის ქადაგებაც ვერ ასარგებლებს ეგრედ!
დ. რაც უნდა იყოს ცოდვის მიზეზნს
მო-აშორე შენი კაცნი. მიზეზი არა თუ
მარტო ქურდს გახდის კაცსა, არამედ ქა-
ღალდის მოთამაშესა და ავხორცსა, თავთ-
გან კელ აღებულსა და სიავკაცეში შთავა-
რდნილსაცა. ამის გამო ყოველი ძალა
მოიხმარე, რომ განაშორო შენიანები მა-
გისთანა მიზეზებსა: მაგალითად თვალი
გაადე თამაშობის დროსა და სტუმრია-
ნობის დროს რომ ღამე ბევრს არ დაშ-
თენ თამაშობაში. გარდაჰკარგე ის წიგ-
ნები რომელნიც სარწმუნოებისა და კეთილ
ცხოვრების წინააღმდეგნი იყვნენ, დამაბ-
რკოლებელი ხატები სანახავები სრულ ნუ
გექმნების. სავჭრო ზარს ნუ დაუახლოვებ
იმათ, ამ რიგობით ბევრს ასარგებლებ
შენ სახლს, სოფელს თუ ქალაქს, ჯერმც
ერთი კარგი მოქალაქე.

ე. გონიერებით კეთილმოქმედების გზა განხსენ. პირველად იმას წამალი დაადე, ჳნც შენი შემწეობის მომლოდინეა, მალე გააქრე ცეცხლი, სადაც მოჰკიდებია, სრულ პირველად დააკჳრდი რომ მშობლებს შჳლებზედ რიგიან ყურად ღება მიქცეული ჰქონდესთ, ქრისტიანთ სასწავლებელში ჲ საქრისტიანო მოძღვარების სწავლაზედ იარონ გულს მოდგინედ: იმისთანა საბატიური ჲ კარგი მასწავლებელი ჰყავდესთ, რომ ენაღვლებოდეს მათი სულის ცხონებისაცა, ნურაჳს დასტოვებ შენ კაცთაგან ქადაგების მოუსმენლად, არ იქმნას მის მაგიერად აქეთ იქით არამ ტარამად როგორცა სურდესთ ისე ეხეტებოდნენ! შენ რომ გინდა იმათგან შენი სახლის პატივს შენახვა ეცადე, რომ უმფროდ ღვთის სახლის პატივ შეინახონ; ურიგოდ მომქცევნი კი მძიმედ დასაჯე.

ვ. კეთილი მაგალითი მიეც შენს ქვეშევრდომთა. უმფროსის სიტყვა ძლიერის,

მაგრამ უფრო მისი საქმე და კეთილი მაგალითი, სიტყვა დასძარ პირითგან თუ არა, საქმესაც კელი წაუყავ და წინ წაიყვან საქმეს. მართალია ეს არაკი (ანდაზა) თავს დიდგვარ ექმნება ქალსა სახსრები და ბავშობის დიდგვარ იქმნებიან მსახურნიცაო. თუ გინდა რომ შენი ქვევრდომნი სიაჯ-თგან სიკეთეზედ შეიცვალნენ მართლა, ეცადე, რომ ყველამ ჯერ შენი კეთილობა ნახონ და ტკბილი სუნი მიიღონ სისაბატიურისა, სათნოებისა და სიწმიდისა: გინდა რომ კეთილნი იყვნენ იგინი, შენ უთავე მათ და უწინამძღვრე ე. ი. აღსარებას თქვ და ათქმევინე და აზიარებინე იგინიც არა თუ წელიწადში ერთხელ აღდგომას, არამედ მრავალჯერ, ეკლესიად ლოცვაზედ ნუ გამოაკლდები, ქადაგებაზედ დაესწარ მუდამ, მაშინ ნახამ თუ რამდენს ისარგებლებენ ისინი შენის კეთილი მაგალითით და როგორ კეთილ გზას დაადგებიან შენის მიხედვით!

## სწავლა მეორე.

## ქვევრდომისათჳს.

## დაემორჩილე შენს უმფროსებს.

### მიზეზი.

ა. ამ მორჩილების თანამდებობა თჳთ ღმერთს განუწესებია. ღვთიურმან განგებულებამ ინება, რომ გონიერ დაბადებულებში ზოგნი მბრძანებელნი, ზოგნიცა მორჩილნი ყოფილ იყვნენ მბრძანებლებს მისცა შეძლება და საჭირო ჭკუვა, რომ თჳთ იგი წარმოადგინონ ქვეყანასა ზედა: გარნა ეგრედ, რომ ყოველი ანგარიში უნდა მისცენ მას დაწვრილებით, უკეთუ რამე ნაკლებულება მოუხვდესთ. დამორჩილებულნიცა დაარწმუნა: უკეთუ მისგან დადგინებულთ უმფროსების და-

რიგებას და კანონს შეინახვენ, მისი ღვთიური ნების აღმსრულებლად შეირაცხჳან! ამისთჳს ამბობს პავლე მოციქული: ჳც თაჳს ჴელმწიფესა და მთავარს წინაღუდგება ღვთის წინააღმდეგი იქმნებათ. გინდევ ამაზედ უცხადესი სიტყვა გინდა შენის მორჩილების თანამდებობის ცნობისათჳს?

ბ. იმავე თანამდებობა-ზედ შენი ჭკუვალ გვმო-წმებს. რომ ნასხამნი უნდა ემორჩილებოდნენ თავსა და არა თავი ნასხამთა, ძნელიც არის, კაცმან თაჳს თავსა და თაჳს საქმებსა ზედა სწორე განსჯა მისცეს, რადგან თაჳს მოყვარულობა ანუ სარგებლობის მოყვარულობა შუაში შემოდის და მით ტყუვდება კაცი, ერთ ჳსმეს, რომ უნდოდეს თაჳსი თაჳს მართვა და სრულ არა ვის ექვევრდომოს, ცხადს განსაცდელში მისცემს თაჳს თავსა; მეტად დიდს შეცთომილებაში შთავარდება, საშინელს სიძნელეს გასწევს და უგანასკრელი დაქცევა

მიადგება! ერთი ამპარტავანი კაცი რომელსა არც დაოკება უნდა და არც სჯულის ეშინია, უაღვირო გამხეცებულ ცხენზედ უარესია!

გ. საზოგადოების სარგებლობაც იმ მორჩილობის თანამდებობას მოითხოვს. უშიშრად ვერას დროს ვერ იქმნებოდა არც მთავრობა, არც ქალაქი, არც გზა და არც ყველა კაცის სახლობა, უკეთუ ყველა კაცს მბრძანებლობისათჳს ეწინააღმდეგებინა და სრულიად მორჩილობა არ ეკისრა, მაშინ ნახევდი ყოველ ნაირს ანღვრეულობას, შფოთს უთანხმობას და რასაც ურიგობას იტყჳ, საკჳრველი განწყობილობა კავშირთა ინახამს ქვეყანასა მტკიცედ: ესრეთვე სამოქალაქო ქვეყნიერობაც მმართველთ და სამმართველოთ თანხმობითა ინახება, როგორც სახსარნი თავჳს მითითებით თუ მოძრაობითა და შენობა საფუძველზედ დამყარებითა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე.

ა. დაემორჩილე შენს მთავარსა, სულიერსაცა, ჴორციელსაცა. თუმცა რომ აკლდესთ გონიერება და სხვა სათნოებანი შენ იმას ყურე, რომ შენი ზედა მხედველნი არიან და შენთჳს ღვთის მაგიერად მოცემულნი. ქრისტეს სახე ტილოზედ იყოს თუ ფიცარზედ; პატივს არ მისცემ? არ გიკჳრს, რომ მზე მთელი ქვეყნის დიდი მნათობელია? თუმცა ბეწვებიც აქვს და ზოგჯერაც დაბნელდება ხოლმე!

ბ. დაემორჩილე გეუბნები შენს უმფროსსა, როდისაც სჯულიერია ბრძანება. უკეთუ ღვთის სჯულის წინააღმდეგი ყოფილ იყო ბრძანება, რა ეჭჳ არ იყო გასაგონი: რადგან მაშინ იგი ბოროტად იხმარებს თავს შეძლებასა, თჳთ თავის მთავრობის წინააღმდეგ იქცევა და შენ ვალი არა გაქვს იმ დროს, რომ დაემორჩილო; ისრე რო-

გორც თუ ეთქვა: მამი შენის ანუ დედი შენის სისხლში შედით!

გ. მორჩილობა გქონდეს მის მიმართ ჴმის ამოუღებლად, უდრეკველად და უფროსზედ სჯაში შეუსვლელად. განა კრიტიკის მოუცემლად თუ არა და რა სარგებელი გექმნება შენ? უნდა აწვალო შენი თავი და შენი უმფროსიცა! ვსთქვათ თუ შემთხვევამ მოიტანა, რომ იჭვნეულობ მის ბრძანებასა ზედა, საქმნელია თუ არა? მაშინ გულ მართლობით მიდი აჩვენე შენი სჳნიდისი: ისიც თუ ჭკჳანი კაცია, შენს ჯეროვანს მიზეზებს არ უწინაღმდეგებს.

დ. მორჩილობა გქონდეს მდაბალი გულითა და მორჩილებითა. ეცადე კარგად მიიჩნიო შენი უმფროსი, ჯრემც თუ ნაკლებულობას უჭერდე, უძლურებას და ბრალს უხედემდე მას, ღმერთს შეეძლო სხვა მბრძანებელი მოეცა შენთჳს: გარნა შენი ერთგული მორჩილობა ეგრედ ცხადად

არ გამოჩნდებოდა, როგორც აწინდელს შენი უმფროსის ჴელ ქვეშ. მუდამ ფიქრში გქონდეს, რომ შენი მბრძანებელი მარტო საზოგადო კაცი არ არის, არამედ თჳთან ღმერთი თვალს გიშვრება შენ მისი ჴელით!

ე. ეგრედ დაემორჩილე, რომ ერთგულად აღასრულო შენზედ მონდობილი საქმე. კეთილის სარწმუნოებით დ̃ ნამდჳლობით აღასრულე შენი თანამდებობა დ̃ ვალი, ეგრედ რომ შეგეძლოს ღვთის წინაშე პირ ნათლად ანგარიშის მიცემა. დ̃ კაცის წინაშეც პატიოსან პირად აღმოჩენა დ̃ ასცილდე იმ უბედურობას რომელიც შეუდგება მოღალატობასა დ̃ ორგულობასა დ̃ გარდახდებათ ხოლმე თავ ზედ მოღალატებსა ის დიდი რისხვები, ნაირ ნაირი ზარალნი დ̃ ბოლოთ დაქცევა?!

ვ. მორჩილობა გქონდეს ღვთის სიყვარულისათჳს. ღვთის წინაშე შესაწყნა-

რისია იმ რიგი მორჩილობა მხოლოდ, რომელიც ზესთაბუნებრივ მიზეზისაგან მომდინარეობს და არა თუ კაცებრივ მოხედულობის მსახურებრივ აზრით წარმომდგარი. ამიტომ რომ უკეთუ მაგ სახით იქმნას, ყველა მცირე და სუბუქი საგანიც შენ გეწინაღმდეგება და გინდა რომ თავთაგან აიცილო, დაიწყობ დრტვინვას, ყვედრებას, წყევლას, სხვასაც დაბრკოლებ და შენს სულსაც წარიწყმედ.

სწავლა მესამე.

მამასა და დედასა ზედა ერთის სახლობისა.

ეცადე ყოველ ღონით, რომ სახლეულნი შენნი ქრისტიანეულად ცოცხლობდნენ.

6. ამ გვარად მოსავლელნი ღვთის ყოვ

კურთხევას მიიღებენ. რიერთიც გნებავს იშრომე, სიბრძნით მოიქეც ეკონომია ისმარე, ყოველი საქმე გაარიგე; გარნა იცოდე ღვთის უკურთხებლად ჴელი არ მოგემართება. ამ ღვთის კურთხევასაც ნურას დროს მოელი, უკეთუ არ ცდილობ რომ შენს სახლში მყოფთ წმიდა ცხოვრება ჰქონდნენ! მხოლოდ ღვთის მოშიშარობა არს საფუძველი ყოველი ბედნიერებისა.

ბ. ამ ნაირი საქმები მონაღვლეობა სიკვდილის დროს დიდს ნუგეშ მოგცემს. სიკვდილის კარს, რომ მისდგები შენმა სულმან რას უნდა მიჰმართოს ნუგეშის მისაღებლად გგონია სიმდიდრესა? ოქროსა, ვერცხლსა? რომელიც მწარე ოფლით შეგიკრებია? სრულიად ნუ გგონია! არამედ შენს წმიდა სჯინდისსა უნდა მიჰმართოს, ეგრედ, რომ შეგეძლოს ამ სიტყჳს თქმა: ყურადღება მქონდა' რო ჩემს სახლეულთ ნამდვილ ქრისტიანულად ეცხო-

ცხლათ: სრულ არ მახსოვს, რომ როდე-
სმე განგებ დამებრკოლებინოს ჩემი სახ-
ლეულნი: ღვთის ჩემდა მონდობილ პირ-
თაგანი ჩემის ბრალიერობით სრულ არა-
ჳნ წარმიწყმედია! იცი თუ როგორ გაგი-
ადჳლდება შენი სიკვდილი, როდისაც შენს
სჳნდისს არაჳთარი დანაშაული არ ექ-
ნება სხვებზედ უნაღვლელობისა?

გ. იგივე კეთილი მიდრეკილება გამო-
ჳთქმელს სიხარულს მოგიმზადებს შენ ცა-
თა შინა. უკეთუ ერთი ჳნმე ცეცხლითგან
განგეთაჳსუფლებინა, რაოდნად მოხარუ-
ლი იქმნებოდი შენი დღენი? მაშ რაოდ-
ნად უკეთეს საქმეს იზამ, რომ მთელი
სახლეულნი შენნი გარდარჩინო ჯოჯო-
ხეთის ცეცხლსა? იმ პირმან რამდენი მა-
დლობა უნდა მოგახსენოს სასუფეველში
და როგორ უნდა გული შეგხარიდეს?
როდისაც უთვალავ წმიდანების წინაშე
უნდა გიმოწმოს, ეს გახდა მიზეზი ჩემი
ცხონებისა, ამის დამხსნელი ვარო! იმ-

დენად უმფრო განგიდიდდება შენ სახელი, რამდენის ცხონების მიზეზიც გამხდარ ხარ!

## საქმე.

ა. რა კაციც რომ შენის სახლის მსახურად გინდოდეს, ნუ დააფასებ მის გარეგან ნიჭს, ძალს და გამჭრიახობასა. რაში გამოსადეგია ძალიანი და გამჭრიახი მსახური, რომლისაც ურიგო ყოფა ცხოვრება აქვს? მისთანა კაცი გამოირჩიე მსახურად რომელიც კეთილ საიმედო იყოს და დაბრძნილი ყოფვა ქცევისა. ერთი ღვთის მოშიში მსახური შენს სახლს ღვთის კურთხევას გარდამოსცემს: ღვთის უშიში კი რისხვას! გარნა რადგან გულთმისანი არა ხარ, შეიძლება მოჰსტყუვილდე, გარედგან კარგი სჩნდნენ და შინაგან წამხდარნი. ამას გამოცდით გაიცნობ საქმეში, ჴელს მოგცემს თუ არა?

ბ. თავითგანვე გააფრთხილე მსახურნი შემოყვანილი, რომ სრულიად ვერ ავიტან ჩემს სახლში ღვთის სჯულის წინააღმდეგ საქმესათქო. დაჭირდი კარგს სმა ჭამასა, კარგს ჯამაგირსა, მომატებასაცა, უკეთუ კეთილი ყოფა ქცევა ექმნებოდეს და ამ სახლითგან კარზედ არ გავიდოდეს. იცი თუ რამდენს ცოდვის გზას მოუკვეთ, ამ გვარი გაფრთხილებითა.

გ. დრო დაუნიშნე შენს სახლეულთა ლოცვისა ღვთის სამსახურად თავიანთ სჯულის ცხონებისათვის: და იმ ნაირს საგნებში თვით შენვე ექმენ მაგალითი. საშვალი მიეც, რომ უქმე კვირაობით ეკკლესიაზედ წარვიდნენ ქადაგებასა და საქრისტიანო მოძღვარების სწავლა ზედა დაესწრონ, წირვის მოსმენის ვალი მისთანა დღეებში მიუცილებლად აქვსთ: შენ ეცადე ყოველ ღვთის დღეს შეაჩვიო წირვის მოსმენასა, სრულ ნუ გართობ იმ რიგ საქმეებში რომ დაუბრკოლოდესთ მით სულიერი გზაკვალი.

ხშირად აღსარების თქმა და ზიარებსა, მხო-
ლოდ თვალ ყური გქონდეს, რომ სული-
ერი კეთილი საქმის მიზეზითა, ურიგო
ადგილას არ სად არ წავიდნენ.

დ. შენის სახლითგან განაძიე, გისაც ნა-
ხამ ღვთისა და კეთილ მოქმედების წინამძღ-
ღვება. ნუ გააბოგინებ შენს სახლში
დაშლილს წიგნსა, ნურცა ურცხვ სურათსა
თუ ძეგლსა, რამდენიც კელოვნური და შე-
სანიშნაჯ იყოს. არამედ ეცადე, რომ მო-
რთო შენი სახლი კეთილის წიგნებითა,
წმიდა და კეთილ სამაგალითოცხოვრების
წარმომდგენელი ხატებითა. რომ რაც შე-
იძლება კელოვნური იყვნენ! შენს სახლში
არ ითქმოდეს, არც გაიგონებოდეს წყე-
ვლა გინება ყვედრება, გმობა, უპატიური
სიტყვები თუ სიმღერები და ანუ დამაბრ-
კოლებელი სიცილ ხუმრობა. დაუშალე,
რომ ღამე კარზედ არა ვინ გავიდეს: და-
ახლოება და მოყვრობა არ განჩნდეს მო-
ახლესა და მსახურთ შუა. ქრისტიანე კაცის

სახლი უნდა იყოს სამყოფი ღვთის ში-შისა და არა უწესოებისა!

ე. ერთი ბეწვა ურიგობაც, რომ ხანხა შენს სახლში წამლობას ნუ შეაყოვნებ. არას არგია რა კაცს განზრახვა, რჩევა, რა რომ ცეცხლი საძირკვლითგან სახლის სა-ხურ ყავარს შესწვდება! შენის მსახურის თუ მოახლის გზა კვალი თუ არ მოგწო-ნს ერთხელ ასწავლე, მეორედ ასწავლე; მესამედ რომ არდარ იქმნება შერცხვენი-ლნი გზას დაუყენე, გაიცალე განაძე გა-რეთამდინ, ნუ დააყენებ რომ დაჩრკოლე-ბა, ანუ განსაცდელი საქმით შესრულდეს შენს სახლში, ბზისა და ცეცხლის ერთად შენახვა არ იქმნება.

ვ. თვალი გეჭიროს შენს სახლს მდგურ-თა ზედაცა. ყველა კაცს ნუ მიაქირავებ შენს სახლსა. უმთვრო უმჯობესი არს სახლი ცარიელი დაგიშთეს, ვირემც თუ ურიგო პირნი მოაიყენო სახლებში.

## სწავლა მეოთხე.

### ქმარსა და ცოლსა ზედა.

### თქვენი აღთქმა მუდამ გაიხსენით ხოლმე

### მიზეზი.

ა. გვირგვინი წმიდა ხვედრი არის, ეკ-კლესიის ერთი საიდუმლოთაგანი. მისი მიმართულობაცა დიდი არის: რადგან იმისთვის არს განწესებული, რომ განამრავლოს ძენი სასუფეველისა! ამისთვის დაამტკიცა იგი ქრისტემ და წმიდა საიდუმლოებათ მწყობრში აღიყვანა. მაშ აბა რიგი არის, რომ თქვენც ღირსად ჰპატივსცეთ? ფიცის გამტეხნი იქმნებით, უკეთუ ჯვარის წერის დროს შეპირებულ აღთქმას არ აღასრულებთ.

ბ. გვირგვინი თუ ქორწინება ძნელი ხვედ-

ჭირდ არის. გზა არის სავსე ეკალნა-რითა. რა ნაირს შეწუხებას აძლევენ შვილე-ბი თუ მსახურები? რამდენს ძილს მოსვე-ნებას უწყვეტენ? მოლალჳსა ჲ მოფეთქჳს მიზეზი უხდებიან ყოველ დღივ საჭირო-ების ჲ სარჩოს შოვნისა გამო? ზოგჯე-რად ქმარი ჲ ცოლი ერთი ერთს მძიმე ტჳრთად გაუხდებიან, რიერთ ხანსაც გაუ-წევსთ ამ ნაირი მდგომარეობა, იმდენი იმ რიგი სიცოცხლე მოსწყინდებათ, მაშ მეტყჳთ: როგორ უნდა გავატაროთ მხია-რულად ცხოვრება? ასრე უნდა რომ მტკი-ცედ დადგეთ თქვენს სიტყვაზედ ჲ სრუ-ლიად არცა ერთი შეწუხებისათჳს ერთმან ერთს არ უნდა გაუწყრეთ, თვარემ თქვე-ნი გჳრგჳნი განსაწმედელ-ზედ (სალხინე-ბელ-ზედ) უმეტეს მრავალს წვალებას მოგცემს თქვენ.

გ. აგრეთვე შეუცვლელი მდგომარეო-ბა არის. ნასკჳა, რომ სრულ არ გაიხსნე-ბა, სანამ ერთი ან მეორე არ მოკვდებო-

დეს. ეს რომ ასრეა, რა უბედურობა იქმნება, როდესაც ერთ-მან-ერთის სიყვარული არ ექმნებათ, სიხარული, კადნიერება მიჩნევა თუ ნდობა აღარ დაშთება; არამედ მათ ნაცვლად შევა სიმძულვარე, უთანხმობა, წინააღმდეგობა ყოველ ნაირი. ამ რიგ ქმარსა და ცოლს არც ბედნიერება ექმნებათ და არც ღვთის კურთხევა; თვალითგან გამოვარდნილნი დაშთებიან თავიანთ უწესობისა და ცოდვის რისხვად, სააქაოსვე ჯოჯოხეთში იქმნებიან! თუ გინდათ ამ ნაირს უბედურობას ასცილდეთ, თქვენი აღთქმა მტკიცედ დაიცვეთ?

საქმე.

ა. შენ სიბე ხარ თუ სბალი, ქმარი ან ცოლი, ხშირად გაიხსენიე ის პირობა, რომელიც ჰქმენ ღვთის წინაშე თუ წმიდა საკურთხეველისა. იგი უბრალო ტიპიკონი არ იყო, არც მოჩვენებული დიდება, მღვდე-

ღმან პირდაპირ მოგითხრა ქორწინების ვალი; შემდგომ შეგეკითხა სიძესა და სძალსაცა, მიიღებ ამ პირსა სიყვარულითა? შენც შეჰპირდი მტკიცედ მოწმებთანა.

ბ. დიდი ღირსეულობა გქონდეს მაგ ხვედრისა. ქვეყნიური თვალით ნუ შეხედამ წარმართისაჳთ, არამედ როგორც წმიდა საიდუმლო ისრე შეიტკბე. ნუ დაივიწყებ გახსოვდეს მუდამ ძველი და ახალი აღთქმის წმიდანი, რომ თქვენსავით ქმარი და ცოლი იყვნენ, რომ ერთგულად აღასრულეს თაჳანთი თანამდებობანი.

გ. გიხაროდეს და ღირსება იცოდე შენის შვილებისა, რომ ღმერთის მონიჭებია შენთჳს. იგი კაცთ-მოყვარე და სახიერი მამა არს ღმერთი, რომელიც ინახამს მფრინველებსა, მატლთა და მწერთაცა! შეიძლება რომ არ იზრუნოს თაჳს ხატ ზედ დაბადებულ კაცთათჳს? ესეც განიზრახე, რომ ქვეყანა ზედ ყოველი მდგომარების მწევრსა თაჳსი ტვირთი აქვს: შენც შენი

უნდა იტჳრთო ღვთის შეწევნითა. რა დიდი სიხარული მიეცემოდათ წმიდათა მამამთავართა, როდისაც მათ ღმერთი ახლად შჳლს მიანიჭებდა ხოლმე! არ უნდოდათ დამცხრალიყვნენ ღვთის კურთხევისაგან და ასრე ძლიერდებოდნენ სხვა და სხჳა თანამდებობის აღსრულებისათჳს!

დ. უკეთუ იჩვნეულობ რასმეს ამ გვარ თანამდებობაში, შეეკითხე შენს მოძღვარსა. ამით არა თუ მარტო ასცილდები მრავალ ბრალთა, არამედ შენს სჳნიდისაც გამოიყვან ათას ნაირი მიკიბ-მოკიბული განზრახვათაგან!

ე. შენს მეუღლესთან სიყვარულიანობით და მშჳდობიანობით იცოცხლე, რიგიანად და პატიოსნურად. სადაც ერთი ცხოვრება არს, ღმერთიც იქ არის და მასთან მისი კურთხევა. თქვენ შორის ყოფილი სიყვარული განქარდების მუდამ დღე ჩხუბისა და ერთმან ერთთან უკმაყოფილობისაგან, ამის გამო ყოველ ნაირად ერი-

დეთ თქვენი ნების და თქვენი სურვილის აღსრულებასა. ნუ მიეჩვევით გამუტვასა უბრალო რამეზედა, რომლისაც თქვენი ნება წინ არ წავა, სრულ ნურავერზედ ნუ ასირდებით, სადაც ღვთის წინაღმდეგი არა მოხდება რა ანუ იქმნება რა სიჩუმით გარდაასტარეთ, ანუ თქვენი ნათქვამი დაჯწყებას მიეცით. მოგვრილობით ჯავრის ჩატანას თუ მაგიერის გარდახდევნებას ნუ მიჰყვები, სადაც დიდი სავნო არა იყოს რა თვალ ყური აარიდე. უკეთუ საჭიროდ დაინახო თქმა და შეტყობინება შენის მეუღლისა ტკბილად მოუყევ: ყვრილითა და კამუკით დიდ ვერას ისარგებლებ რა! ნუ დაიჯერებ ყველა სიტყვას და ამბავსა, მეტადრე ყურს ნუ ათხოვებ მაჭანკალს ადამიანსა. ღვთის გარეგანი კაცნი ცდილობენ, რომ გაუმწარონ თვალ-ნაჩენ ოჯახობას კეთილი ცხოვრება!

ვ. რაჟამე უსიამოვნება რა მოხდება, მაშინ საჭირო არს კეთილ მოქმედების ხმა-

რებთ ღმერთ-ზედ მინდობითა. საკუთრად ლოცვა უნდა დაიჭირო, ანუ შეუკვეთო სხვათა, უკეთუ შეგიძლიან წყალობაც უნდა დაარიგო. ღვთის მშობელს ჲ მამა იოსებს უნდა შეავედრო, ყოველი ღონის ძიება უნდა მოიხმარო, ჯერე შენს მეუღლეს ღმერთმან მადლი მისცეს. რა არა ფერი დაგეგვაროს, ღვთის ნებას დაეთანხმე, განიზრახე რომ ღმერთს მისით უნდა შენი სათნოებაებში გაწაფვა, ანუ შენი ცოდვების საკანონოს გარდახდევნება. მოთმინება ყოველნაირი ჭირის წამალია: ღმერთიც სააქაოსა თუ საიქაოსა სასყიდელს მოგაგებს.

### სწავლა მეხუთე.

ქვრივად დამჯდარი კაცისა თუ ქალისათვის.

მღჳძარედ და ფრთხილად იყავ.

## მიზეზი.

ა. ქვრივობის მდგომარეობა მრავალ გვარ განზრახვაში შეიყვანს ადამიანსა. ის ნაღველი, რაც ორთ მეუღლეებში გაზიარებული იყო, ახლა ერთიან ერთის თავს დაატყდება: მთელი სახლის ზრუნვა, შვილების ზრდა, მსახურების გაძღოლა, სხვა წიწკტი საქმეებიც ზედ მეტი! რა კაციც თვალ ყურიან არ იქმნება, გულ მხნე და გამჭრიახი, იქმნება კიდევაც ღვთის დაჯწყუების განსაცდელში შთავარდეს, არ დარ დაახსნოვნდეს არც სული და არცა რა კეთილი მოქმედება.

ბ. მრავალი წინაღმდეგი თავს გარდახდება. ყოველ გვარ მდგომარეობას თავის კერძი ჭირი და შეწუხება აქვს: გარნა ყოველთასგან მომეტებული ქვრივსა. უკან დავსტოვოთ მოვალეობანი, ყოველ დღის საჭიროება სახლისა, სნეულობანი; რა-

მოდენ შეწუხებას მოაყენებენ უსარწმუნო-მსახურნი; ურჩი შვილები, ცრუ მეგო-ბრები, გამკვრელ გამგლეჯი ნათესავები? რამოდენა ჩხუბი ⁊ დაჲ დალაბა გაჩნდება გაუწილავ სატხოვრებელსა ზედა რიგით განონითა? ესენი ისეთი მძიმე საგნები არიან, რომ საბრალო ქვრივ თაჳს ქმრისა ანუ ცოლის შემდგომ, თუ მარჯვედ არ დაუხვდა ⁊ ღმერთს არ მიანდო თაჳს სა-ქმე, უსასოებაში შთავარდება ⁊ დიდს გა-ნსაცდელში მიეცემა სახლის უმფროსის სიკვდილის შემდგომ.

გ. მრავალი განსაცდელნიცა წინა უძევს. ამისთჳს სასაცილო გახდება თუ რომ კე-ლახლავ ქვეყანაში შესვლა მოინდომოს, საბრალო მოსვენებულის ფიქრითა, სი-ტყვითა ⁊ საქმითა: მაგრამ მაინც კიდევ განსაცდელში აქვს თაჳ, უკეთუ სრულ ქვრივად დაშთეს: მეორე მხრითაც აგრეთვე თუმცა ხნიერიც იყოს, მაინცა მთასა მაგნე ცეცხლი უნდა ჰქონდეს. ამისთჳს

ყოველს კერძოდ სიფრთხილე უნდა იხმა-
როს ამ მდგომარეობაში მყოფმან ადა-
მიანმან, რომ ღვთის მოშიშობის გარედ
არ გაჴდეს.

## საქმე.

ა. დაქვრივდი თუ არა, მაშინვე ღმე-
რთს შემწეობა სთხოვე. ქვრივობის გო-
ნებაში წარმოუდგენლად, ყველა შენი სა-
ქმე როგორც უშიშარს ადგილსა, ღმე-
რთს მიანდევ: თვარემ მრავალნი ეკალნა-
რნი გიწყობენ ჩხვლეტასა, პირველადვე
შენი სჳნიდისი აღსარებით განიწმიდე და
მტკიცედ აღუთქჳ, რომ სახლის მმართვა-
ში ღვთის სჯულისა და კანონის გარედ არ
გაჴდე,

ბ. კეთილი მაგალითი მიეც ყოველთა
შენს სახლში. დიდ საქმეს გაარიგებს მა-
გალითი, ჯერმც თუ ლაპარაკი და სიფი-
ცხლე, ყველასაგან უფრო სისაბატიურ

იქონიე ლაპარაკში, მოძრაობაში და ყო-
ველს საგანსა შინა სიბრძნე აჩვენე. პა-
ვლე მოციქული ბრძანებს; იმ ქვრივს,
რომელსაც სიამოვნისა და ნებიერობისა-
თჳს თავ მიუცია; იგი ცოცხალი ცოცხალი
მკვდრად დაითვლება.

გ. გამკნდი და დაორკეცილე შენი ცდა,
სახლის რიგიანად მართვისათვის. შენი
ჭკუა და ცნება დაჰყარე შვილების რიგიან
ზრდა ზედა, რიერთიც წიწვიტი იყვნენ:
წამოზრდილთაც კელ შეწყობით მოეკიდე
მიჩნევითა; სახლეულთ მცირე უწესოება-
ზედაც ყურადღება მიაქციე, დაიოკე მოგ-
ვრილობით და გონივრულად: საშური
საქმეებზედ კელი წაუყავ, შრომას ნუ გა-
ექცევი; ყველა საქმე ყოფაზედ ანგარი-
ში მოსთხოვე თავის დაგვარ.

დ. შენს შემწედ აიყვანე ის პირი, ვის-
ზედაც გულიგენდობა. უკეთუ გყავს მოს-
წრებული გონიერი ვაჟი, თუ ქალი რი-
გიან ყოფა ქცევისა: უფრო ისინი მო-

იხმარე საოჯალო თადარიგზედ. თუ არა ჭ ღვთის მოშიში დაბრძნილი ვინმე იშოვნე, რომ ჴელითგან საქმე გამოუვი-დოდეს, მოზარული ზარმაცი არ იყოს, ზედ ეჭვი არა გქონდეს რა.

ე. გული ნუ გაგიტყუდება საქმის სი-მარცხე-ზედა. ლოცვით ღმერთს მიჰმარ-თე, სარწმუნო შენს მეგობრებს შეეკითხე, ან შენს მოძღვარს: ყურს სრულ ნუ უგ-დებ მეჭორე მოყმედეთა, რომ გული არ აგეცრუოს: თვალ-ყური ღვთის ბრძანება-ზედ გქონდეს; მაშინ ყველა საქმე რი-გიან წავა.

ვ. სრულ ყველაზედ უწინ შენი სულის-თვის ინაღვლე. საზოგადოდ დაქვრივე-ბული შუა ადამიანი იქმნება: სიკვდილი საუკუნოებით ნელ ნელა ეახლოვება: დროს დაკარგვა არ ივარგებს. გამოე-სალმე ქვეყნის ამაოებასა; რადგან კეთილ მოქმედების მეტი არა წაგყვება რა ღვთის წინაშე. თუ რომ მარტოკა ხარ, ან უშვი-

ლო, ანუ საქმეც რიგიან გაგიყწჯა, უმჯო-
რო გაგიადვილდება ღვთის სამსახური დ
შენს სულზედ მოცლა. დროებას უქმად
ნუ გაატარებ, იმუშავე ისაქმე, ილოცე. ეკ-
ლესიას ზედ იარე, სულიერ წიგნის კით-
ხვასა დ ფიქრის ლოცვას შეეწყევ. შენის
ქონებითგან კერძი დაუდევ ღატაკ გლა-
ხაკთა სანუგეშოდ, ეკკლესიათა გასაპრწ-
ყინებლად: შენთვისაც ინაღვლე, შენის
ნათესავებისთჳსაცა, დიდი სარგებლობა
მოუტანიათ ქვეყნისათჳს დაქვრივებულ
კაცთა თუ დედათა, თავიანთ კეთილის
ცხოვრებითა, ლოცვითა დ თავიანთ კეთილ
სახსოვარებითა.

## სწავლა მეექვსე

### მამა დედებისათჳს.

### შვილები აღზარდეთ ნამდჳლი ქრისტიანული ზრდითა.

### მიზეზი.

ა. მეტად მწარედ დაგიჯდება, თუ რომ რიგიან არ აღზარდო შვილები. სრულიად იმედი ნუ გექმნება, რომ შენი შვილები მოგეკრძალნენ, სიკეთე სცნონ, დაგემორჩილნონ, როდესაც შენ სჳნიდისით არ მოიქცევი, შენს თანამდებობაზედ ყურადღებას არ იქონიებ კეთილად აღზრდისათჳს შენი შვილებისა, თვალს მოარიდებ იმათ ნაკლებულობასა და არ ამხილებ მათ. მაშინ ისინიც პირს აიღებენ, დაგცინებენ, შეგეზიზღებიან და უკანასკნელს უბედურო-

ნაში მიგაწევნინებენ, ღვთის რისხვის სა-
ჯურველად გექმნებიან შენი შვილები შენ;
უწყალო სატანჯველად და მტარვალად გა-
გიხდებიან შენ, სრულ მალე მწარე გული-
თა შთახვალ საფლავში.

ბ. მეტად დიდ პასუხის გებაში მიეცემი იმათთვის. რა ჰასუხი უნდა მისცე ღმერთს საუკუნო მამასა, რომლის სახე წაგიმხდია ამოგიხოცია შენის შვილების გვამითგან? რა ჰასუხი უნდა მისცე ძე ღმერთსა, რომლის სისხლი უქმად ჩაგიტარებია შენს შვილებზედა? რა ჰასუხი უნდა მისცე სული წმიდასა, რომლის ტაძარი უძლებლობის ქვაბად რომ გარდაგიქცევია? ახლა შენს შვილებს რაღა ჰასუხს აძლევ, რომ ეგრე ცუდად აღგიზრდია, ზოროტი მაგალითი მიგიცია, მაგათ მაგდენა გარყვნილობისათჳს თვალი მოგირიდებია, ბოროტზედ წაგიქეზებია და პირველი მიზეზიც შენ გამხდარ ხარ?! თქვენ ბეუბნები მამებო! დედებო! რა ჰასუხი უნდა მის-

ცეთ საიქაოს? დღეითგანვე განიზრახეთ!

გ. საყუვუნოდ დაისჯებით თქვენ ვიდევძა. თუ რომ შენი შვილები წარწყმდებიან შენი ურიგოდ გამოზრდითა, რადა იმედი უნდა გქონდეს? თუ არ შენც იმასთან უნდა წარწყმდე! საზარელი საქმე არის ესე. თუ რომ კარგად დააკვირდები! ეგ რა საშინელი რამ არის, რომ შენი შვილები შენის ჴელით საჯოჯოხეთოდ მოამზადო; ისინიც შენ ჯოჯოხეთში თან შთაგითრევენ! ახლა რა გასარგებლა შენ იმოდენი შრომით, რაც შენს შვილებზედ გასწიე? გერჩია შენ, რომ ისინი არ შობილიყვნენ, ანუ მონათვლისავე დაკოცილიყვნენ?

## საქმე

ა. რაც შეგიძლიან რიგიან შეინახე შვილები. ერთს ყმაწვილს თავის საჭირო სახმარნი, რომ არა ებადოს რა, დედ მამის

უნაღვლელობითა; სრულ მტირედნი აღმოირჩევიან, რომ არ გაირყვნენ. ბოროტი მრჩეველია შიშილი, მეტადრე იმისთჳს, ვინც ჯერედ არ შესჩვევია მოთმინებას დ ჭკუის ხმარებას. რამდენი ახალ გაზრდანი განმართლდებოდნენ, თუ რომ მათ მშობლებს ცოტა მეტი ყურად-ღება ჰქონოდათ მათ რიგსა დ წესიერებაზედ მოსაყვანად?

ბ. ყრმათ მო-მავალს სახმარს საჭიროებასა ზედაც, ყურად-ღება ადევნე. ამ რიგობით მომზადდება გონივრულად მათთჳს მცირე ფულის სამთავნო ან სახელობო, რომ მომავალად სარჩოს გზა კვალი ჰქონდესთ, ეცადე რომ კითხვა წერვა ისწავლონ ერთი რამ ხელობა, მოსაგებიანი საქმე. ამისთვის წასაგებს ნუ დაზოგამ, პირიდგანაც მოიკელ თქვენ ზეუჩნები მამებო! დედებო! თქვენ მალე გამოაკლდებით ამ სოფელსა: სვე ბედი, ანუ გამარჯვება ათას ნაირი შემთხვევის

ქვევრდომია, მაგრამ, რასაც ისწავლიან თქვენი შვილები, კეთილ ცხოვრებას, კარგს ჴელობასა, ის დაუმთუბიათ სარგებლად.

გ. ყმაწჳლებისთჳს ჩასაცმელ დასახურავ იხადვლე, მათი მდგომარეობის დაგვარ. შენს სახლს არა ეზიანება რა დიდი მათი რიგიანად ჩაცმა დახურვთა. წიწჳტი ყმაწჳლებიც რომ იყვნენ დაგლეჯილი ან დაფრეწილი არ ჭქონდესთ რა ტან ფეხზედ, აგრეთვე შენს მეუღლეს, ყოველსა შინა შენ პირველად მაგალითი მიეც სხვათა.

დ. სრულ წინა-წინ ექადე, რომ ყმახვოდ ფცლოდველად შეინახო ისინი. ამისთჳს თვალ ყური ადევნე, რომ დასაბრკოლებელი საქმე არ ნახონ, არ გაიგონონ, ყმაწჳლობისავე შეგიძლია გასტეხო ისინი: ცოტა რამ მოზრდილთ შეუძლიანი ყოველ ნაირი სიტყვის მიჩვევა. ნუ დაანებებ თავს, რომ ძმა ძ და ერთ

ქვეშ საგებში ერთად დაწვნენ წვრილმბიც რომ იყვნენ: თაჳანთ ნებისად გარზედ არ გაჳდნენ. სხჳსას არ მიჳდნენ. ყველა რამისა ანგარიში მოსთხოვე. ჩუმად თვალ ყური ადევნე, რას შვრებიან სახლში, ბაღში, ეზოში, ბოსელში, გზებზედ, სოფელში? ამით ბევრი ურიგო ყოფა ქცეჳსაგან მოარიდებ; თაჳთგანვე უფრთხილდი არ გაიჳარონ მეღჳნებში, ყავებში და მისთანა ურიგო ადგილებში. რა კეთილს ისწავლიან იმ ნაირი ადგილებითგან? შირუტყვებთაც მოარიდე, რომ ბევრი არ უყურონ, ყმაწჳლის გამოხატულობა მალე აღელდება და განიხრწნება.

ე. ურჩს ანუ ურიგოდ მომქცევს საკანუნო მიეცი. გარნა არ განრისხდე, არც დასწყევლო და არცა გინება და გმობა სთქვა ამიტომ რომ ამნაირს ჯოჯოხეთის ენასა ყმარწჳლები გაიგონებენ რა, მაშინვე დაისწავლიან, მით უფრო უწესო ჳაზრდებიან და გლისში. საკანუნო მიეც მათ

მხოლოდ თჳანთი სიკეთისათჳს: მაშინვე
ნუ დასჯი, თუ რომ სიტკბოთი დაიყო-
ლიებ მათ ანუ მცირე საკანუნოთი; რო-
გორც პაწია ყმაწჳლს ეყოთვა უძრავად და-
სვა ოთახში, ერთი ჯერძი მოაკლო სა-
ჭმლითგან, ბოდიშის მოხდაზედ ძალა
უყო, რაც უყვარს არ მიართვა, თუ რომ
ამისთანები არ იკმაოს, ცოტა ხნის მე-
რმედ დასაჯე, გარნა მუდამ ზომიერად.
ჯერ დააყვედრე, ამხილე, მერმე გაუწყერ,
სრულ მერმე დასაჯე თჳს ზროიანობის
დაგვარ; ისიც ჭკჳანურად. უკეთუ ამ ყვე-
ლა ღონის ძიებამ უქმად ჩაიაროს, სხვათ
რჩევა სთხოვე და შემწეობა გარედგან იმა-
თი დასაოკებელი: ამაზედ ღვთისაგან სი-
მართლე გაქვს, რომ ადგილის დაგვარ
უნდა მოიხმარო.

გ. შენ ასწავლე პირველად შენს მჴდს
ყოველი კეთილი საქმე. ახლად ენა ამო-
დგმულთან ილოცე ხოლმე, პირჯვრის წე-
რა ასწავლე. მერმე მამაო ჩვენო, გიხა-

როდენი, მრწამსი, დასჩჯე, რომ პურის ჭამის წინ თუ შემდგომ ფეხზედ ლოცვა სთქვან გულში შთაუნერგე ღვთის შიში, ცოდვებისგან მოშორება, კეთილ მოქმედებისა და შრომის სიყვარული, ეკლესიაზედ გააგზავნე, ისწავლონ ქრისტიანობა; სასწავლოში გააგზავნე: რომ მოვა ჰკითხე რა ისწავლია? თუ რომ უსწავლელობის ბრალი თავიანთია სუფრაზედ ნუ დააჯდენ, საღამო ლოცვა შენთან ერთად ათქმევინე. რა დაღამდება სოფლელიც მწყემსიცა თავის ცხვარს საცხვარეში მორეკს, მაშ სახლის პატრონს თუ ქალბატონს არ უნდა ენაღვლებოდეს, რომ თავის სახლეულნი უშიშრად ჰყავს ყოველი განსაცდელისაგან დაწოლის ჟამს? მაგრამ მარტო ეს ყველა სარგებელს არ მოიტანს უკეთილ მაგალითოდ, რომელიც ძლიერ შეეწევა ყმაწვილებს, ყოველი წურთვისა და ტუქსვისაგან უმფრო, წიწვიტი ყმაწვილნი მაიმუნს ჰგვანან, რასაც ნახვენ

მალე მიჰბაძვენ, მეტადრე ორთოტსას: ეს-ეც იცოდე უნდა კარგად, რომ შენი შვ-ლები, რომელიმე ოსტატობით, მოხერ-ხებით, ანუ ძალად არ უნდა მისცე სამღ-ვდელოდ თუ ბერად: ან სამოქალაქოდ თუ სამხედროდ და არცა ქვეყანაში შესა-ვლელად, არამედ სრულიად მას მიანდე, ძალად მიკერებული ხვედრი თუ წოდება ხშირად გაუბედურებს კაცის ცხოვრებასა და სასოწარკვეთილებით თავს ჩაუყოფს.

## სწავლა მეშვიდე.

## ძეთა თუ შვილებ ზედა.

პატივ-ეც მამასა და დედასა შენსა.

## მიზეზი.

ა. ამას ასრე ბრძანებს ღმერთი. ამ სა-ზოგადო სჯულს ვერ გარდურჩება არც

ერთი ჰასაკი, არც წოდება, არც აღსავა-
ლი, არც სიგლახაკე, არც სიმდიდრე. ჳ-
ნც ამას არ აღასრულებს, არა თუ მარტო
მხოლოდ ღვთის სჯულს უწინაღმდეგებს,
არამედ ბუნებითს სჯულსა და კაცებრიო-
ბასაც, ეგრედ რომ მთისა და ტყის ხალ-
ხნიც პატივ სცემენ მშობელთა.

ბ. სიკეთის დასწავლაცა ამას მოითხ-
ოვს. ღვთის შემდგომ მშობლების მო-
ვალე ხარ. შენთჳს რამდენ ღამეს თვა-
ლთ ძილი არ მოსვლიათ? რამდენი შეწ-
უხება გამოუვლიათ, სანამ შენ მოჩხვარ-
თულ ხარ და შენ თავად საჭმლის ჭამას
მისჩვეჯ ხარ? რამოდენა ნაღველი რამო-
დენა ლმობიერობა ჰქონიათ შენს აღზ-
რდასა და ჩაცმა დახურვასა ზედა? თაჳ-
ნთთჳს კი დაუკლიათ! თუ რომ ეს სიკე-
თეები ერთ ჯსმეს ექმნა შენთჳს ერთ წე-
ლიწადს უფასურად, ვინ იცის რამდენს
მადლობას ეტყოდი? მაშ ამდენი წელი-
წადებისათჳს შენ მშობლებს რა სამაგიე-

როს უცდი? მგონია შერცხვენის მეტს, შეურაცხყოფისა, შეწუხებისა და ტანჯვის მიყენების მეტს, სხვას არა ფერს! ეს რა სიკეთის დაუსწავლელობაა, ეს რა ბარბაროსობა არის?!

გ. შენი საკუთარი პატიოსნობა და ბედნიერებაც ამას მოითხოვს. უკეთუ შენ მშობლებს შენ პატივს არა სცემ, მოელი რომ გაბედნიერდე? არ იცი რომ მშობლების შეურაცხ მყოფელი შვილი ამ ქვეყანაზედ ღვთის წყევლის ქვეშ იქმნება? ახლავე გეუბნები შენ საბრალო საწყალო! თუ რომ ერთი ურჩი შვილებთაგანი შენცა ხარ, წარყვნასავით ათას ნაირი განსაცდელნი თავს გარდაგხდება, უდროოდ მოკვდები: სად დარჩეს, რომ ღვთის მართალი სიმართლით, შენი შვილებიც შენ ზერედ მოგეკიდებიან, რასაც შენ მიაგე შენ მშობლებსა.

საქმე.

ა. მუდამ შენს მშობლებს საჭირო ურბალვა კდემა აჩვენე. ეცადე ყოველს კერძოდ, რომ არა აწყინო რა არც საქმითა, არც სიტყვითა; მათ ზედა სამდურაჳ არა სთქვა, მათი ზიანი არ მოინდომო, არ შეურაცხჰყო, არცა სრულიად შეარცხვინო! იესო მაცხოვრის მაგალითს მიჰბაძე, როგორ პატივს სცემდა, თჳს ქალწულს დედასა და მამის ნაცვალ წმიდა იოსებსა, ისიც აღზრდის შემდგომ ოცდათი წელი მათი მორჩილი ქვევრდომი იყო!

ბ. დაემორჩილე შენს მშობლებს გულს მოდგინედ, შეუზარებლად იმ ყოველს საქმესა შინა, რაც ღვთის სჯულის წინააღმდეგი არ არის. შენ ის არ იცი, რომ იმათ რა დიდი პასუხი უნდა მისცენ ღმერთისა, უკეთუ შენ არ მოგაცილონ ბოროტობასა და არ დაგაყენონ კეთილ გზაზედა? მაშ როდისაც ისინი სიკეთის ქმნას გიკვეთენ და ავს ბოროტს გიშლიან; რისთჳს მაღლა მაღლა ვარდები და წინ-

აღმდეგობას უწევ? რა გგონია. შენის გულისთჳს თავიანთ ვალდებულობა ფეხ-ქვეშ უნდა გასჭქელონ? შენთჳს უნდა ჯოჯოხეთში წავიდნენ? ღვთის სიყვარულისთჳს იყოს მათი მორჩილი და მიმყოლი იმათი, მათ ნება აუსრულე; რადგან ამაზედ დამოკიდებულია შენი ყოველი სიკეთე და ბედნიერება.

გ. სიყვარულით მიიღე მშობლების სწავლა და სასჯელი, რომ შენის სიკეთისათჳს გაძლევენ და იმათი ღირსება სცან. უკეთუ რიგის გარედაც გაგიწყრნენ და რიგის გარედაც გამოგეჩვენონ, რიერთიც შეგიძლია პატარა ხანს თვალითგან მოსცილდი, სანამ გული დაუმშჯდესთ, უფრთხილდი პირდაპირ არ შეება პირში. არ უწინაღმდეგო, თუ რომ ეგრედ გახრწნილი შჳლი აღმოჩნდეს, რომ თავს მშობლებზედ ჴელი გამოიღოს და ან წიხლი ჰკრას, იგი იმ ჴელ ფეხის მოკვეთის ღი-

რსი გახდება.

დ. შენ შენს თავად ნურა წოდებას ნუ აღმოირჩევ შენის მშობლების დაუთანხმებლად, მეტადრე ქვეყანაში შესვლისას. თვარემ დიდს ჭირს და შეწუხებას ამისგუზებ მათ: შეიძლება რომ ბოლოს შენც მეტად დაგნანდეს იმ შენს დიდს შეცდომაზედ: საწყალობლად დაშთები სულითაც ხორცითაცა: იქ გაურთხევა არ იქმნება, არამედ წყევლა, სიმძულვარე, გაუწყვეტელი ჩხუბი: მრავალი გამოცდილობით ჯცით ეს საქმე: ესრე ცუდი საქმეა რომ აღარა ფერი არ დაეგვარება.

ე. შენს მშობლებს შემწეობა მიეც, რაც შეგიძლიან. თავიანთ სახლის წასაგებში მიუღეგი: მოხუცებულობის დროს უნუგეშოდ ნუ დასტოვებ. სახლში ნურას ხელს მოჰკიდებ მათ უნებურად: სარწმუნო იყავ მათი შენზედ მონდობილი საქმის რიგიან გარიგებით; უმძვრო იმათ გულს, იმათ სარგებლობას უყურე, ჯრემდ თუ

შენსას: იმათ შენ წინა წინ ათას წაირად გული აღგისრულეს, ახლა შენც ერთი რამით გული მაინც მოუგე, სწორედ ურცხჳ უპირისწყლო იქმნები, თუ რომ შენ იმათ რამე დაუზოგო, ანუ რასმეს დაანატრულო!

3. შენი მშობლების სნეულობის დროს გვერდითგან ნუ მოსცილდები. სიყვარულით ჰმსახურე, რიგიან ასჳ აჭამე შეძლების დაგვარ. ძებრიჳ სიკეთის დასწავლა აჩვენე, ეგრედ რომ სცნან თაჳანთ სიკვდილი შენთჳს დიდი დანაკლისი და შეწუხება იქმნება. უნაღვლელად ნუ იქმნები მღვდლის მოყვანაზედ, რომ მათ სულს შეუაროს წესიერად, მიცვალებულნი პატიჳს ცემით დაასაფლავე, მათ სულს შეეწიე საწირავების მიცემითა და სხვა კეთილ მოქმედებითა, ყოველ დღივ მათთჳს ლოცვა გეწიროს, ეცადე, რომ სიკვდილის შემდგომაც გააპატიოსნო ისინი შენის კეთილის ცხოვრებითა. ეგ-

რედ რომ შენის სიკეთის მნახველთა, შენს მშობელთა შენდობა მისცენ.

## სწავლა მეერვე.

### ქვეყანაში შეუსვლელთათჳს.

სიწმიდე შეიყვარე, როგორც რომ გეკუთვნის.

### მიზეზი.

ა. ფუსაბამიერო ცხოვრებისთანა შემარცხვენელი კაცისთჳს არა არის რა. კაცთა თვალ წინ ყოველ რიგი გარყვნილობისაგანაც უმჯვრო სახელი გატეხილი სჩანს. ღვთის წინაშეცა საძაგელია პირუტყული მოქცეულობითა. შენ გეუბნები ქრისტიანო კაჲ კაცო! იცოდე, რომ ღვთის სახეზედ დაბადებულ ხარ: მამა ზეციერის შვილად, ძისა ღვთისა ძმად, სული წმიდის

ტაძრად და სასუფეველისა ცათა მემკვიდრედ: ამ ნაირი ღირსებით როგორ კადრულობ უწმიდურ წუმპოში შესვრასა? დასცხერ დასცხერ გვედრები და ნუ გააუპატიურებ ყოვლად წმიდა სამებასა.

ბ. მაგაზედ დიდი განსაცდელიც არ არის. ეს სენი კაცსა გულში შეეპარება ტკბილი საწამლავით (სამსალივით). სრულიად კორცსა და სულსაცა გახრწნის: ადვილად ბოროტ ჩვეულობად შეეთვისება მას მერმედ ვიღას შეუძლია მისი კელითგან მორჩენა? ათ მოქცეულს ცოდვილში ძლივ ერთი უსაპატიური თუ უწმიდური მოიქცევა: იმასაც დიდი მადლი მოუნდება, რადგან ძალიან ძნელად იქმნება მისთანას მოქცევა და მალევე მიუბრუნდება ისევ თავის ნანთხევს. გამოცდილებით ცხადად სჩანს თუ როგორ სასაშიშრო და განსაცდელიანია?!

გ. იმისთანა მავნებელიც არა არის რა. ეს ჭირი ავნებს კაცის სიმრთელესა, მე-

ტად დაასნეულებს, სიცოცხლეს მოუკლე-ბს, პატიოსნებას და სახელს დაუმცირე-ბს, ყოველ სიკეთეს წაართმევს, ღვთის კურთხევას განაშორებს, დააკლახკავებს: ჴელს მოუცარავს კეთილ მოქმედებაზედ ყოველი ბოროტ მოქმედების გზას გა-უხსნის, დააქცევს, გაათხრებს, ურწმუნ-ოებაში შთააგდებს! სასოწარკვეთილო-ბის და საუკუნო წარწყმედის მიზეზი გაუხდება! ამათი მაგალითები მრავალია: ღმერთმან ინებოს, რომ ამას იქით არ-ღარა ვინ აღმოჩნდეს უწმიდურობის მე-მდგომი.

## საქმე.

ა ნუ ილაპარაკებ და ნუც იმღერ უწმ-იდურს სიმღერებსა. უსაბატიო ლაპარა-კი, სააშიყო სიმღერების თქმა, შეუფერ-ებელი მიხვრა მოხვრა შენცა და სხვათა-ცა ცოდვაზედ აღძრავენ, ვაჲ მოგიგა შენ

თუ არ მოერიდო უმანკო უცოდველთა და ანგელოზთა! საზატიური ლხინი და სიცი-ლი განა არ იქმნება? ეგ პირუტყული ყოფაქცევა, სჳნიდისისა და ღვთის წინა-აღმდეგი საქმე დაუტევე წარმართთა; ქრისტიან კაცს სრულ არ უნდა დაავიწყ-დეს, რომ მისი ენა პირი წმიდა უნდა იყოს.

ბ. ყმაწვილ კაცთა ქალი შვილებთან ერ-თად სიცილ-თართხალი და სეირნება ნუ იქმნება. ცოდვას განსაცდელში თავს ჩა-მგდები უცოდოდ ვერ მორჩება. დროე-ბის გატარებად სჩანს, გარნა გონების გამოხატულობაში უშვერი სახე შთება. ვაჟკაცებო! ახალ გაზრდებო! განეშორე-ნით ამ გვარ საგნებსა, რომ გულის სიწ-მიდეს გაგიხრწნისთ: თუარემ უშიშრობ-ით და უფრთხილობით თქვენ სახლს მო-სთხრით!

გ. ფერხულ ცანცარობითგან რა ზიანი და ვნებაებიც გამოდის, ეცადეთ რომ

თქვენს თავზედ არა სცადოთ. ჭეშმარიტი სათნოება არ შეინახება იმ თამაშობაში: უმანკოებაც დიდს განსაცდელში შთავარდება: ბავშვს ცეცხლთან დაუწველად არ დასთმობა, ძერა ტრედის მცველად არ იქმნება, არცა მგელი კრაჲსა: შენ თუ უმანკო ხარ, იქმნება შენი მოპირდაპირე ეშმაკი იყოს? ამგვარ საეჭვო ტოლ ამხანაგობას მოშორდი.

დ. როგორც ცეცხლს მოერიდები, აგრეთვე მოერიდე განსაცდელიან მიზეზებსა. ამისთჳს სახლითგან გარედ ნურავისთანა ტოლ ამხანაგობას დაიწყობ. მაგრა დახშე კარი და სარკმელი, სითგანაც რიდი იყოს უცხოთ შემოსვლისა, ნუ გაუვლი კარზედ იმ სახლსა, სადაც მოურიდაობა და სივარიოვე არის. ერთ წამში თავჲ რომ არ შეინახო, მაშინვე შთავარდები.

ე. ყოველ ნაირად წმიდად და უმანკოდ შეინახე შენი თავჲ. ქვეყანას აჩვენე შენი საპატიური ტანისამოსით კეთილი

მოძრაობით რომ შენ დიდად აფასებ ჴორცის სიწმიდეს და გიყვარს უმანკოება. ვისაც უნდეს შენი შეხება, ხმა მაღლა დაითხოვე. კიდევაც რომ მოგკლას, ბედნიერი იქმნება შენი სიკვდილი, წამებული გახდები! მარტოკა ნუ დადგები სახლში: შენს ნათესავებთან მიდი. შენ შენს ცდას ჴელითგან ნუ დასტოვებ, და ღმერთი შენ ყოველი განსაცდელისაგან დაგიფარებს.

3. ცოლის შერთვაზედ რომ სიტყვა მოჴდეს, მშიშედ დაიჭირე თავი. ერთი უგუნური სიტყჳსწამცდენა, შემდგომ კაცს სამუდამო სატირელად გაუხდება. აღტაცებული სიყვარული მალე სიძულვარედ გარდექცევა: ღმერთს მხურვალე ლოცვით მიჰმართე, რომ იმან განაგოს შენი სულისთჳს, რომელიც კეთილია. შენს თავად მშობლების შეუკითხავად და ნების აუღებლად არაფერი საქმე არ დაიწყო და ურჩევლად შენი სანდო მეგობრებისა. უკეთუ ღმერთი გაერევა იმ სა-

ქმეში, მოემზადე სულიერად აღსარებით ზიარებით განძლიერდი და ეგრე ჯვარი დაიწერე: შენ მთელს ცხოვრებაში თჳთ-ქმის პირველი დღეა დაგჳრგჳნების თუ ქორწინების დღე. ეცადე იმ დღეს, რომ შენთჳს სასუფეველშიც ანგელოზთა დიდება გარდაიხადონ, თვარემ ჯოჯოხეთში ეშმაკების სიცილ ტაქსალი დაუდგებათ.

## სწავლა მეცხრე.

## სნეულობისათვის

ეცადე, რომ სნეულობამ რამ სარგებლობა მოგიტანოს.

### მიზეზი.

ა. შეიძლება ბევრი ცოდვების პატიჟიც მოგეტეოს. განა შენ ცოდვები არა გაქვს? ცოდვებს პატიჟი არ უნდა მიე-

ცეს? ახლა ღმერთს თაჳს მოწყალებითა ჰნებავს მოტევება შენი ცოდვებისა და-სარების საიდუმლოჲთა და შემდგომად იმ ცოდვების პატიჲნიცა ან საკანუნოების განწეჳთ უნდა გარდაიხადო და ან სნეულობის შეწუხებათა დათმენით. მაშ მოთმინებით იყავ, მადლობელი იყავ ღვთისა, არა თუ უმადური. რიერთიც დიდი სნეული იყო და ჩავარდნილი ავათ მყოფი დიდ ხანს, რა ჩაითვლება იგი ჯოჯოხეთთან, რომლის ღირსი გამხდარ ხარ შენის ცოდვებითა.

ბ. შეგიძლიან ბევრს სათნოებაში განიწვართო და ბევრი მადლი მოიგო მაგ სნეულობის დათმენითა. სნეულის ლოგინი (ქვესაგები) სასწავლებელი არს და საცდელი სპონდიო (მაანგის ქვა) სათნოებისა. იქ ისწავლის კაცი ღვაწლსა, ხმარებასა სათნოებისასა, და იმის დიდს ღირსეულობასა. რამთონი კაცნი არიან, რომ უკეთუ არ დასნეულებულ იყვნენ,

კარგად ვერ სცნობდნენ ღმერთსა? არ შეურაცხ ჰყოფდნენ ქვეყანასა, სრულ ვერ მიხვდებოდნენ საუკუნოების მყოფობასა, სანამ ჯოჯოხეთში არ წასულ იყვნენ? რამდენი კაცნი არიან, რომ ბოროტ ჩვეულობას, არ გამოიცვლიდნენ, ჲ კეთილ საქმეს ჴელს არ მიჰყოფდნენ თუ რომ ღმერთს არ შეეწუხებინა იგინი, ძალა არ გამოეკლო ჲ იმათი შეუკავებელი ტან სიმრთელისათჳს ჭდე არ დაეტყო? მაშასადამე დიდი სიკეთე არს შენთჳს ეგ სნეულობა. მაგით ადჳლად შეგიძლია ცხონების კვალზედ დადგომა.

გ. მრავალ სასყიდელსაც შეიძენ ღვთის წინაშე. უკეთუ სნეულება ნებას არ გაძლევს ჴორციელს შრომაზედ, სულიერი შრომა ხომ შეგიძლია ძლიერ კარგად? კარგად იცოდე, რომ ღმერთსაც შენგან ეგ უნდა! ყოველს მოთმინებაშიდ თითო თითო თვალ მარგალიტი ემატება შენს გჳრგჳნს სასუფეველში ჲ უფრო

მაღალ ადგილს გიმზადდება ტახტი. ახლა რაღა პირით უნდა შეიჭირვო გული მაგ სნეულობასა ზედა, რომ შენი საუკუნო ცხოვრების მიზეზი არის!

## საქმე.

ა. ღმერთზედ სამდურავს ნუ დაიწყობ, როდესაც რომელსამე სნეულებას მოგივლენს. თაჳ მოუმდაბლე ღვთის წმიდა ნებასა: მადლობა შესწირე, საშვალ გაძლევს ცოდვების შენდობისა, სათნოების შეძენისა და სასყიდლის გამრავლებისას! გული სრულ ნუ შეგიწუხდება საქმითგან მოცდენისათჳს ღმერთი გაგირიგებს. რაც გინდა იყოს ნუ იჩივლებ; ღმერთი მისთანა მოწყალე უფალია, რომ ჩვენგან უკეთ კეთილს ფიქრობს და განაგებს ჩვენთჳს!

ბ. რიერთიც ჭირი შეწუხება მოგემატოს, იმდენი მოთმინება გაამრავლე. რას

გარგებს გულ მოსულობა მკურნალზედ, წამლებზედ თუ შემვლელებზედ? გულ მოსულობით სისხლს წაიხდენ, სასყიდელს დაჰკარგამ ღვთის წინაშე, საიქიოსაც ცეცხლს მოუმატებ შენს სულსა. როდესაც ჭირი ძლიერ შეგაწუხებს და ჩივილი მოგივა ენაზედ, შენ მის მაგიერ მადლიანი სიტყვებითა სასურველი ეძიე და სთქჳ: ღმერთო ჩემო! სიყვარულით მოჳთმენ შენის გულისათჳს! უფალო ღმერთო ჩემო! შენის ნებით მნებავს სიცოცხლე და სიკვდილიცა. ესენი არიან სასყიდლის შემძენნი ღონის ძიებანი მოთმინებითა.

ბ. ქრისტიანულად იცოცხლე შენს ავად მყოფობაში. სულიერი წიგნები იკითხე, ანუ წააკითხჳნე ხოლმე, იესოს ვნებანი განიზრახე, გულკმიერად ილოცე: გონება ხშირად ღმერთთან აღიმაღლე გულ ამომსკვნელი სიტყვითა: ჯვარცმას მოემთხჳე მისი სიკვდილის გახ-

სენებითა.

დ. ანდერძი რიგიან გამო-სთქჳ და კა-ნო-ნიერად აღასრულე. ნურაჳს მხარეს ნუ დაიჭერ, ან ჟინით საქმეს ნუ იქმ. სწო-რე სიმართლეს უყურე, გულში სრულ ნუ გაიტარებ, რომ სიკეთის დასწავლით წა-რმოდგნენ და შენს სახლზედ ყურად ღება იქონიონ იმათ ჳსთჳსაც სიკეთე გიქმნია: ესეც კარგად იცი, რომ შენის სიკვდი-ლის შემდგომ არას ინაღვლიან რა შენის სულისათჳს: რადგან საზოგადოდ თვალითგან შორი გულითგანაც შორს იქმნება! ვიდრე ცოცხალი ხარ ჰქმენ, რაც საქმნელი გაქვს ღვთის დიდებისა-თჳს, შენის სულის სასარგებლოდ და სხ-ვათა საკეთილ-დღეოდ: ამით სიხარულსა ჰგრძნობ სიცოცხლისავე შენს სიკეთე-ზედა, თუ არა და ბევრჯერ კარგი ანდე-რძიც სრულად არ აღსრულდება და ანუ ერთიან გაუქმდება!

ე. სიკვდილი, რა მო-გიახლო-ვდება,

დამზადდი რიგიან რათა კეთილად მიი-
ცვალო. უნადვლელად ნუ იქმნები, სთქვა
თუ ჯერ დროებს მაქვსო, რომ ბევრჯერ
დროება არღარ იპოვნება! სანამ შენი
გონება ზედ გაქვს, მოძღვარი იკმე; ყმა-
წვილობის მოღმა, რაც ცოდვები მოგა-
გონდეს აღჳარე: სიწმიდე მიიღე. ბოლო
ზეთის ცხებაც შეისრულე გულკმიერად
დ̃ ერთობ მიანდე შენი სული ღვთის ნე-
ბასა სასოებითა ღვთის ჴელთ. ამასთანვე
თუ სხჳს საქონელი რამე შესაბრუნებელი
გაქვს, შეუბრუნე. თუ ჳსმესთან გულ ძჳრ-
ად ხარ, გულით მიუტევე მტერსა დ̃ შე-
ურიგდი. თუ სახელი გაგიტეხია ჳსმეს-
თჳს გაუმთელე, დ̃ თუ ახლო-მყოფ ცო-
დჳს მიზეზში ხარ, მოშორდი იმას სწრა-
ფად. ხშირად სთქჳ ხოლმე ფიქრში გული-
თა, ესრედ: მრწამ-ხარ ღმერთო ჩემო, იმ-
ედი მაქვს შენგან. დ̃ მიყვარ-ხარ შენ უფ-
როს ყოვლისა რაჲმისაგან. ვწუხ-ვარ დი-
დად უფალო, ყოველთა ცოდვათა ჩემთა

ზედა შენის შეწყენ[illegible]ს. მომიტევე უფალო ყოველი ჩემი [illegible]ვები. იესოვ, მარიამ, და იოსებ, შემე[illegible], თქვენ გავე-დრებ ჩემ სულსა და კორცსა.

ვ. რიერთიც მოგიახლოვდება სიკვ-დილი, იმდენი გული გაიმაგრე და გან-ძლიერდი· იცოდე, რომ ეგ არის ბოლო მსხვერპლი, რომელსაც ითხოვს შენგან ღმერთი. ეგ ერთი გზა არის, რომ შენ ღვ-თის ხილჳს ღირს გყოფს. უნდა დასტოვო სატყვეო, რომ განთაჳსუფლდე: ექსო-რია მწირობისაგან უნდა მორჩე, რომ ნამდჳლ შენს სამშობლოში წახჳდე. სა-ნამ გონება ზედ გაქვს შესწირე ღმე-რთსა შენი ბოლო სუნთქიცა, რომლით საუკუნოების კარს უნდა შეხჳდე.

## თავი მესამე.

## სულიერი სწავლა.

### ღვთის მსახურებისა და წმიდათა პატივ-საცემლად.

ამ თავში ჩემი აზრი ის არის, რომ შენ გულ მხურვალედ შეგინახო ღვთის მსახურებრივს ვარჯიშში, აც გისმენია ქადაგებისგან და სულიერი საუბრებისაგან შენს მარტოობაში, ამისთჳს სრულ ნუ გასაზრებ, რომ მე შენ ვრცელი ლოცვები აღგიწერო საყვარელო ძმაო! არამედ გიჩვენო ადჳლი გზა ღვთის მსახურებისა და მისთა წმიდათა პატივის ცემისა, რომლითა თანვე არ გამოაკლდე შენს წოდებასა არც შენს საქმე ყოფასა, და უკეთუ ამაზედ მომეტებული გსურს, უფრო უკეთესი: გარნა ეცადე შენი კე-



თილი მსახურება არ იყოს მოჩვენებუ-
ლი და გარეგანი მხურვალება მარტო.

## სწავლა, პირველი.

ყოვლად წმიდა სამების დიდებისათვის.

თაყვანიეც და ჰმსახურე მას, სცან ვითარმედ იგი არს პირველი დასაწყისი შენი და ბოლო ოხჳანი (აღსასრულიცა).

### მიზეზი

ა. ეს არის შენი პირველი თანამდებობა სხვა რაჲმისათჳს შენი დაბადების დროს ღმერთმან არ აღბეჭდა შენს სულში ნამდვილი სახე წმიდა სამებისა, ე. ი. სიტყვიერობა, გონება ჲ თავისუფალი ნება; რომელიც ნათლის ღების დროს განგიწმიდა ჲ კელახლავ აღმოგშობა წმიდა ემბაზითგან, სახელითა მამისათა ჲ ძისათა ჲ სულისა წმიდისათა. თუ არ როგორც ყრმო-

ბითგან მოყოლებით გისწავლია, რათა იცნო და ემსახურო ერთსა ღმერთსა სამს გუამსა შინა.

ბ. ეს არის შენთჳს მოცემული სრულ ყოვლად საჭირო ბრძანება. შენ სიცოცხლესთან ერთად დაწყობილი ნიჭია, გარნა არ დაბოლოვდება შენ სიცოცხლესთან ერთად. ვიდრემდინ შენ სიტყვიერი დაბადებული ხარ (სააქაოდ თუ საიქიოდაცა, უნდა დაშთეს ეს ცნობა შენში, რომ ერთი ღმერთი სამგუამოვანი არს შენი დასაწყისი და ბოლო ოხჭანი შენი. (ძლიერ მეტთალი დაუნდობელი) იქმნები უკეთუ უნადელლელად იყო ამ შენს არსებობის თანამდებობა ზედ, რომლისთჳსაც დაბადებულ ხარ, მოსყიდულ ხარ ქრისტეს სისხლითა და მისითვე უნდა ცხონდე.

გ. ყოვლად საჭირო დღეწლიცა არს. რაც უდიდესი მადლნი არიან ეკკლესიად წმიდა წირვაში თუ სხუა საიდუმლოებში ყველა განწესებულია სადიდებლად ყოვ-

ლად წმიდა სამებისა. ესრედ არს და ესრედ უნდა იყოს მისი მსახურება და ქება დიდება უკუნითი უკუნისამდე: ეს არის მუდამ საქ-მე ყოფა ყოველთა ანგელოზთა და წმი-დათა, დიდი პატივი არ არის შენთვის, რომ შენც ესრედ დიდებულს ღვაწლში მოწილადე იქმნა წმიდა ეკკლესიისა საა-ქაოდ და საიქაოდაცა?!

## საქმე.

ა. ყოველგან პატივი და თაყვანი მიეც ყოვლად წმიდა სამებასა. ეს შეგიძლია მარტოობაში და სხვებთანაც დღეში მრავალ ჯერ ფარულად შენს გულში. და-იხსოვე შენს გონებაში ეს მოკლე სიტყ-ვანი: ცოდვას მოერიდე მოშორდი: ღმერ-თი გხედამს შენ, ერთი ღმერთი სამ გვა-მოვანი: ეს გქონდეს შენ აღვირად ცოდ-ვათაგან მოსაშორებლად და კეთილისა შინა წარსამატებლად.

ბ. მუდამ გული გიხურდეს, რომ ყოველს კერძოდ დიდი კრძალვა რიდი გქონდეს ყოვლად წმიდა სამებისა. ამისთჳს ღრმა სიმდაბლით და სრულიად მარტჳს გულთა ევედრე ღმერთსა მოიხსენიე მისი უსაზომო სისრულე: აგრეთვე მისი ყოვლის მპყრობელობა, რომ უანგარიშო არსნი დაუბადია შენთჳს: მისი სიბრძნე, რომლის მიერ ჰმართავს ყოველ არსთა და თავთავჯანთ მნიშვნელობისადმი მიჰყავს საკჳრველი გზებითა: მისი წინა განგებულობა, რომ უკანასკნელ მცირედ დაბადებულთათჳსაც ზრუნავს, როგორც უდიდესთა და მეტადრე თავს რჩეულთათჳს! მისი გარეშემოუწერელობა, რომ ცა და ქვეყანა ველთ უპყრია: მისი კეთილ დღეობა, რომ თავს თჳსით მუდამ ნეტარეყოს, არც ანგელოზებს საჭიროებს, არც წმიდათა, არც კაცთა და არცა რა სხვა დაბადებულთა! მისი მშვენიერება, რომ რა მშვენიერებას იტყვი? რომ არა იპოვებო-

დეს მასში ყოვლად მაღალი ხარისხითა! მისი სახიერება, რომელიც გაუვრცელებია ყოველ არსთა ზედა და თავის კუთრხევითა ყოველთა მტკიცედ ინახამს! მისი მოწყალება, რომ შეუნდობს ცოდვილთ ცოდვათა და აღძრავს ხოლმე სინანულ ზედა! მისი სიმართლე, რომ მცირედს კეთილ საქმესაც უსასყიდლოდ არა სტოვებს! მისი სიწმიდე, რომელიც ბრწყინავს მის სჯულსა, მის განსაზღვრილობასა გარდაკვეთილობასა და მის მცნებათა შინა! ერთის სიტყჳთ მისი ურიცხვი სისრულე ნათელივით ბრწყინვალედ ელვარებს მის ყოველ საკვირველს საქმეთა შორის ბუნებით მწყობრთა, მადლებსა და საუკუნო დიდებასა შინა! ესენი დროთგან დროზედ კარგად ფიქრში გამოისახე ხოლმე მხურვალის გულითა. გიხაროდეს, რომ ესრეთი ღმერთი და უფალი გაბადია ყოვლის მპყრობელი და ყოვლად სრული! ყოველი საბადელი შენი და სიცოცხლეცა მას

უმსხვერპლე, რომ რაც შეიძლება შენ კერძოდ მისი დიდება და სამსახური განრწყინდეს, რათა ყოველნი შეგულიანდნენ მით, იცნან იგი, შეიყვარონ იგი და ჰმსახურონ მას.

გ. მუდამ დღე პატივს ცემით და მოკრძალებით ისაუბრე წმიდა სამების და ერთ ღთაების ბრძანებასა და განგებულებასა ზედა. ცხადად აჩვენე, რომ შენ სარწმუნო მონა ხარ მისი დიდებულობისა ნუ მიიყვან იქამდის შენს ქვევრდომთ, რომ მის წინააღმდეგ მოიქცნენ სიტყჳთა ანუ საქმითა და არავინ იპოვოს კაცი შენს სახლში მცირედ მორწმუნების შემდგომი ე. ი. სიზმრისა თუ მკითხავისა, და სხ.

დ. ნურაფერს ჴელს ახლებ ვიდრე არ იტყჳ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. იცი რამდენ მადლსა და სასყიდელს მოიგებ ამ გვარი კეთილი მსახურებითა.

ე. მესწირე შენი თავი სრულიად ყოვ-

ლად წმიდა სამებასა. ამ საგნის შესახებ ლოცვა და ვედრებანი შეგიძლია შენად შეადგინო ანუ წერილებითგან: მაგალითად შენი ვარ უფალო მაცხოვნე მე. შენსა შენთაგან შენვე შემოგწირავ. სამებაო ერთ არსებაო დაბადებულთა მზრუნველო, შემიწყალე მათთან მეცა, და სხ.)

3. შენს სულსა და სხვათა სულთაცა პატივისცემით მოეპყარ და ეცადე, რომ არ განხრწნა, არ დააბრკოლო რადგან ხატი არს ყოვლად წმინდა სამებისა. უკეთუ ქვეყნიერი ხელმწიფის თუ მეფის სურათის შეურაცხ მყოფელს კაცს დასჯიან სასიკვდილოდ: მაშ აბა რაოდენად უფრო დაისჯება ღვთის ხატის შეურაცხ მყოფელი. საკუთრად ამ აზრზედ ლოცვა დაიჭირე, რომ უსუსურთა ყმაწვილთ არ დაჰკარგონ მადლი ნათლის ღებისა. ერთ ყმაწვილსაც რომ ცხონების მიზეზი გაუხდე დიდი სიხარული იქმნება ცათა შინა. გაგეხარდება შენც და სხვათაცა

## სწავლა მეორე

### ძისა ღვთისა განკორციელებასა ზედა.

### საკუთრად მხურვალება უქონდეს საიდუმლოსა ზედა განკორციელებისა

### მიზეზი

ა. ძე ღვთისა განკორციელებული სიყვარული არს სრულიად. მარტივი სიყვარული გახდა მიზეზი, რომ ძე ღვთისა თავის დიდების საყდრიდგან ციდგან ქვეყნად გარდამოხდა და მიიღო კაცებრივი ბუნება; რათა ჩვენ განვეთავისუფლებინეთ ცოდვათა და ჯოჯოხეთისაგან, თჳთან დამდაბლდა რათა ჩვენ აღგვამაღლოს, ძედ კაცისა იქმნა რათა ჩვენ გვყოს ძედ ღვთისა.

ბ. ნამდვილი სიბრძნე არს. ყოველი საუნჯე სიბრძნისა და მეცნიერებისა ღვთისა მასთან არს დაცულნი, ამბობს მოციქუ-

ლი და ყოველი სისრულე ღთაებისა მის სხეულსა შინა მყოფობს მისი სიტყვანი განმაცხოველებელნი არიან. მისი სწავლა ჩვენთჳს ღთიული მოძღვარება.

გ. თავადი (თჳთან) არს ყოველი ძალი! ამისთჳს იტყვის იესაია წინასწარმეტყუველი. ყრმა იშვა ჩვენდა და ძე მომეცა ჩვენ, რომლისა მთავრობაჲ მკართა ზედა მისთა და სახელი მისი საკჳრველი, თანამზრახველი, ღმერთი, ძლიერი, თავადი მშჳდობისა და მამა განმზადებადისა სოფლისა. მასთან შეერთებით რომ ვმოქმედობდეთ, ჩვენი ყოველი კეთილი საქმე მეტად დაფასდება: თჳთან არის თაჳ ჩვენი, ჩვენ მისი სხეული: ურომლისოდ არა ფრის ქმნა შეგჳძლია.

საქმე

ა. ყოველ ცისმარე დღეს მადლობელობითა მოიხსენე განჳვალება ძისა ღვთისა.

ეს საიდუმლო არს წყარო ყოველი მად-ლებისა, რომელიც კაცთ მონიჭებიათ სხვა და სხვა გამოცხადებითა, ნამდვილი მაცხოვარებითა და მის მიერ უნდა მოხდეს კიდევც ჩვენი ბოლო ნეტარებაცა. ესრედ დიდი და მადლობის საუნჯედ ქმნილი საიდუმლო დიდი საქმეა, რომ მუდამ გულში გქონდეს. მაინც დღისით იმ დროს გაიხსენიე, როდისაც ანგელოზმან უფლისამანს იტყოდე.

ბ. სიყვარული იქონიე, რომ სრულ ჭკუვა ცნობა გქონდეს განკორციელებულის ღვთის სიტყვასა ზედა. გონებაში წარმოიდგინე მისი გლახაკობა ხოლმე, სიმდაბლე, მოთმინება, სიყვარული, მორჩილება და შუა და შუა შეისვენე ნანუგეშებელის სულითა და მონატრე იზრახვიდე ხოლმე მტკიცედ იმ საგნებთა ზედა.

გ. რამდენჯერაც იესოს სახელს ახსენებ, იმდენჯერ დიდი კდემა რიდი აჩვენე; კარგად შეიტყე, რომ ეს არის სახე-

ლი ძისა ღვთისა, რომელიც შენთჳს განკაცებულ არს. დიდი უმსგავსობა არს მალმალ მისი სახელის ხსენება უფიქროდ შეუნიშნავად დ̃ შეუპდემელად მისთანა სახელისა, რომელსაც მუხლს უყრიან ცანი დ̃ ქვეყანა დ̃ ქვეყნის ქვეშეთნი უფსკრულთანი. უბრალოდ შეუნიშნავად იესოს სახელს ნუც შენ ახსენებ დ̃ ნუცა შენ ქვევრდომთ ახსენებინებ უფრთხილდი დიდად.

დ. მის მობღვარებას შეუდეგ. ქვეყანაზედ სრულ არჳნ არ გამოსულა, რომ მისთანა წმიდა სიტყვები, მისთანა ბრძნული დ̃ მისთანა მაღალი დ̃ გულის დამაკმაყოფილებელი სწავლა ემოძღვროს, როგორც მაცხოვარმან ჩვენმან იესომ: რადგან სამღთო მფლობელობითა მოძღვარებდა. მაშასადამე წარიკითხე, ისწავლე დ̃ გემო მიიღე მისი მოძღვარებისა, რომელიც წერილ არს სახარებაში დ̃ იგი გექმნება შენ წინამძღვარად ცხოვრებისა შე-

ნისა· ვინც მისი მოძღვარების თანხმად ცხოვრებას ატარებს, კარგად იცის მან და დარწმუნებულია რომ ღვთის პირისაგან არიან თქმულნი ის სიტყვანი.

ე. მტკიცედ დაადგერ მასთან შეერთებულის სიყვარულითა; გამარჯვება იყოს, დამარცხება იყოს, თავ განწირულობა იყოს უსამართლობა იყოს, კიცხვა, ლანძღვა თუ მუქარა, რაც რომ იყოს; ვერ უნდა შეიძლონ სრულიად შენი განშორება იესოსაგან ანუ მისი მოძღვარებისაგან. როდის მისი სარწმუნო იქმნე, ყველა საქმისა იმედი გქონდეს, თუ სააქაოდ ჭ თუ საიქაოდ.

ვ. ეცადე, რომ სხვათაც გული აღუძრა რწმუნება ზედ და სიყვარულ ზედ ქრისტე მაცხოვრისა. რამდენნი ქრისტიანობის სახელის მქონენი არიან, რომ ცხოველი სარწმუნოება არა აქვსთ მარტიჯს გულითა: არიან მისთანანიცა, რომ შეურაცხჰყოფენ მის სიგლახაკეს,

სიმდაბლესა, ვნებასა და სიკვდილსა თა-ჯანთ საქმითა და ეწინამძღვრებათ მისა მოძღვარება, რომ მათ შეცდომილებათა და ბოროტ მოქმედებათა სჯის. არ იზრახვენ, რომ ეს ის იესო არს, რომელიც არს გზა ღვთის მიმართ, ჭეშმარიტება და ცხოვრება: მხოლოდ მის მიერ შეგვძლია ავსვლა მამა ღმერთთან; აბა შენ ეცადე რომ გაუადვილო სხვათ გზა სათნოებისა და ნეტარებისა მათის შეგულიანებითა სარწმუნოებასა და სიყვარულსა ზედა იესო ქრისტესი ღვთისა ჩვენისა:

## სწავლა მესამე.

### ქრისტეს მაგალითის მიდევნებისათჳს.

ყოველი გულითა შენითა შეუდეგ მას.

მიზეზი.

ა. უნდა რომ ქრისტეს შეუდგე. რა-
დგან იგი არს შენი უფალი და შენი
ღმერთი. შენი დამბადებელი და შენი მაც-
ხოვარი: როგორ იქმნება, რომ შენ უკან
ბრუნდები მისი ნავალი გზისაგან? თჳთ
იგი არ არის ჩვენი წინამძღვარი ცხოვ-
რების გზაზედა? მაშა სადამე მისი სი-
ტყვა უნდა დაჳჯეროთ და მისი საქმენი
მაგალითად მივიღოთ? თჳთან არის ჩვე-
ნი სარკე სიწმიდისა. მის მიერ გამოუ-
ჩნდა ჩვენ ღთაება: ვინც ქრისტეს სც-
ნობს, მამა ღმერთისაცა სცნობს: ქრის-
ტეს შემდგომი, ღვთის შემდგომი იქმნე-
ბა. ჩვენ რომ ღვთის შჳლად და ღვთის
საყვარელად ვწოდებულ ვართ, ღვთის
მსგავსნი უნდა ჳქმნეთ და კიდევაც ჳქმნებით
უკეთუ ქრისტეს მივებაძებოდეთ!

ბ. ქრისტეს შედგომა ჩვენთჳს დიდება
და სიხარული არს; თჳთან ზეცით ქვეყანად
მისთჳს მობრძანდა, რომ ფეხქვეშ დაე-
თურგუნა უწესო სიყვარული სიმდიდრის,

მედიდურობა (დიდების მოყვარულობა) და სიამოვნის მოყვარულობა თუ გემოთ მოყვარება, ვერცხლის მოყვარულობა თუ ანგაჰარება რომელნიც წარსწყმედენ ჩვენს სულსა. აგრეთვე ცოდვა გაეფუჭებინა, სათნოება განებრწყინებინა და განევრცოთჳს მამის მეუფება. ეს რა მშვენიერი მიმართულობა არს? რომელი შენც გაგულიანებს, გაგვეთილს (დას, გაძლევს, გჴირდების შეწევნასა, წარმატებასა და საუკუნო სასყიდელსა. ესრეთი, წმიდა და სარგებლო სიტყჳს შედგომითა, ზეციერი მეუფის გზით მიხვალ სასუფეველის დიდებასა.

გ. ქრისტეს შედგომა ბრიელ ძნელი საქმე არს და ძლიერ კეთილი საქმე. მხოლოდ მდარე კაცთა უნიჭოთა და უპირისყულოთა შეუძლიათ თქმა, რომ ქრისტეს შედგომა ძნელი საქმე არს ანუ შეუძლებელი საქმეო! ამიტომ რომ თჳთან ტყვე არიან თაჳანთ საგრძნობელთა თუ ბოროტ-

მიდრეკილებათა და ამ სოფლის ზრუნვა-
შინა იღუპებიან! ნუ თუ თჳთან ქვეყნის გა-
ლისთჳს არა ვითარს სასჯელს არ სწვავ
საქმესაც, რომ ხელს ჰყოფვენ ვნახოთ წინ
მიუდისო? ქრისტემ საუკუნო სიბრძნემ
არ იცოდა, თუ რომელი გზით შეიძლებო-
და შესვლა საუკუნო ცხოვრებასა? მართა-
ლი ქრისტიანე მის დღეში პირითგან არ
დასძრავს მისთანა საჩივარებსა, რასაც
რომ სჩივიან ამ წუთი სოფლის ტყვე ქმ-
ნილნი ადამიანნი! კეთილ მსახურს ქრის-
ტიან კაცს რომ ჰკითხოთ? მაშინვე მოგი-
გებს, რომ ქრისტეს უღელი ტკბილი
არს და მისი ტვირთი მსუბუქი.

საქმე.

ა. ქრისტეს შეუდეგ ჟვან და მას მიება-
ძე შენი მდგომარეობის დაგვარ. ფიქ-
რში სრულ არ გამოისახო, რომ მხო-
ლოდ უდაბნოს დაყუდებულნი, სხვა და

სხვა მონაზონნი და ეკკლესიერნი მარტო-
ვალდებულ არიან ქრისტეს შეუდგნენ; ამ-
ბობს პავლე მოციქული ვინც რომ მონ-
ათლულ არს ქრისტე შეუმოსია ქრისტესა-
ვით უნდა იყოსო. ქრისტეს აზრს და ქრი-
სტეს ცხოვრებას უნდა მისდიოსო, ქრი-
სტე უფალი ჩვენი არს ერთის სიტყვით
ყველას მაცხოვარი, მოძღვარი, და მაგალი-
თი! თჳთონ ეგრეთი საკჳრველის სახით მა-
გალითად მოგვცა ჩვენ თავისი ცხოვრება,
რომ ყოველ გვარს და ყოველი წოდების
კაცს შეეძლოს მისი შედგომა; გლახაკსაც
მდიდარსაც, უმცროსსაც, უფროსსაც,
უგუნურსაცა, და ბრძენსაცა. უკეთუ არ შეგ-
იძლია ქრისტეს მსგავსად გლახაკსავით
ცხოვრება. მას მიებაძები, თუ რომ არ
დაჰყარო სიყვარული შენს შეძენილს ვე-
ცხლზედ და ქვეყნის ამაოებაზედ. თუ შე-
ნი სახლობის პატივცემულება არ გაიტა-
ნს რომ გარეგანი ყოველი შენი გამოჩენი-
ლობა შორს დასდვა, შეგიძლია იმ დიდე-

ბაში გულ მდაბლად იცოცხლო და საბატიურად და არაფრად რაცხემდე გარეგანს დიდებულობასა.

ბ. შემდეგ ქრისტესა, არა თუ ცარიელა სურვილითა გულისა, არამედ საქმითაცა. პირველად სჩან რომ, რამდენად ღირსი საქმე არს დიდებული, ადვილი და სასიამოვნო ქრისტეს მიბაძვა: მაგრამ არ კმარა ცხონებისათჳს ეს სურვილი, არამედ საქმით წარმოაჩინე, უკეთუ გული გიხურს რომ ცოცხალი ქრისტე იყოს შენ შორის და მისი მიბაძვა ცხადად გეტყობოდეს. ამ ნაირი ცხოვრების შეძენისათჳს ყოველდღივ ქრისტეს ცხოვრების თჳთო ნაწილი იფიქრე ხოლმე: წარმოიდგინე გონებაში, რომ თჳთან როგორ ცოცხლულობდა ქვეყანასა ზედა მარტომყოფობით თუ სიმრავლე საზოგადოებაში, დევნულებასა, შეიწროებას და ყოველს გვარს კაცებრივს ცხოვრებაში. განიზრახე, რომ შენ აქნობამდინ როგორ გიცოცხლია, მაგ

გვარ შემთხვევაში, ამას იქითაც რო-
გორ უნდა იცოცხლო, რომ ქრისტეს
შემდგომი იყო? მხატვარს მიუბაძე, რომ
რასაც ხატავს მაგალითის მსგავსს ანუ
ცხოველი მაგალითიდგან, ერთ წამს თუ-
ალს არ მოაშორებს, რომ არ იქმნას
მის უმსგავსო არა გამოვსახო რაო?

გ. შენი შედგომა ქრისტესადმი ნახ-
ევარ გზამდინ არ იყოს, ანუ აქეთ იქით
გზა არ გარდაუქციო; არ მიემსგავსო
იმ კაცს, რომელიც თავს დღენი ბატ-
ონებს იცვლის, ამ კარითგან იმ კარ-
ზედ მიდის: ანუ იმ კაცს, რომელიც ამ
წამს მეგობრის მხარეს იჭერდეს და იმ
წამს მტრის მხარეს, კეთილს გულს ბო-
როტს გულზედ სცვლიდეს. რას ეტყჳს
მათ ქრისტე? ჳსაც ორი ბატონის სამ-
სახური უნდათ; მისიც და ქვეყნისაც, კე-
თილ მოღვაწობაც ჴსურსთ და თავანთ-
ბოროტი ნების აღსრულებაცა? შემო-
ეუბნავს ქრისტეს მოწაფეობა მუდამ უნდ

და მას შეუდგე. მას არ ესიამოვნება წადი-მოდი ჭკუის კაცი. სრულიად მივერშლვას გინა თუ ყოვლად დასაწველს იხოულობს, რომ შენი თავმოყვარება სიამოვნის მოყვარება. ამპარტავნობა და შენი ნება სრულიად უნდა მოიშნო და ერთიან უნდა მოსპო.

დ. ქრისტეს შემდგომობა დაამტკიცე შენ მთელი ქვეყნის წინაშე; ერთს მართალ მორწმუნეს, რომ ვალი აქვს ქრისტე ღმერთის აღჯარება ძალიან მძლავრი მტარვალის (ჯალათის) წინაშეც, შეიძლება, უნყმუნყით აღიარება მისი ქრისტიანების საზოგადოებაში? განა გრცხვენია ქრისტიანობა. ე. ი. ქრისტეს შედგომა? ერთი კაცი, რომ ქრისტეს არ შეუდგება, რაში გამოსადეგია მისი აზნაურობა, თავადობა, მაღალი აღსავალი და დიდება პატივ? სრულ არაფრად ღირს! ქრისტეს მიბაძვა შენ აღგამაღლებს ღვთის წინაშე. თუ რომ თავ-

ლობ ქრისტიანობას, სირცხვილად სთვლი შენ ქრისტეს? გეშინოდეს, რომ საკიცხ სასაცილო გახდები, მოიშთობი ცოდვაში და ერთი დღე მოვა, რომ ქრისტეც შეირცხვენს შენს ცნობასა და თემ ქვეყნის სასაცილოს გაგხდის შენ ცისა და ქვეყნის წინაშე.

ე. ქრისტეს მისდიე სიკვდილამდინ, სიცოცხლეც მზად გქონდეს მისთჳს დასადებლად; ამ გვარად ცხოვრება ბეჭდითი ნიშანია წმიდად გამოსვლისა. ქვეყნიერ კაცთ ერთი ძნელი საქმის კელის მიყოფის შესაგულიანებლად უთქვამთ: გულ მკნეობით დაწყობილი საქმე სანამ განახევრდეს გათავდებაო; რატომ ესრედ არ ამბობს ქრისტიანიც, ქრისტეს შედგომაზედ? კარგი სანდო მსახური თავის ბატონს არ მოსცილდება გვერდითგან დიდ საცთურებშიც: შენ კი ძლივ შორითგან უკან მისდევ მეფეთა მეფეს და უფალთა უფალსა! ასლო მის-

დიე უკან, რიერთიც შეგიძლია უმეტე-ფერა ჭვეშ განრყენითა სიმდიდრისა, პა-ტივისა და გულის ნებისა. მათ ნაცვლად შეიყვარე სიგლახაკე მოთმინება შეიწ-როება და სნეულობანი. თუ რომ იმდენი წმიდანნი შენის ხნისა, შენ ნაირის წო-დებით სულ იესოს მიებაძნენ ყოველსა შინა. შენ რისთჳს ეგრედ არ უნდა მოიქცე:

3. ქრისტეს გზას დაადგე, აქეთ იქით მიუხედავად სხჳს მოძრაობასა ზედა; მა-გრა დაიჭირე შენი თავ სხვა რომ შენს ცთუნებას ცდილობდეს. ორგული ქრის-ტიანი არ დააკლდება ქვეყანასა! ურწ-მუნო გულისში კაცნი არ დაილევიან, რომელნიც ცდილობენ კეთილთა გარდა-ქცევასა და წმიდათა გაუწმიდურებასა. შენ ეცადე მტკიცედ იყო: იმათ რაც უნდათ ჰქნან. ცხადია რომ სასუფეველის გზა ვიწრო არს: ქვეყნიერი გზა და დასაწყისნი სახარების დასაწყისთ წინ

აღმდეგნი არიან ცუდაობაში და გრძნობითს სიამოვნეში გატარებული ცხოვრება, არ არის ცხოვრება ქრისტიანისა: ვინც თაჳს თავს არ უარსყოფს, ბოროტ მიდრეკილებათა არ მოიზნობს. ყოველ დღივ თავის ჯვარს არ იტჳრთამს და ქრისტეს კვალს უკან არ მიჰყვება, ეგ-რეთი ქრისტიანე ქრისტეს მოწაფე ვერ გახდება: ვისაც ამ გვარი ქრისტეს შედ-გომის საფუძველი არ ექმნება, საუკუნო ნეტარებისაგან წილი და კერძი არ ექმნება.

## სწავლა მეოთხე.

### ქრისტეს ვნებათა ზედა.

### მწუხარე იყავ იესოს ვნებათა ზედა.

### მიზეზი.

ა. იესო ქრისტემ ფცოდვოთ გასწია-

იგი, რომელიც მხოლოდ შობილი ძე ღვთისა არს, უფალი ანგელოზთა და კაცთა, სრულიად უმანკოება, სისრულე წმიდა წმიდათა: არც ცოდვა ჰქონდა და არც შეიძლებოდა შეეცოდა, თჳთ მან ასწავლა კაცთა გზა ცხოვრებისა, თაჳს ცხოვრების მაგალითითა: ყოველ ნაირი სიკეთე უყო მათ, მათი კეთილ დღეობისათჳს საკჳრველი სასწაულნი ჰქმნა და ამ ყველა სიკეთის სანაცვლოდ კაცთაგან საშინელი ტანჯვა და კიცხვა გამოიარა! ახლა არ არის ღირსი, რომ მისი გულ შემატკივარნი ჳქმნეთ? შენ არ შეგიძლია გული არ დაგეწვას ამ კაცზედა, რომლისაც თაჳს სიავკაცისათჳს გამოიყვანებენ მოსაკლავად. მაშ როგორ სძლებ, რომ არც ერთს ცრემლს გარდმოაგდებ თვალითგან და არცა რა გული შეჰტკივს შენთჳს ჯვარცმულს მაცხოვარზედ, რომელიც იტანჯჳს და კვდება შენთჳს?

ბ. სწევს ყოველს ზომაზედ მომეტებუ

ლს. სწევს ყოველს ვნებას რამთონსაც შესძლებს კაცების ბუნება, ყოველი სი-საწყლე მასზედ მოსულა: ქვეყანაზედ ერთი ქვაც არა აქვს, რომ ზედ თაჳ მის-დვას, ვნებაში ერთი ძონძიც არა აქვს, რომ სისიშვლე დაიფაროს. ერთ წვეთს წყალსაც არ აძლევენ რომ წუთიერი სა-შინელი სიმწყურვალე მოიკლას. მთელი ტანი კემს კემსად დაფაფრული აქვს: ერთი სახსარიც არ დაშთენია, რომ არ სტკიოდეს; მისთა მტერთა ჯდრე ბოლო სისხლის წვეთამდე დასწურეს: წყლულ-ებით სავსეა თავით ფეჴამდინ, კაცის სა-ხე არ შერჩენია ზედა, მისი პატიოსნება მიწაში ჩაძვრა, ავ კაცისაჳთ, მგმობელ-ისავით და მატყუვარისაჳთ დაისაჯა; ორს ავაზაკთ შუა ჯვარს ეცვა, რომ მათ თა-ვად შერაცხილ იყო! შენ, რომ სხვეებ-ზედ გული დაგეწჳს, არ გეწჳს გული შე-ნს მაცხოვარ ზედ. რომ მეტის მეტს სა-

ტანჯვლებს სწევს მის თჳს, რომ ყოვე-ლი შენი ბრალი თავს უდჳა?

გ. სწევს და არც ერთი ნუგეში აქვს. მთელ ქვეყანას მოსძულებია, მის დროს მღვდელნი სდევნიან მას, უმფროს კაცთ შეურაცხყოფით სასტიკო განუ-დიათ, ერი ყვირის ჯვარს ეცვასო, მთავა-რნი ჲ მსაჯულნიცა სჯიან: მოწაფეთა-განთაც ერთს გაუცია, მეორეს უარი უყჳა; საყვარელ დედასაც ჰელი არ უწვდ-ება, რომ შეეწიოს: მამა ზეციერსაც და-უტოვებია რომ თავს სიმართლეს მიეც-ეს მრთელი ჲ სრული გარდასახადი ჩვე-ნის ცოდვების სალხინებლად. ამ ნაირი უნუგეშოდ დატოვება სრულ არ გაგონი-ლა! თუ რომ გული არ შეგტკიჳს, მართ-ლა სალკლდე ქვეებზედაც მაგარი ყოფ-ილ ხარ, რომ ისინიც დასკდნენ თავანთ დამბადებელის სიკვდილს ზედა!

## საქმე.

ა. ქრისტეს ვნებათა ნუ გაუახლებ შენის ცოდვებითა და ნურცა სხვების ცოდვაში შთაგდებითა. კმარა, რასაც უახლებენ ურწმუნონი, წარმართნი, ორგული ქრისტიანნი და გულ ქვა ცოდვილნი შენ რომ მისი საყვარელი მეგობარი ხარ შენც მუხთლობას უპირებ? შენთჳსაც უნდა თქვას? რაჲ სარგებელ არს შენდა სისხლისა ჩემისაგან? ჰი უწყალოვ! ჩემი სისხლის ხმით რა გესარგებლება? სიკვდილ ზედ ნაკლები არ არის რაც ცოდვების ბოროტებით ემიზეზებიან ხოლმე იესოს!

ბ. მალ მალ მოიგონე იზრახე ხოლმე ქრისტეს სატანჯველები. არ შეგიძლია, რომ დაივიწყო შენ, უკეთუ ერთს მეგობართაგანს შენთჳს ზიანი ანუ შეწუხება რამე გაეწიოს! იპოვნე ახლა შენი მაცხ-

ოვრისთანა ერთი ეგრეთი სარწმუნო მეგობარი, რომ იმისათჳს ვნებანი გაეწიოს შენ თჳს და თავს სიცოცხლეცა შენ გამსწვერპლოს! მაშ საყვარელო! აღუთქ რომ ხუთშაფათის საღამოებს განიზრახო მისი სულ ამამავალიჳთ გაწეულნი გეთსამანის მტილსა შინა: პარასკეობათაც ჯვარ ზედ სიკვდილი მისი გოლგოთის მთასა ზედა. წაიკითხე ან სხვათ წააკითხებინე ვნებისა თჳთო ნაწილი ყოველ დღივ დიდ მარხვაში და შენს შეწუხებისა და ავად მყოფობის დროს. შენი სატკივარნი მის სატკივრებს შეურიე და ეცადე შენი იესოსთან სიყვარული გამოაჩინო ჭირთა მოთმინებითა!

გ. დღე არ გაჳდეს, რომ არ მოიგონო ქრისტეს სატანჯველების თჳთო საგანი. იცი რიერთ სიწმიდეში წინ წახვალ, რომ ყოველ ღვთის დღეს ერთი რუბის ოდენ ხანს ესენი განიზრახო ცხოველი სარწმუნოებითა, მტკიცე სასო-

ზითა, მხურვალე სიყვარულითა და გულ შემატკივრობითა მარტვიჳს გულით გაი-ჯდომო შენს გულში. ისინი. (ნახე ის სწავლა, რომელსაც აღვსწერთ ქვემოდ შინაგანი თუ ფიქრის ლოცვჳსათჳს).

დ. შენი დღენი, რაც გარდაჴხდეს თავზედ, მუდამ გული ჯვარცმულს ქრისტესთან გქონდეს. არა შეგემთხვევა რა მისთანა რომ არ დაავგვარო მას წამალი ან სწავლა მაგალითისაგან ჯვარცმული მაცხოვრისა შენისა. ამისთჳს საჭიროა რომ მისი ერთი ხატი გქონდეს შენს სადგომში. რამდენჯერაც ემთხვევი მას მხურვალე სიყვარულითა, გული აღგეძვრის კეთილ საქმეზედა და განძლიერდები სრულიად მის სამსახურს შინა.

ე. ქრისტეს ვნებათა მოხსენება, გასწავლის შენ ყოველ ჭირთ მოთმინებასა. დაუბრკოლებელი საქმეა მოუთმენლობა იმ ქრისტიანისა, რომელიც თაყვანსცემს ღმერთსა ჯვარზედ მომკვდარსა!

ერთი ურწმუნო რომ განრისხდეს თავს სიგლახაკეზედა, ჭირსა და შეწუხებაზედ იმას ბრმას ვეტყჳთ, რომ ვერ ხედამს უმთვრო სასაშიშრო ჭირთა! მაგრამ შენ, რომ გრწამს, თუ რა გამოუთქმელი ვნებანი გამოიარა შენმან მაცხოვარმან და იმითი ყოველი ჩვენი გამოვლილი ჭირი გვირგჳნდება, რა პირით მოთმინებითგან გამოდი ხარ შენ ჭირს შეწუხებაში? ეკკლესიაში ამდენი ურიცხჳ წმიდანი არ იქმნებოდნენ, თუ რომ ყოველსა თჳთო თვითო საშინელი სატანჯველი, ჭირი და შეწუხება არ გამოევლოთ, რომლით ქრისტეს თანა მობაძავნი იქმნენ ვნებასა და ჯვარცმასა, ხოლო შენი გამოვლილი მათ თან ძლიერ მსუბუქია და თჳთქმის სრულ არაფერი: ეცადე, ყველა მოთმინებით გასწიო რომ მათი მონაწილე გახდე.

3. ჭირს თუ არაფერს არ გამოივლი, მაინც შენს თავს გრძნობითს სიამოვნეს

ჩუ მისცემ. მოიმდაბლე თავი მაცხოვრის წინაშე; განიზრახე თუ როგორ დიდ სასყიდელს მოგაგებს შენ ერთი მცირედი კეთილ მოქმედებისა თჳს ამ ქვეყანაზედა: არ იქმნას ზეციერი სასყიდელი დაჰკარგო: ანუ თუ შენს კეთილ მოქმედებას არ ჰქონდეს გამძლეობა განსაცდელში, როგორც ტყვილ ოქროსა ბრძმედში (ბუთაში.) მაშ აბა თუ გინდა ნამდვილ ქრისტიანობა, შენი ნება გასტეხე ხოლმე და შენი გულის თქმანი მოაკვდინე? კარგად დაისწავლე ეს სიტყვაქებლით დაგჯერგჯნებულს თავს გალალებული სხეული არ ჰშვენის.

## სწავლა მეხუთე.

### ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოსა ზედა.

ღირსეულად ჰპატივ ეც ყოვლად წმიდა ზიარების საიდუმლოსა, რომ ღვთის სიყვარულის საწინდარი არს.

### მიზეზი.

ა. იესო თჳს მეტის მეტს სიყვარულს ამით გიჩვენებს შენ. არ იკმარა ყოვლის მპყრობელმან ღმერთმან მხოლოდ შენთჳს განკაცება და ჯუარსა ზედა სიკუდილი შენის ცხოვნებისათჳს; არამედ ინება ერთი სტადის მოცემაც შენდა თჳს გამოუთქმელი სიყვარულისა, თჳსი ჴორცი და სისხლი შეგიმზადა შენ საზრდელად, სანამ ცოცხალი

ჯარ: ამ მიზეზისა თჳს, რომ მუდამ შე-
ნითან იყოს და შენთან შეერთდეს. ჵო
წმიდანო ანგელოზნო! თქვენ რას იტყ-
ვით ესრეთს საკჳრველს ტაბლა ზედა,
რომელიც ღვთის ყოველი საკჳრველებ-
ისაგან უმაღლესია და მის გამოუთქმე-
ლთ სახიერებათა და მადლთა თავი არს!
ბ. გაჩვენებს იესო ამით თავს შენს
სიყვარულსაცა. რადგან ამით თავს თავს
მრთლად შენ გაძლევს მაცხოვარი შენი,
მოგანიჭებს შენ თავის ჴორცსა, სისხ-
ლსა, სულსა, ღთაებასა, კაცებასა, ნაყ-
ოფსაცა და მადლსაცა სრულიად და არას
გიხოგამს! ეს რა გულ უხვობა არს!
რომ ღმერთი იმეტებს თავს დაბადებუ-
ლთ სასარგებლოდ ყოველსა საუნჯესა
თავსი სახიერებისასა, საბრძნისასა და
ყოვლის მპყრობლობისასა? რომელ
მამას, ანუ რომელ დედას ასრე გულ სა-
ვსე სიყვარულიანი ნიჭის მიცემა შეუძ-
ლიათ თავანთი შვილისა თჳს?!

ვ. ეს სიყვარული გამძლე და მტკიცედ არს ყოველ პერძოდ. იცოდე, რომ არც ერთს წამს არ შეუძლიან შენგან მოშორება შენს მაცხოვარსა. მუდამ შენთან არს, თუმცა კი მუდამ აწუხებენ მას ურწმუნო და ბოროტნი ქრისტიანენი; მაგრამ მაინც თავისის ნებით სატყვეოში ჰყის იგი და უნდა იჯდეს ჩვენთან ვიდრე სოფლის აღსასრულამდე, როგორც დაგვპირებია. ამისგან მომეტებული მტკიცე და ერთ გული სიყვარული შეიძლება რომ იყოს?

## საქმე.

ა. ცხადი ჰყავ ყოფილება აჩვენე წმიდა ზიარებისა მგმობელებსა. სრულ ნუ მოუთმენ, რომ ვინმემ შენს წინ ერთი მცირე შეურაცხყოფაც სთქვას: ნუ ითაკილებ მათგან პირის მორიდებას და მოშორებას. შენი ქვევრდომნი კარგად გას-

წურთნე გაასწავლე, რომ მუდამ პატივს-ცემ სიწმიდესა. ამ გვარი კეთილი მიდრეკილება რომ გექმნება, ღირსეულ უზიარებლად არ მოკვდები.

ბ. სიწმიდის წინაშე თუ საკურთხეველს შიგნით იყოს თუ გარედ; ღრმა კდემა მოკრძალება გქონდეს. ეცადე რომ არ ილაპარაკო, არ გაიცინო და აქეთ იქით არ მიიხედო. მუხლი მოუყარე ხოლმე პატივსცემითა წინ გავლის დროს შესვლისა თუ გასვლისა, ნუ მიჰბაძებ ურიგოდ მომპყრობ პირთა: კარგი ქრისტიანი კრძალვით მოკრებით იქმნება ეგრედ, რომ მნახველმან სცნას მისი ცხოველი სარწმუნოება. და მართლად, რომ უკეთუ მსახურნი თავიანთ ბატონის წინ, თავად დიდებულნი თავიანთ მეფის წინ და წარმართნი თავიანთ კერპების წინ ეგრედ დიდის კდემით დგანან. მაშ რა ნაირი მხურვალება არ უნდა ჰქმნა შენ შენი ცხოველი ღვთის წინაშე?

გ. თუ რომ შეიძლება, დღეს ნუ გაატარებ სიწმიდის მიუხედავად. რა ჭირი რა შეწუხებაც გქონდეს სულიერი გინა ჴორციელი, ძეებრივს კადნიერებითა მიჰმართე ღმერთს დაუვარდი ფერხთა, შემწეობისა და ნუგეშისცემის მიუღებლად არ გამოხვალ. მისთანა უშიშარი შესახიზარი ადგილი არსად არის, როგორც ეკკლესია, სადაც იესო ქრისტე გვამებრივად იპოება. უკეთუ შეგემთხვას მისთანა დღე, რომ დრო ვერ იპოვნო ეკკლესიად მისვლისა; სადაც იყო წარმოიდგინე სახეში წმიდა ზიარება, გული და გონება იქ დაიჭირე და სიყვარულიანი ვედრებანი წარსთქუ იესოს მიმართ. იცი მაშინ რა გამოუთქმელ კურთხევას მიიღებ მისგან?

დ. სნეულს რომ სიწმიდეს წაუსვენებს მღვდელი, შენც თან გაჰყევ. კეთილი მაგალითი მიიღე დიდროვან თავადებისაგან, რომ ფეხით გაჰყოლიან უკ-

ანასკრელ გლახაკებითანაც თაჳანთ დაფა-
რულს მეუფესა. შენ არ შეგიძლიას წა-
სვლა? შენი კაცები გააყოლე, რომ
რაც შეიძლება პატივ და მხურვალება მი-
ეგეს იესოსა.

ე. რიერთიც შეგიძლია კარგი სამსა-
ხური გარდამუხადე ამ წმიდა საიდუმლ-
ოსა. ბედნიერად შერაცხე შენი თაჳ, თუ
რომ მცირე სამკაულიც არის რამე შესწ-
ირო სიწმიდისა თჳს. დიდი სირცხჳლი
არ არის, რომ მოურთველად იყოს ღვ-
თის სადგომი, სახლ კარი კი კაცთა და
ცხენები მორთულნი იყვნენ?

ვ. როდისაც სიწმიდე გამოსვენდეს
ანუ დიდებმა იყოს, ყოველთჳს დაესწარ
ხოლმე. ქვეყნიური დიდება იქმნება თუ
არა ყოველანი იქ გაიქცევიან: მაშ შენ რა-
ოდნად უნდა მოსწრაფე იყო, რომ სუ-
ლიერ დიდებასებს არ გამოაკლდე? სიმ-
რავლესთან ერთად, როდისაც სიწმიდეს
პატივსცემდე, იცოდე რომ მთელი ანგე-

ლოჳნი იქ შეკრებილ არიან: მათი მეოხებითა ღმერთს შემწეობა სთხოვე, სრულით გულით მიენდევ შენს მაცხოვარსა, მისი წყალობა გამოითხოვე ცოდვების შესანდობლად და კეთილ მოქმედებასა შინა განსაძლიერებლად. ღმერთი დაგაჯილდოებს შენ ჭკუა მიუხდომელი სიკეთებითა და მადლებითა.

---

## სწავლა მეექვსე.

### წმიდა ქალწული ღვთის მშობლის მხურვალებასა ზედა.

მარიამ ქალწულს პატივეც, როგორც

დედასა ღვთისა.

ა. ქრისტიანებრივს სარწმუნოებაზედ დაფუძვნილია წმიდა ქალწულის პატივს-

ძემა. უმანკო ქალწულს მარიამს მთავსა-
ხა და შვა ძე ღვთისა! ეს საკჳრველი საწა-
ული უმისოდაც უნდა რომ სწამდეს, ვისაც
სახარება სწამს? სადღა დაშთეს წმიდა
კრებათა გარდაწყვეტილება? მარიამი არს
ნამდვილი დედა ღვთისა განკაცებულისა:
ამისთჳს ჳტყვით ხოლმე ნამდჳლ ღვთის
მშობლად! სხვაც შენ განიზრახე თუ რა
გვარი პატიჳსცემით უნდა მოვეპყრათ მას?

ბ. ყოველ რიგად ყოველს კერძოდ უნ-
და პატიჳ ვსცეთ წმიდასა ღვთის მშობელსა.
მისმა ღირსებამან მისმა კეთილ მოღვა-
წებამ და მისმან ლმობიერებამან რომე-
ლიც აქვს ჩვენ ზედა, უნდა რომ გული
აღგჳძრან! გაბრიელ მთავარ ანგელოზმან
გიხაროდენით მოიკითხა. წმიდა ელისა-
ბედმან კურთხეჳთ და ღვთის დედად ·ე. ი.
კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის. . .
დედა არს ღვთისა, დედა მაცხოვრისა ჩვე-
ნისა, დედა ჩვენ ყოველთა და დედუფალი
ცათა და ქვეყნისა. ყოვლად წმიდა და ყო-

ველთა წმიდათა უდიდებულესი დედა და დედუფალი. ერთს წმიდა კაცს თუ ყოველი კაცი აქებს, ერთს მეფის დედას თუ ყოველნი პატივსცემენ. რა პატივი და დიდება არ ეკუთნება წმიდა ქალწულს დედასა ღვთისა ჩვენისასა.

გ. ყოველნი წმიდანნი ჩვენი სამაგალითო არიან პატივს ცემაზედა წმიდისა ღვთის მშობლისა. ყოველ ნაირი ქება დიდებით იხსენებენ წმიდა წინასწარმეტყველნი თუ წმიდა მამანი, რომელთაც მასზედ უმოძღვრიათ. უმფრო შესანიშნი ის არის რომ უფალი ჩვენი ძე ღვთისა ემორჩილებოდა და პატივსცემდა თავს წმიდა ქალწულს დედასა ხოლმე. გამოუთქმელად წარმოუჩენია ღმერთს ღვთის მშობლის სიმდიდრე და პატივი უფროს ყოველთა დაბადებულთა! ახლა შენ მხოლოდ უნდა უკან დაშთე მის ღირსეულს პატივსცემასა ზედა არა თუ მარტო სიტყვთა, არამედ გულითა და საქმითაც? იოვანე მახარებელი

სწერს, რომ: ტყვილია ის კაცი, რომელიც ამბობდეს ღმერთი მიყვარსო და თავის ძმა კი სძულდეს. მაშ შენ რა პირით შეგიძლია სთქვა, რომ იესო მაცხოვარი მიყვარსო, უკეთუ საყვარელს დედასა მისსა ღირსეულ პატივს და სამსახურს არ მიაგებ?

## საქმე

ა. დილა საღამ ღვთის მშობლის მფარველობის ქვეშ შედი ხოლმე. ძეებრივს კადნიერებითა სთხოვე მას კურთხევა: ანგელოზის პირით მოიკითხე ხოლმე იგი და სთქვი: გიხაროდენ მიმადლებულო (მადლით სავსეო) მარიამ და სხვაც. რა დროც რომ იყოს, მას მიჰმართე: უქმად არ ჩაივლის შენი ლოცვა და შენი ვედრება.

ბ. კჳრაში ერთი დღე მისთჳს შეიკვეთე და მის დღესასწაულების წინ მარხვა შეინახე ან იმარხულე. ამ დღეებში წირვა მოისმინე ილოცე და იმარხულე. აგრეთვე ეცადე

რომ შენს პელ ქვეითთა თუ ქვევრდომთაცა უცოდველად და წმიდად გაატარონ ის დღეები, არ იარონ შეუფერებელს ადგილებში, არა სთქვან უწმიდური სიტყვები, სიმღერები, და სხვაც.

გ. წმიდად შენახვაზედ მისი დღესასწაულებისა საკუთრად ყურადღება გქონდეს. ეკკლესიად წადი, სიწმიდის წინაშე ილოცე, მისი სათნოებანი განიზრახე. სნეულთ ჰმსახურე და დავრდომილთ შეეწიე. სხვა რაღა გასწავლო? ღვთის მშობლის მხურვალე რომ გახდები, ყველა გაცოდინებს: სიყვარული თაჳს თავად გონიერად მოიქცევა, შენც ჭკუვას გასწავლის.

დ. მის ძმობაში შთაეწერე. მუდამ ეცადე იქ იპოებოდე, სადაც მისი პატიჳსათჳს იყოს რამე. ყოველ კეთილ საქმეში შთაეზიარე, მაგრამ ღვთის მადლში კი უნდა იყო.

ე. შენს სიცოცხლეში, რაც რომ თავს გარდაგხდეს, ღვთის ჩამო ღვთის მშობ-

ტულ შეევედრე. მისი ყოველი სიტყვა გან-
გდინება მისი მხოლოდ შობილის ძის წი-
ნაშე: მისი მეოხება არასდროს არ ასცდება
და მისი მწყალობელობა მოუკლებელია:
რომც შენ მხურვალე გულით მას მიჰმა-
რთე და შემწეობა სთხოვე.

გ. ეცადე რომ შეუდგე მის ღვაწლსა
სათნოებასა და სიწმიდესა. მაშინ დაენდე
მის მეოხებასა და მფარველობასა. თუ რომ
ნამდვილი სიყვარული გქონდეს წმიდის
ღვთის მშობლისა, ყოველს ცოდვებს
მოჰშორდები და მზრუნვაობა გექმნება
შენი სულის ცხონებისა, თუ არა და ნურა-
ფერს მოელი მარტო რამდენიმე შენი
ლოცვა ვედრებისაგან: ბოროტს კაცს
თავს კალთას არ გარდააფარებს ყოვლად
წმიდა ქალწული. უკეთუ შენ მტერი იყო
მისი მხოლოდ შობილის ძისა. თჳთან შენ
მეგობარი არ გაგიხდება. იგი მოქცეული
და მონანული ცოდვილების დედა და შესა-
ხიზარი არის.

## სწავლა მეშვიდე.

მფარველს ანგელოზსა ზედა

პატივ ეცი მას შენი საკუთარი მეგობარ-საჳთა.

### მიზეზი

ა. მფარველი ანგელოზი არს შენი უე-ბარი მოკეთე მეგობარი. მრავალნი კაცნი რომ შენ დაგიმეგობრდებიან, ისინი თა-ვანთ სარგებლობას უყურებენ: შენგან რასმე გამოელიან და იმისთჳს გეფერ-გეტრელებიან. ხოლო წმიდა ანგელოზი მფარველი შენი მხოლოდ შენს სარგებ-ლობას ეძიებს სულიერს და ჴორციელსა თავჳს თავჳს უინტერესოდ (უსარგებლოდ) შენ უყვარხარ გლახაკი იყო თუ უმეცარი

მდიდარსავით და ბრძენსაჳთ. გეყოფა სასიქადულოდ, რომ ღმერთს შენ მის მფარველობაზედ მიუნდვიხარ.

ბ. გულითადი შენი მეგობარია. რაც მეგობრი გყავს, მისავით მარტიჳს გულის არც ერთი არის: მისი ყველა სიკეთე რომ თვითო თვითოდ განიზრახო, მაშინ სცნობ მის ღირსებას. იგი არს, რომელიც შენ გონებას გინათლებს და ნებას კეთილ ზედ გიმართებს, სვინიდისს გიძრავს და ცოდვას გარიდებს: განსაცდელთაგან მტერთაგან გიფარებს, ჭირსა და შეწუხებასა შინა რჩევას გაძლევს. ხედავ როგორ გულითადი მეგობარია?

გ. მუდამ შენი მცველი მეგობარია. კაცის მეგობრობა რამოდენა უმტკიცოა? რა ცოტას სძლებს? სანამ ორიოდე ფულის პატრონი ხარ, საქმე რიგზედ წავიდა, ყოველა დაგიმეგობრდება; თუ არა და დღევანდელი მეგობარი ხვალ მტრად გარდაგადგება. მფარველი ანგელო-

ზი შენი კი ასრე არ არის: შენი სიცოცხლის დასაწყისითგან ჳდრე სიკვდილამდე გვერდითგან არ მოგშორდება, მუდამ შენს სიკეთეს ცდილობს და გეწევა.

## საქმე.

ა. მისი სიკეთენი მუდამ გახსოვდეს. რამდენი განსაცდელისაგან დაუხსნიხარ, რამდენი ჭირისაგან დაუცავ ხარ სულითა და ჴორციითაცა: -რა მადლიერობა არ უნდა მოახსენო იმოდენა კეთილის საგნებისა თჳს, რომელნიც შენს გონებაში აღუბეჭდია? ეცადე რომ სიკეთის დამსწავლე იყო, არა თუ მარტო სიტყჳთა, არამედ საქმითაცა.

ბ. ეცადე რომ ისარგებლო შენი მფარველი ანგელოზის თავ მდგომობითა. შენთან გახლავს ყოველს ადგილასა, სრულიად თვალითგან არ მოგიშორიებს შენ: მოწამე არის ყოველი შენი დაფარ-

ჳლი საქმეებისაცა. მაშ აბა არა დაამშვრო-რა მის წინ მისთანა, რაც გეთაკილება ერთი პატივცემული კაცის წინაშე: თავადის წინ რა რიგადაც რომ მოიქცეჳ? აგრეთვე გესაჭიროება მფარველი ანგელოზის წინაშე; რადგან ზეციერი თავადთაგანი ერთიც ის არის.

გ. ევედრე რომ შეგეწიოს ყოველს შენს საქმესა შინა. ერთი ჳნმე რომ სარწმუნო მეგობარი გყავდეს, შენს გაჭირვების დროს სწრაფლა რჩევა ზედ მიჰმართამ მას: მფარველი ანგელოზისაჳთ კარგი რჩევის მომცემი არავინ იქმნება შენთჳს: რა ჭირი რა საჭიროებაც, რომ გექმნება მას მიჰმართე, ის შეგეწევა შენ: ღმერთს ეს თანამდებობა მისთჳს მიუცია, რომ შენ ყოველს შენს სიცოცხლეში დაგიცვას და დაგიფაროს.

დ. ყოველ რიგად მუდამ მას შეევვედრე. ყოველი შენი გულის ხვაშიადი მას გაუტყდი: თვალით მას ვერ ნახამ, გარნა

გულით მხოლოდ მას ელაპარაკე. რომელი მეგობარი იქმნება მისავით, რომ ღამე დღე გვერდითგან არ მოგეშოროს? კადნიერად ისაუბრე მასთან, მაგრამ მუდამ კრძალვითა: იგი შენ პასუხს მოგცემს შინაგანი კეთილის დარიგებითა.

ე. ეცადე, რომ შინაგანი შევვეთილობა შენი ანგელოზთან, სიყვარულით დაკავშირებული იყოს, რომ შენც ანგელოზებრი ცხოვრება გქონდეს. სიყვარული ერთობას ჰშობს ანუ ამიზეზებს: მეგობრობა ერთ გულს და ერთს სულს გახდის სხვა და სხვა ბუნების მქონეთაცა! თუ რომ გნებავს გულით შეერთება შენს მფარველს ანგელოზთან, მისაჯთ სიმძულვარე გქონდეს ყოველ ნაირი ცოდვებისა: სიწმიდე გიყვარდეს, ღვთის მოშიში იყავ და ეცადე ყოველსა შინა ღვთის ბრძანება აღასრულო.

ვ. ანგელოზთ დღესასწაულ დღეს ან მფარველი ანგელოზის დღეს, საკუთარი

მხურვალება ჰყავ. აღსარება სთქუ, ეზი-
არე და მადლობა გარდაუხადე მრთელ
წელს შენზედ ქმნილი სიკეთისათვის.
შენდობა მოითხოვე, რომ რიგიან ყუ-
რადღებაში არ მიგიცია მისი შეგონება-
ნი. შეევედრე, რომ შენგან არ განჯდეს
დაგიფაროს შენ ყოველი განსაცდელი-
საგან და ამ ქვეყნითგან შენის გასვლის
მაგიძღვეს აღგიყვანოს შენ სასუფევე-
ლსა. ამ გვარი მადლების ღირს ყოფი-
სათჳს საკუთარი ცდა გქონდეს კეთილ
მოქმედებათა ქმნისა და შენის იაჳს მო-
კვდინებისა მისი სიყვარულისათჳს მომ-
ეტებულად ილოცე ხოლმე: რამდენი
წლისაც ხარ იმდენი აბაზი მიეც ღლახ-
აკთა.

სწავლა მეერვე.

წმიდა იოსებ დამწინდებულსა ზედა

რომელიც მამა იოსებად იწოდების.

ჰპატივ ეც მას, როგორც შენს ძლი-ერს მეოხსა.

მიზეზი.

ა. წმიდა იოსების მეშველობა თუ მეოხობა მეტად დიდ არს ღვთის წინა-შე, მისი დიდის ღირსებისა თჳს. ამ ღი-რსებას სული წმიდა მოკლედ იხსენიებს სახარებასა შინა, სადაც უწოდებს სი-ძედ მარიამისა და ამბობს იესო ქრისტეს მამად ითვლებოდაო. ღვთის მშობლის სიძობა და განკორციელებულის ძისა ღვ-თისა მამის ადგილას განწესება ამ ქვეყა-

ნასა ზედა, უაღრესი დიდება არის უფრ-
ოს ყოველი დიდებისაგნა მთელი ქვეყნ-
ის კაცთა და ზეციერ წმიდათა, და რომლი-
საც ესრედ დიდი არს ღირსება მისი წი-
ნაშე ღვთისა; მეტად გამკვეთი იქნება მე-
ოხობაცა მისი!

ბ. აგრეთვე მისი დიდი შემწეობე-
ლობის კერძოდ. დიდ სამხედროთა ზედა
მბრძანებლობა. ერზედ უფლობა, კავ-
შირთ დამორჩილება, მზის შეყენება
ისოსაჲთ: მართლად რომ დიდ დიდნი
საკვირველი საქმენი არიან! გარნა ესე
ყოველნი რა უნდა იყვნენ მამა იოსების
მფლობელობასთან, რომელსაც მმართ-
ველობა და უმფროსობა ჰქონდა ღვთის-
მშობლის სახლისა! მის რომელს სათხ-
ოვარს არ აღასრულებს ღმერთი ზეცად;
რომლისთჳსაც მიენდო ქვეყანა ზედ ძე
ღვთისა და დედა მისი ქალწული მარიამი.

გ. აგრეთვე მისი დიდი სიუხვის კე-
რძოთაცა. თუ რომ მამა ღმერთს არ

ენახა წმიდა მამა იოსებ ზედ სრ̃ლი ღვ-
აწლი სათნოებისა და ღ̃ჳთის მსახურებისა, ან-
დობდა მას თჳს მხოლოდ შობილ ძესა
და მის დედასა ქალწულ მარიამსა, დანი-
შნითა იმათი სახლის უმთვროსად? სხვა
რაღა ვსთქვა: მრავალ ჯერ მოხდება ხო-
ლმე ერთი ცოდვილი კაცი მრავალ ხანს
რომ წმიდანებში დაშთეს, წმიდად გამ-
ოვა: მაშ წმიდა იოსები რომ ადრითვე
მართალი იყო, როგორც სწერს სახარ-
ებსა, რა ნაირს მაღალს სიწმიდის ღირს-
ებაზედ არ აღჳდოდა, რომ იმდენი წელ-
იწადი იესოს და ღ̃ჳთის მშობელს თან
ახლდა და ხედევდა მათ მაღალს სათნო-
ებათა ყოველ დღივ? ამისთჳს კაცთ მოყ-
ვარე ღმერთი, როგორ არ ისმენს მის
მეოხობასა ჩვენ ყოველთათჳს?

საქმე.

ა. წმიდა იოსები შენ საკუთარ მე-

ოხედ დაიჭირე. ცხადია, რომ ღვთის ნება რთჳთ შესულ არის ესრეთი რჩეული ჯირი შესანიშნავ ცხოვრებაში რომელს ყოველი ჭირი შეწუხება თავს გარდახედია, რათა ყოველ კაცს შესძლებოდა თაჳს მეოხედ დაჭერა მისი; მდიდართა, რადგან მამა იოსები მეფის შთამომავალი იყო; მდარე თუ შუა ხალხთა, ხელოსანთა ანუ გლახაკთა, რადგან წმიდა იოსებიც თაჳს ოფლით ინახდა თაჳს სახლსა, ჭაბუკთა მხნეთა საბატიურობისათჳს, რადგან წმიდა იოსებიც უმანკო ჲ სიწმიდის მოყვარული იყო, ჲ იმით ალჳდა იმ დიდს პატივზედა: ქალწულთა, რადგან საკუთრივ მათი მფარველია; დაქორწინებულთა, რადგან იგიცა მაღალი ღვაწლით დაგვირგვინებული იყო; მშობელთა, რადგან იგიცა მამის ადგილას იყო იესოსი: მონაზონთა ჲ ეკკლესიერთა, რადგან მასაც სრული სიწმიდე ესწავლა ზეციერი მოძღვრის სასწავლებელში!

ბ, ეცადე, რომ ღირს იქმნე მისი ძლიერი მეოხებისა. დღე ყოველ კადნიერად სთხოვე რომ გიმეოხოს შენ, უკეთუ სასოება გექმნეს მას ზედ, უეჭველად იზრუნვებს შენთვის: რადგან იესოს მზრუნველიც ის იყო; ამ სამსახურის დაუფასებელის სასყიდლითა ყოველსა შემწეობა შეუძლია.

გ. მას მიჰმადლე ყოველ ბნელს საქმეებში, რომ გაქვს იმედი ბრძნად გაქმნება. ღმერთი, რომ ამ ქვეყანა ზედ მას ყოველს სათხოვარს უსრულებდა, ახლა უმეტეს არ უსმენს მის ვედრებასა ზეცად? მისი მეოხება და მფარველობა სასწაულით მოგესწრობა ყოველს შენს შეწუხებაში და განსაცდელებს; როგორც წმიდა თერეზიამ მრავალი სასწაულები ნახა მის მიერ ცხადად.

დ. ევედრე წმიდა იოსებსა, რომ კეთილი სიკვდილის მადლი მოგიპოვოს შენ. იგი იქმნა მხოლოდ ღირსი რომ

ბედნიერად სული დალია იესოს და ღვთისმშობლის ჴელში: და თაჳსი კეთილი სიკვდილით იქმნა ყოველს სულამამავალთა მეოხე. ამისთჳს ხშირად იტყოდე ხოლმე, (როგორც ყოველთვის საათის დაკვრის დროს) წმიდაო მამაო იოსებ შემეწიე მე ჩემის სიკვდილის წამსა!

ე. მის დღესასწაულებში საკუთრად მხურვალე იყავ მისი. ის დღეები ძმობასთან სულიერად გაატარე და კეთილს საქმეებში. მისი სათნოებანი იზრახე: გლახაკები სადილზედ მიიწვიე, ანუ წყალობა დაურიგე, ფული იყოს, ტანისამოსი იყოს თუ საჭმელი.

ვ. მისი სათნოების მობაძავ იყავ. როგორც სიმართლისა, სიწმიდისა, გლახაკთ მოყვარულობისა, ღვთის მორჩილობისა, ყოველ შენს გასაჭირ საქმეში მოთმინებისა და ღვთის ნების შედგომისა. ერთი მისი სათნოებათაგანის შეძენის ცდაც, რომ გქონდეს, მრავალი

ლოცვა ვედრებისაგან უფრო მისაღები იქმნება მის წინაშე.

## სწავლა მეცხრე

შენს სეხნა თუ თანამოსახელე (სახელმოდგამს წმიდა ზედა, ჳსი სახელიც გქჳან.

ეცადე რომ მისი ცხოვრების გზას შეუდგე.

## მიზეზი.

ა. ღმერთსაც ესრედ უნდა. შემთხვევითად ნუ გგონია, რომ ნათლის ღების დროს იმ წმიდის სახელი დაგრქმევა: არამედ იცოდე, რომ ღვთის განგებით მოხდენილა, ურომლისოდ სრულ არა იქმნება რა. რისთჳს უნებებია ღმერთს ესრედ? ამისთჳს რომ შენი სეხნა, რო-

მეღიც შენი მეოხე არის. მისი ყოფა-ქცევა ყოვლითურთ უნდა გაგულიანებდეს შენ, რომ იმას მიებაძო სიწმიდითა.

ბ. წმიდა ეკკლესიასაც ესრედ ჰსურს. ჩვენი დედა წმიდა კათოლიკე ეკკლესიის დარიგებითა ეს მშვენიერი ჩვეულობა დაშთენილა, რომ ნათლის ღების დროს ყრმას რომელიმე წმიდის სახელს უწოდებენ, რათა სიყრმითგანვე შეეკვეთოს კეთილ საქმესა და სიწმიდესა, რა კარგი აზრი არს ესე? შენც უნდა ეცადო რათა მოზიარე იქმნა ამ კეთილი რამისა, რომ წმიდანების რიცხვი გამრავლდეს.

გ. შენს სახელსაც ეს უნდა. სახელის ნაყოფი საქმით მოითხოვება: რა სარგებელი კარგი სახელი გწოდებია და კარგი არ ყოფილი ხარ? ეგ შენთჳს სახელი არ არის, არამედ კიცხვა! რომელიმე მოციქულისა, წამებულისა და ქალწულის სახელი, რომ გწოდებია, იმას უწესო ცხოვრება სძულს, მრისხანება არ უნდა, გიჟმ-

აჟური სიცილ ხუმბრობას არ ჰოლანს!

საქმე.

ა. ეძიე რომ შენი სახელ მოდგამი წმიდის ცხოვრება გაიგო. წაიკითხე ან წააკითხვინე მისი ცხოვრება, პატივსცემით შეინახე ის წიგნი და იქითგან გამოჰკრიბე საკუთარი ღვაწლები. არ შეიძლება ვისმეს პატივს ცემა, ანუ დიდად დათვლა ანუ შეყვარება, სანამ არ გაიცნობ, არ გეცოდინება რაძრობ იყო და ან რა ცხოვრება ჰქონდა?

ბ. ის სათნოება ეძიე მიაგებ, რომლით იგი წმიდად გამოსულა. წმიდათაგანნი ყოველნი ერთი ან მეორე ბოროტ მიდრეკილების უმეტესად მებრძოლნი ყოფილან და ერთი ან მეორე სათნოება უფრო კარგად უსწავლიანთ. ამ დღითგანვე იწყე შენი ცხოვრება მის ცხოვრებას შეადარო და დღითგან დღეზედ ეცადე რომ

მას შეუდგა და მიუბაძო

გ. შენ შენს თავს მრავალ-ჯერ უთხარ: მნებავს მისთანა ცხოვრება, როგორც უცხოვრია ჩემს სეხნა წმიდასა. რატომ არა! ნუ თუ ის სხვა ბუნების კაცი იყო და მე სხვა? იმას ჩემგან მომეტებული წმიდად გამოსვლის მიზეზები ხომ არ ჰქონდა? ეგება იმას ღმერთმა მადლი მისცა და მე არა? ანუ არ მომცემს, რომ ვთხოვო? ამ შეკითხვაებს შენ თავად პასუხები მოუძებნე.

დ. უფრო განსაცდელის დროს და ჭირში შენი სეხნა წმიდა მოიგონე.

ესრეთი პატივცემული სახელი, როგორ უნდა შეურაცხ ვჰყო ცოდვითა? გამლახველი უნდა გავხდე ჩემი სეხნის? უნდა შევარცხვინო ზეცას? ჩემი თავს განსაცდელში მიცემითა ანუ ნებიერი მოტყუილებითა?!

ე. ყოველ დღივ პატივ ეც შენს სეხნასა. ეყოფა მას სიქადულად, რომ შენ

არ დაივიწყო იგი, ყოველ შენს შეწუხებას-
ში მოიგონე, განხარდება და კეთილს
გიყოფს.

გ. მისი დღეობა წმიდად განატარე.
თუ რომ საქმის დღეს და არ შეგიძლიან
შენის სურვილის აღსრულება; მომავალ
კვირას გარდაიხადე კარგ რიგის მსურვა-
ლებითა. სხვა წმიდანებიც არ დაივიწყო.

## თავ მეოთხე.

### ლოცვის თქმისათვის.

ნამდვილია, რომ ლოცვა არს უმთავრესი საშვალი წმიდად გახდენისა წმიდად გამოყვანისა: მაგრამ მხურვალე ლოცვის თქმა კი ძნელი არის. ამ ღვაწლის გასაადვილებლად მე შენ სამს სწავლას დაგიწერ: ერთს სულთქმით გინა გულ მხურვალე ლოცვა ზედა: მეორეს კმოანს თუ პირით ლოცვა ზედა ჵ მესამეს შინაგან ანუ ფიქრის ლოცვა ზედა რომელი მიმხედველობითაც ითქმის. მოკლედ გამოჯყვან, იგოდნად რომ შეგეწიოს შენ ეს სულიერი წიგნების კითხვა ზედ, ყველა ზედ მომეტებულად სული წმიდის ნათელის მოთხოვა ზედ. შენი ვალი იქმნება მხოლოდ, რომ კარგად მოამზადო ხოლმე გული მუდამ

მხურვალე ლოცვისათვის: მაშინ იმათ ცოტა ხანში უფრო ბევრს ისარგებლებ ვიდრე ჩემის სიტყვებითგან!

სწავლა პირველი.

სულთქმით გინა გულ მხურვალე ლოცვა ზედა.

გულს მოდგინედ ამ ღვაწლს შეუდეგ.

მიზეზი.

რადგან ადვილი საქმე არს და ბევრი ჯაფის ხმარება არ უნდა. გულის აღმაღლებას ღვთისადმი და მოკლე მოკლე სიტყვებით გულ მხურვალედ და სულთქმით ხვეწნას ღმერთთან, არც გელოვნე-

ბა სჯერის და არც მეცნიერებს. ბუნების თავის თავად ასწავლის თვით უ[illegible] თაცა, თუ რა სახით კაცმან თავისი აზრი და თავისი გული სხვათ უნდა გააცნობოს? რომელსაც შემწეობა რამე უნდოდეს, სიტყვს წარმოუთქმელადაცა! მაშ შენ არ შეგიძლია მოკლე სულთქმითი სიტყვებით მხურვალედ ღმერთთან მიიქცე ხოლმე, შეევედრო, შენი თავი დაავედრო მას და მადრიელობა მოახსენო?

ბ. შრომაც არ უნდა. ხმოანი ლოცვა, მეტადრე რომ გავრცელდება, ფიქრის ლოცვაც, რომელს სრულიად გონების მიერა უნდა, შეიძლება ზოგჯერმე გაუძნელდეს კაცს. მართლად, რომ ცოტა შრომა არ არის ვრცელ ლოცვაზედ გონების მიერა: ხოლო მხურვალე განა სულთქმითს ლოცვასა ესრეთი სიძნელე არა აქვს, რადგან ერთი სიტყვით ანუ ერთი გონების აღმაღლებით კეთილ სურვილს გამოაცხადებს კაცი სათნოებისას

და ჰჳლითჳან ცეცხლს აღმოსცემს.

გ. დიდი ძალი აქვს ლოცვას, რა საქმე-
ში ან გართულობაშიც რომ იყო. გან-
ლი კაცის შეუტყობლად შეგიძლია ერ-
თის წამშიდა ამ გვარი გულ აღმოსკვნილი
ლოცვით ზეცას აზიდო ღვთის ტახტთან.
ამ გვარს სწავლას აძლევენ სჯულიერნი
მოძღვარნი, ამ გვარად იქცეოდნენ ყო-
ველნი წმიდანნი: რადგანაც ესრეთნი გამ-
თილნი სურვილნი მუდამ დაშთებიან კა-
ცის გულსა, ადამიანი მტკიცედ დაადგე-
ბა ამით სათნოების გზას, სული განუმ-
რდება ღვთის მსახურებითა და ღმერთთან
მოუწყვეტელი აღებ მიცემა ექმნება.

## საქმე.

ვ. საქმეში და შრომაში იხმარე ეს-
ტერი სჯულთქმითი ლოცვები. ღმერთს
შესწირე შენი საქმე და ყოვაცა: რომლი-
ით ზესთა ბუნებრივი და ნაყოფიერი იქ-

მრევა ყოველი შენი გარიგებული საქმე; მაგალითად ასრე სთქვ გულითგან: ყოვლო ღმერთო ჩემო და მამაო ჩემო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი ყოველს საქმესა შინა: შენის სიყვარულისათვს იყოს ეს ჩემი შრომა: რასაც ვარიგებ შენი ნების აღსრულებისათვს იყოს და შენის დიდებისათვს. ამითი საუკუნო ცხოვრებისათვს მოღვაწე იქმნები!

გ. აგრეთვე საბატიოური დრო გარდარებისა და შესვენების დროს. ესრეთი ქცევა შენ არას გავნებს, ძლიერ კარგი იქმნება, რომ არ გაგიძნელდეს ხანდისხან გონების აღმაღლება ღვთის მიმართ და ესრედ იტყოდე: ჰი უფალო ღმერთო ჩემო! ეს შეუძლია შენ არ შეგიყვაროს? უკეთუ ქვეყანაზედ ამ გვარ მოსვენებას ვჭგრძნობ? მაშ რა სასიხარულო უნდა იყოს სასუფეველსა შინა განსვენება? ოჰ უფალო ჩემო! მოვე-

დის, გევედრები მოვედინ სულთავე შენ.
ამ რიგად განსცირნეთ და მოსავლებისაგან კიბედ მიგედგმება ზეცას აღსასვლელად.

გ. მეცადრე განსაცდელისა და გა-ჭირვების დროს. გულს ნუ გაიტეხ მეტი სიმრავლისა ანუ სისასტიკისაგან: მა-შინვე ღმერთს მიჰმართე ესრეთი სულ-თქმითა. ჵი მამაო ჩემო საყვარელო! ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არა-მედ მიხსენ მე ბოროტისაგან ყოვლისა! ამით ეშმაკს ძლიერი ფარით წინ დაუდ-გები, და ველარ შეიძლებს შენს ვნებასა.

დ. გინდ ნაკლებულობა და ან ცოდ-ვამ რომ მოგხდენოდეს. გულს ნუ გა-იტეხ, არამედ სთქვ გულით სწრაფად: მამაო შევცოდე ცად მიმართ და წინაშე შენსა! ვსწუხვარ და ვნანულობ, უფა-ლო, ყოველს ჩემს ცოდვებზედ, შენის შეწყენისათვის, განუზომელო კეთილო! მოწადინე მე მოცვალება გამოუთქმელი მოწყალებითა შენითა და შემიწყალე მე.

ამ ნაირი სინანული ჲ სულთქმა შენი, შენს წყლულებს აპლაზინისაგან უმფრო წამლად დაედებიან.

ე. შენს ჭირსა და მარცხსა შინაცა. განაძლიერე თავ შენი ესრეთი მოკლე ლოცვჳთა, რომ საუკეთესო წამლისაგა-ნაც უმფრო განგიძლიერებს გულსა, გუ-ლის სთქჳ; იყავნ უფალო ნება შენი, ვითარცა ცათა შინა ეგრეთცა ქვეყანასა ზე-და. ვაჲ ჵი მამაო ჩემო! ეს განსაცდელნი და შეწუხებანი დიდსად მოჰვდნენ ჩემ-ზედა; გარნა შენ როგორც ჩემი სული-სთჳს სჯობდეს ეგრედ განაგე ჲ შემეწიე მე. ასრე როგორც ზღჳთგან მარგალი-ტები ამოკრიბით, ეგრედ შენს გჳრგჳნს შეამკობ სასუფეველისათჳს.

ვ. შეჭირვებასა და ავადმყოფობასა შინაცა. გრძელი ლოცვა თუ არ შეგიძ-ლია? ესრედ მოკლე ლოცვა სთქჳ: ჵი ღმერთო ჩემო! შენ მე ამ ქვეყანაზედ დამწჳ, დამხრავე. ვემს გემსად დამწყუწე:

თოდომც ზეცას შემიწყალე! ყოვლა-ღმერთო ჩემო! ჩემი გაწყეულნი შეწუხებანი შეაერთე მაცხოვრისა ჩემისა ჯუარსაზედა გაწყეულ ვნებათა. ამით სულს მოიბრუნამ, მოუთმენლობაში არ მიეცემი, უძლურობისაგან არ შეგერიდება და მკნედ დაუდგები ყველასა.

## სწავლა მეორე
## კმოვან ლოცვასა ზედა.

### მეუდგინე მოუწყენელად.

ა. კმოვანი ლოცვა საჭირო არს, როგორც ერთი ვალი ღვთის მიმართ. ღმერთს უბრძანებია შენთჳს ლოცვა და მასთან თჳთანვე დაგპირებია შენი სათხოვარი აღგისრულოს, რომლისაც შენი ცხოვრებისათჳს სასარგებლო არის. სხვა რაღა გინდა? ლოცვად მამაო ჩვენოც უსწავლებია შენთჳს, რომ იმისათჳს საკ-

ვრცელი ლოცვა არ შეიძლება! მაშ სადა-მე ვალი გაქვს ილოცო. ვსთქვათ რომ ვალად არ დაედვა ღმერთს შენთჳს ლოცვა, არამედ პირუტყჳსაჳთ ყოველს შენს საჭიროებას გაძლევდეს, სიამოვნებით გაცოცხლებდეს! ამით უნდა დაივიწყო შენ იგი? მისი გულ უხვობა არ დაგავალიანებს შენ ლოცვად? მაშ აბა მისი პატიჳ სიმართლით თხოულობს შენგან როგორც ვალსა, რომ ლოცჳთ უნდა გარდაუხადო: რათა მით სცნა მიზეზი იგი ყოველი შენი სიკეთისა!

ბ. აგრეთვე საჭირო არს შენთჳსაც ლოცვა როგორც ვალი. ერთი ჳნმე რომ ყოველი საჭიროებით დ̃ ნაკლებულობით სავსე იყოს, უნდა ლოცჳთ ევედროს ღმერთსა. შენ ღჳთის წინაშე რა ხარ? ერთი საწყალი კაცი, რომ შენგნით ერთი ორტაც არა გაქვს რა, შენი ძალით ვერას გაარიგებ რა, ყოველს სასაშიშრო განსაცდელში ხარ, დ̃ ყოველი მხრით მტე-

რებისაგან შეპყრობილი! მაშ როგორ-
რით უნდა განთავისუფლდე მათგან, თუ
რომ ლოცვა ჰელსაწყობ საჭურველად
არ გექმნება? იცოდე მრავალი სათნო ჲ
ჩინებულნი პირნი ლოცჳთგან მოკლებით
მაღლითგან ქვემოდ ჩაიჩეხნენ: მაშ შე-
ნისთანა საბრალოს როგორ არ უნდა
ეშინოდეს?

გ. საჭირო არს ლოცვა, როგორც
ერთი ვალი შენი მოყჳსისათჳსაც. თით-
ქმის ყოველა კაცი შენგან ლოცვას მო-
ითხოვს: რადგან თანამდებ ხარ ერთის
ან მეორის სიკეთის დასწავლისათჳს ანუ
სიყვარულისათჳს; მშობელთა, ნათესა-
ვთა, მოკეთეთა, სულიერ მამათა, შენს
უმფროსთა ჲ უმცროსთაცა: როგორც
საწყლებთათჳსაც. რომელნიც ყოვლა-
ფრითგან მოწყვეტილნი არიან, განსაწ-
მედელის სულთა, მართლებთა, ცოდჳლ-
თა, მორწმუნეთა, ურწმუნოთა, ჲ წარმა-
რთათჳსაც! რადგან ვალი გაქვს მოყჳსის

შეყვარებისა, ამის გამო ყველა კაცს თაჳს წოდების დაგვარ უნდა ნაღველი ჰქონდეს თაჳსი მოყჳსის სულის ცხონებისათჳს: ამისთჳს, რომლისაც იმათთჳს საქმით სიკეთის ქმნა და შეწევნა არ შეუძლება, ლოცვით მაინც უნდა შეეწიოიმათ.

## საქმე.

ა. შენი ლოცვა უნდა იყოს წმიდა გულით. ღმერთი უიჭველად უსმენს იმასა, ჳნც ღვთის მადლით და წმიდა გულით ილოცავს. ამისთჳს ლოცვის წინ მარტიჳ გულით შეინანე შენი ცოდვები: შენი ლოცვა შეაერთე ქრისტეს ამ ქვეყანაზედ ნათქვამ ლოცვასთანა: ლოცვაში შენის გულის ნათქვამს ნურას ითხოვ რა, არამედ მხოლოდ ღვთის გულისაებრ ითხოვე. ჳთარცა ის რაჲც ღმერთს ჰნებავს შენთჳს და რაჲც შენი სულისათჳს

სასარგებლოა. უკეთუ შენ ცოდვაში შთა-ვარდნილ იყო, უმფრო მხურვა[illegible]-ლით შეევედრე ღმერთსა, რომ შეგირი-გდეს შენ და მოგცეს მადლი მოქცევისა შენისა.

ბ. შენი ლოცვა იყოს კანონიერი. მრავალ ლოცვას ვალად ნუ გაიხდი თვა-რემ წამხაპუნებით იტყჳ, ანუ ნაჩქარევს დასტოვებ და ანუ შენს საქმე ყოვლის მო-სცდები იმდენი ლოცვა განიწესე, რამ-დონსაც გაიტანს შენი მდგომარეობა. გარნა ნუ შეაგუჯანებ ლოცჳს თქმასა, მთე-ლი დღის, დილა საღამოს ლოცვასაცა ერთ ჯერზედ ნუ მიიჯუჯუნურებ. ური-გოდ ლოცვა ლოცჳს მადლსა და გემოს წაიღებს.

გ. მდაბალი გულით და მოკრძალებით ილოცე. ამპარტავან ამაყ მთხოვარს ქვე-ყანაცა ვერ გაუძლებს! ანგელოზნი და ანგელოზთ მთავარნი ღვთის წინაშე კა-ნკალობენ! მაშ რა სახით უნდა წარდგეს

ღმერთთან შენისთანა ცოდვილი? ქვეყნი-ერი კელმწიფის წინ როგორ წარდგები? და ღვთის წინაშე კი როგორ გონება გაბნეული დგახარ?

დ. ლოცვა სთქჳ სრულიად გულ კმი-ერებითა. ღვთის მიერ ვალდებული სა-მსახური არს ლოცვა: ეს სამსახური ცა-რელა ნივთიერის პირის ცმაცურით არ აღსრულდება, არამედ ბაგებთან სული და გულიც უნდა მოძრაობდეს! კაცის წინა-შე შეუნიშვნელ სიტყჳს წაცდენას ითაკ-ილებ? მაშ ღვთის წინაშე როგორ ბედ-ავ მას? ლოცჳს თქმის დროს, უკეთუ შენი წარმოთქმული შენ არ გესმის, ღმ-ერთმან როგორღა უნდა გაიგონოს? მა-შა სადამე საუკეთესო არს მოკლე ლო-ცჳს თქმა მკურვალედ და გულ კმიერე-ბითა·

ე. ილოცე მეებრივ კადნიერებითა. გულის სასოება სული და ცხოვრება არს ლოცჳსა, ღმერთს, რომ უბრძანებია

ჩვენთჳს ლოცვა, დაგვჭირვებია სათხოვა-რის აღსრულებისაცა, რაც ჩვენთჳს სა-ჭიროა. ამისთჳს წარსდეგ ღვთის წინა-შე, როგორც ერთი შჳლი მამის წინ მი-ვალს. რამდენიც სასოება და იმედნეულ-ება გექმნება, იმდენი სიტყვა გაგევლი-ნება: ოღონდ რომ მართალი და ჯერო-ვანი იყოს შენი სავედრებელი გინა სა-თხოვარი.

3. ილოცე მუდამ მოთმინებითა და გამბედაობითა, რომელიც ითქმის მუდ-მიური. რიერთიც შეწუხებასა, ანუ ჭი-რსა ანუ განსაცდელსა იპოვებოდე, ეგრ-ედ რომ გეგონოს შენთჳს ცა ჩამოკეტ-რებული; მაინც შენ ლოცვთგან ნუ დას-ცხრები, შენი ვალი გარდაიხადე, და სხვა ღმერთს მიატოვე, რომელიც შენს ერთ-გულებასა და სიყვარულსა სცდის. დაგა-რდი ღვთის წინაშე სიმდაბლითა, სხვა თუ არა შეგიძლია რა? მაინც ეს სთქვ: ღმერთო ჩემო შემიწყალე მე! შემიწყა-

დე მე ღმერთო! ღმერთო მილხინე მე ცო-
დვილსა. ღმერთო ჩემო, მრწამხარ, [illegible] და
მიყვარ ხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმე-
საგან. ღმერთო ჩემო, რადგან მიყვარ ხარ
ამისთჳს ვსწუხვარ ყოველს ჩემს ცოდვებ-
ზედა შენის შეწყენისათჳს და გპირდები
ამიერით არღარ შეცოდებასა, მომიტევე
უფალო. ეს მცირედი ვედრებაც უქმად
არ ჩაივლის. დიდ მადლად დავთვალე ეს
შენთჳს, რომ ღმერთი ნებას გაძლევს
მის წინაშე წარდგომისას! გონებაში
გამოისახე ქრისტეს ლოცვა გეთსამანის
მტილსა შინა: მამაო ჩემო! არა იქმნას
ნება ჩემი, არამედ შენი. ნუ გენაღვლე-
ბა უნებურად გულის ყურის დაფანტვა-
ზედ; უნებური რამე ცოდვა არ არის: ამი-
სთჳს გაფრთხილდი, რომ ნათქვამი ხე-
ლახლად არ გაიმეორო, თვარემ ეგ ეგრ-
ედ იქმნება, როგორც რომ მოქსოვილი
კლაპიტონი აილო გარდააგდო, ქსლის
ერთი ან ორი ძაფების დაწყვეტისათჳს.

სწავლა მესამე.

შინაგან თუ ფიქრის ლოცვასა ზედა.

სიყვარული გქონდეს შინაგანის გონე-ბითი ლოცვის თქმა ზედა.

მიზეზი.

ა. შინაგანი გონებითი ლოცვა ჟამ-ზერს ნამდჳლ წმიდათა ღვაწლთა. რო-გორათაც არის თჳთან ღმერთი და მისა ყოველი სისრულე: საყვარელი მაცხოვარი ჩვენი, რომლ არს განკაცებული ღმერთი: მისი განზრახვა, მისი საქმე, ვნება და მოძღვარება სარწმუნოებისა და ზნეობის შესახებ: ამ ყოველას ჯტყჯ შინგანი ლოც-ვს ნივთად. ამ საგნების სრული სიყვარუ-

ლი და ყოვლად მაღალი განზრახვა [illegible]-ნისამდე აქვსთ ზეციერთა წმიდათა.

ბ. თავს თვისითავ ძლიერ კარგი რამე არის. ღმერთთან ლაპარაკი გულითგან გულში, ჩვენი ცხოვნების თავობაზედ. რამოდენა მხურვალე აზრებს წარმოგჳდგენს. რა აღბეჭდილებას! და რა ნაირ პირობის დადებათა.

გ. დიდ დიდთ სიკეთეთავ მოგვცემს. ამითი შემკობილა სასურველი ყოველნაირი წმიდანებითა. ამ სახით იქმნება ჩვენი წმიდად გახდენის გინა წმიდად გამოსვლისათჳს მტკიცე საფუძვლის ჩაყრა წარმატება ჩვენი და მადლების მიღება ღუთისაგან რომ არა თუ მარტო ცოდვითგან მოვიქცევით. არამედ სათნოებათაცა ვმოქმედებთ, რომლითა გავხდებით წმიდა. ვინც კარგი ლოცვის თქმა იცის, კარგი ცხოვრებაც ეცოდინება.

## საქმე.

ა. სრულიად ნუ ააცილებ ფიქრის ლოცვას. რომ ბევრს შეეწევა ღმთან ლოცვაშიცა. დღეში ნახევარ საათი ანუ ერთი რუბი გარდიკვეთე ფიქრის ლოცვისათვის, ერთს კეთილს და სარგებლოვანს საგანს ზედა, ამ სახით.

ბ. სრულ პირველად ფიქრის ლოცვის საფუძველი გინდ ნივთი წარმოიდგინე შენს წინ. თუ წიგნზედ რამის წაკითხვა საჭიროდ გაგიხდება, წაიკითხე და მას ზედ განიზრახე. ორს თუ სამ ნაწილად გაჰყავ შენი საფიქრებელი, საბოლოოთ შენი ფიქრის ლოცვისა იყოს შენი ცხოვრების გასწორებისათჳს, თუ ესა და ეს ნაკლებულობა მოვიშორო. ანუ ეს თუ ის სათნოება საქმით აღვასრულო, ფიქრის ლოცჳს წიგნებითგან ბევრ რამეს ისწავლი: შენს მოძღვარსაც რჩევა სთხოვე. საფუძვლის

თუ ნივთის წარმოდგენის შემდგომ ღმერთი არს შენი დამსწრე იცოდე, მომყანლდი მის ფერხთა წინაშე მუხლი მოიყარე სრწმუნოებითა, სასოებითა და სიყვარულითა: შენი ლოცვა და განზრახვა, იესოს ღვაწლებითან შეაერთე: სთხოვე ნათელი გონებისა და შინაგანი მოძრაობა ნებისა შენისათჳს, რომ ღირსად სცნა და აღასრულო ნება ღვთისა.

გ. განსაზრახავ საგნების გარემოებანიც წარმოიდგინე შენს წინ, დრო, ადგილი და პირნი. რომ ამიებითგან გარედ არ გახჳდე, არ აირდაირიო: აგრეთვე ფიქრს ძალას ნუ დაატან, არამედ წყნარი გულით განიზრახე.

დ. გონებას ერთად ყოველი შენი ბძლიც მიადევნე. როგორც გარეგან საქმეებში, მუშაობისა, აღებ მიცემობისა და მსაჯულის წინ წარდგომის დროს ყოველი ჭკუა ცნობა საქმეზედ გექმნება, აგრეთვე ფიქრის ლოცვაც რა საგანზედ

რომ იქმნების, იმას უნდა მიჰყურო სრულიად და შენს ნაქმნარს თუ უქმნელს და ყოფას ქცევას უნდა შეადარო: შენ თავს შენვე ჰკითხე და შენვე პასუხი მოსთხოვე, ეს საქმე რომ მართლად ესრედ არის შეჰტყე, მაშ ამის დაგვარ ჩემი ნებაც ჩემს გონებას უსათუოდ უნდა მიჰყვეს: ქრისტიანის მოვალობა თუ ეს არის, მეც ამ ვალს ვასრულებ თუ არა? და თუ არ ვასრულებ, ბოლოს ჩემი საქმე სად წავა? ქრისტეს ჩემთჳს გაწეული ვნება, რომ შეჰტყე, მეც მისთჳს რამე უნდა გავსწიო, არა? და სხვაც, ამავე ნაირად რასაც, რომ განიზრახამ, ეცადე რომ კარგად სცნო იგი გონებითა და ნებაცა მიადევნო მას და მტკიცე პირობის მიცემითა გათავო.

ე. ფიქრის ლოცჳს შემდგომ, გული შენი კელახლავ გახმარცე გამოდე ღვთის წინაშე. შეწევნა სთხოვე მას, რომ შენი ეგ დადებული პირობა საქმით აღა-

სრულო. მისი მამობრიჳ მოწყალების წინა დაუდევ მას, მისი ღმრთებრივობა მოთმინება და აღთქმა. იესოს ვნებანი მოაგონე და მისი სიყვარული ჩვენთჳს, შენს დაუნახაობაზედ იტირე, ცოდვებზედა იმწუხრე და შენზედ ქმნილი სიკეთებისათჳს მადლობა მოახსენე, მადლი სთხოვე ღმერთსა, რა ნაკლებულობანიც, რომ გაქვს იმათ მოჰშორდე და რა სათნოებაებითგანაც გამოკლებული რომ ხარ მათ აღსრულებას ცდილობდე, ინატრე და იგულს-მოდგინე რომ საქმოს მუდამ ღვთის ნება აღასრულო და საიქაოდ მისი ხილჳს ღირს იქმნა და უკუნისამდე აქო ადიდო იგი.

---



სიტკბოებაო ანგელოზთაო, მწუხარეთა სიხარულო, ქრისტიანეთა მეოხო, ქალწულო დ̃ დედაო უფლისაო, შემწე გვეყავ ჩვენ დ̃ გამოგვიხსენ საუკუნეთა სატანჯველთაგან.

## თავი მეხუთე.

### სათნოების ქმნისათჳს.

არ კმარა საყვარელო წამკითხველო! ღვთის სათნო ყოფისათჳს მარტო ცოდჳსგან მოშორება: არამედ საჭირო არს კეთილი მოქმედების და სათნოების ქმნაცა: მოეშორე ბოროტსა და ჰყავ კეთილი. ამბობს საღმრთო წერილი. აღწერილიც არის სახარებაში, რომ არა თუ მარტო ავ ნაყოფის გამომღები ხე მოსაკვეთია და დასართობი ცეცხლზედ, არამედ უნაყოფო ხეცა, და რომელიც კეთილს ნაყოფს არ გამოიღებს. კარგა ქვეშევრდომში არ დაითვლება ის კაცი, რომელიც საკმაოდ ხედავს თჳს ხელმწიფეს არ გაუდგეს და თჳს მოვალეობაზედ კი სრულიად უნაღვლელად იყოს: ამ გვარი კაცი გაბედნიერების მაგიერ დასჯის ღირსი არ არის?

სწავლა პირველი.

წმიდა სარწმუნოებასა ზედა.

მღვიძედ ირწმუნე რამეთუ ღმერთის გამოუცხადებია.

მიზეზი.

ა. ღმერთი არს საუკუნო ჭეშმარი-ტება, რომ ჩვენ არას დროს არ მოგ-ვატყუებს. შენ გჯერა ჭკვიანი და სა-ბატიო კაცის სიტყვა, რომ შეიძლება სიმართლის გარეშე სიტყვაც სთქვას; ახლა რაოდნად უფრო უნდა ჰრწმუნო ღვთის გამოცხადებული საგნები, ღვთისა რომელიც წმიდა წმიდათა არს და სრუ-ლიად არა ჯს მოატყუებს? ღმერთი, რომელიც გამოუთქმელი სიბრძნე და ჭე-შმარიტება არს, თვითონ ჩვენგან

პირველ მსხვერპლსა ამას, რათა გონება ჩვენი შევაბათ სარწმუნოების უღელის ქვეშე: ხოლო მეორე მსხვერპლი არს, დავემორჩილოთ მის ბრძანებათა, რომელიც არს თავადი ყოველთა უფალი და ყოველთა მეფე.

ბ. ღმერთი არს გამოუთქმელი კეთილი, რომელს არ უნდა ჩვენი მოცუკლება. მისი ბუნებისა და მისი ჩვენდამი სიყვარულის წინააღმდეგი არს, რომ ჩვენზედ მსაკრულად მოიქცეს! სად დაშთის, რომ რაჲცა ჩვენთჳს გამოუცხადებიას, დიდროვანნი სასწაულებით დაუმტკიცებია იგინი ეგრედ, რომ არ მწამებელი მათი ან უნდა უგუნური იყოს და ან ნებიერი სიბოროტით დაბრმავებული!

გ. ღმერთი არს გამოუთქმელი სიბრძნე, რომელი არც მოსცუკლდება და არც შესცთება. სარწმუნოების საიდუმლონი რაოდნადაც ჭკუვა მიუწთომელნი რიან იმდენად ბეჯითნი არიან! ღმერთი

გონებით მიუწთომელი არ იქმნებოდა, შემთუ ანგელოზთა და კაცთ ჭკუის ზუ-თი მაღალი საქმეში არ ჰქონოდა! აწ თა-ჳსი საკვირველი აზრების თაობაზედ, არ შეეძლო ნუ თუ ღმერთს სხვა და სხვა სახის საგნებიგამოცხადებინა მათთჳს, რომელ-თათჳსაც ესრეთი საგნების ცოდნა გან-რაზედ შესაძლო და საჭირო იყო? ანუ თუ შესაძლებელი იყო შემცდარ იყო თაჳსი და ფაჳს საქმეების ჩვენთჳს განცხადებითა?!

## საქმჱ.

ა. შენი ცხოვრების კანონად დაიმშვე-რე წმიდა სარწმუნოება. როგორც მო-ციქულმან სთქვა: მართალი სარწმუნოებით ცხონდეს. ჯთამც, მართალი კაცი წმიდა სარწმუნოებიდგან მოიკრებს თა-ჳს ცხოვრების კანონების, თაჳს საქმეთ სიწრფელისა და ყოველს ძალსა როგორც ხე რა აღგილსაც დგას იქიდგან მო-

სწოვს ყოველს საჭირო საზრდოსა, რომლითაც აღორძინდება: აგრეთვე მართალი სარწმუნოებითგან შეჰკრებს სათნოებათა, რომელნიც მისი სულის საზრდელნი არიან. სარწმუნოებას საქმეც, რომ თან არა ჰქონდეს, მკვდარი სხეულის. მეტადრე უმფრო დასჯის კაცსა თჳს მოწმობითა. ცარიელა სარწმუნოება კაცს არ განათავისუფლებს, არამედ უმფრო ბრალიერს და რისხჳს თანამდებ ჰყოფს: რომ თჳსი ვალი სცოდნია და საქმით არ აღუსრულებია.

ბ. სარწმუნოება უმფრო განიცხოველდ ლოცჳს თქმის დროს. მისთანა უკეთესი არ არის რა შენთჳს გონებაზედ მომყვანი, ლოცჳს დროს ღვთის მსახურებისა და კადნიერად ღვთისადმი მისამართველად, როგორც ცხოველის სარწმუნოებითა დავარდნა წინაშე ღვთისა, მისი მუნ მყოფობა იცოდეს, მისი მიუწთომელი სიყვარული იცნას, მისი გამოუთქმე-

ლი სიკეთე და სხვა სისრულენი. ეს ცხოველი სარწმუნოება, რომ არ გქონდეს, ცივ და უგემური რაჲ იქმნება შენი ჴმოვანი ლოცვა, მეტადრე ფიქრის ლოცვა.

გ. ცხოველი სარწმუნოება გქონდეს წირვს მოსმენის და წმიდა საიდუმლოების მიღების დროს. უკეთესი სამზადისი ამ ღვაწლებისა სარწმუნოება არს. ისიც იმდენი ცხოველი იქმნება, რამდენიც გულ მხურვალე სულთქმანი გექმნება და სურვილი სათნოებისა: მაშინ ნახამ თუ რამდენ ნუგეშსა და სიხარულს ჰგრძნობ შენს გულში!

დ. რა ნაღველიც გქონდეს სარწმუნოებას მიჰმართე. მუდამ სწავლა სთხოვე შენს მოძღვარსა, ყოველი შენი გულის ჭვაშიადი განუცხადე, როგორც ღვთის მონაცვლესა; გარნა თუ დრო ვერ იპოვნო, განამტკიცე თავჲ შენი სარწმუნოებითა, ნუ გეშინიან არ შთახვარდები.

ე. სარწმუნოება გქონდეს შენ ფარად

ყოველთა განსაცდელთა. მთელი ჯოჯოხეთი, რომ აღდგეს შენზედა, არ შეუძლიან შენი ვნება, როდესაც განუყენებ მოპირდაპირედ სარწმუნოების ერთს ჭეშმარიტებასა და იტყოდე; მიყოლა განსაცდელისა სულის სიკვდილი არს, ყოველ წამს შეიძლება მოკვდეს სიკვდილი ჩემზედა: ცოდვს ქმნის დროსაც შეიძლება მოვჰკვდე. უნდა წარვსდგე ჩემი მსაჯულის წინ, რომელმანც იცის ყოველი საქმე ჩემი, მომაკვდინებელი ცოდვს რისხვა ჯოჯოხეთის. განსაცდელს რომ ვსძლო და ღვთის ერთ გულობაში, რომ დავშთე, სასყიდელი ჩემი იქმნება ზეცას სასუფეველსა; ეს ჭეშმარიტებანი იყვნენ, რომ წმიდათა ამხნევებდნენ და მტკიცედ ინახევდნენ სათნოებათა შინა. შენც ამ სიკეთეს გიზამს სარწმუნოება.

ვ. სარწმუნოებით გამკვრდი სიმარცხესაცა შინა. სხვა გარეგანი ნუგეშისცემანი მაგთონად არა ჳს განუქარვებენ მოყუსმე-

ნლობასა, გულ გატეხილობასა, სასოწარკვეთილობასა უბედურობასა შინა: როგორც სარწმუნოების ფარად გელთ დაჭერა: ამით, რომ გონებაში წარმოიდგინო მოთმინების საჭიროება, სარგებელი და სასყიდელი, არა თუ მხოლოდ არ იჩივლებ, არამედ სიყვარულითა და სიხარულითა გასწევ და დიდებასაც მისცემ ღმერთსა.

## სწავლა მეორე.

## სასოებასა ზედა.

### მტკიცედ მინდობილი გქონდეს გული ღმერთ ზედა.

### მიზეზი.

ა. ღმერთს შეუძლიან შენი შეწევნა. შენ შენს საჩივარსა მიანდობ ერთს შენს

მოსარჩლესა, ფულსაცა დიდს კაცსა, მე-
ნს სიმრთელესა და სიცოცხლესაც შეურ-
ნალსაც, ამიტომ რომ საკმაოდ ჰხედამ,
რომ შეუძლიათ იმათ შენი შემწეობა, მაშ
აბა არ შეგიძლიან შეავედრო ყოვლის
მპყრობელსა ღმერთსა თავი შენი ყოველი
შენის ცხოვრებითა?

ბ. ღმერთმან კარგად იცის, რითაც შე-
გეწევა. მის ხელთ არს ყოველი ღონის
ძიება. კარგად იცის თუ რა საშვალებით
შენ უბედურობისაგან ბედნიერებაში მი-
გიყვანს. შენი საჭიროებაც იცის, შენი
გულის შეწუხებაცა და შენი შეძლებაცა, თუ
რიერთი მოთმინება შეგიძლია, უღვთოდ
ხის ერთი ფოთოლიც რომ არ შეიძრება,
გგონია რომ შენ დაგივიწყოს, რომლისთა-
ვს მაგოთონი სიკეთენი უქმნია? დროც კარ-
გად იცის შენის შემწეობისა, რომ უმფრო
მოგეწონოს შენ მისი სიკეთენი. მაშა სა-
დამე ღვთის კალთა დაიჭირე, რომელმა-
ნც ყოველი საქმე იცის, რათა შეგეძლოს

გაბედნიერებისა.

გ. ღმერთს გულით უნდა სწორედ შენი შეწევნა. გამოუთქმელ არს მისი კაცთ მოყვარობა, თჳთან დაგპირებია შენ შეწევნასა მუდამ, როგორც აქამდინ შეგწევნია და მაგონდენა სიკეთები უქმნია: მაშა სადამე დარწმუნდი მის სიტყვაზედა. ცა და ქვეყანა წარხდება ხოლო ღვთის სიტყვა კი არ წარხდება, ღმერთი თაჳს სიტყვითგან არ გარდავა: ოლომც შენ შენს თანამდებობას არ დააკლდე.

საქმე.

ა. მღვიძე სასო და მინდობილობა იქონიე გულით ღმერთზედა, ყოველს შენს განსაცდელთა შინა. თჳთან არს შენი დამბადებელიც, შემნახაჳც, მაცხოვარიც და მამაც. უკეთუ ასრეა, ძეებრივ კადნიერებითა მიჰმართე მას, ითხოვე მისგან შეწევნა და ყოველი შენი საჭიროება წარუ-

დგინე მას: ნუ გეშინიან ჴელცარიელი არ გამოხვალ! სრულ არა ჯნ ყოფილა, რომ ღმერთს შეჰხიზნოდეს და ღმერთს შერი-ედრიკოს მისგან.

ბ. შენს იმედს სრულ ნუ გარდიწყვეტ, მაშინაცა როდისაც ეგრედ გეჩვენოს შენ, როგორც თუ ღვთის თვალითგანაცა გამოგარდნილ ხარ. რადგანაც ღმერთი შორ დაგიჭერს, როგორც თუ შენთან არ იყოს, იცოდე, რომ მაშინ უმფრო ახლოს არს შენთან. მხოლოდ იმითი უნდა გამოცდა შენი იმედისა, მინდობილობისა, მკნეობისა და სიმტკიცისა. მაშ ნუ დასცხრები მისი ვედრებისაგან: აჩვენე მას შენი სისაწყლე, სიგლახაკე და არარაობა. ძალა უყავ მის მოწყალე გულსა მისი მხოლოდ შობილი ძის საყვარულითა, ვნებითა და სიკვდილითა, რომლის ასრე მოიქცევ, შეუძლებელია შენს უბედურებასა შინა, რომ არ მოგეცეს შემწეობა და ნუგეში.

გ. შენ შენს პერძოდ ყოველი ღონისძიება უნდა მოიხმარო, რომ ყოველი შენი ნასკვები დახსნა, რათა განთავისუფლდე. შენ შენით არა ფერის ქმნა შეგიძლია: გარნა ღმერთსაც არ უნდა რომ უშენოდ შეგეწიოს შენ: მაშ აბა შენ, რაც შეგიძლია უნდა ჰქმნა. ჭკუჲთ მოიქეც, შრომის მოყვარე იყავ, სხვა ღმერთს მიატოვე. შეუძლია მას თავის განუზომელი სიბრძნით ბოროტის კეთილად შეცვლა იმ რიგის გზითა, რომ კაცის ჭკუა ცნებას ვერ მისწვდეს.

დ. გული განიწმიდე იმ საგნებითგან, რომელნიც სასოებას გიმცირებენ. ღმერთი მრავალჯერ შეგეწეოდა შენ, უკეთუ შენ ღვთისათჳს ხელი არ შეგეკრა შენი უწესო ცხოვრებითა! მაშ სჳნიდისი კარგად განიწმიდე და გაისწორე ყოველი ნაკლებულობა, რასაც ხედავ შენზედა. გულის სიწმიდე შეგმატებს შენ სასოებასა და კადნიერებასა ღმერთ თანა: აგრეთვე

ლოცვა, მეტადრე რომ გულითგან წარ-
წარმოვა სიყვარული და სიმდაბლე.

ე. ჭირში შენს თავს ნუგეში ეც[illegible]ერის სასოებითა. ნეტარება ზეცისა, რომელიც ჩვენთვის შენახულ არს, სასუფეველის დიდება, რომელიც ჩვენ მოგველის, ყოველს ჩვენს გაწეულს უდრის. რა სარგებელი გინახია ამ ქვეყნითგან? რა მოსვენება ანუ ნუგეში მიგიღია? სასუფეველი, რომ ბედთ გაიტარო, ყველა რამე მოგებად არ დაგრჩება? თუ რომ ასრე არს, მაშ რისთვის სწუხ ხარ შენ თავზედ მოსულ უბედურობათა ზედა? დაე იმათ იმწუხრონ შეწუხდნენ, ვისაც სასუფეველის იმედის ქონვა არ შეუძლიათ.

ვ. რიერთიც დიდი ცოდვილი იყო იმედს სრულ ნუ გარდიწყვეტ. განუზომელი მოწყალება ღვთისა მუდამ მზად არს მოტევებად ყოველი შენი მძიმე ცოდვებისა. რადგან იმისთანად სრულიად არა ფერზედ გაიხარებს იგი, როგორც ერთი

ცოდვილის მოქცევასზედ, თვითან გვიჩვენს შენ სულგრძელი მოთმინებითა ჴ მამობრივ სიყვარულითა გაგულიანებს შენ, რომ მოიქცე შეურიგდე მას. მაშა საიდამე სითგან არს შენი მაგდენი მცირედ მორწმუნობა ანუ უიმედობა? ძლიერ ცუდად შეშლილ ხარ ჴ სცთები, უკეთუ გგონია, რომ შენი მრავალნი ჴ მძიმე ცოდვები სძლევდნენ ღვთის მოწყალებასა! ოდო-მც, რომ შენ ფეხ ქვეშ არ დასთქელო მასი მოწყალება ახალ ახალი შენის ცოდვებითა: არა სთქვა გლისპებიცთ: ღმერთი მოწყალეა, არ უნდა ცოდვილების წარწყმედა, აბა რა დამავებულა ჩემის შეცოდვებითა? შემიძლია მერმეც გავჟენდო, რა ეჭვ ღმერთიც შემინდობს? ასრე ცოდვის უშიშრობა, ასრე უპირისწყლო ურცხობა, (ღმერთი მოწყალე არსო) ცხადი ეშმაკის მაცდურობა არს .

## სწავლა მესამე.

### ღვთის სიყვარულს ზედა.

შეიყვარე ღმერთი ყოვლითა გულითა.

### მიზეზი.

ა. თჳთან ღმერთი ასრე ბრძანებს. ნუ თუ ღირსი და სამართალი არ არს ეს ბრძანება? შეიყვარე უფალი ღმერთი შენი. შეყვარებაც თჳს თავად ტკბილი და სასურველი რამე არ არის? გგონია რომ დიდ რასმეს თხოულობდეს შენგან ღმერთი, შემიყვარე მეო ამ სიტყჳთა. რისთჳს ინახამ შენს გულსა, უკეთუ ღმერთს არ შესწირამ? და ჳნ უნდა შეიყვარო თუ რომ ღმერთს არ შეიყვარამ.

ბ. ღმერთი ყოვლად ნაირი სიყვარულის

ღირსია. შენ გიყვარს დაბადებულის მშვე-
ნიერობა, რომ მრავალი ნაკლულევანებაცა
აქვს. გიყვარს ერთი ორი ფერის რამე,
მაშ რატომ არ გიყვარს ღმერთი რომე-
ლიც არის საუკუნო და დაუსრულებელი მშ-
ვენიერება და რომელიც არის მხოლოდ
ჭეშმარიტი და ყოვლად სრული სახიერე-
ბა? ნუ თუ არ არის შესაყვარებელი ის ღმე-
რთი, რომელშიაცა ჰგიებს ყოველი კეთ-
ილი და ყოველი სისრულე. შენ გეშინეა,
თუ რამის შეყვარება გინდა, ეს ერთად ერთი
ყოველი სიყვარულის წყარო შეიყვარე.

გ. ვალი გვქვს ღვთის სიყვარულისა მისი
სიკეთეებთვის. რა არ ჰყო ღმერთმან შენ-
ის სიყვარულისათვის? ძნელი მოსათვალო
მისი სიკეთეები? რა არ გასწია შენთვის
განკაცებულმან ღმერთმან? მოიგონე მისი
ვნებანი, მისი წყლულნი, მისი სატკივარნი?
რა სიკეთები არ დაგპირდა შენ ხსენებულ
სიკეთებთ გარდა? ნუ დაივიწყებ ამდენ მის
სიკეთეებსა, რომელიც მოგცა შენს სიცოც

ჴლეში? მოიგონე საუკუნო სიხარული, რომელიც შენახულ არს შენთჳს! არ კმარა ამდენი სიკეთენი შენის გულის მოსაგებლად: კიდევ შეგიძლია, რომ არ შეიყვარო იგი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლისაგან უმფრო? რას გასწავლის შენ სარწმუნოება, ჭკუა და გული შენი?

საქმე.

ა. სიყვარული გქონდეს ღმერთზედ, ხშირად მოიგონე და იზრახე ხოლმე მას ზედა. ამისგან ადვილი და ბუნებრივი რა არს, როგორც მოგონება თავის საყვარელის რამისა? და მისგან ძნელი და მძიმე რამე რა არს ბუნების წინააღმდეგად, როგორც არ გახსენება თავის საყვარელის რამისა? მაშა სადამე საქმე ყოფის დროსაც ხანდისხან გონება ღმერთთან აღიმაღლე სიყვარულიანი სულთქმით ესრედ: ღმერთო ჩემო და სიყვარულო ჩემო! ყოველასაგან უმფრო

მიყვარხარ შენ: ღმერთო ჩემო და ყოველო სიკეთეო ჩემო! ჵი უფალო რისთჳს ყოვ-ლა კაცს არ უყვარხარ შენ ყოვლითა გულ-ითა? ნეტარ თუ შემძლებოდა მე შეყვარ-ება შენი ყოველ წმიდანებთან ერთად! ამ ნაჲრ სიყვარულიანი სულთქმა მეტად სათნო იქმნება ღვთისა და დიდს სასყიდე-ლსაც მიიღებ.

ბ. სიყვარული გქონდეს ღმერთზედ ლაპარაკისა. სიყვარული მაშინ განძლიერ-დება, რომლისაც თავის საყვარელს საგან-ზედ პირს გახსნის. გული რაზედაც ტრფ-იალით ექმნეა, უიჭოდ მას ზედ საუბარი ესურვება, შენი ენა უნდა მოწამე იყოს, თუ რამოდნად გიყვარს ღმერთი. პირის გემო არ იცისო იტყჳან, ჳნც კარგს საჭ-მელს და კარგს ღჳნოს პირს მიადრეკს. მაშ რა ვუთხრათ იმას, ჳსაც ღმერთზედ საუბარი არ ეყვარება? უიჭველად წამხ-დარი და ცუდი გულის კაცი იქმნება ის.

გ. სიყვარული გქონდეს ღმერთთან

ლაპარაკისა. დროების დაჭკარგვამ, დღეების გაატარებ შენი საყვარელი მეგობრის თაობაზედ, მასთან შექცევაზედ ჲ თუ არ ნახო გულ დაგაკლდება! მაშ აბა რისათჳს გეძნელება ღმერთთან წარდგომა? რად ხარ აგრე ცივი ეკკლესიად წასვლაზედ. რა მიზეზისათჳს გეზარება ხშირად ზიარების მიახლოვება? რად არ გაღებ კადნიერად შენს გულს ღმერთისა ლოცვასა შინა? სიყვარულს შეუძლია დაახლოებისაგან უკან დადგეს.

დ. სიყვარული გქონდეს ღვთის ნების აღსრულებაზედ. მოყვარე თავის საყვარელისათჳს თაჳს ნებისაგან უკან დადგება, თაჳს ნებას გასტეხს ჲ მეტადრე რომ ყოველს თაჳს ნებას მას შესწირავს, სხვა ნება არ ექმნება მისი ნების გარდა. ნამდვილი ღვთის მოყვარება არის ღვთის ნების აღსრულება. იგი არის ყოველი გულით ღვთის მოყვარული, ჲ დამცველი ღვთის ამ უპირველესი ჲ უდიდესი მცნე-

ბისა, ჯერ მზად არის ყოველი სიყვარულის-გან მოსწყდეს ყოველი სასჯელი გამო-იაროს და ღვთის წინააღმდეგი არა ქმნ-ას რა, ანუ ღვთის სათნო საქმე არა დას-ტოვოს რა! ნახე თუ შენ რას შვრები? და როგორ იქცევი.

ე. სიყვარული გქონდეს ღვთის გულ-ისათვის მოთმინებისა. როგორც ოქრო ცეცხლით გამოიცდება გაწმდება, აგრე-თვე სიყვარული მარცხსა გინა ჭირსა შინა. ცარიელი მოსვენებისა და საამოვნე-ბისათვის შეყვარება, ყმაწვილური სიყვარუ-ლია. ქვეყნის სიყვარულისათვის რა შე-წუხებას არ ითმენენ კაცნი? სიცხეს, სი-ცივეს, ლახვას, ლანძღვას და ყოველ გვა-რს შეჯწროებას სწევენ! მაშ ღვთის სიყ-ვარული დაიზაროს? ცივად დაშთეს? რომ მისთვის არა შეწუხება გასწიო რა და მადლობის შეწირვითა არ აკურთხო იგი?

ვ. სიყვარული გქონდეს ღვთის გულ-ისათვის ხმლის მოქნევაზედ. ნამდვილი მე-

გობარი თავს მეგობრის გამარჯვებაზედ განიხარებს და მარცხზედ მწუხარე დაშთება. თავს თავსაც განსაცდელში შასცემს მისი გულისთვის, მისი პატივს შესანახავად და განსაცდელისაგან განსათავისუფლებლად. მაშ თუ რომ ღმერთი გიყვარს, ეცადე რომ სხვათაც შეაყვარო იგი, სიხარული გამოიჩინე, როდესაც ღმერთი იდიდება: ამის წინააღმდეგად, როდესაც ნახამ, რომ ღვთის სჯული ფერხ ქვეშ იქელება და მისი წმიდა სახელი იგმობება, ძლიერ მწუხარებას გამოიჩინე. როგორი ღვთის სიყვარული იქმნება, როდესაც უპირისწყლო უსჯულოების ნათქვამზედ ნაქმნარზედ დაჩუმდები? ცხადია შენი სიჩუმე იმ ბოროტთ მიმხრობას აჩვენებს! ამ რიგი სიყვარული ტყუილი არის და უწყალო, ეს სიყვარული კი არ არის, არამედ სრულიად სიმძულვარე.

## სწავლა მეოთხე.

## ღვთის ნების დამორჩილებასა ზედა.

შენი ნება ღვთის ნებასთან შეაერთე.

### მიზეზი.

ა. ამისთანა არა არის რა, რომელიც ჩვენ უფალსა ჩვენსა ქრისტეს მობაძავ გვყოფს. ეს ის სათნოება არს, რომელიც მაცხოვარმან ჩვენმან იესომ ყოველ სათნოების თავად შერაცხა, ჰქადაგა და მაგალითით თავს ზედ აჩვენა. მისი მთელი სიცოცხლე სხვა არა იყო რა, თუ არ მხოლოდ თვისი ზეციერი მამის ნების აღსრულება. თუ რომ მას ამ სათნოებით მიემსგავსები, ნამდვილ დარწმუნებული იყავ, რომ შენ შეიძლებ ცხონების ნა-

შენი აღბეჭდილი არს და დიდება სასუფე-ველისა შენისა. ამით მიემსგავსები სრუ-ლიად მას, ჯნც არს თავ და მაგალითი ღვთის ძეთა, ჯთამც იესოს.

ბ. ამისათვის შენი წმიდად გამხდელი და წმიდად გამომყვანი არა არის რა. ღვთის ნება არის მხოლოდ ერთი კანონი ყოვე-ლი სიწმიდისა, რომელიც სრულიად უმ-ზერს ჩვენს წმიდად გამოსვლასა: ეგრედ რომ რიერთიც უდიდესი და უსაკჳრველე-სი საქმე ვჰქმნათ ღვთის ნების გარეთი, სრულიად არას გვარგებს რა ჩვენს წმი-დად გამოყვანაზედ! შენ უკეთუ გნებავს ცოტახანში წმიდად გამოსვლა, შენი ნე-ბა ღვთის ნებასთან შეაერთე?

გ. შენი ფუმფრო გამაბედნიერებელი ამის მეტი არა არის რა. კაცის ბედნიერე-ბა ის არის, რომ განთაჳსუფლებული იყოს ყოველი ბოროტებისაგან და თაჳსი სურვილნი აღსრულდნენ. ამ ბედნიერებას მიეწევ უკეთუ ნება შენი ღვთის ნებასა

სრულიად დასთანხმდეს. მართლაც, რომ მაშინ განთავისუფლდები ცოდვებისაგან; რადგან ცოდვა სხვა არა არის რა, თუ არ მხოლოდ შენი ნების გამდგრომობა წინაღმდეგ ღვთის ნებისა. განთავისუფლდები ყოველი ბოროტებისაგანცა: რადგან ბოროტი გინა განსაცდელი არ იქმნას, რომლისაც შენს თავზედ მოსულს ჭირს სიყვარულით მიიღებ, როგორც ღვთისაგან მოსულს სიკეთეს. ამით შენი სურჳლიც აღსრულდება: რადგან მაშინ სხვას არა რაის ითხოვ ღვთისაგან გარდა მისი ნებისა: ამისთჳს დარწმუნებული იყავ, რომ მაშინ შენს სავედრებელსაც მიიღებ. ჵი თუ რა კარგი და ბედნიერია ესფერი ცხოვრება, რომლის შერყევა არა ფერს შეუძლია არც მარცხსა და არცა რა ზიანსა.!

საქმე.

ა. შენი ნებისა ღვთის ნებასთან შესაერთებლად, ეს მიუცილებელი საგნები გონებაში გამოისახე. ღმერთი არის ყოვლად მაღალი უფალი და მეუფე, რომლის ჴელთა არის ყოველი საქმე. ბ. ღმერთს როგორც თჳსი ყოვლის მპყრობელს ძლიერებითა დაუბადია ყოველი არსი, აგრეთვე თჳსი დაუბოლოებელი სიბრძნით ჰმართავს ყოველსა არსსა. გ. მთელ ქვეყანაზედ არ შეიძლება იყოს სადმე არც ერთი წვრილი აჳსა თუ კარგის რამებისა, რომ ღმერთმან არ იცოდეს ისა, არ უნდოდეს ანუ არ მიუშვებდეს მას. დ. რაც ღმერთს ნებავს, ანუ მიუშვებს თჳს მიუწთომელის განგებითა, ყოველსავე თჳთან საზღვრავს და ახმარებს თჳს რჩეულთ სასიკეთოდ ზეციერის დიდებისათჳს, უკეთუ ამ ჭეშმარიტებათა ღრმად ჩაიბეჭდავ, სრულიად გაგიადვილდება შენ ყოველს საქმესა შინა; რათა შენი ნება შეათანხმო და შეაერთო ღვთის ნებასთანა.

ბ. ღვთის ნებას მიჰყევ ნაჭე რას თხო-ულობს შენგან? ღმერთმან თავისა ნება გამოგჳცხადა ჩვენ თავისი მცნებებითა, თავისი მხოლოდ შობილის ძის მოძღვა-რებითა და მაგალითითა და მისი ეკლესი-ის აღგენებითა. დანაშთ საგანთაც გვაგო-ნებს უმთვროსების განკარგულებითა და შინაგანის შეტყობინებითა, რომელზე-დაც მოძღვარი დაგემოწმოს რომ ეჭჳ რაიმე ღვთისაგან არს. ჰკვალად მისთა-ნა შემთხვევაც მოხდება, რომ ეჭჳ გქონ-დეს, სთქვა: ნეტავ ეს რაიმე ღვთისაგან არს თუ არა? მაშინ ეს კანონი გქონდეს სახელმძღვანელად: უკეთუ არ შეგიძლია წასვლა შეკითხვა შენი სულიერი მოძღ-ვრისა, ის ჰქმენ, რაც ქრისტეს უფლისა ჩვენისა მოძღვარებისა და მაგალითისა შესაშვენად მოგდიოდეს თვალში, რაც არ ავნებს სხვათა რაც ცოდჳსაგან შორს არის და თავმოყვარობისა და ამპარტავნე-ბისა შენისა წინააღმდეგია.

გ. მჴურვალედაც ილოცე ხოლმე: რომ ღმერთმან თჳსი ნება როგორმე გამოგიცხადოს. ნება ჩვენი ძლიერ უძლური და ცვალადია: ამისთჳს მარტო თჳს თავად არ შეუძლია კაცსა თჳს ნება ღვთის ნებასთან შეერთებულად შეინახოს. ამაზედ ესაჭიროება ზეშთა ბუნებრივ მადლი: ისიც ღვთისაგან რომ ითხოვოს მიიღებს. მაშ აბა დაჳთ წინასწარმეტყველთან მრავალჯერ სთქჳ ხოლმე გულით: მასწავე მე ქმნად ნებანი შენნი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი.

დ. ყოველ ჟამს ყოველ ადგილს ეცადე რომ ღვთის ნება აასრულო, როგორც ჰნებამს მას და რისთჳსაც ნებამს. ამ ღვაწლს შესწირე ყოველი შენი ცდა, სურვილი და ძალა შენი, ეს გქონდეს შენ მთელი შენი ცხოვრების საგნად. ღრმად აღიბეჭდე ეს სიტყვები შენს გულში და მალმალ სთქჳ ხოლმე: რაც ღმერთს ნებავს მეც ის მნებავს, როგორც ნებავს და რის-

თჳსაც ნებამს. ამ რიგი ყოფით რომ და-იჭირო ყოველი შენი საქმე, იცოდე, რომ სასუფეველის გემოს, მოსვენებას და სიხარულს, როგორმე სახით ამ წუთსვე ნახამ.

ე. ღვთის ჴელითგან მოსულად მიიღე ყოველი რამე, გამარჯვება იყოს თუ მარცხი. ყოველს რამესა შინა პატივ ეც და ადიდე ნება ღვთისა, მას ექვემდებარე და ჰრქჳ გულითა: უფალო! მე შენს ჴელთა შინა ვარ. მიქმენ მე, რაჲცა სათნო არს შენდა; ანუ უფალო არა იყოს ნება ჩემი, არამედ ნება შენი. ანუ: რაც რომ ღმერთს ნებამს, მეცა ის მნებამს. ვისაც გა გული ექმნება სიხარულსა თუ სიმწუხარესა შინა, მის სულში დამკჳდრებულა ნამდჳლად სული ქრისტესი.

ვ. ყოველი გულითა შენითა ეს კეთილი ღვაწლნი იხმარე ხოლმე, რომელშინაცა არს ყოველი სისრულე. ესე იგი ნუ გაიკჳრვებ, ნუ აღელდები შენი დაჭერილი სა-

ქმის გამარჯვებას თუ სიმარცხესა ზედა.
ერთი თვალითა და განურჩეველი სახით უმ-
ზირე შენს სიმრთელესა და სნეულობასაცა,
სიცოცხლესა და სიკვდილსაცა; აგრეთვე
მოიქეც ყოველს შემთხვევასა შინაცა. ყო-
ველი საქმე ღმერთს მიანდე, შეევედრე მას,
რომ მან განაგოს ისინი ყოველს დროს,
ყოველს ადგილას და ყოველს გარემოებასა
შინა, როგორც სათნო იყოს მის თჳს.
გარნა რადგანც ერთი მაღალი სათნო-
ების ჴელთ გატარება არ იქმნება ომის
გარდაუხდელად, ამისთჳს ჯაჭჳ შეიმოსე
საჭურველითა, მზად იყავ და ფრთხილად:
დაარგუნე შემუსრე შენი გულის მოუსვე-
ნარი მოძრაობანი და მიდრეკილებანი,
რომ გული არაფერზედ არ გეტკინოს,
არ ესამდურათ. რა შეწუხებაც, რომ გა-
რდაგხდეს, ნუ განიხილებ თუ ჳნ ან რა
საქმე. მიზეზი გახდა იმ მარცხისა და შე-
წუხებისა შენისა. არამედ ღვთის ჴელთ
უყურე, რომ მისგან მოგიჳდა.

სწავლა მეხუთე.

ძმათ მოყვარებასა ზედა.

შეიყუარე მოყუსი შენი ჳთარცა თავჲ შენი.

მიზეზი.

ა. ძმათ მოყვარობა თუ მოყუსის შეყუარება ცხადი ნიშანი არს ღვთის მჳლობისა. ბევრ ჯერ ამბობ, რომ ღმერთი მიყვარს: შენ თავს ატყუებ, უკეთუ შენი ძმაც არ გიყვარს, ღმერთი, რომ სრულიად სიყვარული არს და სრულიად სახიერება, უნდა, რომ მისი მსგავსება თავჳს მჳლებზედ იხილვებოდეს. ამისთჳს სწერს იოვანე მახარებელი; ძმანო შეჳყუვართო ერთმანერთი: და ყოველს, რომელსაც უყუარდეს (ძმა), ღვთისაგან შო-

ბილ არს და იცის ღმერთი. ა . . იოვან. დ . ზ .

ბ. ძმათ მოყვარობა ცხადი ნიშანი არს ქრისტეს ძისა ღვთისა მიბაძჳსა. მხოლოდ შობილი ძე ღვთისა ამისთჳს შთამოვიდა ზეცითგან, რომ ქვეყანაზედ აღენთო ცეცხლი წმიდა სიყვარულისა! ამ სიყვარულის მცნებას ცხადად გვასწავლის: მოვედი ცეცხლის მოსაღებლად ქვეყანაზედო; ამას გამცნებ, რომ გიყვარდესთ ერთმან ერთი, როგორც მე შეგიყვარე თქვენ. ახალს მცნებას მოგცემ თქვენ, რომ შეიყვაროთ ერთმან ერთი. ამით სცნან ყოველთა, რომ ჩემნი მოწაფენი ხართ, უკეთუ გიყვარდესთ ერთმან ერთი; თაჳს თავს გვაჩვენებს ჩვენ როგორც ერთის სარკესა სიყვარულის მაგალითად: ამისთჳს ერთმან ერთი უნდა შევიყვაროთ, როგორც თჳთან ჩვენ შეგჳყვარა. ახლა შენ როგორი ქრისტიანი ხარ? თუ რომ ქრისტეს ბრძანებას ჰ მა-

ტალითს არ შეინახამ ძმის სიყვარულითა.

გ. მოყჳსის მოყვარულობა მშობლის ბეჭედი არს ზეცის მემკჳდრისა ორირამით იქმნება ცხონება, ღვთის ბრძანების გინა სჯულის შენახვთა დ̃ ცოდვათაგან მოშორებითა. აწ პავლე მოციქული ამბობს. რომელსა უყვარდეს მოყჳსი თჳსი, მან სჯული აღასრულა. რომ. იგ. ჱ. ეს სიყვარული ცოდვათაც ჰფლხენს და მოქცევს მაღლისაც მისცემს; ნეტარ იყვნენ მოწყალენი: რამეთუ იგინი შეიწყალნენ. გარნა ჳნც თავს ძმას არ შეიწყალებს ღვთის მოწყალებას არ მიემთხვევა, სხვა რაღა ვსთქვა? ძმათ მოყვარება სასუფეველის გზას ვაკე მინდვრად აქცევს! სიყვარულის ადგილი არს სასუფეველი: იქ სიმძულვარე მტერობა არ შევა: იქაური მცხოვრებნი ერთ გული დ̃ ერთ სულნი არიან! როგორც სააქაოს უსიყვარულოს იქ არ მიიღებენ; აგრეთვე აქ სიყვარულიანს იქ სიხარულითმიიღებენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე.

ა. არ შეურაცხჰყო მოყვასი შენი. გლახაკიც იყოს გლახაკი სახლითგან, უთაური საწყალი და მოძულებული, გარნა მაინც კაცია, ღვთის დაბადებული. ქრისტეს სისხლით ნასყიდი და სასუფეველისათჳს დახსნილი. ვსთქვათ თუ ერთი ჯსმეს ცხოვრება ბოროტია, გესლიანი და ყველა ზნითგან გარეთი; ღმერთს, რომ არ დაეფარე შენ იმას ქვეშ დარჩებოდი? მაშ რიერთიც შეგიძლია შეიწყალე და უბრალოდ გამოიყვანე, თქმითა, რომ კარგად არ გაზრდილა, სხვათაგან ბოროტი მაგალითი აუღია და ბუნებითი უძლურება აქვსო: იმაზედ უფლობაც, რომ გქონდეს შებრალებით მოეკიდე: სწორე გზაზედ თუ ვერ მოიყვან წყლულზედ სალბუნს (მალამოს) თუ არ ინდომებს, მაშინ საფეცხელე აჩვენე კარგის გულითა, უწე-

სოებისათჳს გაუწყერი დ თან კიდევ შე-იყვარე.

ბ. სხვეებზედა მუდამ კარგი ილაპარა-კე. ჩვეულობის საქმედ გამხდარა მსუ-ბუქად სთვლიან სხჳს ნაკლებულობაზედ ლაპარაკსა: გარნა ამით მუდამ სიყვარული გაჰქრება დ მასთან ბევრჯერ მართალი სიმართლეცა. ჳსმეს ნაკლებულობა თუ იცი შენთან დაშთეს: სხვასთან ნუ იტყჳ, რო-დისაც იმას არ შეეხება. შენი ძმის მოქ-ცევა გინდა, შეგიძლია მარტო ელაპარა-კო ტკბილად. თუ არ გაგიგონოს, რო-დისაც ის საქმე ღმერთს უმზერს შეეხება დ ანუ თუ შეიძლება იქიდგან დიდი და-რკოლება გამოჯდეს უმთავროსებს შეატ-ყობინე, რომელთაც შეუძლიათ დ ვალა-ცა აქვსთ წამალი დაადგვარონ.

გ. გლახაკებს სიყვარულით ღმობიე-რობა აჩვენე. მქონიერე ხარ? კარგი მოწყალება მიეცი: ცოტა რამ გაქვს? ცოტითგანაც კერძი დაუდევ. მოწყალება

ღვთის კურთხევას მოუტანს სახლსა და დაიცვამს მას. მიეც მოწყალება გლახაკთა სიყვარულით და მოთმინებით; თუ არა სასყიდელი არ გექმნება ღვთის წინაშე. უმფრო შეეწიე მოთაკილე გლახაკთა. ამისთანა დავარული გლახაკები უმფრო შეწუხებას სწევენ, ერთი სირცხვილისაგან და მეორე რომ მათი მონაღვლე არა ჳნ არის. ამისთანები რომ მოძებნო და შეეწიო მოწყალების სასყიდელთან სიყვარულის სასყიდელსაც მიიღებ. მშიერთ აჭამე, შიშველნი შეჰმოსე, მიეც იმათ ნახმარი რამ ტანსაცმელი, მცირე ოდენი ქბილი ან რავდენიმე შაური ხოლმე, იესო თჳსდამი ქმნილად მიითვლის ამათ. და მოგაგებს შენ უხვად სამაგიეროს საქაოსაც და საიქაოსაცა.

დ· სნეულებზედ ყურადღება გქონდეს. არ გეუბნები, რომ ყოველთჳს მათ გვერდითგან არ უნდა მოშორდე, არამედ შეეწიე ხოლმე მათ იესოს პატიჳსათჳს

ზოგი სნეულიც უპატრონო და ან მო-ძულებული იქმნებას: რა სცნობ, წადი მი-ხედე ანუ შენი კაცებისაგანი ვინმე გააგ-ზავნე, ეცადე მოუარე რიგიან, რომ ენუ-გეშოს საწყალსა: მეტადრე სანამ გონება ზედა აქვს, წმიდა საიდუმლოები მი-იღოს.

ე. შეეწიე შენი შეძლების დაგვარ ყოველთა საწყალთა დავრდომილთა და უძ-ლურთა. უკეთუ მოწყალების სიყვარული ნამდვილი იყოს, საწყალებს იქმს იგი. ღვთის განგებულების მსგავსად ყველას მისწვდება და შეეწევა. ჭკუას გარდა გა-მჭრიახობას იჩენს და დიდ საქმეებსა იქ-მს: გული არ მოუსვენებს თუმც, რომ მთელი ცხოვრება საწყლებს გადააგოს. რისგან არს? რადგან ღვთიური სულით აღნთებულია, რომელიც არს სრულიად სიყვარული, ღვთის სახეს ხედამს ძმეებთა ზედა და ამისთჳს სურს, რათა უმფრო განბრწყინდნენ; რომლით თჳთანაც სრუ-

ლიად განბრწყინდების: იცის რომ ღვთის წინაშე მისთანა სათნო არა არის რა: როგორც არიან სიყვარულის საქმენი რომლებით კაცი ღმერთს მიემსგავსების!

გ. ძმათ მოყვარე იყავ შენთა ბუნებრივ მიზეზებითა. ფუჭი არს და სასყიდელი არ აქვს იმ სიყვარულსა, რომელიც ქვეყნიერი მიზეზებითგან წარმოსდგების, ჯთამც სათნო (ხათრისათჳს), მშვენიერებისათჳს და სარგებლის მოყვარულობისა: ეს ქვეყნის მოყვარულობა არს, რომელი სრულ მალე წარხდების: მაგნაირი სიყვარული კერპთ მსახურთაც ჰქონდათ, ქრისტიანის ყოველი საქმის საფუძველი უნდა იყოს ღვთის სიყვარული: ეს რომ არ იყოს ქრისტიანებრივ ძმათ მოყვარება არ იქმნება.

## სწავლა მექვსე

### ძმათ სულის ცხონების მზრუნვაობა-სა ზედა.

ყოველი ბრალი მოიხმარე ერთი სულის ცხონებისათჳს.

### მიზეზი.

ა. კაცის სულს ფასი არა აქვს ბუნე-ბის გერმოდ. ანგელოზის შემდგომ კაცი არს უუპატიოსნესი არსი, ცხოველი ხა-ტი ღვთაებისა; ეგრედი უაღრესობა აქვს, რომ მხოლოდ ღმერთმან იცის იგი. ერთის ვისმეს, რომ ვინმე მიცვალებულის სახე ჰქონდეს დახატული კარგ ხელოვნური დ ფასიანი ამ ქვეყანაზედ, ნახე როგორ

კარგად შეინახამს? ზედ კანკალი მოუვა! მაშ შენ რა არ გმართებს ღვთის ხატისათჳს, რომელიც არის სული კაცისა?

ბ. უმფრო დაუფასებელი არს იგი მადლების რიგსა შინა. კაცის სული მადლებითა ზესთა ბუნებრივს მაღალს აღსავალზედ აღსრულ არს და ღმერთთან შინაურულად მიღებულია· მამა ღვთისა შვილობილია. ძისა ღვთისა ძმობილი და სული წმიდის სულიერი სძალობილი! ამ აღსავალს ასაყვანებლად ქრისტეს თჳსი სისხლით მოუსყიდნია სული. შენ უნაღვლელად იქმნებოდი შენს შვილზედ? შენს ძმაზედ და შენს სძალზედ შენი გულმწიფის საგნოდ თუ ყოფილიყო იგი?

გ. უმფრო დაუფასებელი არს დიდების რიგსაცა შინა. რისთჳს სული ეგრედ სრული ნიჭიერებითა დაბადებულ არს? ეგრედ მაღალს აღსავალზედ აღსრულ არს მადლებითა და დაუფასებელი სისხლითა მოსყიდულ არს? სხვა არაფრისათჳს,

ჯარნა თუ არ მხოლოდ საუკუნო დიდების მიწევნისათჳს; ესე იგი ამ წუთისა ტოლა ხანს გამოიცადოს და გამოირკვიოს, რათა ღირს იქმნას ზეცას სასუფეველისა: სად-აცა დაიმშვენოს ღვთის პირის ხილვა, რომელიც არს უხდრესი კეთილი! ნახე ქვეყნიერი მეფის შჳლზედ რა ნაღველი და რა ზრუნვა იქმნება? ათასობით ჯარი აწყდება, რომ იგი წარმავალი გჳრგჳნი-საგან ცარიელი არ დაშთეს, მაშ რა არ უნ-და ინაღვლოს კაცმან ერთის სულისათჳს, რათა სასუფეველის გჳრგჳნის ღირსი იქ-მნას იგი?

## საქმე

ა, არ იქმნას სთქვა თუ სულის ცხო-ვრება მე არ შემეხება, ეს მღვდლის საქმეაო. ჩემის ძმის სულზედ მონაღვლეობა ჩემი საქმე არ არისო, სათქმელი სიტყვა არის? ეს ეკადრება სარწმუნოებიან და სიყვარუ-

ლიან ენასა? ერთი ადგილი რომ წყალს მიჰქონდეს, ქალაქში რომ სახლების ცეცხლი სწვამდეს, თუ შიმშილი იყოს, ბუნებითი არის, რომ ყოველი კაცი შეძლების დაგვარ შეეწევა. მაშ სულის გაჭირვებას არ უნდა უყურებდე და უმფრო არ უნდა გვენაღვლებოდეს მისი დაუფასებლობისათჳს?

ბ. პირველად შენ შენის სულისთჳს ინაღვლე. თუ რომ შენს სახლს ცეცხლი ეკიდებოდეს, რა ეჭჳ სხჳს სახლისთჳს არა გცალია. თუ შენ სულამომავალი ხარ, სხვას ველარ შეეწევ. არაფრად ღირს სხჳს სულზედ მონაღვლეობა, როდესაც შენის სულისთჳს არ ნაღვლობ, გაგიგონია არა-კი: მკურნალო განკურნე თავი შენი. რას გასარგებლებს ქვეყნის შეძენა, როდესაც შენ სულს წარიწყმედ?

გ. შემდგომ შენი კელქვეითების სულისთჳს ინაღვლე. შვილები გყავდეს? მეგობრები, მსახურნი, მხევალნი, ქვეშევ-

რდომნი კაცნი, მუშები, თუ ამხანაგები, ამათზედ მოშურალობა და მონადვლობის სულისა აჩვენე: დრო მოვა რომ მათთჳს პასუხი უნდა მისცე. უჭკუო იქმნება ის მწყემსი, რომ სხჳს ცხვარს ინახემდეს, როდისაც მის ცხვარს მგლები იტაცებდნენ. შენ ეცადე, რომ შენი კელქვეითნი, შენთან შეხიზნულნი კაცნი შეაგულიანო, შეასმინო, გაუწყრე, დასაჯო, აღუთქვა, მისცე რამე: ერთის სიტყჳთ ყოველი ღონე მოიხმარო გონივრული მონადვლობითა და მოშურალობითა, რათა ისინი შეიძინო ღვთის მსახურობაში.

დ. ამ გვარი კეთილ მოშურალობა შენის სახლის გარედამ უნდა მოეფინო. ცეცხლის ნაირად მოშურალობა სულისა, რომელი კმარა ეყოფაო არ იტყჳს სრულიად. ნახე რა მზრუნველობის ვრცელი მინდორი აღმოჩნდება მაშინ შენს წინაშე? როგორც უპატრონო ობლების მონადვლობა, გლახაკი ყმაწჳლების შეწევ-

ნა, რომ რიგიან აღიზარდნენ, კითხვა წერვა და კელობა ისწავლონ, რა საქმე-ზედაც გამოსადექნი იყვნენ, იმ საქმე-ზედ დააყენო იგინი; კარგ ახალგაზდებს კარგი და სულიერი წიგნები დაურიგო სა-კითხავად და კეთილ მსახურობითს ძმო-ბაში აღიწერო. ვერ ხედამ, რომ ბორო-ტნი ყოველს კელოვნებას ხმარობენ ეშ-მაკის მფლობელობის განსავრცელებ-ლად? შენ არ გმართებს, რომ ინაღვლო ღვთის კელემწიფობის განსაძლიერებ-ლად? ისინი ფულს არ ზოგვენ სულების შესაცთომელად: შენ მაინც ერთს კერძს არ გარდასდებ სულების საცხონებლად?

'ე. სრულიად ნუ რა გვარის ვალს ნუ დაუზოგავ შენს კეთილს მზრუნველობას და მოშურნეობასა. ჯერ ჯნც, რომ უმფრო საწყალია იმას შეეწიე, ამისთვის შეეცადე უფრო ცოდვილების მოქცევასაზედა, რომ შეურიგდნენ ღმერთსა და წარმართნიცა მოიყვანო ნათლის ღვთის სარწმუნოე-

ბასა და სიყვარულსა ზედა. თუ სხვებრ სა-შვალი ვერ ჰპოვო მათი შეძენისა, ლოცჳთა და კეთილი მაგალითითა დააგვარე რამე, სადაც რომ იყო:

ვ. თუ რომ საჭირო გახდეს ცხადად უწინააღმდეგე ბოროტსა. უკეთუ დიდი ბრალია სხჳს ვეცხლის, პატიჳს, კარგი სახელის, სიმრთელის და სიცოცხლის წართმევა, მაშ რაოდნად უფრო მძიმე ბრალია სხჳს უცოდველობის, მადლის და ცხონების დაკარგჳნება? მაშ როდისაც ხედამ, რომ ერთი ავკაცი სხვათ ავუჭებს ანუ აბრკოლებს. შეატყობინე იმას, ჳსაც რომ შეუძლია იმ ავკაცის განრისხვა, არა თუ ზიანის მიცემითა; არამედ ბოროტის მოსასპობლად. თუ რომ ქურდისა და ავაზაკების მოსპობას არა ჳნ დაიზარებს, მაშ აბა რაოდნად უფრო საჭირო არის ცდა, რომ ქალაქის თუ სოფლის ავ კაცნი და სულის წამაწყმედელნი მოისპონ; რათა სულები არ დარ დალუპონ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწავლა მეშვიდე.

### ჭკუანობასა ზედა.

### ქრისტიანის შესაფერი ჭკუა და სიბრძნე იხმარე.

### მიზეზი.

ა. ამისთანა სიფრთხილისა გინა ჭკუა-ჳს წინააღმდეგი რამე არ შეიძლება იყოს, როგორც უგუნურობით მოქცევა, რომ-ლიცა არც ერთს გარემოებას არ უყურებ-დეს. პირუტყვის საქმეა მარტო ბუნების შეყოლა, სიტყვიერი კაცი კი ჭკვით უნდა მოიქცეს, თუ არა კაცად არ ითქმება.

ბ. მისთანა სათნოებანი რამეც არ იქმნება, რომ ჴხმე ჴორცის ჭკვით იქცე-ოდეს. ჴორცის ჭკუა სხვა არა ფერს ფიქრობს გარნა თუ არ მხოლოდ საგრ-ძნობლების საამოვნესა, თავ შეყვარე-

ლობასა და ამპარტავნობასა, რომელნი ღვთის საძულველნი არიან სრულიად უგუნურობისა და უწესოებასავით, ამ გვარი ზესლი კაცს ყოველს ცოდვაში შთააგდე-ბს და ყოველ პირუტყურს მიდრეკილებას ტყვედ გაუხდის.

გ. მისთანა უკეთესიც არა შეიძლება რა, რომ ერთი ჯრმე ქრისტიანური ჭკუით იქცეოდეს. ეს დაფუძვნილი არს სიტყვე-რებაზედა, შემფერებლობაზედა, ღვთის ბრძანებათა, ქრისტეს მოძღვრებასა და მის მაგალითსაზედა: ეს გონიერობა იხ-მარე ყოველს შენს საქმეში, თუ არ გინ-და მეტად შეცდომა და ყოველი გზებით-გან გარედ გასვლა. ამას თხოულობს შე-ნგან შენი საბოლოოვო, ნათლის ღების აღთქმა (პირობა) და სარწმუნოებაცა შენი.

·საქმე.

ა. ერთს მხარეს გარდასდევ და განაბიე

შენგან ქვეყნიური მაცდური დასაწყისნი ეს სიტყვები ხომ გაგონილი გექმნება უჭკუოებისა და გლისპებისაგან, რომ ყველა რამე ხომ ცოდვა არ არისო? ჩვეულებას უნდა მივსდიოთო. მღვდლების სიტყვების ყურის მიგდება არ არის საჭიროო, ეგრე უშნო და საჩიჩარი არ არის ეშმაკიო, მაგდენად ცხელი არ არის ჯოჯოხეთი, როგორც ისინი ამტკიცებენო. ახალგაზრდას თაჯ უნდა დაჭკნებოდეს, რომ ისიამოვნოსო, სინანული მოხუცებულობაშიც ეყოფაო; მოეშორე ამ ნაირს ავს სიტყვებსა: შენ იმათ მიაქციე ყურად ღება, რომელთაც უნდათ შენი სიწმიდის გზა კვალზედ დაყენება: უმიფრო დარწმუნე სახარებასა და კათოლიკე ეკკლესიასა, ჯრემც თუ მოჩვენებულს ტყჳლ ქრისტიანეთა ნათქვამთა: რომ თაჯანთ სიავკაცეს საკმაოდ არ რაცხვენ, არამედ უნდათ თაჯანთი აჯ სიტყვები სხვათაც გარდასცენ, რომ თაჯანთსაჯთ სხვანიც

ჯოჯოხეთში წაჲყვანენ წარსწყმედენ.

ბ. შენს ჭკუვასაც ბევრს ხუდა დაბრკოლებები. ჳნც რომ ჭკვანს და კარგ კაცთა რჩევისათჳს შეეკითხება, ჭკუჳთ საქმეს დაიჭერს და მრავალი განსაცდელისაგან განთავისუფლდება. გზითგან გარედ გავა ის, ჳნც რომ მარტო თავის ჭკუვას მისდევს. რომლისაც არ შეგიძლია სხჳს შეკითხვა, მაშინ იფიქრე, რომ შენ რა სწავლას მისცემდი იმათ, ჳნც მაგნაირს საქმეში ყოფილა იყვნენ? შენ სჳნიდისის ხმას მიჰყევ და ის საქმე ჰქმენ, რომელსაც ადჳლად რაცხამ ღმერთთან პასუხის საგებლად.

გ. ყოველი შენი ცხოვრება და ყოველი ქცევა შენი ბოლოს ოხჭანისკენ უნდა იყოს მიმართული. არ იცი რომ შენ დაბადებული ხარ, არა თუ წუთი ცხოვრების გართობისათჳს, არა თუ ფულის მოგებისათჳს, არა თუ დიდების და პატივის შეძენისათჳს, არა თუ ფართო პირუტყული ცხოვრების გატარებისათჳს თავმოყვა-

რჯულობითა, არამედ ღვთის ცნობისათჳს, მისი შეყვარებისათჳს, მისი ბრძანების დაცვისათჳს და ღირს ყოფისათჳს საუკუნო ცხოვრებისა. ეს შენი სულის საბოლო-ვო მუდამ თვალ წინ გქონდეს და ყოველი შენი საქმე მას მიამარჯვე. ნეტარი შენ თუ შენი სულის ამ საბოლოვო ბედნიერებას მიეწევ: ვაჲ მოგივა თუ ასცილდე მას!

დ. დრო ურმი მოიხმარე კეთილ საქმეზედ. დაუფასებელია დრო, გარნა მიფრინავს მირბის, წასვლის შემდგომ უკან არდარ მობრუნდება იგი. თუ რომ ასრე არს, ეცადე რომ უბრალო რამებზედ და უქმად არ დაჰკარგო დრო, მთელს წუთიერ საქმე ყოფაზე ნუ დახარჯავ მას: მაინც ერთი ნაწილი მოახმარე შენს სულს და ღმერთს, დღის ყოველი საათი რიგ რიგად გააწყე: მაშინ წყნარად და კეთილად გაატარებ.

ე. ღვთის მადლი ქვეყნის ყოველ სიკე-

თეზედ მბღლა დასახე და აჯობინე. მადლები ქრისტეს დაუფასებელი სისხლის წვეთებად შერაცხილ არიან: რადგან შენ ის მადლნი შეიძინე მისი ვნებითა და სიკვდილითა. მაშ სადამე შენც ღირსეული პატივისცემითა მიიღე, თუ გონების განათლება, თუ შენი ნების შინაგანი კეთილი მოძრაობა და თუ სხვა მისთანა ცხოვრების საშვალობანი. კარგად დააკვირდი ყოველი შენის ძალითა, რომ ღვთის პასუხსაგები ძნელი საქმეები არა შეუკრიბო რა შენს სულსა.

3. მცირე საგნებზედაც უნაღვლელი ნუ იქმნები. ჯთარნი არიან წვრიმალი ნაკლებულობანი, შესანდობელნი ცოდვანი, ესრეთვე წიწკტი სათნოებანი და ცოტცოტა კორცის მოკვდინებანი: გეუბნევი ნუ იქმნები უნაღვლელი ნურც იმ პირველებზედ და ნურც ამ მეორებზედ, რადგან არ არის მცირედ შესარაცხი ის რამე, რომელიც ღმერთს იამება და ანუ თუ ეწყინება;

ამისთჳს როდესაც ერთი რამე ღმერთს შეეხება ⁊ მადლების მომდინარეობის ზიანსა ანუ სარგებლობასა არა რაჲ არს მისგან უდიდესი. ჯსაჲ გამდიდრება უნდა, მცირე ზიანსაც უნდა უფრთხილდებოდეს ⁊ სულ მცირე მოსაგებსაც ჴელითგან არ უნდა სტოვებდეს.

## სწავლა მეერვე.

## ზომიერობასა ზედა.

ყოველს რაიმესა შინა ზომა და კანონი გქონდეს.

### მიზეზი.

ა. ზომიერობა საჭირო არს კაცისთჳს, რომ კაცურად იცხოვროს. უსიტყო ითქმის ის კაცი, რომელიც მხოლოდ თავს საგრძნობლების სურჳლს ამაკყოფილებს.

სიტყჳერი კაცი თუ რომ ჭკვით არ მოა-ქცეს და სიტყჳერებითი კანონით თავს არ დაიკავოს, პირუტყჳ გახდების.

ბ. ზომიერობა ესაჭიროება ქრისტია-ნესა, რომ ქრისტიანებრივად იცხოვროს. სახარებაჲ ერთი თვალი გარდავლე, ნახ-ამ რომ ყოველი კანონები ზომიერებაჲს განსწავლიან, თუ რა სახით კაცმან ყოვე-ლს შემთხვევასა შინა თჳსი მიდრეკილე-ბანი უნდა გააწყოს რიგისა და კანონის დაგვარად, ბუნების რიგის გარეთ არ გა-ჳდეს, თჳსი ვალი, რაც იყოს ღვთისა და კაცისა მიმართ იცოდეს და მით თჳსი თა-ვი მართოს.

გ. ზომიერობით იქმნება სრული ცხ-ოვრება. სათნოებას, რომ ძალიან კარგი და საუკეთესო ღვაწლნი აქვს, აღსავალი და ჭდეცა აქვს, რომ იმას იქით აღარ გარდავა: ერთი აღსავალიცა აქვს, რომ-ლისაგან ქვეით აღარ ჩამოისვლება, თუ არა და უმისოდ საქმე წახდება. ზომის

გარედ გულ უკობა გამოუჭვებლობა იქმნება: უზომო კელის მომჭირნეობის ხარბობა იქმნება; მეტის მეტი გულადობა გლისპობა არს; თავმდაბლობა რომ კანონს გარდასცილდეს, მცირობა ანუ მოშიშრობა არს. მომეტებული სიფიცხე, უწყალობა არის: თავს იჭვზედ თავს სიტყვაზედ მიყინებულობა თავ მხედობა და თავს მოყვარულობა არს: მალ მალ სიტყვსა თუ ფიქრის შეცვლაც, ცერცეტობა არს. ამისთვს ძველ ბრძენ კაცთა უთქვამსთ: სათნოება თავს წრეში კვალში თუ კალაპოტში დგასო; ესე იგი საშუალ ორივე კიდურისა. ესეც მართალია, რომ ყველა კაცი სათნოებას უნდა იქმოდეს ხოლმე თავს წოდების დაგვარ, თავს ხნიერობისა (ასაკისა), შეძლებისა, დროჟამისა, ადგილისა, და სხვა გარემოების მიხედვთა. სათნოება შორ მხედველობითა თვსითა ყოველ საქმეს ზომით დაიჭერს. საქმე ყოფა დასტოვოს და მარტო

ლოცვას მისცეს თაჳ, არ იქმნების: იმნაი-
რი საკანუნო არ უნდა მიეცეს ჳსმეს, რომლის გარდახდა არ შეეძლოს: განუზრახველად დაუსჯია მთვრალი კაცი ანუ ჯავრით დამთვრალი, რა სარგებელია? მეტადრე როდისაც ხედავს, რომ ვერა ფერს ნაყოფს გამოიღებს. უძღები დ͠ ლოთი კაცისთჳს წყალობის მიცემა, ფულის გაფუჭება არის: მეტადრე ჳსაც ჴელ ფეხი მოსდევს, ანუ ჳსაც ჴელმწიფის ულუფა უბია. ცუდად მათრევალე კაცს პური არ მიეცემა, თვარემ ჴელს არღარა ფერზედ გასძრავს. წამებულობაც არ გამოდგება, როდისაც საჭიროება არ თხოულობს ანუ ღვთისაგან აღძრული არ არის. ამიებით მიხვდები თუ რამდენი რიგი დ͠ კანონი უნდა შეინახებოდეს კარგი საქმის კარგად შესასრულებლად, თუ არა კარგი საქმე ცუდად გარდიქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე.

ა. ჭამა სმაზედ ზომიერი იყავ. სხვა არა ფერი არს ეგრედი კეთილისაგან გამოშორებული და ბოროტისაკენ მიმზიდველი, როგორც უზომო სმა ჭამა. ამისთვის სიმრთელისა და სიცოცხლის მავნებელიც არა არის რა. ერთი ხომალდი (ნავი) მეტის მეტი ტჳრთით რომ გამოვსებული იყოს, ცოტა რამე მიზეზითაც ზღვაში დაიღუპება; ასრევე ავმუცელის სტომაქი მალე წახდება: მეტი ნაყროვანებისაგან გალაღებული კორცი უწმიდურობას მიეჩვევა და დაიქცევა. სმა ჭამის დრო დანიშნული გქონდეს, რიერთიც შეიძლება ზომას ნუ გარდახვალ, ამით ცოდვებისაც მოშორდები და შენის ტანსიმრთელითაც განდღეგრძელდები.

ბ. შენს გაჯავრებას ზომა უნდა ჰქონდეს. სიბოროტისთჳს განრისხება ჯე-

როგანია, მაგრამ საჭირო ზომას არ უნ-
და გარდაჰდეს. წყეულა გმობა პირითგან
არ ამოგიჴდეს, შენცა შენი ზომისგან
გარედ არ გახჴდე. რას სიბოროტეს არა
იქმს გაბრაზიანებული მრისხანებისა? ტან
სიმრთელეს მოუშლის, სჯნიდის დაუმ-
ძიმებს, უმცროსთ დააბრკოლებს და ღვ-
თის კურთხევას მოაშორებს. ნეტა რამი
გამოდგება ეგრეთი განრისხება უსულო-
რამეზედ, ცხოველებზედ და სიტყუერს
კაცებზედაცა? რას მოელი შენ იმათგან,
რომელნიც არ გაიგონებენ, ანუ გაიგო-
ნებენ და ვერ მიხვდებიან? ხოლო კაცნი
ან შენგან უმფროსნი არიან ან უმცრო-
სნი და ან თანასწორნი! თუ უმფროსნი
არიან, რას იგებ განრისხებითა? ჭირს
მეტად ჭყლაპამ, ცოდვასაც ცოდვად შე-
რები: შეგიძლია სხვას შეჰკითხო შემწე-
ობაც სთხოვო. თუ უმცროსნი არიან?
უმფროსობა გამოიჩინე, ნურაფრად და-
სთვლი მათ უნაღვლელობასა, ანუ შეუნ-

დე შეცოდებულნი! ბატონოჲა უნდა შე-
გფერობდეს. თუ რომ შენძა თანასწორმა
გიწინაღმდეგა, სიცილ ხუმბრობაში შთა-
უგდე, გარედგან წყენას ნუ გამოიჩენ,
ერცაზე ნაპერწკალიც, რომ გაისროლო,
დიდს ცეცხლს გააჩენს. გონიერი კაცი
ამ გვარ რამებს თვალ მოარიდებს.

გ. სიტყვა პასუხიც ზომით გქონდეს.
ზევრ მოლაპარაკობა ძმობრივს სიყვარ-
ულსაც შეეხება, მართალში ტყუილს გამ-
ოურევს, საბატიურს სიტყვათ უპატიურ
სიტყვებზედ გარდასცვლის. კაცის სუ-
ლიც მეტის მოყმედობისაგან დაბნეულ-
იყთ დარჩება, ქრისტიანულ რიგსა დ̃ კა-
ნონსაც უწინაღმდეგებს. შენ ეცადე იმ
ნაირი სიტყვა სთქვა, რომ გამგონთ გუ-
ლი მოეგოსთ, საოგებლოვანი დ̃ საჭი-
რო რამ იყოს, ყმედობა არ იყოს, შენს
პატიოსნებას შენს ღირსებას ბიწი არ
შესცხოს, სიყვარულის წინაღმდეგი არ
იყოს, ფრინველი გალობით დ̃ კაცი თავ̃ს

სიტყვით გაიცნობება.

დ. ჩაცმა დახურვაშიც ზომიერი იყავ; შენის პატიოსნებით ჭკვიანთ და კარგ კაცთა მიჰბაძე. ახალ მოგონილ მოდებს ნუ მიჰყვები, შენი ზომა შენ უნდა იცოდე. სხვის ყოფაქცევა მუდამ შენ კანონად არ გამოგადგება: ზომის უყურე, წასაგები (ხარჯი) გასინჯე: თუ მშობლები გყავს შეეკითხე: იმათ შენზედ კარგად ესმიან ყოველა საქმე. ტანისამოსის სისუფთავე პატიოსნად გამოგიყვანს, არა თუ შენი მორთულობა ანუ შენი სიამპარტავნის ნიშნები! რას გარგებს კარგი ჩაცმა დახურვა, უკეთუ შიშველია შენი სული ყოველი სათნოებისაგან? ერთი კარგს ტანისამოსს არ უყურებს, არამედ კეთილს ცხოვრებასა. კარგი ტანისამოსი შენ არ გაგხდის კარგ კაცსა და არც სათნოსა. როგორც ცხენს კარგი უნაგირი კარგს არ გახდის.

ე. ლხინს სიხარულშიცა ზომა შეინახე.

მართლად რომ მუდამ მუშაობა მოდალ-ვა მოთვეთქვა არ ვარგა, მოსვენებაც სა-ჭირო არს; სულსაც და კორცსაც ესაჭი-როებათ, რომ თაჯანთი ძალა გაიახლონ. უკეთუ გინდა, რომ მშვლდი არ გაგიტყ-დეს, ხანდისხან ლარი მოუშვ ანუ ზომი-ერად აჭიმე. ერთის სიტყვით ჯეროვანია და საჭიროც არს ზოგჯერ საბატიური ლხინი. გარნა წამალივით კი უნდა იხმარო. როგორც მიყინებული წამლის მიღება სიმრთელეს ავნებს. აგრეთვე მრავალი ლხინი წვეულობა სულის სიმრთელეს და სიწმიდეს მოუშლის.

ვ. სათნოების საქმენიც ზომით დაიჭი-რე. უზომობა კეთილ საქმეს ნაყოფს წაუხდენს. მარილი კარგი რამ არ არის, რომ საჭმელს აგემრიელებს? გარნა ბე-ვრი მოყრა წაახდენს პატიოსანს საჭმე-ლსაცა. ასრევე კარგი საქმე არს ლოცვა, მარხვა, მოკვდინების საქმების ქმნა სხ-ვისთჳს სიკეთის ქმნა: მაგრამ ამათაც,

რიგი კანონი უნდა, თვარემ წამალი სა-წამლავად გარდაიქცევა. უმთავრესი ესე არის, რომ გონიერ მოძღვარს ეწვევა სთხოვე და მისი სწავლა ღვთის ბრძანე-ბასავით შეინახო.

## სწავლა მეცხრე.

## სიმართლესა ზედა.

მართალი იყავ ყოველთა საქმეთან.

### მიზეზი.

ა. უსამართლობა ღვთის წყრომისა ჭხვრის შენ გან·გონებაში ნუ ჩაისახავ, რომ მკვიდრი სიმდიდრე გქონდეს მრუდი გზე-ბითა; ის იქმნება როგორც ქვიშაზედ სა-ფუძველი დასდვა ან ცეცხლი მბერვალე მო-ახვედა! ერთი რომ არ შეგიძლია დამშ-დეულის გულით დაიმშვიდო ნაზარეჯ ანუ

ნაუსამართლარი რამე: მეორედ რომ არ შეიძლება გაურისხავად დაშთეს ნაუსამართლარი მონაგები თუ კაცისა და თუ ღვთის წყრომის წინაშე. ხოლო მართალი მონაგარი ყოველი განსაცდელისაგან შორს არს, თვითქმის თვით ღმერთიც ვალდებულია, რომ შეინახოს იგი.

ბ. უსამართლოება შენს პატიოსნებას და შენს სახელს ფეხქვე დაჭქელავს. ბოლოს სრულ ბოლოს ან სატყვეოში ჩალპება და ან ძელზედ დაიკიდება უსამართლო კაცი. წ.რამალი რამეებითგან დაიწყობება ქურდობა და მემდგომ დიდროან რამეებზედ გარდავა. პირველითგან უსაცთუროდ მოიჩვენა და ბოროტ ჩვეულობად გახდენა, სიკლისპეს ასწავლიან კაცს და ბოლოს ბოროტ აღსასრულს მისცემენ! ეცადე, რომ პირველშივე ფრთხილად იყო, უკეთუ კარგ სახელს თანაუგრძნობ, და თუ გინდა სახელი არ გაგიტყდეს.

ვ. უსამართლობა შენს სულსა და ცხოვრებასაცა წარგიწყმედს. განსაცდელი მალე მოვა, გარნა განსაცდელის წამლის დადება კი მალე არ იქმნება. ათას გზის რომ ახსნა მიიღო მღვდლისაგან არაფერს გარგებს, ფუჭი იქმნება და უქმი ის ახსნა შენთჳს. სანამ სიმართლეს არ იხმარამ და როდისაც შეგიძლია პატრონს არ შეუბრუნამ იმ უსამართლობით შეძენილს და მიცემულს ზიანსა! ამისთჳს უსამართლობით შეძინებული, რასახითაც არის უნდა შეუბრუნო პატრონსა: თვარემ უქმად ჩაგივლის ყოველი კეთილი საქმე შენი, წმიდა წაპილწჳს ცოდვა იქმნება შენი აღსარებაცა და ზიარებაცა: უეჭველად წარწყმდები ჯოჯოხეთში წახვალ. რა უგუნურობა არის სულისა, ღვთის და სასუფეველისაც დაკარგვა. ერთი საძაგელი ნაშოვარის და შესაძინის გულისთჳს? რომელსაც დღეს თუ ხვალ სიკვდილი ჴელითგან გამოაცლის!

## საქმე.

ა. ეცადე, რომ ერთი აცმა ბათილ არ მოიპარო საცა ფუნდა იყოს. ყველა კაცს თავისი კუთვნილება მიეცი, არ რაც აგიღია შეუბრუნე პატრონსვე უფრო გიჯობს შენ სხვამ წარგტაცოს თუ გაგქურდოს, ჯირემც თუ შენ სხჳს კუთვნილებას შეეხო. დასჯერდი შენს მართალ მონაღვაწსა, რომელიც შენის შრომითა და ოფლითა შეგიძენია. ბედნიერი არს არა თუ სიმდიდრე, არამედ მცირე მონაგარზედ დაკმაყოფილება, უსამართლობის პირველი მიზეზი არს უწესო სურვილი ბევრი რამის შეძენისა გასამდიდრებლად!

ბ. რაც რომ იყიდო, გასყიდო რაც ვიდოდა მისცე, ჩვეულობითი ფასით და ღირებულობით გაასყიდე და მიეცი, ზომას ნუ გარდაივლი. ეცადე, რომ კარგი საქონელი გქონდეს, საზომი და საწორიც მა-

რთალი. ერთი მსუბუქი, მაგრამ სიმართლით მონაგარი შეიძლება დიდად გაბარაქიანდეს: ხოლო ნაუსამართლარი მალე განიავდება გაქრება. ნაპარევ რამე რაერთიც იეფად იყოს სრულიად არა იყიდო რა კიდევაც რომ გჭირდებოდეს იგი. თვარემ ქურდის მოზიარე ჵ ამხანაგი გახდები.

გ. ყოველ ხაირად ერთგული იყავ შენს სამსახურში, ჴელობაში და ყოველს შენს საქმე ყოფაში. მთავრობის მსახური, ჴელოსანი ჵ მუშა ყოველთა უნდა ცდილობდეს თჳსი თანამდებობა აღასრულოს ერთგულად ჵ სიმართლით. არ წაუხდინონ ჵ არც ზიანი მისცენ სხჳს საქმესა. მცირე მზაკვრობა (სიცელბე) ზოგჯერ დიდ ზარალს მისცემს კაცსა ჵ დიდ ცოდვას აქნევინებს, დასჯერდი შენს ჴელფასსა, გარიგებულ გარდაწყვეტილსა. სხჳს ზიანით სარგებლობა ნუ გინდა. მიენდევ ღმერთსა; ის შენ მშრომს არ დაგატოვებს.

დ. მიეცი სასყიდელი თუ კელფასი დრო-ზედ შეუყოვნებრივ მოუკლებლად მსახურსა, მუშასა, კელოსანსა, თუ ვაჭარსა. ღმერთი ჳდრე შჳდ თაობამდინ ჰკითხამს იმასა, ჳნც რომ ნებით შეუყოვნებს ან დაუკლებს მუშა კელოსანს ფასსა. ვალს ნუ აიღებ მრავალსა, რომლისაც ბეჯითად არ იცი გარდიხდი თუ ვერ გარდიხდი. ჭკუით ასწონე და ეგრედ მოიქეც. თუ სიმართლეს მიჰყვები, შენი მსახურნიც ერთგულად მოგემსახურებიან უმფრო, მუშებიც გულიან გაირჯებიან და კარგს მოვაჭრესაც (მუშტარსაც) იშოვნი. შენც მშვიდობიანად იცოცხლებ და შეუწირვებლადაც მოკვდები.

ე. ვისზედაც ჭკუა არ გაგიჭრის სამსახურში ნუ მიიღებ, წინ ნუ წაიყვან მას. ამ გვარ საქმეში სხჳს სათნოს (ხათრს) ნუ უყურამ, ნუც ჩაბრას, ნუც აღთქმას, ნუც მეგობრობას ანუ ნათესაობას. შენ აირჩიე შენი მოწონებული კაცი: ოღონც

საზოგადოებისთჳსაც კეთილი აზრად გქონდეს, რომ კარგად ემსახურო მთავრობასა, თჳალღიობა და სიფრთხილე მრავალ კეთილს მოუტანს კაცსა, და მრავალი განსაცდელისაგანაც გამოიხსნის.

ვ. ვისზედაც უფლობა გქონდეს დასჯის ღირსი ბრალიერი დასაჯევ. მპატიობა არ იქმნება ამ საქმეში; მძიმე ბრალიერს მძიმე საკანჯურო უნდა: საზოგადოების დამაბრკოლებელი და მავნებელი, ყველას წინაშე უნდა დაისაჯოს. ისიც სულ მალე, რომ ბოროტი არ გაზჳადდეს. ერთი წამხდარი სახსარი სჯობს მოიჭრას, რომ მთელი სხეული არ გახრწნას. უწყალობა არის ავკაცების შეწყალება, რომლის ბრალი კარგ კაცებსაც ედება. და რომლითა ზიანი ეძლევათ.

სწავლა მეათე.

მჴნეობასა ზედა.

ყველა საქმეში გამჭრიახი და მჴნე იყავ.

მიზეზი.

ა. მჴნეობა დიდ დიდი საგნებით განცხრება. ერთი გამარჯვება უწესო გულის თქმაების წინაღმდეგად უმფრო მომეტებულად განახარებს გულსა, ჯრემც თუ მთელი ქვეყნის ამათ სიამოვნენი. ამისი სინამდჳლე წმიდანთ იციან. შენ რიერთიც ეცადო ჯდრე ბოლოთ სუნთქამდე ამ გვარი გამარჯვებაებისთჳს და სასუფეველი მოიგო, მასთან შენი გაწეული არაფრად დაითვლება! რა უნდა იყოს სასუფეველის მოგების სიხარულთან იმ გაჭ-

რის სიხარული, რომელიც ძლევას გარდაჰრჩება ⁊ ნავსაყუდელს შევა სავსე საქონლითა? აგრეთვე იმ მჴედრის აღტაცება, როს სახლში მივა დიდი ომიანობის შემდგომ სავსე დიდი ნაშოვარითა?!

ბ დიდ დიდებაზედაც თვალი აქვს. როგორც ჩრდილი სხეულს, ეგრეთვე დიდება ⁊ პატივ მხნეობას ⁊ სათნოებას უკან მისდევს. მტერებზედაც მას დიდი გავლენა აქვს, რომ ჰკჳრვობენ. მეტადრე მხნეობა ⁊ სიმტკიცე კეთილს სიცოცხლესა შინა ერთი წარმოდგენა არს მთელ ზეციერთ გამაკჳრვებელი, თჳთქმის ღუთისაც განმამხიარულებელი.

გ. დიდს სასყიდელსაც მოელის. იმასაც როგორ დიდს? პირველად ამ ქვეყანაზედ საკუთარს მადლებს, ძლიერ წინ წასვლას სათნოებაში ერთს უძლეველს ძალას განსაცდელთა წინაღმდეგ! მეორედ საიქიოს: ნამდჳლი სასყიდელი ცათა

შინა არს, სადაც მეფობს მხოლოდ კეთილი, სადაც ყოველი სურვილი სრულდება, სადაც მისთანა ბედნიერება არს, რომელიც არც სიტყჳთ და არც ჭკუჳთ გამოითქმება. ამ ბედნიერებაზედ შენი დამარწმუნებელი თჳთან ღმერთი არს, რომელსაც უყვარხარ და თავს აღთქმასაც არ გასტეხს! მაშ განძლიერდი, ეცადე, შეები და გაიმარჯვე რომ დაგჳრგჳნდე.

## საქმე.

6. შენი მჴნეობა გამოიჩინე, შორს დასდევ ყოველი კაცობრივ მოხედულობა. რად გეშინიან კაცებისაგან? რას გავნებენ შენ, როდის ღვთის მფარველობის ქვეშ ხარ? შენ გეუბნები ჩი საყვარელო! მხოლოდ ღვთისაგან გეშინოდეს, რომლის ჴელთაც არის ყოველი შენი საქმე და შეუძლია სულით ჴორცით შთაგდება შენი ჯოჯოხეთსა შინა. და კაცთ რაც უნდათ

შენზედ იფიქრონ და ილაპარაკონ. რა? სათნოება სათაკილო რამ ხომ არ არის, ან რა საშიშრო? ნუ თუ უნდა შეგრცხვეს ღვთის ბრძანების შენახჳსათჳს და კეთილი სიცოცხლისათჳს შენი მდგომარეობის დაგვარ? ნუ თუ შესარცხვენი რამ არის ქრისტეს უფლისა ჩვენისა მოძღვარება და მაგალითი?!

ბ. დიდებული მჴნეობა გამოიჩინე მტერთა შენთა შეყვარებითა. მშჳდობა მიეც (სალამი უთხარ) არ აგართმევს სალამს, ნუ განაღვლებს. იმათთჳს ილოცე გულიან, იმწუხრე მათთჳს, რა რიგადაც მოიგვრი, სიკეთე უყავ მათ, შეეწიე, კიდევაც, რომ არ გთხოვონ და არც დაგიმადლონ. ეს არის ქრისტიანის გამჭრიასობა, რომ მაცხოვარს კიდევაც უსწავლოების და კიდევაც მაგალითი მოუცია შენთჳს. თუმც რომ არ გაჯწყდებოდეს მათი უსამართლოება, ან გული გითრთიდეს მათ ნახვაზედ და მათი ხმის გაგონება მე-

ტად გეპარებოდეს, სრულ ნუ გეშინიან, არამედ იმ დროს ღმერთს დაამადლე დ̃ სთქჳ:« უფალო! მართლიად გული მტკივა მათი ნაქმნარი უსამართლოებისაგან მაგრამ ამ გულის ტკივლს შენ შემოგწირამ. » ამ სახით მრავალჯერ შეგიძლიან გამოიჩინო სიმკნე.

გ. მკნეთ წინააღუდეგ განსაცდელს. სრულ ნუ გეშინიან, მაგნაირი განსაცდელნი წმიდანებსაც მრავალი გამოუვლიათ. ღმერთს მოუშჳა, რომ გამოსცადოს შენი ერთგულობა, სათნოებაში გაიწაფო დ̃ საყიდელი განგიმრავლდეს. განსაცდელნი ამ სიკეთეს გიზამენ შენ, რომ დამდაბლდები დ̃ სიმდაბლესა შინა დაიცვები. მკედარის სიმარჯვეობაში გამოჩნდება დ̃ ქრისტიანისა განსაცდელში.

დ. რა ჭირი რა შეწუხებაც მოგადგეს, მოითმინე სულგრძელებითა! მართლად, რომ ძნელი საქმე არს მოთმინება, სიგლახავე, შეურაცხყოფა დ̃ დაჩაგვრა! გარ-

ნა რა უნდა იყვნენ ესენი ჯოჯოხეთთან? იქმნება მისი ღირსიც იყო? ძნელად მოგდის შეწუხების მოთმინება! მაგისთჳს ნუ გაექცევი შეწუხება ჯვრისა. რომელს გამოირჩევ? იმას რომ უნებურად გასწიო შეწუხება მოუთმენელობითა და არც სასყიდელი მიიღო წაწყმედილებისთა? თუ იმას რომ ღვთის ნებაზედ მინდობითა ღვთის გულისათჳს გასწიო ყოველი ჯვარი მოთმინებითა? რომლით განბრწყინდეს სული შენი ღვთის .წინაშე და ადვილადაც ცხოვნდე?!

ე. მხნე მამაცობითა დასთმურგვნე ჟამიერი წუთი სიმდიდრე გინა ვერცხლი. სიმდიდრის სვებედი უსაფუძვლო რამ არის: მდიდარიც იყო ვერ მოურჩები ამ ნაირს ჯვარსა და განსაცდელსა, თუ კი მდიდარი ხარ, არა ფერი: ოღონდ რომ შენი გული ფულს არ შეათჳსო, საკმაო კერძი ღვთის სიყვარულისათჳს მოახმარე მოწყალებისა და კეთილ მსახურებრივს საქმეებზე-

და. ქვეყნიერი დიდება და პატივიც მატყუარია, ნუ გამოუდგები და ნუ ეძებ; მეტადრე სჯობს რომ თავით თჳსით მოსძულს დიდებასა და პატივსაცა გაექცე ხოლმე. ძლიერ უშიშრად იქმნები სიმდაბლოითა. ჯრემც თუ მაღლობითა, მხოლოდ ეძიე ღვთის დიდება და პატივი ნამდჳლი სათნოებითა. ქვეყნიერი ფაფუკება და სიკეთეცა არ არის მკჳდრი, მრავალი ნაკლებულობა აქვს და მრავალჯერაც ცოდჳს მიზეზი გახდება ხოლმე! ამისთანა რამები იმათ მიატოვე, რომელთაც იმედი არა აქვსთ ზეციერი დიდებისა, შენი თვალი და შენი გულიცა კვნესით და სულთქმითა შეჰყურის ცასა!

ვ. მკნე იყავ შენი თავს შეპყრობაზედ. ეს არის ღვთის საამური ნამდჳლი გამარჯვება, მიზეზიც არ დაგაკლდება. მოაკვდინე შენი თავი სმა ჭამაში, მოძინარობაში, დროს გატარებასა და საუბარში, დათვალიერებასა და მისთანა საგნებში. აშ

გვარი საგნებითგან გამოკლებს სიწმიდის პირველს აღსავლის გზაზედ დაგაყენებს. ამპარტავნებაც დასწანგრე, დაჰქქლე, და დამდაბლდი ღვთისა თუ კაცის წინა. შენ თავს თჳსით არა რაჲ ხარ: ცოდვილიცა ხარ' მაგრამ მაჲნც მეტად ისივებ თავსა. შენი ბოროტ მიდრეკილებანი მოიმზნე, უმთვრო ის აჳ ზნენი, რომლებიც შეგთვისებია და თაჳ და თაჳ მიზეზნი არიან შენის ცოდვებისა. შენი მთავარი მტრის ჯავრს რომ ამოიყრი შენი მთავარი აჳ ზნებისასა, მეორები სრულ გაიქცევჳან. უნამყოფო და უხმარ ხეს რომ ფესვებითგან დასთხრი ერთიან გახმება წავა.

## თავი მეექვსე.

### ცოდვისგან მომშორებელი გზა.

სამოციქულო ქადაგებაში ხშირად ეს მოძღვარება გვესმის: ცოდვა ბოროტია, « კვლავ მომაკვდინებელ ცოდვას ნუ იქმთ «ანუ:» შეინანეთ: ცოდვას მოშორდით. « მართალი ქრისტიანი კარგად უნდა მიხვდეს ამ სიტყვებსა: რადგან დასაწყისი ქრისტიანული ცხოვრებისა ცოდვისაგან მოშორება არის, ყოველი კეთილი პირობაებისაც საფუძველი ეს არის. მაშ ჰი მორწმუნე ძმანო! თუ რომ გსურსთ წმიდად გახდენა და წმიდად ცხოვრება, ეცადეთ რომ ყოველი ძალითა თქვენითა ცოდვას მოშორდეთ.

## სწვლა პირველი

### მომაკვდინებელს ცოდვასა ზედა.

უმფრო ცოდვას გაექეც ვირემც თუ ყოველ გვარს ჭირსა.

### მიზეზი.

ა. მომაკვდინებელი ცოდვა შემაწყე-ნელი არის ღვთისა ყოვლის მპყრობელი უფლისა. რადგან მით სჯულისა ღვთისა ფეხქვე დამთელველია მცოდველი: რომ-ლით განმაწმედელი მადლისაგან გარგა-ნვარდება იგი და საუკუნო წარწყმედის ღირსი გახდება. როგორ გაუფრთხილდე-ბი, რომ ქვეყნიერ მეფეს არა შეწუხება რა მიაყენო და არ შეაწყინო თუმცა კაცია იგი, მის მფლობელობასა და სამართალსაც ზომა აქვსთ! მაშ როგორ ჰბედამ ღვთის

შეურაცხყოფისა, რომელი მეფეთ მეფეჲს ყოველი რაჲმე შეუძლია და საუკუნოდ იგი არს, განიზრახე კარგად, ღმერთი ჳნ არის? და შენ ჳნ?

ბ. მომავლინებელი ცოდვა მრავალ ჭირს მიაყენებს კაცსა. წაახდენს მოსპობს მისგან განმაწმედელს მადლსა, განაშორებს ღვთის მეგობრობისაგან, შექმნილს ნასყიდელთ ჴელითგან გამოსცლის; სასუფეველის იმედს დაუკარგამს; მთელს სათნოებას გაუხრწნის; კაცს შესცვლის სრულიად, უხმარ ჰყოფს და თითქმის ქრისტეს ჴელახლავ ჯვარს აცმევინებს. შენ კი უპირისწყლოდ იძახი «ერთი მომავლინებელი ცოდჳთ რა წახდებაო? » ახლა ხომ შეიტყე თუ რა იქმნება და რა არა?

გ. »ცოდჳლის თავზედაც საშინელს რისხვებს მოიყვანს. « მომავლინებელი ცოდჳსაგან არ იყო, რომ გამდგერი ანგელოზნი ზეცითგან უფსკრულის სიღრმეს შთანცჳნდნენ! ადამი და ევა თავანთ ყოვე-

ლი შთამომავლობით უბედურ მდგომარეობაში შეჴდნენ! მომაკვდინებელი ცოდვისთჳს მილიონობით ადამიანნი წყმდებიან! ყოვლად უმანკო ძე ღვთისაც, მხოლოდ ცოდჳლის სახის მიღებითა ჯვარს ეცვა! მაშასადამე მომაკვდინებელი ცოდჳსაგან უმთვრო სასაშიშრო არა არის რა! რომლისგამო თჳთან ღმერთს თავსა მართლმოსამართლობითა ამ ნაირი რისხვები მიუცია და აძლევს ცოდჳლთა მარადის.

## საქმე.

ა. » განიახლე ის პირობა, რომელიც გიქმნია ადრე მართალის სინანულითა, რომ უმთვრო სიკვდილი ირჩიე ჯრემც თუ ერთი მომაკვდინებელი ცოდჳს ქმნა. « ამ პირობას რამდენსაც განიმეორებ, იმდენი ძლიერი ფარით ეშმაკს წინ დაუდგები. მაშასადამე ესრედ შეიჭურვე ცოდჳს გა-

ნსაცდელის დროს, ანუ როდესაც ეშმაკ-ის განსაცდელი მომავალი იყოს; ამ რი-გობით სრულ არ დამარცხდები.

ბ. « მომაკვდინებელი ცოდვს მოგო-ნებით წამოწითლდი და გულკმიერად წა-ივითხე მასზედ დაწერილი მოძღვარება. » ღრმა განზრახჳთ დააკჳრდი, თუ რამდე-ნი ბოროტნი, დროებითი და საუკუნო-რისხვანი მომდინარეობენ მისგან? ამით უნდა მეტის მეტი შიში და ზიზღვა გქონ-დეს ამ ჯოჯოხეთიური საოცრებისაგან! ჳნც ესრედ არ განიზრახავს, უნაღვლე-ლობით მალე შთავარდება ამ მკეცის ჴი-რში. რადგან არ იცის თუ როგორ სასა-შიშრო და საზიზღელი რამ არის: გარნა დამკჳრვებელი არ შეიძლება რომ არ ერიდებოდეს.

გ. უფრთხილდი, რომ სხჳს გულისთჳს მომაკვდინებელი ცოდვა არა ჰქმნა. სრ-ულ ნურა ჳს გულს ნუ უყურებ: ნუ გაი-ტარებ გულში იმას, რომ შენ მისგან კო-

რციელი შესაძინი რამე გესარგებლოს ცოდვითა, ნუცა მოვლობელობა გინდა ცოდვით, და ნუცა ფული. ღვთის მეგობრობა ყოველსა ირჩიე: კაცის გულისთჳს, რომ შენ ჯოჯოხეთში წახჳდე, ის შენ ვერ გამოგიხსნის იქითგან.

დ. « მომაკვდინებელი ცოდვით ნუცა სარგებლობა გინდა და ნუცა შემწეობა ჳსგანმე, ნუცა დიდი სამსახური და ნუცა ბედნიერი ხვედრი. » უკანასკნელ გაჭირვებაში და სიმშილშიცა მოიცილე თავთგან ის ხელი, რომელსაც ცოდვით უნდა მოყიდვა შენთჳს თავისი შემწეობისა შეურაცხყავ და დასწყევლე. ის გამარჯვება და ის სიმდიდრე, რომელიც ცოდვას სამაგიერო შედეგია: ღმერთი იზრუნავს შენთჳს.

ე. მოშორდი იმ ამხანაგებს, რომელთაც შეუძლიათ მომაკვდინებელს ცოდვაში შენი შთაგდება. ჟამის სენიანებს არ მოშორდები, რომ შენც არ შეგეყაროს?

ცოდვისაგან უდიდესი ცუდი ყმის სენი არ იქმნების! ამისთჳს ნუ შეუშვებ ცოდვაში ჩამგდებ და დამაბრკოლებელ კაცს შენ სახლში და ნურც ინებებ რომ იმფერი ვინმე იყოს შენთან ტაბლაზედ ანუ სამსახურში. მართალი მეგობრები არ არიან ისინი რომელნიც შენ ღვთის მეგობრობისაგან გაყრიან.

3. ერთი მომაკვდინებელი ცოდვა მოსასპობელად ხყ დაზოგამ შენს შრომასა, წასაგებსა და შეწუხებასა. ამ საქმით მეფობისზედ მომეტებულს მადლს ასავალზედ აღვალს შენი სული ღვთისაგან! მრავალ კაცთა მოშორება შეგიძლია ცოდვისაგან, ვისაც უყვარხართ შენ ანუ ერიდებიან შენგან და ან თუ რასმეს გამოელიან: მეტადრე თუ მოინდომებ სრულ ადვილადაც შეგიძლიან ეს საქმე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლაჲ მეორე

შესანდობელს ცოდვასა ზედა.

ყოველი გულით ექმდე მოციქულო

მოსცილდეთ.

მიზეზი.

ა. შესანდობელი ცოდვაჲ თავს თავით დიდი ბოროტი არის. მისი სიმძიმის საცოდნელად გეყოფა იცოდე ეს რომ მთელი ქვეყნის სიბოროტისაგან უდიდესი არს იგი, ამისთჳს არ შეიძლება ერთი შესანდობელი ცოდჳს ქმნა მთელი ქვეყნის დახსნისათჳს ჭ არცა მთელი ჯოჯოხეთის ცეცხლის გასაქრობლად! ახლა რას მეუბნები ჩი საყვარელო ძმაო? როგორ შეიძლ აქნობამდის მაგდენი შესანდობელი

ცოდვების ქმნა უშიშრად და შეურიდებლად? და რა სარგებლი მოგეცა?

ბ. შესანდობელი ცოდვა თავისი საქმებითაცა დიდი ბოროტი არის. ნამდვილი სათნოება არ შეიძლება დაადგრეს მის გულში, ვისაც შესანდობელ ცოდვებთან კავშირი აქვს. უკეთუ მსუბუქობით ჰქმნ და არ შეინანე, სარწმუნოება მოგიუძლურდება, სასოება მოგაკლდება, სიყვარული განგიცივდება, კეთილ მსახურება განგიქრება, მრავალ მადლებს გამოაკლდები, ღვთის მსახურებისაგან სიტკბოს ველარ მიიღებ, სიბოროტე შენ თავს წაგართმევს და ძალდატანებულ ჰყოფს ღმერთსაცა, რომ შენ თავისი პირისაგან განგაძიოს! ჵ საყვარელო! კარგად დააკვირდი ამ სატირელს საქმეებსა, რომელთაც შესანდობელს ცოდვებზედ უნაღვლელობა მოგიტანს!

გ. « დიდი ბოროტი არს თვისი შემდეგი საქმეებითაცა » მრავალ წვეთ წყალსა ერთმან ერთზედ მიყოლებულ-

ნა, შეუძლია ნასკლდანთქმა, შეუწყვეტელი მსუბუქი ცემაც შეიძლებს ერთს ჯსმეს მოკლვას, მრავალჯერ შესანდობელი ცოდჯს ქმნა განგებისად და ნებით, ბოლო-ოს მძიმე ცოდვებში შთააგდებს კაცსა. სული წმიდა ამბობს: რომელიც შეურა-ცხყოფს მცირესა მცირედ მცირედ (ნელ ნელა) დაეცესო. ერთი ჯნმე ერთიან არ გაავკალდება, არამედ კიბე კიბე ჩავა ჯდრე სიღრმემდი უფსკრულისა. ძალიან დიდი და სატცარი ცოდვები უმსუბუქესი ცოდ-ვებისაგან წარმოსდგებიან. ამაში ეჭვ არ არის, ვაჲ თუ შენც ასრე დაცდილი გაქვს!

საქმე

ა. « ერთს შესანდობელ ცოდვასაც ნუ იქმ, როგორც თუ არა ფერი იყოს; ღვთის მოუწონარი საქმის ქმნა მსუბუქ საქმედ არ უნდა დაითვალოს საწამლავს

(სამსალს) მოერიდები, მტერეს რომ ჰგო-ოს, რადგან საწამლავათ იტყჳ. მაშასადამე ცოდვასაც ასე მოსცილდი: რადგან ღვთის წინააღმდეგი არს.

ბ. მტკიცე პირობა იქონიე, რომ სიკვდილი უფროირჩიო, ვიდრემ ერთი ნებიერი მსუბუქი ცოდვა ქმნა. ყოველ დღეს ყოველ წამს ეს გონებაში გაიმეორე, რომ ღვთის მადლით შორს დავსდგე სულ უმცირესი ცოდვისაგანაც. ამ საქმეში სრულიად საინელეს ვერ ჰპოებ, უკეთუ ღმერთს იცნობ და გიყვარს იგი.

გ. მუდამ ილოცე ხოლმე ღმერთთან გულიან, რომ ყოველი უმცირესი ცოდვისაგანაც დაგიფარო შენ. ეს მადლი უმფრო დიდი იქმნებოდა შენთჳს, ვიდრემც თუ სასწაულთმოქმედ ყოფილ იყავ! მაშ თუ გნებამს ამ მადლის მოშოვნა, მხურვალე გულითა და სიმდაბლითა სთხოვე წმიდა წირვასა შინა, ზიარების მიღებითაცა, წმიდა ზიარების მიხედვითაცა

რომელიც არის საიდუმლო სიყვარულისა. უკეთე ნებიერი შესანდობელი ცოდვებისაგან განთაჳსუფლდე შენს სიცოცხლეში, სასუფეველს ამ ქვეყანაზედვე იპოვნი, ნეტარელი იქმნები და წმიდა.

დ. ეცადე სხვათაც მოაშლევჳნო შესანდობელი ცოდვები. შენ შესწუხდები, როდისაც ნახო რომ შენს მეგობარს ჳსგანმე უმსუბუქესი შეურაცხყოფა მიადგეს. მაშ როგორ ითმენ და სჩუმდები, როდისაც შეგიძლია დაუშალო იმდენი შესანდობელი ცოდვები, რომლით ილახება ღმერთი? ასრე მეგობრობა და სიყვარული იქმნება, რომლის მოყვალე ხარ რომ უნდა აწყენო ღმერთსა?!

ე. შემთხვევჳთ შესანდობელს ცოდვაში თუ შთავარდე, მეტის მეტად ნუ აირდაირევ. ეგ სინანული არ არის, არამედ ჩუმი სიამპარტავნე, რომ იქმნება გონებაში გამოსახული გქონდა, როგორც თუ ღვთის შეუწევნელად, შენით შეგეძლოს შე-

სანდობელი ცოდვებისაგან განთავისუფლება, ამის გამო შენს შეცთომაზედ მწუხარემ მოინანე გულით, გარნა ნუ განგიკჳრდება, ნუც გამოშტერდები, თუ რა რიგად შესცდი! შენით რა საქმე შეგიძლიან?

3. შენის შეძლებისათჳს უნდა მოიმდაბლო თავი ღვთის წინაშე. უკეთუ ამ მცირე განსაცდელს ვერ დაუდგე წინა, მაშ რა უნდა გექმნა? თუ რომ ღმერთს მოეშვა შენზედ მძიმე განსაცდელნი! და მოავარდნილ იყავ მას შინა? მაშასადამე შენს ნაქმნარ შეცთომაზედ შენდობა სთხოვე ღმერთსა და ახალ ახალი შემწეობა და ამ რიგად დაიმშჳდე გული: მცირემორწმუნე ნუ იქმნები ნუც მოშიში და ნუც მოუსვენარი.

## სწავლა მესამე.

### სრულს სინანულსა ზედა.

გულითგან ერთი ცხოველი სრული სინანული ჰქმენ სიყვარულისა.

### მიზეზი.

ა. ნამდჳლი სრული სინანულით დარწმუნდი, რომ ყოველ ცოდვათა შენთა შენდობას მიიღებ ღვთისაგან. ერთის ცეცხლის მიცემითა უმფრო სიადვილით დაიწჳს მთელი მავნე ბალახ ბულახი, ჳდრე თჳთო თჳთოდ ნელ ნელა ამოგლეჯითა ყოველსა. ამ სახითვე ერთის ცხოველის ჭ ნამდჳლის სრულის სინანულის შეუძლია ახოცვა ყოველი ცოდვებისა, ჳრემდ ათასს სუსტს სინანულსა. მაშ აბა ყოველის შენის ძალით ეცადე მალე მოიხადო ზურგისა შენისაგან ცოდჳს ტჳრთნი შესტი-

რე მათთჳს მხურვალე სინანულითა და ძე-ებრივს სიყვარულით ღმრთისა; უმეტეს მისთჳს, რომ იმ ცოდვებით მის სათნოს (ხატის) შეხებიხარ შეგიწუხებია და შეგი-წყენია იგი. იგი რომელიც თჳს დაუსრუ-ლებელი სისრულისათჳს ღირსად ყოვე-ლი რამისაგან უმეტეს შესაყვარებელი არის და უმეტეს მისაჩნევ მტკიცე პირო-ბაც მიეცი, რომ მოსასვლელად უმეტეს ირჩიო სიკვდილი ჯერემც თუ ერთი კიდევ იგი შეაწუხო და შეაწყინო ცოდვით. ამ ნაირი გულის პატრონი, რომ იყო, ყვე-ლა ცოდვებისა შენისა მოტევებას მი-იღებ, როგორც აღუთქვა შენთჳს თჳსი დაუფასებელი სისხლის მადლითა.

ბ. შენის ცოდვების ღირსი პატიჟნიცა ბევრად შეენდობა. რომლისაც ცოდვილს მართალის სინანულით მიეტევება ცოდ-ვები, საზოგადოდ მათი პატიჟი დაშთების გარდასახდელად ან სააქაოდ და ანუ საი-ქაოს. გარნა ღმერთი, რომელიც არს

მოწყალე მამა, შეიძლება მისცეს ვრცელი და ფიცხელი პატიჟი იმ ცოდვილსა, რომელიც ზესთაბუნებრივად ღრმა სიმდაბლით მადლისა და შენდობას ითხოვდეს მისგან, ნებიერად კისრულობდეს ყოველს, რაც საჭირო იყოს სალხინებლად მისა და მტკიცედ ჰპირდებოდეს თჳს ცხოვრების გასასწორებლად სრულიად მონანულის გულითა? ამგვარს ჰსმეს ღმერთი რას ეტყჳს? პატიჟს მორ გარდასდებს, გამლის მამობრივს მკლავთა, შეიტკბობს მას სიყვარულითა, მისცემს ახალ ახალს მადლებსა სრულიად შემნდობელობითა, და უბრძანებს ზეცას დღესასწაულის გარდასხდასა დიდის სიხარულითა. (მაგალითებრ სრულიად მონანულის უძღების მჳლისა)

გ. შენი ცხოვრებისათჳს, რაც დამშლელობანი დაგედვას, იგინიც აიხსნებიან. უკეთუ ეგრეთი ცოდვების ჩირქიც გდევს შენ, რომ შენ ვერა სცნობ მათ და ვერცა

ჰხედავ: თუ რომ შენს უცოდნელად ნაკლებულობა რამ მოხდენილა შენის ნათლისღების დროს, სრული სინანული ამაებისაც უწამლებს. ეგრედ რომ სრულიად არ დაშთები თანამდები ცოდჳსა. ერთს ურწმუნოსაც შეუძლია ცხონების გზა კვალი ჰპოვოს თაჳსი სიკვდილის დროს, უკეთუ ღვთის მადლითა მიიქცევა ღვთისადმი და შენდობას სთხოვს მას თაჳსი ყოველი ცოდვებისასა, ნამდჳლი გულმტკივანე და სრულის სინანულითა, და თან მართალის სურჳლითა, რომ წმიდა სარწმუნოებასა შინა მოკვდეს; და ეს მაშინ ოდეს საქმით ნათლისღების მიღება ვერ შეეძლოს მას, თუმც კი ნატრობდეს იგი ნათლის ღებასა, და რაც კი შეეძლოს ცდილობდეს იგი ჭეშმარიტი სარწმუნოების შეწყნარებასა მიღებასა. და ქრისტეს ეკკლესიის ნასხამად გახდენასა თჳსსა. (გაიხსენიე მარჯვენა ავაზაკი.) ნახე რა დაუფასებელი საუნჯე არის სრული სინანუ-

ლი, რომლისაც როგორც საჭირო არის, ეგრედ თუ იქმნება.

## საქმე.

ა. მხურვალე გულით ცხოველი სინანული ითხოვე ღვთისაგან. მხოლოდ ღმერთს შეუძლია მისი მოცემა: რადგან მხოლოდ მის ხელთ არს კაცის გულის მოქცევა თავისი ტკბილის მადლებითა. მისაღებლად შენის ვედრებისა, მეოხედ დაიჭირე ყოველი მონანული წმიდანი, მეტადრე დაიჭირე კალთა ღვთის მშობლისა, რომელიც არის შესავედრებელი ცოდვილთა.

ბ. ყოველი შენი ბრალი მოიხმარე ნამდვილი და სრული სინანულის საქმნელად. შენს კორცს ბრძოლა დაუწყე: მისგან შური იძიე იმ ბოროტთა დ̃ ცოდვათათვის, რომ შენი ღმერთთან წყენის მიზეზნი გამხდარან. შენი კორცი არს შენი პირვე-

ლი მავნე მტერი, ის ფარულად შენი განმცემია ის არის ფესჳ ყოველი შენი ბოროტმიდრეკილებისა, იგი არს მახე მრავალთა ცოდვათა შენთა! მაშ მისი ნაქმნარი სიბოროტის დაგვარ ჰატიენიც გარდასხდევინე. შენის კორცის მოკვდინება შეგიძლია უფრო მართალის და სიტყვერის მოშურალობითა: ღვთის წყენისათჳს უმფრო იმწუხრე და უმფრო იგლოვე ცხარის ცრემლითა.

გ. ცარელის სიტყუთ სინანული არ იქმნება. უნდა რომ შენი გული ალიძრას გიძგერდეს და გეწოდეს ზესთა ბუნებრივს ტკივილითა სიმწუხრითა თუ ძლიერ საგრძნობელად არა, მაინც იმდონად, რომ შენი სჳნიდისი გემოწმებოდეს მართალ მონანულობაზედ და სიმწუხრეზედ, უმფრო მისთჳს, რომ ღვთის საწყენი საქმეები გიქმნია, რომელიც ჯერ იყო ყოველი შენის გულით უნდა შეგეყუარა. როგორ შემიძლია? თუ სთქვა გულის

განხურება მომზადება ნამდვილს სინანულზედაო? ეცადე ამაზედ ამ რიგად.

დ. უმფროთ ბრალიერნი მიზეზნი წარმოიდგინე შენს თვალწინ. მაგალითად: შენის გონებით ჯოჯოხეთში მიდეგ; დააკვირდი და ნახე კარგად, რომ შენ შენის ცოდვებით ღირსი ყოფილხარ ჯოჯოხეთისა? დაითვალე წამწყმედილნი და ნახე რომ იმათში ბევრნი არიან რომელთაც შენისთანა მძიმე და მრავალი ცოდვები არა ჰქონიათ. მოიქეც და ნახე ღვთის მოწყალება, რომ აქნობამდის მოუთმინა და შენს ნამდვილ მოქცევას და სინანულს უცდის! მოიგონე ღვთის სიკეთენი სულიერი და ხორციელი, რაც უქმნია შენთვის. მრავალი ზიანისა, უბედურობისა და სიბოროტისაგანაც მოუშორებიხარ: დაგიქადებია შენ, საქმით კი არ ურისხიხარ! აქეთგან იგრძენ და სცან თუ შენ რა ნაირი საზარელი სახიჩარიხარ უმადურობისა ბოროტობისა და ბილწობისა? მოიგონე უფალი შენი და

მაცხოვარი შენი, იესო ქრისტე: რა
არა ჰქმნა და რა არ განსწია შენის სი-
ყვარულისათჳს? რა ნაირი სიყვარულის
ნიშანი დაგიტოვა შენ საიდუმლო წმიდა
ზიარებისა? მაშასადამე მის სიტყვებს,
მის მაგალითს და მის ვნებას, შენთჳს არა
ფერი უსარგებლებია, რომ ეგრედ განფუ-
ცხებულხარ, შეცოდებაზედ ურწმუნოე-
ბისაგან და უსჯულოებისაგან უარესად!
განიზრახე ღვთის უკიდურესი სისრულე-
ნი, ყოვლის მპყრობელობა, სიბრძნე,
განგებულობა, კეთილობა, მოწყალება,
სიმართლე და სიწმიდე: რომლისათჳს ღი-
რს არს იგი ყოველი სიყვარულისა და
კრძალოჳსა, მაშ შენ რომ უბრალო მწერი
(ჭია) ხარ და თავს თჳსით საწყალობელი,
როგორ უდგები ლახამ და შეურაცხყოფ
განუზომელს ღმერთსა? იმასაც როდის?
სად? როგორ? და რისთჳს? ცანი ზარზ-
არობენ და შენა არა ჰკრთი? ამ საგნებს
კარგად მიადევნე გონება: შემდგომ რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირი სინანულიც გინდა? შენი გულთა განსწავლის.

ე. მალ მალ სინანული ჰქმენ. ასე თუ გაეჩვევ, უმფრო და უმფრო გაგიადვილდება სინანული მუდამ, ეგრედ გულიან, რომ არ იქმნებოდეს. განსწავლულს მჴედარს მალე ვერ დაიმონავებს მტერი. მაშ ერთი კარგი სინანული ჰქმენ ხოლმე დილით, შენი საქმე ყოფის დაწყობის უწინ, მეორეც საღამოზედ დაწოლის წინად, აგრევე ყოველთჳსაც როდესაც რამე ცოდვა მოგიხვდება, წმიდა საიდუმლოებს, რომ მიახლოვდები, როდესაც ავათ გახდები, და როდესაც სიკვდილის კარს მისდგები.

ვ. სხვანიცა სინანულს შეაჩვე. ეს არის ერთად ერთი გზა ცოდვილის ცხოვნებისა; ჳნაცა ამაზედ დიდი სიყვარულის ქმნა არ შეიძლება თაჳს ძმისათჳს: ესევე საქმე უნდა უყო სარწმუნოების მტერთა, თუ რომ გაგიგონებენ: რადგან ამით შეგიძლია მა-

თი მომზადება, რათა ღირს იქმნან უმე-
ტესად ღვთის მადლებისა.

ამისთჳს ქჳემოდ აღწერილნი ლოცვა-
ნი სთქჳ ხოლმე გულით დღე ყოველ დი-
ლით და საღამობით, რათა შეგეწიონ შენ
ესენიც სრული სინანულის ქმნისათჳს.

## საქმე სარწმუნოებისა.

ღმერთო ჩემო, მრწამს მე მტკიცედ
რომ შენ ხარ მხოლოდ ერთი ღმერთი
სამთა თანასწორთა და განრჩეულთა გვა-
მთა შინა, რომელთა ეწოდებისთ მამა, ძე
და სული წმიდა. კვალად რომ ამ ყოვლად
წმიდა სამების მეორე გვამი, ჯთამც, ძე,
უფალი ჩვენი იესო ქრისტე, გარდამოხ-
და ზეცით განკაცდა, ჯვარს ეცვა და მო-
კვდა ჩვენის დახსნისათჳს, აღსდგა მკვდ-
რეთით და ამაღლდა ზეცას. ეგრეთვე რომ
ჩვენი სული არის უკვდავ, და შენც ღმე-
რთო მართალო მოსამართლევ, მართალ-

თა მიაგებ საიქიოს სასუფეველის დიდე-
ბასა ⁊ ცოდვილთა საუკუნო ჯოჯოხეთის
სატანჯველსა. ამათ გარდა მრწამს ⁊ ვწ-
ყნარულობ კვალად ყოველსა მას, რაცა
ჰრწამს ⁊ წყნარულობს წმიდა კათოლი-
კე ⁊ სამოციქულო ეკკლესია. ⁊ ესე ყო-
ველი მრწამს მე ამისთჳს რამეთუ შენ
ღმერთო, რომელი დაუსრულებელი ჭე-
შმარიტება ხარ, არ მოატყუებ ⁊ არცა მო-
ტყუვდები, ესრედ გამოგიცხადებია ესე-
ნი წმიდის ეკკლესიისათჳს, ⁊ იგიცა მი-
ბრძანებს მე რწმუნებასა მათსა.

## საქმე იმედისა.

ღმერთო ჩემო რადგან შენ ყოვლის
მპყრობელი მოწყალე ⁊ სარწმუნო ხარ,
ამისთჳს მე დიდი იმედი მაქვს შენგანა,
რომ ჩემი სული ცხონდება იესო ქრის-
ტეს სატანჯველის ძალითა ⁊ ჩემი კეთი-
ლის საქციელის შემოქმედებითა: რომე-

ლსაც გპირდები და კიდევაც აღვასრულებ შეწევნითა შენითა.

## საქმე სიყვარულისა.

უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო, რადგან შენ ყოვლად სახიერი და დაუსრულებლად საყვარელი-ხარ, ყოვლითა გულითა, სულითა, და გონებითა ჩემითა მიყვარ-ხარ და მიყვარს მოყვასიცა ჩემი როგორც თავი ჩემი შენის სიყვარულისათჳს.

## საქმე სრული სინანულისა.

ღმერთო ჩემო, რადგან ხარ შენ განუზომელი კეთილი, ამისთჳს მიყვარ-ხარ ყოვლითა გულითა ჩემითა უფროს ყოვლისა რაიმისაგან, და რადგან მიყვარ-ხარ, ამისთჳს ვნანულობ და ვჰსწუხვარ ჭეშმარიტის გულითა ყოველთა ცოდვათა ჩემთა ზედა, რამეთუ მათით შემიწყენიხარ.

შენ: ვაჲ მე, ვაჲ მე, და ნამეტნავად ვაჲ მე-მომიტევე უფალო ყოველნი ცოდვანი ჩემნი, რომელნი რადგან არიან საძულველნი და საწყენნი შენნი ამისთჳს მეც მძულს იგინი და შეურაცხ-ვჰყოფ მათ ყოვლითა გულითა უფროს ყოვლისა ბოროტისაგან. და მტკიცედ გპირდები ამიერით არღარ შეცოდებასა მადლითა შენითა, და განშორებასა ცოდვათაგან, და მიზეზთაგანაც ცოდვათა, რამეთუ ამიერით უმეტესად მნებავს სიკვდილი ჯრემცღა კვალად შეცოდება შენი. ა მ ი ნ .

კვალად საქმე სრული სინანულისა.

უფალო და ღმერთო ჩემო სიმდაბლით დავრდომილი წინაშე გამოუთქმელი დიდებისა შენისა, თაყვანისსაცემ, მრწამხარ, გესავ და მიყვარხარ შენ უფროს ყოვლისა რაჲმისაგან რადგან შენის დაუსრულებელი სისრულისათჳს ღირსად ყოველი რა-

მისაგან უმფრო, შესაყვარებელი და მისაჩი-
ნეჲ ხარ შენ. ესრეთვე მიყვარს, მიმაჩნია და
მირჩევნია მე ნება შენი და მცნებანი შენნი
უფროს ყოვლისა კეთილისაგან. და რად-
გან გძულს შენ ყოველი ცოდვა, ამისთჳს
მეც მძულს ყოველნი ცოდვანი ჩემნი და
მარადის სატირელნი და საგლოველნი არ-
იან იგინი ჩემთჳს უფროს ყოვლისა ბო-
როტისაგან. ამისთჳს მრთელი გულითა
ჩემითა ვნანულობ და ვსწუხვარ ყოველს
ჩემს ცოდვებზედა, არა მისთჳს, რომ
მათით დამიკარგავს მე სასუფეველი და
მომიგია ჯოჯოხეთი, არამედ იმისათჳს
რომ იმ ცოდვებითა შეგაწყინე შენ, ჩი
განუზომელო კეთილო, ნეტამც ათას-
ჯერ მომკუდარ ჳყაჳ და არც ერთხელ არ
შემეცოდებინა და არ შემეწყინე შენ. ვსდებ
მტკიცე პირობასაც და გპირდები რომ ამი-
ერით უმფრო ჳრჩიო ათასჯერ სიკვდილი
და ყოველიზიანი, ჳრემც თუ ერთხელ კი-
დევ შეგაწყინო შენ ცოდჳთა, არამედ მინ-

და მოვშორდე ყოველს ცოდვასა დ̃ ცოდვის მიზეზთაცა, ჳმართ (ეს დ̃ ის) საშუალობანი კელმეორ ცოდვაში ჩაუვარდნელობისათჳს, დ̃ გაჳსწორო სიცოცხლე ჩემი ყოვლითურთ მადლითა შენითა. აკურთხე უფალო პირობა ესე ჩემი რათა ეგრედ აღვასრულო ყოველი ჳთარცა გპირდები აწ დ̃ მოწყალებითა შენითა შემინდევ ცოდვანი ჩემნი. ყოვლად წმიდაო ღვთის მშობელო ქალწულო მარიამ, რომელი ხარ დედა მარადის კეთილში გამძლეობისა, მფარველო ანგელოზო ჩემო, სეხნა წმიდაო, დ̃ ყოველნო წმიდანო ღვთისანო, ევედრენით ჩემთჳს ღმერთსა, მომიშოვნეთ მისგან ყოველი ჩემთჳს საჭირო სულიერი თუ კორციელი წყალობა, განმათჳსუფლეთ, ყოველი შეწუხებისა დ̃ შეჳწროებისაგან დ̃ უფროსი ერთი მეოხებითა თქვენითა დამიფარეთ მე ყოველი ცოდვისაგან დღეს დ̃ მარადის, ყოვლი განსაცდელისაგან სულისა დ̃ ხორ-

ცისა, დაუმზადებელი სიკვდილისაგან, და ღირს მყავით რათა სიკვდილის ჟამს დავავედრო სული ჩემი კეთილად ღვთის მადლში საქებლად და სადიდებელად ღვთისა მარადის თქვენთან ერთად სასუფეველსა შინა ცათასა, ამინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სწავლა მეოთხე

## ცოდჳს მომშორებელთ საშვალთა ზედა.

« ექიმადე უფრო ძლიერი საშვალები იხმარო. »

### მიზეზი

ა. « სრულ არც ერთი საშვალის მოუპებნელობა უგუნურობა არის. » უშვებლოდ არ ივლება: უფრთხოდ არ ითრინება. მაშასადამე მრავალჯერ შენ შენად სთქჳ: უმთვრო ძნებავს სიკვდილი ჯრემც თუ ცოდჳს ქმნა. ხშირად ამ გვარი მტკიცე პირობის მიუცემლად, წამხდარი ბუნება და ძველი ჩვეულობა მიზეზს ნახვენ თუ არა, მაშინვე ცოდვაში შთაგაგდებენ. ძლიერ სამსალს ძლიერი წამალი ( ფანზიერი ) უნდა!

ბ. « მსუბუქი სამკურნალების ხმარება მავნებელ არის. » რადგან სარგებლის მოტანის ნაცვლად უფრო ავნებენ. ძლიერ ტკბილი წამლის მიცემა რას არგებს სნეულსა? გარნა თუ არ უფრო გასტანჯავს განუკურნველობითა. საგრძნობელთა სანდომი რამე ჴორცსაც არ არგია, არა თუ სულსა.

გ. « ძლიერი სამკურნალების ხმარებისათანა სასარგებლო არა არის რა. » სიმრთელის მომსურნე სნეული, მეტად მწარე წამლებსაც მიიღებს. იმით იქმნება სიმრთელე და სიცოცხლეცა. მაშ აბა შენც ცოდჳს წინააღმდეგ ძლიერი წამლები მიიღე; რადგან საქმე სულია და საუკუნო ცხოვრება.

## საქმე

ა. « საგრძნობელნი შენნი კარგად შეიკავე, რომ თავიანთ ზომის გარედ

სრულ არ გაჴდნენ. » მეტადრე თვალი, ყელი ჲ ენა. რომლისაც სულის კარები ღია იყოს ჲ შესვლა გასვლას არა აზრკოლებდეს რა, რა საკვირველი? მტერნი შევლენ გაივსებიან. ციხე კარგად რომ არ გამაგრდეს, ადჳლად აიღება!

ბ. « უფრთხილდი ცუდად ყოფნასა. » უძრავად მდგარი ტბის წყალიც დაყროლდება. უსაქმური ჲ ცუდა კაცის გონებაც ავი საგნებით სავსე იქმნება. მართლად, რომ სიზარმაცე სრულ ჩვეულებითი საფრჴე არის ეშმაკისა, მისგან მომდინარეობს ყოველი სენი, აჳ ზნე ჲ ბოროტება!

გ. « სმა ჭამაში ზომიერობა გქონდეს. » კარგი ღჳნო, ნოყიერი საჭმელი ჴორცს სულის წინააღმდეგად გამოიყვანებენ უკეთუ გინდა სიტყჳერ კაცად დაშთე, შენს ჴორცს ჭამა სმით ნუ გაალაღებ. შიმშილ წყურჳლით მეტად ველური ბრაზიანი მჴეციცა, სიბრაზეს მოიმზნობს.

დ. « მუდამ ილოცევდე ხოლმე. » ლოც-

ვას, რომ დაანებო თაჳ, სხვა არასა იქმ ცოდჳს მეტს. ამისთჳს ლოცჳს ხალისი გქონდეს, რომ შეგეძლოს განთაჳისუფლება ამ ნაირ ბოროტთაგან. ლოცვით, ზეცითგან შემწეობასა ჲ ძალას მიიღებ, დილა საღამ ჲ შუადღისა ილოცემდე. რამდენი ლოცჳს მოყვარული იქმნები იმდენი ცოდვას მოშორდები.

ე. « შენს სათნოებას და კეთილ პირობას ნუ მიენდობი. » ყოველი კეთილმოქმედებაც რომ ჰქმნა ჲ სასწაულ მოქმედი წმიდაც იყო, მაინც კიდევ შეიძლება და-ცე ჲ წარსწყმდე იუდა გამცემივით ერთ წამში, როდისაც ღმერთმან ჴელი აიღოს შენგან. გარნა ღმერთი დაგითვარებს შენ, უკეთუ სასოება შენი მას ზედ გაქვს ჲ არა შენს ძალაზედ.

ვ. « ცოდჳს მიზეზს მოშორდი. » ეს არის ერთად ერთი საჭირო საგანი, თუ რომ სრულიად არ გინდა ჴელმეორ შეცოდება ანუ ღვთის გამოცდა.

სწავლა მეხუთე

ცოდჳს მიზეზებ ზედა.

« ყოველი ღონისძიებით გარიქეცი. »

მიზეზი

ა. « განსაცდელშიც შეგიძლია შესცოდო. » კაცი ხარ შესამცდარი და ბუნებითადაც სიბოროტეზედ მიდრეკილი, მრავალ განსაცდელთაცა ქვევრდომი, მაშ ესენი, რომ იცი როგორ შედიხარ განსაცდელში და შთები? შენ გეუბნები ნუ შეგყავს სული შენი განსაცდელში და ნუ ღალატობ საუკუნო ცხოვნებასა შენსა.

ბ. « გნსაცდელს შინა შესცოდამ. » ათასჯერაც, რომ გარდარჩე. მაჲნც ბოლოს უგრძნობელად შთავარდები. სული წმიდის ბრძანება არს. « განსაცდელის

მოუყვარული მასშივე წარწყმდება. « რამდენი ჩინებული პირნი, რომელნიც წმიდად გამომყვანნ სასწავლებელში ძოხუცებულ იყვნენ, გლისპობით განსაცდელში შეედვლნიენ, დაუსხლტათ ფერჴნი და დაეცნენ ძლიერ ცუდად. შენ როგორ არ გეშინიან?

გ. « განსაცდელს შინა შენ უიჭველად შესცოდამ. » ყოველი რამე შენ წაგაქეზებს: ავი ზნის მიდრეკილებანი შენნი განგიცოცხლდებიან, შენი მაცთუნებელი საგნები ძალას მიიღებენ შენს შესაცდენლად კეთილ დარიგებანი და პირობის დადებანი შენნიცა ერთ მხარეს გაგექცლებიან და რადგან შენ შენი თავ განსაცდელში მიეცი, ღმერთიც არღარ შეგეწევა შენ. რამეთუ მაგნაირ ნებიერს განსაცდელში არ დაგპირებია შენ შეწევნასა და უღირსადაც ჰყოფ შენ თავს მისი შეწევნისას. ამისთჳს უიჭველად კელმეორ ცოდვაში შთავარდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქმე

ა. « არა თუ ერთი განსაცდელისაგან მარიდო, არამედ ყველა განსაცდელისაგან გარიქეცი. » როგორც მაგალითად განშორდი იმ პირებსა რომლებთანაც წასვლა მოსვლა დ̃ საქმე გქონია რა, მრავალჯერ ცოდვაში ჩავარდნილხარ ხოლმე. განშორდი იმ სახლს განშორდი იმ ადგილს დ̃ იმ შეკრებულობას, რომელიც უცოდოდ არ გაივლის. ჳსაც არ უნდა სახადი სენის შეყრა, კარგად უნდა უფრთხილდებოდეს მავნე ჰაერის მქონე ადგილს: ამავნაირად არათუ მარტო ჭირიან კაცსა, არამედ მის სამოსზედ შეხებასაც უნდა ერიდებოდეს.

ბ. « გლისპური იმედიც არ უნდა გქონდეს, როგორც თუ ღმერთი მოწყალე არის. » უკეთუ შენ სახლს ცეცხლი მოჰკიდებოდა დაშთებოდი იქ? მისდო-

ბილი გლისპობით ღმერთზედა, რომ მოწყალე არის დამიფარებს არ დაჯწჯო. ამისაგან უმფრო გლისპობა არის ცხადს ცოდჳს განსაცდელში იმედნეულად დამთენა. რამდენჯერ მოგატყჳლიეს შენ ამისთანა ცრუ იმიდებმან. ეცადე რომ მაგ სახით არც ღმერთი გამოსცადო დ̃ არცა შეურაცხჰყო.

ჳ. « კაცის მოხედულება და კაცის გულის ბებნაქ (ხათრი) არ იქმნება იმ ნაირს ადგილს და იმ ნაირს შემთხვევაში. » შენი სული კაცთ არ უნდა გაასამართლონ: შენი ცოდვების ანგარიშიც იმათ არ უნდა მისცენ ღმერთსა, ჭკუვა თავში მოიგრიოვე: უწესო საქმეზედ ქვეყნის სიტყვას ნუ გასდევ: როდისაც ღვთის მორჩილობა საჭირო არის, სხვა საქმეს ჴელი არღარა აქვს იქ: თუ არა დ̃ ერთის სიტყვით თავზედ განსაცდელი გარდაგხდება. უმფრო გეშინოდეს შენის სჳნიდისის დ̃ ღვთისაგან.

დ. « შენი საკუთრიელი სარგებლობის ზიანად არ იქმნება მისთანა საქმეში. » ვიცი იქმნება მისთანა კაცი, რომელმანცა თქვას, თუ არ იქმნება ამ საქმის დატოება და ან იმ საცთუროვანი სახლისაგან განშორება ჩვენის ჭკლობის ანუ სარგებლობის უზარალოდ. განა აგრე არის? მაშ აბა ჟამიერი სარგებლობა საუკუნო სარგებლობაზედ მაღლა უნდა იდგეს? იმას რატომ არ ამბობ რომ ჳნ არის შენი ყოველდღივი პურის მომცემი? ღმერთი არ არის, რომ თაჳსი განგებულება ყველა რამეზედ გაუვრცელებია? მას საკმაო გზაკვალი არა აქვს, რომ შენ გამოგზარდოს და შეგინახოს? მეშინია რომ ვაჲ თუ შენ მაგფერი შენის გზით ერთობ დაჰკარგო ჟამიერი და საუკუნო კეთილიცა. შენ გკითხამ: ღვთის წინაშე შეუძლიანთ განმართლება თჳანთ თავის ურწმუნოთა და ავკაცთა, რომ სთქვან, სარჩოს გულისთჳს ჳყაჳთ დაშთენილნი

ბოროტობასა და უსჯულოებაში?

ე. « შენი მოძღვრის (განდოსმამის) ვეთილ გონიერებაც არ შეგეწევა შენ მაგისთანა საქმეში. » ვსთქვათ რომ იმან დაუფიქრებლად აღხსნა მოგცეს შენ, შენ რომ ცოდვასა არა ჰშორდები? გარნა რისთვის ახსნას გაძლევს? ამიტომ რომ შენ ატყუვლიებ მას! მაშ ამ ნაირი მოტყუვლებით შენს მოჯარულს ახსნას დაამტკიცებს ღმერთი? რა სარგებელი მაგისთანა მზაკვარებისაგან? რაღა ჯირი უნდა გქონდეს ღმერთთან გასასამართლებლად რომ წარსდგები? მაშასადამე მარტივ და მართალი იყავ შენი მოძღვრის წინაშე: კარგად შეატყობინე მას რა საცთურშიც რომ ხარ: მაშინ სხვა ენას გაიგონებ მისგან, რომ გზაკვალი შეიცვალო.

ვ. « მომეფებულ სიბნელეების მიზეზ მფუზეზს ნუ მოუფან. » ერთს ჯსმეს მტკიცე გულით საქმის გარიგება, რომ უნდოდეს, ყოველ სიძნელს სძლევს მოერევა

სასჯელიანის ცოდჳსაგან მოშორებას: გარ-
ნა უფრო ჯაფიანის ცოდვაში დაშთენა,
რომლისაც ღირსეულად ვერ მიიღებს ცოდ-
ვათა შენდობასა და თავდაღმა წავა ჩაიჭ-
რება ჯოჯოხეთში. როგორ ყოველი
ღონისძიებით აუქცევ იმ გზას, რომელ-
ზედა შენი ცხოვრების მახე მოდგმულ
იყოს? მაშ სადაც რომ შენის სულის წარ-
წყმედა არს, რისთჳს არ ჰშორდები მას?
თუ რომ რამე სიძნელე გიდგება წინ,
რჩევა სთხოვე შენს მოძღვარსა, მისი
სწავლა და გონივრული მართვა შენ გან-
გათავისუფლებენ.

ბიბლიოთეკა

## სწავლა მეექვსე.

### იმავე ცოდვაში კვლავ და კვლავ ჩავარდნილობისა ზედა.

« ცოდვაში შთვარდები თუ არა, მაშინვე დაიხწიე თავ გამოდი. »

### მიზეზი

ა. « სანამ მომაკვდინებელს ცოდვაში ხარ, ვერ შეგიძლია ვერა ფრით სასყიდლის შეძენა ღვთის წინაშე. « ეგ რა უბედურობა არის, რომ ჴელცარიელი გამოდიხარ მაგდენი კეთილ საქმეებითგან, შრომისა და შეწუხებაებითგან. ეკლესიებიც, სასწავლებლებიც რომ აღაშენო, ყოველი შენი ქონებაც რომ გლახაკთ გაუყო და მთელი ქვეყანაც რომ გააქრისტიანო. რა სარგებელი? როდისაც სასუფე-

ველისათჳს არა ფერი გესარგებლება შენ! ვაგლახ! თუ რომ ამდენი ვნებანი დ҃ ზიანნი გულში შიშს არ შიაგიგდებენ დ҃ სასწრაფოდ ცოდვებისაგან არ გამოხვალ!

ბ. სრულიად მოსვენება არ გექმნება და მშჳდობის პირსაც ვერ ნახავ. ტყუილ უბრალოდ დროების გატარებას სიამოვნებას ეძებ უბრალოდ დიდება კრებულობაში მიდიხარ: ტყუილად ცდილობ შენი ნაქმნარის ცოდვების გადაჯწყვებას: მუდამ სჳნიდისი გჩხვლეტს ლხინსა დ҃ სიხარულსა შინაცა. სიდამდინ უნდა შეინახო შენს გულში ეგ მჩიჩქვაჯ მატლი? გარედ გამოცი ეგ შხამი თვარემ მოგაშთობს! დაანტვრიე ეგ უსჯულო ბორკილი, რომ ბოლოს წმიდა სჳნიდისისა დ҃ ნეტარების სიტკბო ნახო.

გ. მყუდროობა სრულ არ გექმნება. შესაბრალოვ სად უნდა იპოვნო გასაქცეჳ ადგილი? შეგიძლია განრინება (მორჩენა) ღვთის ყოვლის-მპყრობელის ჰე-

ლითგან, რომელიც ყოველგან არის: რომელსაც წინააღმდეგობ და არისხებ? მთელი განჩენილები და ქვეყანა შენზედ ღვთის ჴმალს მოიქნევს ჯავრის ამოსაყრელად და განრისხვენ შენს უმადურობასა და უწესოებასა. ყოველ ძირ კუჩხს და ყოველ წამს ღვთის სიმართლის ჴელი დაჰკრავს თავში და შუა გულს ჯოჯოხეთში შთაგაგდებს. აწ როგორ შეგიძლია ერთ წამსაც დადგომა მაგ საზარელს განსაცდელში უნაღვლელად?

## საქმე.

ა. შენს თავს სასო- წარკვეთილებაში ნუ მისცემ ჴელმეორედ და ჴელმეორედ იმავე ცოდვაში ჩავარდნისათჳს. მართლიად საცთუროვანი რამ არის ჴელახლავ და ჴელახლავ ცოდვაში შთავარდნა: რადგანაც ააღელებს ბოროტ მიდრეკილებას და ცოდჳს მოწინააღმდეგე ძალას მოუძლურებს: შეიძ-

ლება ღმერთსაც მოსწყინდეს შენი მუდ-
მიჳ უნაღვლელობა და მადლების ფერხქვე
დაქელდვა, გარნა ამას კი ნუ იტყჳ, რომ
« ვერ შემიძლია ცოდჳსგან მოშორებაო:
არა მაქვს იმდენი ღონე წინააღუდგეო:
ამის გამო თავს მივანებებ, რაც უნდა გა-
რდამხდესო » არა არა საყვარელო! აგრე
არ უნდა გარდაწყჳტო არაშედ.

ბ. « ჴელახლავ შთავარდნისავე ღმერთს
მიჰმართე, მას დაუვარდი ფეხქვეშ და მას
შეევედრე. შენდობა სთხოვე და სთქჳ: »
შემიწყალე მე მრავალ მცოდველსა, წყა-
ლობა უყავ უფალო ჩემისთანა უბედურს
ცოდჳლსა. ტალახში შთავარდნილს ყმაწ-
ჳლიჳთ შესტირე და შეღაღადე: როგორც
ყმაწჳლს დედა მამა მიეშველებიან, მის-
გან უმფრო ღმერთი შენ მოგეშველება
ცოდჳს მწჳრითგან (წუმპოთგან) ამოგ-
იყვანს და თავ ტანს განგიწმედს.

გ. ერთის ავკაციჳთ გაიქეძ შეეფარე
ერთს მყუდრო ადგილსა. გაიქეც შიიჭერ

გეუბნები ღვთის სახლისა და შენს მაცხოვარს ფერჴ ქვე დაუვარდი ანუ მის ხატის წინაშე შენს სახლში, დიდა მიწას დაემხევ, ნამდჳლის გულით სინანული ჰქმენ ყოველს შენს ცოდვებზედა და მტკიცე პირობა მიეცი, რომ ერთი კიდევ არღარ შთავარდე.

დ. მას მერმედაც ყოველ ნაირად თვალი გაახილე და ფრთხილად იყავ. სნეულს რომ ორჯერ სამჯერ ისევ ის ჭირი შეეყრება, მას მერმედ ყოველ ღონის ძიებას მოიხმარებს, რომ კელმეორ იმ ჭირში არ შთავარდეს. მაშ შენ რა არ უნდა ჰქმნა, რომ ისევე იმ ცოდვაში არ შთაჰვარდე? რომელშიც მრავალჯერ შთავარდნილ-ხარ. ყმაწჳლს ეყოთვა, ერთხელ ცოტაოდენი კელი, რომ დაეწვას ცეცხლით: მას მერმედ ცეცხლს არღარ მიეკარება.

ე. ეცადე, რომ შთავარდნისაგან რამე ნაყოფი გამოიღო. ის მიზეზად გაგიხდეს რომ მის მერე უფრო გაფრთხილდე

ქელასხლავ შთაუვარდნელობისათჳს, უმფ-რო კეთილი ცხოვრება დაიწყო და ღვაწ-ლით შემოსჳლი გახდე. მაგალითი მისგ-ან მიიღე სათნოებისა, ჳნც პირველად დი-დი ცოდჳლი ყოფილა გარნა შემდგომ დიდი წმიდა გამხდარა! ამით შეგიძლია შენს მტერს მისივე ჴმლით თავ მოჰკვეთო (როგორც დავითმან გოლიათსა) და შხამი ფანზიერად გარდააქციო.

## სწავლა მეშვიდე

## ჩვეულების ცოდვასა ზედა.

ყოველი ძალა მოიხმარე, რომ დაგ-ლიჯო ერთიან ამოჰკვეთო იგი.

### მიზეზი.

ა. ჩვეულობის ცოდჳსთანა მღარე და ხალველა არა არის რა ქვეყანაზედ. უმფრო

უმჯობესი არს ბორკილით შეკვრა, ტყვეებთან ნიჩბით მუშაობა, ბარბაროსებთან ტყვეობაში ვაჲ ვაგლახობა, ვრემც თუ ერთის ბოროტ ჩვეულების ჯაჭჳთ შებორკვა. ცოდჳლ კაცთ ჰკითხე, შენ თავს ჰკითხე, ასრე არს თუ არა? ეს იცი და კიდევ ეწყობი ამისთანა ფიცხელს და გაუტანელს ტყვეობასა?!

ბ. მძვავრი ბორკილი არის. ბოროტ ჩვეულების წინაშე რა უნდა იყოს რკინის ბორკილი, რადგანც ჩვეულება ბუნებად გარდაქცეულა. ურემიჳთ მიდის მიჰყავხარ ძველ ცოდვებთან მსუბუქი წამლით არ შეიძლება ამ მარბეჳ ურმის შეყენება. თუ რომ ცულს არ დაჰკრამ ხის ფესვსა, ყოველი შენის ძალითა, ანუ ძნელად შეგიძლია და ან სრულიად არ შეგიძლია განთავისუფლება ჩვეულების ცოდჳსაგან.

გ. ისიც ყველა რამისაგან უმფრო მავნებელია. ყოველი კეთილი განზრახვის სწავლას წინააღუდგება, ყოველი კეთილ

პირობას გააუქმებს, ცხონების საშუალებს მოაუძლურებს: გონებას დააბრმობს ჲ ნებას განაივიცხელებს, სრულ უკანასკნელ სასოწარკვეთილობაში შთააგდებს ცოდვილსა. შენ გეუბნები ჰი ცოდვილო ძმაო! ჯ-ნც მცოდველობის ჩვეულებას შესთვისებიხარ, იცოდე რომ ჯოჯოხეთის ერმოს ბადიმზედ მიმდგარიხარ, რომ ეგ არის უნდა შთავარდე. მაშ რისთვის მტკიცე პირობას არ აძლევ ღმერთსა ჲ არ მოიქცევი?!

## საქმე.

ა. ღვთის შემწეობას მიჰმართე იმედი და სასოება გქონდეს. ნუგეშინიან რიერთიც ძველი იყოს ბოროტი ჩვეულება შენი: ღმერთს ფერხქვე დაუვარდი ჲ მდაბალის გულით შეწევნა სთხოვე. ამით შენგან დიდ ცოდვილთა, რომელნიც ბოროტ ჩვეულებას ტყვედ გახდენოდნენ, გამარ-

ჯვების ძეგლი ამართეს (პირამიდი): რადგან ჴელი ღვთისა ყველა მოშურნეთ მისწვდების.

ბ. ხშირად აღსარება სთქჳ ხოლმე, გარ-ნა მართლის გულით და სრულის სინანული-თა. გამოცდით სცნობ, რომ აღსარების თქმა, ჯეცჯეცად ძველ და დამპალ ჩვეულე-ბის ცოდვებისაგან განგაშორებს შენ და განგათაჳსუფლებს. სიწმიდის მადლებაცა, რომ ზეციერი საზრდელი არს და ანგე-ლოსთ პურად წოდებული, ცოტა ხანში ბულ ქვა ცოდვილსაც წმიდად გამოიყ-ვანს.

გ. ეცადე, რომ შენი შეძლების დაგვარ მუდამ ერთ მოძღვართან მიხვიდე ხოლმე. სრულ ნუ დაანებებ თავს იმას, თუმც შე-გიყოვნებს ან ზოგჯერაც არ უნდა შენი ახსნა. შენ ეცადე მისი სწავლა აასრულო, სანამ ჩვეულობის ცოდჳს ჯავრი მოიყარო და გაიმარჯო. ამ ნაირი გამარჯვება შე-ნად არ შეგიძლია, ვიდრე საკუთარი მადლი

არ მოგეცეს. უკეთუ ერთი მოძღვრითგან მეორესთან მიხვიდე, შენს წყლულს თუმცა მრავალს აჩვენებ, მაგრამ იმითი განმოაცხადებ რომ განკურნება არ გინდა.

დ. რამდენიმე ლოცვაც დაიჭირე შენ შენად. გულიან ევედრე წმიდა ღვთის მშობელსა, მფარველს ანგელოზსა შენსა, წმიდა მამა იოსებსა და შენს სახელმოდგამ წმიდასა. თუ რომ ამათი მეოხობა ეგრედ ძლიერია ჟამიერი საჭიროებისათჳს, რაოდენად უმფრო მომეტებულად გამკვეთი უნდა იყოს სულის საქმისათჳს.

ე. რომელიმე ჴორცის მოვლინება გინა მარხვა მარხულობა გაიკვეთე შენად, მოძღვრის ნებაყოფლობითა. გადარეული ცხენის დაზავთება თუ გინდოდეს, საჭმელი უნდა მოუკლო მუდამ აღვირი უნდა მისცე პირთა. ვინც მონანულნი ყოფილან ასრე ამ რიგად მოუმზნიათ თავანთ ბოროტი ჩვეულება. სმა ჭამა, ძილი მოუკლიათ, ხმელ დედამიწაზედ

დაწოლილან, თაჳანთ ტანი შოლტით უცემიათ და ამ ნაირი დატანჯჳთა კორცი შეუწუხებიათ დაუმონებიათ. მავნე ხის დერი ფესჳთგან უნდა დაითხაროს.

3. შენს ცუდს სრულ ჴელითგან ნუ დასტოვებ, ვიდრე სრულად არ მოიშორო შენი ბოროტი ჩვეულება. დილაზედ ილოცე და აღუთქვ, რომ ყოველის ძალითა შენითა მოშორდე იმ ცოდვასა, რომელზედაც მიდრეკილი იყოს შენი ბუნება. ერთ დღეს მოთმინება, რა დიდი საქმე არის? უკეთუ შთაჰგვარდე, მაშინვე შეინანე და აღუთქვ, რომ იმ დღის დანაშთი ნაწილი კრძალვით სიფრთხილით განატარო. საღამოს სვინიდისი გამოიძიე და დაჰკვირდი იმ დღის შენს გატარებულს ცხოვრებას: უკეთუ იმ ცოდვისაგან განთავს-უფლებულ-ხარ, ღმერთის დიდება მიეცი: და თუ არა, შენდობა ითხოვე მისგან და აღუთქვ, რომ მას მერმედ მოშორდე შენ ნაქმნარს ცოდვებსა. პირობის სიმტკიცისათვის, შენად

საკანონო გაიკვეთე; იმდენი შევიწროება მიეც შენთავს რამდენჯერაც იმ დღეს მთა-ვარდნილ ხარ; რათა რომ თვალი გაგიტყ-დეს ზატიკისაგან და სხვა დროს არღარ მოგიხდეს ის ცოდვანი. ასრე მოიქეც დღე ყოველ, ვიდრე სრულიად გაიმარჯო ღვთითა: ნუ გეშინიან ღვთის მადლითა ნელნელა ყოველი სიძნელე დაირღვევა.

## სწავლა მეერვე

## განსაცდელთ ზედა.

« მჴნე გულადობით ეომე. »

### მიზეზი

ა. « ღმერთი უყურებს შენს ბრძოლასა. » როგორ არ გაგულოვნდება მჴედარი თაჳს მჴედართ მთავრის ანუ ჴელმწიფის თვალწინ ომში შესული? მტერს შუა გააპობს, ერთერთმანერთს ათვარამს: ცეცხლს შინაც შევალს: ღვთის დასწრებამ როგორ უმფრო არ უნდა განგაცხაროს? გნახო ღმერთს როგორ ასიამოვნებ? მის თვალწინ რა მჴნეობას იქმ?

ბ. « ღმერთი შეგეწევა მას ბრძოლაში. » სარწმუნოება გვარწმუნებს ჩვენ, რომ ღმერთი თაჳს მადლებითა გვეწევა;

უღოთოთაც არა შეგჳძლია რა. « ყოველივე ბღ მიბს « სთქუა პავლე მოციქულმან: რითა? « მის მიერ « ე. ი. (ღვთითა), « რომელმანც განმაძლიერა მე. » მაშ არა შენ რაღა გეშინიან განსაცდელის ჟამსა? რაც გელითგან გამოგივა ჰქმენ, ყოველი ღონის ძიება იხმარე: ღმერთი მოწამე შენი კეთილსნებისა, თაჳს შემწეობას არ მოგაკლებს არას დროს.

გ. « ღმერთი შენ დაგაჯილდოვებს შენი გამჯრიახობის დაგვარ. » კაცო ქვეყნიური ცრუ აღთქმების იმედითა, რა საქმებს არ შვრება? მრავალჯერ სიცოცხლესაც საცთურში აგდებს. თუ ასრეა, მაშ რა გულადობა? რა სიკაცე არ უნდა იქონიო შენ ნამდჳლი და დაუფასებელი სასყიდლისა და დაუჭკნობელი გჳრგჳნისათჳს, რომელიც აუთქჳა შენთჳს ღმერთსა? მაშ აბა იომე, როს საჭირო იყოს, ერთი მგნე და გულადი მხედარივით, ჳდრე ბოლო სისხლის წვეთამდე.

## საქმე

. « განსაცდელს ჰუწინააღმდეგე სრულ პირველშივე და სწრაფად. » საწინააღმდეგოდ კარგი მომზადება თითქმის გამარჯვება არის. თუ რომ ნაპერწკალი დაეცეს ტანზედ, როგორ სასწრაფოდ გარდააგდებ? მცირე უნადვლელობის მქნელიც ცეცხლის ალს ვერ მოურჩება.

ბ. « შეურაცხყავ განსაცდელი. « ამპარტავანს ეშმაკს ძლიერ ეშინიან, როდისაც ერთი ჯნმე მას არაფრად დასთვლის. უკეთუ შეგეშინდება, განძლიერდება იგი დ̃ მეტად ზედ მოიჭრება: როგორც ძაღლი უმთვრო დაიყეფებს დ̃ კბენას დაიწყობს, როდისაც ჯნმე დადგება დ̃ უყურებს მას.

გ. « ჭკუვა და გონება შენი განსაცდელისაგან სხვა რამეზედ მიაქციე. » შენი საქმე ყოვა იფიქრე ანუ ერთს უზი-

ანო საქმეში გართე. კეთილ მსახური-ბირების სანახავად წადი: ანუ სასარგებლო გალობა სთქჳ. ამაებით ნახამ, რომ ის ბოროტი განზრახვა გონებითგან გარდაგივარდება, გულითგან ამოგივა მავნე შხამი წავა განქარდება.

დ. « ეცადე, რომ გაიქცე ღვთის აჩრდილის ქვეშ შეხჳდე, იესოს წყლულთ შეეხიზნო და ღვთის მშობლის კალთან დაიმჯირო. » ამისთანა ლოცჳს თქმის დროს გეუბნები გულ ამოსკვნითი (სულთქმითი) სიტყვები უკეთისი არიან მაგალითად: « ღმერთო შეწევნად ჩემდა ისწრაფე. უფალო მიხსენ მე. მაცხოვარო_ჩემო! შენის ვნებისათჳს შემეწიე მე. უბიწოვ წმიდა ქალწულო! შენ დაიცევ წმიდად სული და კორციელა ჩემი. »

ე. « ეს რამეც გონებაში წარმოიდგინე; ვაჲთუ ეს ცოდვაც რომ ვქმნა, უეჭველად უსინანულოდ წავსწყმდე. » ღმერთი ცოდვლს მართლად, რომ უღ-

მჲნ და ყოველდ ნაირად ცდილობს სწორე-ტჲზსნ დაასყენოს: მაგრამ როდესაც მოს-წყინდება, თავს პირისაგან განაგდებს, რომ წავიდეს წარწყმდეს თავს სიბორო-ტეში და ანუ მოკლვაში. ღმერთი თავს ჩვე-ულებრივს შემწეობას არა ჯს მოაკლებს; გარნა ცოდვილი თავისი სიბოროტითა ულირსად ჰყოფს თავს თავს ღვთის მად-ლებისასა. საშარელი და საძრწოლებელი არს ღვთის მართალი სამართალი რომელ-შიაც მერმე ჰასუხს ვეღარ მისცემ.

ვ. « თუ რომ სძლიე. ღმერთს დი-დება მიეცი ყოველი შენის გულითა მა-დრიელმან მისი წყალობისა და მადლები-სათჳს. » მდაბლის გულით, მადლობა მო-ახსენე და შევედრე, რომ თავსი წყალობა არ მოგაკლოს: თვარემ შენ შენით დაეცე-მი: კიდევაც რომ დაეცე: უცლური მჴედა-რივით საჭურველს ჴელითგან ნუ დააგდებ. შეიგონე ის სწავლა, რომელიც ჴელახლავ დღეს შემთავრდილიყოსედ. მოგეცა შენ.

## სწავლა მეცხრე.

### ცოდვის სიმძიმეზედა.

ნუ ჰგონიბ, რომ ყოველი ცოდვა მომაკვდინებელი იყოს, ანუ ყოველი ცოდვა შესანდობელი.

### მიზეზი.

ა. მომაკვდინებელი ცოდვა ის არის, რომელიც ღვთის ბრძანების წინააღმდეგი იქმნება მძიმე საგანსა შინა. ის საგანი, რომელი არც ღმერთს დაუშლია და არც კაცსა, ცოდვა არ არის. მომაკვდინებელი ცოდვა, რომელიც ჯოჯოხეთის ჯაჭვის ღირს ჰყოფს, ერთი გონების უეცრი ოცნება არ არის, ერთი დაუფიქრებელი სიტყვა არ არის და ერთი მსუბუქი ნაკლებულობა: შენ ოდესმეც უბრალო და ჩვენი რა-

ჲმე საგანი ღვთის წინამღდეგად არ ჰგონო უმეცრობითა და ნებიერად არა ჰქმნა იგი, რადგან მაშინ კი მომაკვდინებელი გახდე-ბა, და ამისთჳს მაშინ აღსარება შიაც მომა-კვდინებელ ცოდვასაჳთ უნდა აღჳარო იგი.

ბ. სრული ცნობით და დაფიქრებით უნდა იქმნას რომ მძიმე ცოდვად შეირა-ცხოს იგი. როგორც მაგალითად: რო-ცა ცხადად იცოდე, რომ ეს ფიქრი, ეს სი-ტყვა და ეს საქმე ძლიერ აღკრძალული სა-განი არის და დაეთანხმო, სთქვა და ანუ ჰქ-მნა იგი: გარნა უკეთუ გაუჭჳანებულმან გულისჴმობით სთქვა, მე ეს საქმე უნდა ვჰქ-მნა, გინდ მომაკვდინებელი ცოდვა იყოს გინდ არა? მაშინ მართლა მომაკვდინებე-ლად შესცოდამ. აგრეთვე მაშინაც ოდეს იყოს უმეცრებით ჰქმენი აჴ საქმე, გარ-ნა ნებით შენი თავ მძიმე ცოდჳს ქმნის განსაცდელში შთააგდე იმითი ოდეს თუ შეგეძლო და ვალიც გქონდა, გამოგეძია და დაგეხსნა ის ეჭჳ, რომელიც გაშინებდა და

მოუსვენლად გზდიდა შენ რომ არ იქმნას ეს მომაკვდინებელი ცოდვა იყოსო მაგრამ შენ დაუდევნელობით არ გამოიძიე იგი ან შენად თუ იმდენი სწავლა გქონდა და შეგეძლო გამოძიება და ახსნა იმ ეჭჳსა და ან შეკითხჳთ განდოს მამისადმი და შეტყობით რომ თუ მართლა მამაკვდინებელი ცოდვა იყო იგი მოშორებოდი მას და თუ არა მაშინ დაწყნარებული გულით შესდგომოდი.

გ. სრული ნების მიცემა თუ ნება ყოფლობაც ყნდა იყოს იმ საქმეში. ამისთჳს თუ გიცნია სიბოროტე ერთი რამ ფიქრისა, სიტყჳსა, თუ საქმისა, იმით ცოდვას არა იქმ: ოღომც რომ ნებიერად არ გაჩერდე არ დადგე იმ ბოროტს ფიქრებში და პირითგან არ ამოგიჳდეს ნებიერად ის აჳ სიტყვა, არა ჰქმნა და არ დასთანხმდე იმ ავს საქმესა ზედა. უნებური ზრახვა (ფიქრი), ან სიტყვა, ანუ საქმე, რომელიც წინად არ განიზრახია, მომაკვდინებელ

ცოდვას არ შეადგენს.

## საქმე.

ა. ცოდვად არ დაგეთვლება შენ, რიერთი აჳ საგნებიც, რომ უნებურად წარმოგიდგეს გონებაში. შენ უსიამოვნება აჩვენე გულით და ძნელად მოგივიდეს გინა შესწუხდე ხოლმე რომ მისთანა უწმიდური საგნები გონებაში მოგდის; ამპარტავნობის ფიქრი იყოს თუ უწმიდური ფიქრი ანუ თუ გმობა რამე იყოს. წმიდანთაც მაგისთანა განსაცდელნი გამოუვლიათ. რომლისაც შენ ნებას არ მისცემ, არამედ აიცილიებ იმათ თავთგან; მაშინ არც ცოდვა არის და არც აღსარებაში სათქმელი ნივთი: არამედ დიდს სასყიდელსაც მიიღებ მათდამი წინააღმდეგობის ქმნისათვის.

ბ. თუ მცირე რამაც შეუყოვნდე ავ ფიქრებში სასაე, არ გიცნია იმათი სიბოროტ-

თუ, ცოდვად არ შეგერაცხება. ოდესაც რომ იმათს სიბოროტეს სცნობ თუ არა მაშინვე განაგდო განაძიო იგინი შენგან; და თუ მაშინ ცოტა რამ დამდგარხარ იმ ფიქრებში, ისიც აღიარე აღსარებაში, რომ სჳნიდისი განიწმიდო ყოვლითურთ.

გ. მომაკვდინებელ ცოდვად არ შეგერაცხება, თუ რომ უსრული ყოფილა შენება. ცოდვიანნი ფიქრები შეიძლება ერთსა და იმავე დროს მოგეწონოს და ანუ არ მოგეწონოს შენ: უკეთუ შენ გიწინააღმდეგებია იმ ავ ფიქრებისათჳს, გარნა მაინც ცოტა რამ უნაღვლელად დახვდომიხარ მათ, შესანდობელი ცოდვა არის, ხოლო უკეთუ სრული ნება მიგეცა რა ეჭჳ მაშინ მომაკვდინებელი ცოდვა იქმნებოდა.

დ. ცოდვად არ დაგეთვლება შენ, თუ რომ ნისლივით ჭხედამ შენს გონებაში მოსული ფიქრის ბოროტებასა. ჯოჯოხეთში წამყვანი ცოდვა ნამდჳლად მძიმე რამ უნდა იყოს და ალაგობრივ შესწავლილი

ცნობილი და არა თუ ცარიელი და უსაფუძვლო რამ ეჭჳ.

ე. მძიმე ცოდვა იქმნება, რა სცნობ აჳ ფიქრის სიბოროტესა, ნებიერად და სიამოვნებით თუ დადგები მას შინა. ეს ნების მიცემა და სიამოვნება მომაკვდინებლად გარდიქცევა, თუმც საქმით აღსრულების აზრიც არა გქონდეს! ამ ნაირი ფიქრის ცოდვა ითქმის ნებიერი სიამოვნე. უმფრო ამძიმდება, თუ რომ სახეში იქონიო, უკეთუ დრო მოჴდეს საქმითაც აღასრულო; ესეც ითქმის შემცოდველი სურვილი. ამისთჳს ესეც და ისიც თჳთო თჳთოდ გარკვეჳთ უნდა აღჳარო აღსარებაში.

ვ. შეგიძლიან მძიმედ შესცოდო ერთ წამშიცა, ნებიერის სიამოვნებითა. ცოდჳს სიმძიმე არ არის დამოკიდებული ვრცელს ხანზედ, არამედ შენს საგანის სიბოროტის ცნობაზედ და მასზედ დათანხმებაზედა. ესრედ იცოდე ბოროტს ფიქრ-

ზედაცა, ბოროტს გულის თქმაზედაცა, ცოდჳანს განსაცდელსა, სიტყვასა და საქმესაზედაცა. სიტყჳთ და საქმით მომხდარს ცოდვებისაც უნდა დააკჳრდე ნუ თუ იმიებით სხვასაც ვნება და ანუ დაბრკოლება მიეცა თუ არა? და იმის დაგვარ უნდა აღიარო აღსარებაში. უკანასკნელად უშიშარი გზა ის არის, რომ სრულ მცირე ცოდვასაც მოეშორო: და მეტადრე უმძვრო მძიმე ცოდვებს ფრიად უფრთხილდე. შენს ჭკუასაც ნუ მიენდობი, რომ ბევრ რამეში ბრმა არის: ამისთჳს გონიერს მოძღვარს გაუტყდი ყოველი შენი საქმე და იმით კარგად წინ წასვალ.

სწავლა მეათე.

## გულ აჩხრეკილობასა ზედა.

შენს მოძღვარს გინა განდოს მამას მიანდე მაგისთანა საქმები.

### მიზეზი.

ა. შენს მოძღვარს განდოს მამას შეუძლია შენთჳს ვარგი რჩევის მოცემა. ღვთის ნება ასრე არის, რომ კაცი კაცისაგან უნდა იმართოდეს; ამ გზით წმიდა გახდნენ დიდროვანი წმიდანიცა: ახლა შენ ხომ ახალ გზას ვერ გიჩვენებს, და ანგელოზს ხომ არ მოგივლენს ზეცითგან? არ იცი, რა უთხრა ქრისტემ სულის მამებსა? » ჳნც თქვენ გისმენს მე მისმენსო. ამისთჳს ღმერთს შეეხიზნე და დაემორჩილე შენს მოძღვარსა, რომელიც

ღვთის მაგიერი: იმის სწავლას ყურადღება მიაქციე და დამშვიდდი დაწყნარდი, მოუსვენრად ნუ იქმნები იმ ნაირს საგნებზედ, რომელნიც ცხადად ღვთის სჯულის წინააღმდეგნი არ არიან.

ბ. შენთჳს სიკეთეც უნდა იმას. კარგად იცის შენმან მოძღვარმან, რომ სჳნიდისის საქმეში შენი თაჳს მართჳსათჳს შენ თჳთ დამტკჳ და საკმაო არა ხარ, და ამისთჳს უნდა რომ შენ გიწინამძღვროს სათნოებასა და სიწმიდესა შინა. შაშ რისათჳს ყოყმობ მის მორჩილობაზედ? ხომ იცი, ბრმა უწინამძღვროდ ორმოში შთავარდება.

გ. მისი ვალიც არის. შენს მოძღვარს ვალი აქვს თაჳსი თანამდებობა შეასრულოს: ცუდ რჩევას ხომ არ მოგცემს: შენ გეთილი სარწმუნოებითა მისი სიტყუა აღასრულე, მაშინ ყველა რამისაგან უანთაჳსუფლდები! გინდა ანუ გგონია ისრე უჭკუვო და უხეირო იყოს იგი, რომ შენ

მაგიერ, ანუ შენთან ერთად ჯოჯოხეთში წაწყმდეს იგიცა ცუდი დარიგების მოცემითა?

## საქმე.

ა. შენი ეჭჳ და გულაჩხრევილობა აცნობე შენს მოძღვარსა. იმდენ კარგად შეგეწევა იგი, რამდენსაც კარგად დ̃ დაწვრილებით შენი გულის ჳთარებას გაუცხადებ მას. შენი ეჭჳ დ̃ გულის ამღვრეულობა, თუ ცოდვებზედ იყოს, თუ სხვა დროჲს აღსარებაზედ, ანუ რაც უნდა საგანზედ იყოს, მუდამ მას მიანდე: თუ რომ არ გინდა გზითგან გარედ გასვლა დ̃ შენის სულის საცთურში შთაგდება.

ბ. მოძღვრისაგან რჩეჳს მიღების შემდგომ, ნუღარა ფრად დასთვლი შენს ოცნებაებს (ფესფესას). საკმაო არს, რომ შენმან მოძღვარმან გითხრას » მივხვდი შეჳცდეჯო « :შემდგომ ყურს ნუღარ უგ-

დებ შენს გულ აჩხრეკილობას და ნურღარაფერს ინაღვლი, მაგ საგანზედ ნუღარაფერს იფიქრებ, ნუ ილაპარაკებ, თვით აღსარებაშიც ნურა ფერს იტყვ. მხოლოდ შენი თავ შეიკავე, რომ გულ უმანკოებით შენი მოძღვრის სიტყვა გაიგონო და სწორედ იმის რჩევას შეუდგე.

გ. შენი გულ აჩხრეკილობისგამო, აღსარებას და ზიარებას ნუ მოსწყდები. შენი უბრალო ფიქრების გამოისად მისთანა დაუფასებელს საუნჯეს რად სწყდები? ეშმაკსაც ეგ უნდა, რომ შენი მოკრებული სჯა, ფიქრები, მოძღვრის სწავლას არჩიო; მაგრამ ხომ კარგად იცი, რომ შენს განდოს მამას მოძღვარს მარტო შენი სულის ცხონება უნდა და სხვა არა რაჲ!

დ. ილოცე რომ ღმერთი შენთან იყოს. იგი არის ყოველსა ნათლის მიმცემი: გარნა შენ რომ შენს ჭკუაზედ დადიხარ, მის ნათელს ვეღარ მიიღებ. შენ

სულიერს შენს მამას შეეხიზნე და მიენდე, რომელი ღვთის მაგიერ განსწავლის შენ. ძეებრიც მორჩილობა აჩვენე მას, მაშინ ღმერთიცა დაგიმშჳდებს გულსა!

ე. შენ შენი თავი გაამჴნევე ხოლმე. სამწუხარო ფიქრებს ნუ მიჰყვები. მარტოკა ნუ სად ნუ მიიქუშტები, თვარემ მწუხარება მოგერევა შენ და გაშმაგდები! კარგ კაცებთან იარე, იმათ მიებაძე და იმათ ყოფა ქცევას შეუდეგ. თუ რომ საჭიროებამ მოიტანოს წამალიც აიღე, რომ კაეშანი (ზაფრა) განგიწმდეს.

ვ. ვსთქვათ თუ ვერა ფრისაგან სარგებლობას ვერ ნახავ, სთქვ თუ ჩემი ჯვარია, მხარზედ დავიდებ, მდაბალი და მომთმინე გულითა ქრისტეს უკან მივჰყვები, ნება ღვთისა კურთხეულ იყოს. ევედრე ღმერთს, განგაძლიეროს და ცოდვისაგან დაგიფაროს, მუდამ შენი მოძღვრის სიტყვას უფრო მეტად ყურადღებას მიაქციე ხოლმე, მას ნუ მოშორდები, სხვასთან ნუ

წასვლა უმიზეზოდ. როგორც საზოგადოდ მკურნალის გამოცვლა ჴორციელად მავნებელია, ეგრეთვე სულიერს გზასა შინაცა.

---

## დამატებული.

### საუფლო ლოცვისა ზედა.

მამაო ჩვენო, რომელი
ხარ ცათა შინა მფლობელი,
ყოვლისა მყოფი ჰმყრობელი,
წმიდა ჰყავ შენი მცნობელი,
მოვედინ სუფევა შენი,
ჰყავ ნება შენი ნაჩენი,
ვით ცათა შინა დამშვენი;
ეგრედცა ქვეყნის ალმშენი.
პური ჩვენი საზრდო მარად,
მოგვანიჭე მუდმის მყარად:
ცოდჳლნი ვართ ბრალ დამტყდარად,

შეგჳნდევ, არ წარვსწყმდეთ მკვდარად.
ჩვენც შეუნდობთ ბრალთ ჩვენ ძმათა,
ოლომც ვიყოთ შენთჳს მზათა;
ვსდგა ვართ სრულ საცდურის გზათა,
გჳხსენ, აღგჳყვანენ ცათა.
რადგან შენი არის რგება,
ძალი, სუფევა, რიგება,
მით გშვენის დიდება ქება,
მიწყივ მუდამ მოგეგება.

## გიხაროდენსა ზედა.

გიხაროდენ სავსევ მადლით,
უფალი შენ თანა ნათლით,
მარიამ დედავ სიმართლით,
კურთხეულ ხარ შენ სინამდვლით.
დედათა უზეშთესია,
და კურთხეულ არს ზესია,
ნაყოფი უმჯობესია;
მუცლის შენისა მესია!
წმიდაო დედაო ღვთისა!

უღირსნი ვართ წუთის დღისა,
გჳმეოხენ ცოდვილთ მყისა.
აწ და ბოლოს რაც გჳღირსა.

## მრწამსსა ზედა.

მრწამს ერთი ღმერთი მაღალი,
ყოვლის გამჩენი მკობელი,
ცათა და ქვეყნის მფლობელი,
მამა ყოვლისა მპყრობელი.
ძე მისი მხოლოდ შობილი,
სულით წმიდით მიდგომილი:
წმიდა ქალწულად ყოფილი,
მარიამისგან შობილი.
პონტელ პილატეს წელსა,
ივნო, ეცვა, მოკვდა ძელსა,
დაეფლა შთახდა ლიმბოზსა:
იხსნის მართალთ სულთა მრთელსა!
და აღსდგა მესამეს დღესა,
კვლავ ამაღლდა ზეცად ზესა,
ზის მარჯვენით ღვთის და ღჳესა

ბოლო დღეს, კაცთ სჯა მას ჴვდეს.
ცოცხალთ და მკვდართ აღსასრული,
მრწამს კვალად ღვთის წმიდა სული,
და ეკკლესია ასული
კათოლიკე ღვთივ დაცული.
წმიდათა წილ დებულობა,
აგრეთვე ცოდვათ შენდობა,
ჴორცით აღდგომა ბადობა,
და ცხოვრების მარადობა.

### მონანული.

ყოვლის მპყრობელო შენ იცი,
თუ მე რა ცეცხლებში ვიწჳ!
შემეცხო სულ მხდელი ბიწი,
არც მადლი დამშთა, არც ნიჭი!
ეგრედ მივენდევ ჩემს ნებას,
რომ განუდეგ შენს ბრძანებას,
გავემკლავე ვუმტრე მცნებას,
და მოვსწყვდი სულის ცხონებას!
ერთმა მუჭმა მტვერმა მიწამ,

ღვთის! მოწყალება არ ვიცან,
მოძღვარს ვაჯერებ, ცრუდ ვფიცავ,
ჴშირდები და ისევ ვჰკიცხავ!
მიკჳრს ღმერთო! როგორ მითმენ?
დღეს მიღამებ, ღამეს მითენ?
რამდენსაც ვიგონებ? იმდენ
ჭაუვა მეფანტჳს, ვერ ვიდგენ!
სიმართლე ხომ ყველამ ვიცით,
სჳნიდის გჳძლჳს სიმტკიცით;
რად არ დამცემ მეხებს ზეცით?
ან არ მომშრეტ სვრით უჳცით?!..
თაყვანსა ვსცემ შენს მარჯვენას,
რომ დიდ სისულგრძლეს მაჩვენამს!
ცოდჳლს აღმადგენს მაშვენამს,
მცავს, მწყალობს და კვლავ მაშენამს!
შენის ძის სისხლით დახსნილსა
დასწყვეტ ცოდჳს-ჯაჭვს, ჴყოფ ხსნილსა;
მეც უჳუნურს, არ დაბრძნილსა,
ნუ მიმცემ სჯად, ცეცხლ მწველ გზნილსა!

წმიდა ღვთის მშობლის მიმართ.

მარიამ ქალწულ წმიდაო!
ზღვას სული ღვთისა გცჳდაო.
მაშინვე დედად გსმიდაო,
უკვდავ წყალს ვერვინ სმიდაო!
თორმეტი ცანი ნათლითა.
მოგარტყა გარს სიმართლითა,
ცხოველ გულ შჳდის მადლითა,
მნათობო ძის ღვთის სანთლითა!
სამების ტაძრად დაცულო,
მამა ღვთის წმიდა ასულო,
ძის ღვთისა დედავ ქალწულო,
სული წმიდის სძლად აღსულო!
ცისა და ქვეყნის მაბრწყენო,
შენს მადლთა ვერვინ ასწყვენო,
წყალობაზედ არ მომწყენო,
ურწყული ესე მომრწყენო!
დაწჳლ ვარ ცოდჳს ალებით,
გონებით, გრძნობის თვალებით:
სყიდულნი ღვთის ძის ძალებით;
რატომ არ შეგებრალებით?!
როს არ ვნაღვლობდი მე შტერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამესხა თავს სამი მტერი,
გამძარცვეს, აჰდინდა მტვერი;
არ მყავდა შემწე, არც ტერი!
აწ დავშთი ასრე შიშველი,
გულს მიწყლავს სული ჰნიშველი,
ღვთის დედავ შენ ხარ მეშველი,
შენ იცი თუ რას მიშველი¡

## გალობა წმიდა ნინა ქალწულისა.

ნეტარო ნინა წმიდა ქალწულო
მადლებით ღვთისა განგებ დაცულო
წმიდა ცხოვრებით რჩეულო სრულო
ღვაწლებით სავსე, ღირსო ასულო!
ივერიისა მხნე მოციქულო
სვეტის ცხოველის აღმმართებელო
იესოს სახელით სენთ მკურნებელო
მრავალთ სასწაულთ ნიშანთ მყოფელო!
ჯერჩთ ✠ საკერჩოთ დამამხობელო
ბოროტთ ეშმაკთა განმძიებელო
საქართველოჲს მრთილიგ მომქცეველო

ქრისტიანობის მუნ მიმფენველო!
უკვდავი მეფის უბიწო სძალო
ზეცის სუფევას გვირგვინოსანო
წმიდაო ნინა ღვთის მოყვარულო
იესოს ძალით აღმატებულო!
წმიდა ქალწულო, გაქუს რომელსა,
კადნიერება მეოხებისა
დაუცხრომელად ევედრე ღმერთსა
შენდა მვედრებელთ ჯირთ სულთათჳსა.
მეოხე ექმენ საქართველოსა
მოციქულობის შენსა ადგილსა
ქვეყანას ოფლით შენით მორწყულსა
და მის მწყალობელს დიდსა რუსეთსა.

გალობა ვეთილს ცხოვრებასა ზედა.

საუკუნეთა განვლის შემდგომად
მოიწია დრომ, მოვედ მეც სოფლად:
ვნახე ქვეყანა ამაო ფრიად,
რომელს აწ ვსტოებ მივდივარ სწრაფად.
ვნახე საქმენი წინაპართანი

თუმც დიდნი, გარნა ყოვლითურთ ფუჭნი,
მისთჳს შევუდგე ბრძენთა წმიდათა
სიმართლე მათი ვჰსცან საუნჯედა,
ეძებს კი გული შეყვარებასა
გარნა არ მნებავს, ჩემის თავსა,
შეყვარებაჲ, არც სხვა რამისა
გარეშე ღვთისა და მოყვასისა.
მშვენიერება თუ მოსწონს გულსა,
ჩემშიდვე ჰპოებს გამჩენის ხატსა
ნამდჳლ მშვენიერს და პრწყინვალესა
ფრიად უბიწოდ დაცულსა სულსა.
მხიარულობას თუ ნატრობს გული,
იქმნების მაშინ ის მხიარული
თუ რომ მარადის მხოლოდ კეთილი
იქმნების მისგან საძიებელი.
თუ ვნატრობ ვყო პატივცემული,
ვქმნები მაშინ პატივდებული
თუ არ ვქმ რასმეს უპატიურსა,
და თუმც თვალს მოსწონს, რამ უჯეროსა.
თუ ვნატრობ მქონდეს უხვ სიმდიდრე,
ვქმნები მაშინ სწორედ მდიდარე

და მის თჳთ ნამდჳლ ღვთის შჳლობილი
ჰგიებს რა ჩემშიდ ღვთის წმიდა მადლი.
თუ ვნატრობ ქებას და დიდებასა,
რა მიუდგება იმ დიდებასა,
რომელიცა აქვს გულის სიწმიდეს
და სჳნიდისის მყუდროებასა.
თუ მინდა ჳყო ერთს კეთილ მეფედ
შეჳკავებ რა ვნებათა ჩემთა
და ვჰსძლევ ჩემს თავსა და ვუფლობ ჩემზედ
დიდ ვარ მე მაშინ უფროს მეფეთა.
თუ ვნატრობ ჳყო თაჳს უფალი,
ჳქმნები სწორედ თაჳს უფალი
თუ გარ განვაძევ ბოროტთ ნატვრათა
და არ გავხდები მე ტყვე ვნებათა.
თუ ვნატრობ ვჰგიო ფრიად მშჳ-
დობით
ჳქმნები მაშინ მუდამ მშჳდობით
დაჳკავებ რა ფიქრს, თვალს, ენასა,
გულის თქმასა და ცუდს წადილებსა.
თუ ვნატრობ ნუგეშს, ვჰპოვნი მე იმას
თუ ღვთის ჴელისგან მიჳღებ ყველას

როგორც სიხარულს, ეგრეთვე ჯვარსა
განურჩევლად და ვმადლობ ღმერთსა.
ბოლოს რა ვნატრობ ნეტარებასა
ეს მოიგების ჩემი ნებისა,
თან ხმაობითა ნებასთან ღვთისა
და შესრულებით მისი ნებისა.
მისთჳს ის მნებავს და იგი მიყვარს
რაჲც ღმერთს ჰნებავს და რაც მას უყვარს;
და არ მნებავს ის და დიდათაც მძულს
რაც ღმერთს არ ჰნებავს და რაც იმას ჰს-
ძულს.
ჰყავ, ჵი უფალო, რომ ეს გრძნო-
ბანი
უფლობდნენ ჩემშიდ მარად ყოველნი.
მეოხებითა ღვთის მშობელისა
წმიდა ქალწული მარიამისა.

## საძიებელი.

### თავთა და სწავლათა.


გვერდი.

უწყება მთარგმნელისა. . . . . . . . ა

თავ. ა. ჩვეულებრივს ჩვენის თა-
ნამდებობის აღსრულებისათჳს 7

სწავლა. ა. ძილითგან გამოღჳძე-
ბისა . . . . . . . . . . 8

ბ. საქმე ყოფისათჳს. . . 13

გ. წმიდა წირჳსათჳს. . . 18

დ. სმა ჭამისათჳს. . . . 25

ე. ღამე დაწოლისათჳს. . 30

ვ. აღსარებისათჳს. . . . 36

ზ. წმიდა ზიარებისათჳს. 45

ჱ. ჯჳრისა და უქმე დღე-
ბისათჳს. . . . . . . . . . . 54

თ. განსერნებასა ზედა. . 61

ი. წმიდა ადგილების მი-
მოლოცვასა ზედა. . . . . . 69

თავ. ბ. ყველა კაცის თანამდებობა თაჳს მდგომარეობის დაგვარ. . . . . . . . . . . . . 77
სწავლა. ა. მოთავე ანუ უმფროსი კაცისათჳს . . . . . . , 78
ბ. ქვევრდომისათჳს . . . . 86
გ. მამასა და დედასა ზედა. ერთის სახლობისა. . . . . 92
დ. ქმრისა და ცოლისათჳს. 99
ე. ქვრივად დამჯდარი კაცისა თუ ქალისათჳს. . . . . 105
ვ. მამა დედებისათვის. . 112
ზ. შჳლებ ზედა. . . . . 120
ჱ. ქვეყანაში შეუსვლელთათვის. . . . . . . . . . 127
თ. სნეულთათჳს . . . . . . 133
თავ. გ. ღვთის მსახურებისა და წმიდათა პატიჳს საცემლად. 141
სწავლა. ა. ყოვლად წმიდა სამებისათჳს. . . . . . . . . . . 143
ბ. განკორციელებისა ზედა

ძისა ღვთისა. . . . . . . . . 150
გ. ქრისტეს მაგალითის მიდევნებისათვის. . . . 155
დ. ქრისტეს ვნებათა ზედა. . . . . . . . . 165
ე. წმიდა ზიარების საიდუმლოსა ზედა. . . . . 174
ვ. ღვთის მშობლის მხურვალებასა ზედა. . . . 180
ზ. მფარველს ანგელოზსა ზედა. . . . . . . 186
ჱ. წმიდა მამა იოსებს ზედა. . . . . . . . . 192
თ. სეხნა წმიდასა ზედა. 198
თავ. დ. ლოცჳს თქმისათვის.. 203
სწავლა. ა. სულთქმითს გინა გულმხურვალე ლოცვა ზედა. . 204
ბ. კმოვან ლოცვასა ზედა. 210
გ. ფიქრის ლოცვასა ზედა. 218
თავ. ე. სათნოების ქმნისათჳს. . 225
სწავლა. ა. სარწმუნოებასა ზედა. 226

ბ. სასოებასა ზედა. . . 232
გ. ღვთის სიყვარულსა ზედა. . . . . . . . . . . 239
დ. ღვთის ნების მორჩილებასა ზედა. . . . . . 246
ე. ძმათ მოყვარებასა ზედა. . . . . . . . . . 254
ვ. ძმათ სულის ცხონების ზრუნვაობასა ზედა. . . 262
ზ. ჭკვიანობასა ზედა. · 269
ჱ. ზომიერებასა ზედა. . 275
თ. სიმართლესა ზედა. . 284
ი. მკნეობასა ზედა. . . . 291
თაჳ. ვ. ცოდჳსგან მოშორება. . . 299
სწავლა. ა. მომაკვდინებელი ცოდვა. . . . . . . . . 300
ბ. შესანდობელი ცოდვა. 307
გ. სრულს სინანულსა ზედა. . . . . . . . . 313
დ. ცოდჳს მომშორებელ საშუალთა ზედა. . . . . 329

ქ. ცოდჳს მიზეზებთ ზედა. . . . . . . . . 333
ვ: იმავე ცოდვაში კვალად და კვალად ჩაუვარდნელობასა ზედა. . . . . . . . . 340
ზ. ჩვეულობის ცოდვასა ზედა. . . . . . . . . . 345
ჱ. განსაცდელთ ზედა. . 352
თ. ცოდჳს სიმძიმეზედ. 357
ი. გულსჩხრეკილობა ზედა. . . . . . . . . 364

დამატებული.

ჯალობანი. . . . . . 370

## შეცილებანი სტამბისა.

| შეცილ. | გასწორ. | გვერდ. | ტრიქ. |
|---|---|---|---|
| შროშასა | შრომასა | 15 | 17 |
| ვსთჳთ | ვსთქჳთ | 57 | 10 |
| ქვეზრდომნი | ქვევრდომნი | 79 | 5 |
| პელქვეითნა | პელქვეითნი | 79 | 5 |
| ღათი | მათი | 79 | 6 |
| ღთვისაგან | ღვთისაგან | 81 | 14 |
| ნაირხ | ნაირს | 88 | 12 |
| სიმტყჳს | სიტყჳს | 93 | 19 |
| ქრისტიანშლად | ქრისტიანურად | 93 | 21 |
| დაუმალე | დაუშალე | 97 | 18 |
| მოთმინეჲღ | მოთმინება | 105 | 12 |
| ადგიზრდია | აღგიზრდია | 113 | 16 |
| იოსებ | ისრე | 133 | 2 |
| ქვეყანასე | ქვეყანასა | 160 | 17 |
| მაჲ | მაგ | 160 | 17 |
| უცოდკომ | უცოდვომ | 165 | 16 |
| საბრძნისასა | სიბრძნისასა | 175 | 17 |
| შეაარო | შეადარო | 200 | 18 |

| შეცდ. | გასწორ. | გვერდ. | ტრიქ. |
|---|---|---|---|
| შკურნალსაც | მკურნალსა | 233 | 2 |
| შესაყვაებელი | შესაყვარებელი | 240 | 8 |
| ღიდება | დიდება | 247 | 1 |
| აქმნება | იქმნება | 253 | 11 |
| ჲენთან | შენთან | 258 | 9 |
| ამისვჯთ | ამისაჯთ | 279 | 5 |
| პირველაღ | პირველად | 292 | 17 |
| მომაკვდინეზ | მომაკვდინებ | 303 | 4 |
| უენი | შენი | 305 | 13 |
| წირვარა | წირვასა | 310 | 20 |
| მოიყარო | ამოიყარო | 343 | 16 |
| დატანჯჯთა | გატანჯჯთა | 350 | 2 |
| მოძღვარსა | მოძღვარსა | 364 | 16 |
| შეხი | შენი | 368 | 5 |
| ვოძღვარს | მოძღვარს | 373 | 2 |
| დვთის | ღვთის | 373 | 50 |
| მოწსონს | მოსწონს | 377 | 19 |

ეროვნული
ბიბლიოთეკა